



ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN
UNIVERSITY

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური
განათლების სკოლა

LIBERAL ARTS & HUMANITIES SCHOOL

სტუდენტური ალმანახი

I

თბილისი
2021

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლაში 2016 წლიდან ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია. მასში ფაკულტეტის ყველა მიმართულების სტუდენტი იღებს მონაწილეობას. ისინი პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ამზადებენ საინტერესო მოხსენებებს ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ისტორიის, თარგმანის არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე. გარდა სამეცნიერო ნაწილისა, სტუდენტები აქტიურად წარმოაჩენენ თავიანთ შემოქმედებას: ჩანახატებს, ლექსებს, მოთხრობებსა თუ თარგმანს უცხო ენებიდან.

სტუდენტური აღმანახი მოიცავს 2016-2020 წლებში სტუდენტთა კონფერენციებზე წარდგენილ სამეცნიერო თუ შემოქმედებით ნამუშევრებს.

სარედაქციო კოლეგია:

რუსუდან ციციშვილი

თამარ ვაშაკიძე

თეა ბურჭულაძე (რედაქტორი)

თამარ კვაჭაძე

მანანა კვაჭაძე

ლალი დათაშვილი

მაია ჯალაღვილი

მაკა ლაბარტყავა

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან რატიანისა**

© ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

Georgian-American University

ISBN

ს ა რ ჩ ე ვ ი

სამეცნიერო ნაწილი

ა ნ ი ბ რ ე გ ვ ა ძ ე – ჰორაციუსის პოეტური ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში	9
ა ნ ი ბ რ ე გ ვ ა ძ ე – იოანე მინჩხის „დასდებელნი წმიდისა აღდგომისა“	14
ა ნ ი ბ რ ე გ ვ ა ძ ე – მორალურ-ზნეობრივი კონცეპტები დ. კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით	17
ნ ა მ ი ლ გ ა ს ა ნ ო ვ ი – ფრაზეოლოგიური გამოთქმების ერთი სახეობისათვის აზერბაიჯანულში (ქართულთან მიმართებით)	28
ა ნ კ ა გ ი ო რ გ ო ბ ი ა ნ ი – ოსტატი და მარგარიტა	33
ა ნ კ ა გ ი ო რ გ ო ბ ი ა ნ ი, ნ ი ნ ა ი ლ ა შ ვ ი ლ ი – ჟარგონი და მისი ადგილი თანამედროვე საზოგადოებასა და ლიტერატურაში	38
გ ვ ა ნ ც ა გ ო ჩ ი ა შ ვ ი ლ ი – „გაცრუებული იმედები“ გალაკტიონ ტაბიძისა და ოლღა ოკუჯავას სასიყვარულო წერილების მიხედვით	43
ს ა ბ ა ლ ო მ ი ძ ე – დაუმარცხებელი გენერალი – გიორგი მაზნიაშვილი	50
ნ ი კ ო ლ ო ზ ნ ა რ ი მ ა ნ ი ძ ე – ქართული იერუსალიმი	56
ა ნ ა პ ა პ ა ვ ა – ეგზისტენციალური საკითხები ბესიკ ხარაწაულის „ხეივანი თოჯინას“ მიხედვით	65

მ ა რ ი ა მ ტ ე ფ ნ ა ძ ე – ნაცვალსახელთა ბრუნების ტიპები ძველ ქართულში	71
მ ა რ ი ა მ ტ ე ფ ნ ა ძ ე – შინაარსობრივად შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული მასმედიის ენაში	89
მ ა რ ი ა მ ტ ე ფ ნ ა ძ ე – გრამატიკის საკითხები ძველ ქარ- თულ ნათარგმნ და ორიგინალურ თხზულებებში	94
ნ ი ნ ო ტ უ ლ შ ი – ეროვნული განძის ისტორიული თავგადასავალი	100
ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე – ზმნური ანტონიმია თანამედრო- ვე ქართულში	111
მ ა რ ი ა მ ყ ა რ ყ ა რ ა შ ვ ი ლ ი – ზოგი სინონიმური ზმნის სინტაქსური კონსტრუქციისათვის	121
მ ა რ ი ა მ ყ ა რ ყ ა რ ა შ ვ ი ლ ი – ფიქრის ძალა	123
ს ა ლ ო მ ე შ ვ ე ლ ი ძ ე – იმიტომ, რომ სახლია შენი (ლი- თონის სხეული)	126
ს ა ლ ო მ ე შ ვ ე ლ ი ძ ე – იმიტომ, რომ სახლია შენი (შესა- ვალი)	128
ს ა ნ დ რ ო ჩ ე მ ი ნ ა ვ ა – პუშკინი და დიუმა – როგორც ერთი პიროვნება	131
ს ა ნ დ რ ო ჩ ე მ ი ნ ა ვ ა – მოთხრობა „ემშაკის მოსახვევის“ გააზრებისათვის	135
ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი – იოანე ზოსიმე – „ქება და დიდება ქართულისა ენისა“	142

მ ა რ ი ა მ ჩ ხ ე ი ძ ე – „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ –
ისტორიული წყარო 147

შემოქმედებითი ნაწილი

ნ ა მ ი ლ გ ა ს ა ნ ო ვ ი – ლექსები (თარგმანი) 165

მ ა რ ი ა მ დ ა ლ ა კ ი შ ვ ი ლ ი – ლექსები 171

ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე – ამინდისპროგნოზი (მოთხრობა)... 175

სამეცნიერო ნაწილი

ანი ბრეგვაძე

ჰორაციუსის პოეტური ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში

ლიტერატურის ისტორიამ ხელოვნების ბევრი ტრაქტატი იცის, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულია ჰორაციუსის „პოეტური ხელოვნება“, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას. კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი იყო რომელიც პოეტი, რომელიც დაიბადა იტალიაში, მოღვაწეობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში. მან დიდი გავლენა იქონია ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. თავადაც შემოქმედი იყო, წერდა ლექსებს, ოდებს, სატირებს. დღესაც ცნობილია მისი ლექსი „ძეგლი ავიგე“, რომელშიც წარმოჩენილია, თუ როგორ იგებს პოეტი უკვდავ ძეგლს თავისი შემოქმედებით:

„ძეგლი ავიგე ბრინჯაოზე უფრო მაგარი,
პირამიდების ქვაზე გამძლე, მარადიული“.

(ლექსი თარგმნა თამაზ ჩხენკელმა)

სწორედ ამ ლექსის გავლენით დაიწერა ალექსანდრე პუშკინის ლექსი „ძეგლი ავიგე“. მის გამოძახილს ვხვდებით გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარეშიც“, რომელშიც გამოკვეთილია, რომ პოეტი მოკვდაობას, დროში არსებობის ხანმოკლეობას დაძლევეს ქნარით, ე.ი. პოეზიით. ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში ჰორაციუსმა პირველმა დაწერა პოეტური ტრაქტატი. ის დღესაც არ კარგავს ღირებულებას. მასში წარმოჩენილია მნიშვნელოვანი თვალსაზრისები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. მის ბევრ დებულებას არა მხოლოდ თეორიული, არამედ უფრო მეტად მეტად პრაქტიკული დანიშნულება აქვს და ამიტომ იგი ნორმატიულ ტრაქტატს წარმოადგენს (განსხვავებით არისტოტელეს „პოეტიკისგან“, რომელიც ფილოსოფიურ-თეორიული გამოკვლევაა). ჰორაციუსი რომაული ანტიკურობის პოზიციიდან აყალიბებს პოეტურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ კანონიკური ხასიათის წესებსა და ლიტერატურულ პროგრამას.

იგი უდიდეს ყურადღებას აქცევს როგორც ტრადიციას, ასევე სიახლეებს, აღნიშნავს, თუ რა მოეთხოვება შემოქმედს და როგორ უნდა იყენებდეს წინამორბედთა ნაღვაწს.

მწერლის აზრით, ხელოვანი თავისუფალი უნდა იყოს. ეს უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისია. ყოველ დროში თავისუფლება წარმოადგენს შემოქმედების უმთავრეს საფუძველს. აქ გვახსენდება გალაკტიონი, რომელიც წერს:

„მაქვს მკერდს მიდებული ქნარი

„როგორც მინდა,

ჩემთვის დიდებული

სხივი გამოზრწყინდა“.

„ქებათა- ქება ნიკორწმინდას“

„როგორც მინდა“ – ეს სიტყვები მიაწინებებს თავისუფლების, როგორც უმაღლესი ფასეულობის, შემოქმედისთვის უპირველეს დირებულებაზე. ყოველ ეპოქაში ხელისუფალნი ცდილობდნენ დაექვემდებარებინათ, იდეოლოგიურ წნეხში მოექციათ მწერლები, რადგან გრძნობდნენ და ხედავდნენ მათ დიდი გავლენას საზოგადოებაზე. განსაკუთრებით მძაფრი იყო ზეწოლა ხელოვნებაზე ტოტალიტარული რეჟიმების დროს. ეს იყო იტალიური ფაშიზმი, გერმანული ნაციონალიზმი თუ საბჭოური კომუნისმი, ამიტომ დღესაც აქტუალურია ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში დაწერილი ჰორაციუსის ეს ფრაზა, რომელიც შეიძლება ერთგვარ სლოგანადც ვაქციოთ: „მნიშვნელოვანია, რომ ხელოვანი არავისზე არ უნდა იყოს დამოკიდებული“, რათა მისი თავისუფლების ხარისხი არ შეიზღუდოს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველად სწორედ ჰორაციუსს დაეხმარა მატერიალურად ადამიანი, გვარად მეცენატი და მის ფინანსურ დამოუკიდებლობას შეუწყო ხელი. დღეს მეცენატი უკვე საზოგადო სახელია იმ ადამიანებისა, რომლებიც უანგაროდ ეხმარებიან ხელოვანთ, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე შემოქმედებით ადამიანებს. ჰორაციუსი, როგორც ღრმად განსწავლული მოაზროვნე, რა თქმა უნდა, იზიარებს პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებსაც. როგორც ცნობილია, ისინი ხელოვნებას ბაძვად მიიჩნევდნენ. პლატონისთვის მისაბადი იყო ღვთაებრივი სამყარო, ხოლო არისტოტელესთვის – მა-

ტერიალური. სინამდვილის ასახვა რეალისტური ხელოვნებისთვისაც მნიშვნელოვანია, თუმცა მწერალს უნდა შეეძლოს არა ფოტოგრაფიულად წარმოაჩინოს რასაც ხედავს, არამედ შეარჩიოს, დაახარისხოს, მნიშვნელოვანი გამოარჩიოს და ასე მიიტანოს მკითხველამდე.

რეალობა ჰორაციუსისთვის ფართო ცნებაა და ის არ გამორიცხავს წარმოსახული სამყაროს ასახვასაც. მისი აზრით, პოეტმა ის თემა უნდა აირჩიოს, რომლის დამუშავებაც შეუძლია: „ვინც თავისი შესაძლებლობის მიხედვით არჩევს საგანს, მას არც ენამჭევრობა დააკლდება და არც ნათელი სიმწყობრე“. ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ჰორაციუსის რამდენიმე დებულებას ეხმიანება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ იმას, რომ პროლოგში გამოთქმული აზრის მიხედვით, პოეტმა უნდა შეძლოს გრძელი სიტყვის მოკლედ გადმოცემა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამაღ კარგი“. პოეზიამ უნდა გაიტაცოს მკითხველის გული, სული და გონება, ამავე დროს ტკბილხმოვანი, მელოდიური და სასიამოვნო მოსასმენი უნდა იყოს. რუსთველი თავის პოემას წყობილ მარგალიტს ადარებდა („ვით მარგალიტი წყობილი“), რადგან იგი, მართლაც, სრულყოფილი, დახვეწილი და გამორჩეულია. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ რუსთაველისთვის ნაცნობი ყოფილიყო ჰორაციუსის შემოქმედება. მან, სავარაუდოდ, კარგად იცოდა სპარსული, არაბული, ბერძნული და ლათინური ენები. არც ის იქნება გასაკვირი, რომ ჰორაციუსის „პოეტური ხელოვნებაც“ წაეკითხა. შესაძლოა რაიმე ხელნაწერი იყალთოსა და გელათის ბიბლიოთეკებშიც ყოფილიყო. როგორც ცნობილია, ღვთისმეტყველნი კარგად იცნობდნენ ანტიკურ ლიტერატურას.

ჰორაციუსის აზრით, მწერალი ისე უნდა წერდეს, ყველას ეგონოს: „ასეთს ხომ მეც შევთხზავო და თუ მართლა გაბედავდა შეთხზვას, ბევრ ოფლს დაიდენდა, მაგრამ ამაოდ გაირჯებოდა“. ამ თვალსაზრისმა აკაკი წერეთლის შემოქმედება გაგვახსენა. მისი პოეზიის მოჩვენებითი სიმსუბუქე ქართველ მკითხველსაც იმავე განცდას უჩენდა, თითქოს იოლი იყო მასავით წერა.

ჰორაციუსის აზრით, მწერალი უდიდეს ყურადღებას უნდა აქცევდეს ნაწარმოების კომპოზიციას, სტრუქტურას, რომ ტექსტი იყოს შეკრული და ყოველ დეტალს თავისი მხატვრული ფუნქცია ჰქონდეს. ჰორაციუსი არ უფრთხის ავტორიტეტებსაც. ამიტომაც წერს,

რომ ხანდახან „ჰომეროსსაც ჩაეძინება“, გულისხმობს იმას, რომ გაწე-
ლილი თხრობა, დეტალების სიმრავლე თხრობის ტემპს მდორეს
ხდის, ვნებს, ექსპრესიასა და დინამიკას ამცირებს.

საგულისხმოა ჰორაციუსის შეხედულებები ნაწარმოების შეფა-
სებასთან დაკავშირებით. მწერალი, რა თქმა უნდა, მკითხველისთვის
წერს და მისთვის მნიშვნელოვანია კარგი შემცნობის აზრი. დიდი სა-
ფრთხეა, როდესაც მწერალი მლიქვნელთა და ფარისეველთაგან ტაშ-
სა და აღიარებას არ თაკილობს. ამგვარი აღიარება დალუპავს ნების-
მიერ შემოქმედს. გვახსენდება ილია, რომელიც თავს ასე იმხნევებდა:
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“ („ჩემო კალამო“). ჰო-
რაციუსის აზრით, მწერალმა იმ ადამიანს არ უნდა სთხოვოს თავისი
ნაწარმოების შეფასება, ვინც რაიმეთი ემადლიერება. ტრაქტატში ვკი-
თხულობთ: „ამბობდნენ, მეფენი ღვინით სავსე მრავალ თასს აძალე-
ბდნენ იმ პირს, ვისი განჭვრეტაც სურდათ – იყო თუ არა იგი მათი
მართლაც ღირსეული მეგობარი“. როგორც ცნობილია, სიმთვრალეში
ადამიანები ნიღაბს იხდიან და გულწრფელად გამოთქვამენ თავიანთ
შეხედულებებს. ჰორაციუსი მწერლებს ურჩევს, დაწერილი ნაწარმო-
ები მაშინვე კი არ გამოიტანონ მკითხველის სამსჯავროზე, არამედ
მოიცადონ, ცხრა წელი შეინახონ და მხოლოდ შემდეგ გამოამზეუ-
რონ, რათა წლების შემდეგ თავის ტექსტთან ემოციურად გაუცხოე-
ბულმა შეძლოს ობიექტური შეფასება. იგი ფიქრობს, რომ ხშირად ესა
თუ ის ნიმუში იქმნება იმპულსურად, ამიტომ მას სჭირდება დახვეწა,
გადამუშავება, ერთგვარი „დავიწყება“, რათა ავტორმა შეძლოს თავის
დაწერილს შეხედოს როგორც უცხოს, დროებით დაშორდეს მას. ეს
იმისათვისაა საჭირო, რომ საბოლოოდ მისი გადაწყვეტილება (დღის
სინათლეზე გამოიტანოს თუ არა) იყოს ობიექტური. თუკი წლების
შემდეგაც მოეწონება თავისი ნაწერი, მხოლოდ მაშინ იზრუნოს გამო-
ქვეყნებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწერალი უდიდესი პასუხის-
მგებლობით უნდა მოეკიდოს თავის ნამუშევარს. დღევანდელიობას
თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ამგვარი თავშეკავება აკლიათ
თანამედროვე შემოქმედთ. გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას
„როგორ ვწერ“. ისიც ჰორაციუსის მსგავსად აღნიშნავს, რომ ნაწარმო-
ები დიდი ხნის განმავლობაში უნდა იდოს უჯჯრამი.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, ჰორაციუსის ამ პოეტურ ტრაქ-
ტატში ლიტერატურასა და ხელოვნებასთან დაკავშირებული ისეთი
საკითხებია განხილული, რომლებიც დღესაც აქტუალურია. ამიტომ

შემოქმედნი თუ ლიტერატურათმცოდნენი ხშირად უბრუნდებიან მას და ბევრ თვალსაზრისს იზიარებენ.

ლიტერატურა

ჰორაციუსი 2009 – კ. ჰორაციუსი, პოეტური ხელოვნება, ლიტერატურის თეორია, ქრესტომათია, I. თბილისი.

ანი ბრეგვაძე

იოანე მინჩხის „დასდებელნი წმიდისა აღდგომისა“

ტერმინი დასდებელნი პირველად დასტურდება მე-7 საუკუნის ნათარგმნ ძეგლ „იერუსალიმურ ლექციონარში“. იგი განსაკუთრებული ლიტურგიკული დანიშნულებისაა და ფორმით საგალობელს აღნიშნავს, წარმოდგება სიტყვისგან „დეზაჲ“. ვარაუდობენ, რომ **დასდებელი** თავდაპირველად ეწოდებოდა რეფრენად შემოდებულ ფსალმუნურ მუხლს ან პოეტურ სტროფს. შემდეგ **დასდებლის** მნიშვნელობა განზოგადდა. მე-9–მე-10 საუკუნეების ჰიმნოგრაფიულ კრებულში **დასდებელი** ეწოდა საეკლესიო წირვათა საგალობელ მასალას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე მინჩხის მოღვაწეობა. იგი გახლავთ მე-10 საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი, წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან, სოფელ ინჩხიდან, რაზეც მისი ზედწოდება (მინჩხი) მიუთითებს. ქართველ მეცნიერთა უმეტესობა ვარაუდობს, რომ იგი პალესტინაში, სინას მთაზე მოღვაწეობდა. მისი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა სწორედ სინურმა ხელნაწერებმა შემოინახა [კეკელიძე 1980: 171-173]. იოანე მინჩხი მიიჩნევა ძალიან საინტერესო პოეტად და ეს ჰიმნი „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი“ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექსტი მისი შემოქმედებიდან.

ამჟამად მის ერთ საგალობელზე გავამახვილებთ ყურადღებას. საანალიზოდ გამოვიყენეთ იოანე მინჩხის კრებული, რომელშიც მოცემულია „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი“. ეს ჰიმნი აღდგომის საგალობელია. ქრისტიანთათვის არის ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, ანუ უფალი ჯვარს ეცვა იმისთვის, რომ კაცობრიობა ამოეყვანა ჯოჯოხეთიდან და გასძლიოდა სამოთხისაკენ.

უპირველეს ყოვლისა, დავინტერესდით იმით, თუ როგორ წარმოაჩენს იოანე მინჩხი აღდგომის მადლს, ამიტომ ავირჩიეთ ეს დასდებელი: „რაჟამს მოხვედ ზეცით ქუეყნად, მხსნელო ჩუენო და ინებე შენ შობად საშოდსაგან უბიწოისა ცხოვრებისათვეს ადამის ნათესავისა შეცთომილისა მრავალმოწყალე!“. ეს ნიშნავს იმას, რომ იოანე

მინჩხი უფალს პირველივე მუხლში იესოს ყველაზე დიდ დამსახურებაზე ესაუბრება. ის ხომ იმისთვის მოვიდა ქვეყნად, რომ ადამის მოდგმა ამოეყვანა ჯოჯოხეთიდან. შემდეგ ავტორი უფრო განავრცობს თავის სათქმელს: „ჯუარს ეცუ ხორცითა ბუნებით უვნებელი ღმრთეებად, შთაჰედ ქუესკნელად და განაქარვე მთავრობა ბნელისად და აღადგინე ბუნება კაცთად დანთქმული, ბუნებაი კაცთად და გადიდებდა!“ – რაც იმას ნიშნავს, რომ უფალი ჩავიდა ქვესკნელში, გააქრო ბნელი და ამოიყვანა იქიდან ადამთა მოდგმა, რომელიც ადიდებს მაცხოვარს. მესამე სტროფში იოანე მაცხოვრის დასაფლავებაზე წერს – როცა იგი გარდაიცვალა, ცამ, მიწამ და მნათობებმა გლოვა დაიწყეს: „რაჟამს დაეფალ, მაცხოვარ, გულსა ქუეყანასასა, ცანი იგლოვდეს და აღივსნეს მნათობნი მწუხარებითა, ხოლო განათლდეს ბნელისა მყოფნი ნათლისა უხილავისა ბრწყინვალეებითა!“. საყურადღებოა ის, რომ იოანე მინჩხი „სახარებას“ ეყრდნობა, რადგან მსგავსი ტექსტი აქვს გადმოტანილი თავის საგალობელში: „ქუეყანი შეიძრა და კლდენი განსთქდეს, და საფლავნი აღუხუნეს და მრავალნი გუამნი შესუენებულთანი წმიდათანი აღდგეს“ (მათე 26,50-52) – ვკითხულობთ სახარებელთან. შემდეგ წერს, რომ ყველა გლოვობდა, ტიროდა, მწუხარებით იყვნენ აღვსილი, დაეძებდნენ უფლის გვამს, რომელიც სამი დღე იყო საფლავად დადებული, როგორც მკვდარი. ცხადა, აქაც ალუზიურად გვახსენდება მენელსაცხებლე დედათა წუხილი. გამოვიდა მზე სინათლისა, მაცხოვარი გაცოცხლდა, მკვდრეთით აღდგა და მთელი სამყარო განათდა. საყურადღებოა მაცხოვარზე საუბრისას ავტორის მიერ გამოყენებული უფლის მეტაფორული სახელი „მზე სინათლისა“: „საღმრთოდ საფლავი ცხოვრება გუექმნა ჩუენ, მორწმუნეთა, რომელისაგანაც აღმობრწყინდა მზეე სიმართლისად და განანათლა კიდენი ქუეყანისანი აღდგომისა მისისა მადლოთ!“. ეს სახელი ასევე გამოყენებული აქვს იოანე საბანისძემ „აბოს წამებაში“: „მზე სიმართლისა ეწოდა, რამეთუ ფარავს და განატვობს და არარად არს, რომელი დაეფაროს სიცხეთა მისსა“. ეს იმას ნიშნავს, რომ მაცხოვარი ათბობს და კურნავს ყველას, რუსთველის თქმისა არ იყოს: „ვარდთა და ნეხვთა სწორად მოეფინების“. მეექვსე მუხლში იოანე მინჩხი უფალს მიმართავს, რომ ამაღლდეს ზეცაში და შეაერთოს კაცება და ღვთაება, რადგან აღდგომამდე ჩვენ დაკარგული გვქონდა ეს დიდი მადლი.

მეშვიდე მუხლში ავტორი მეორედ მოსვლაზე საუბრობს. უფალს სთხოვს, რომ იხსნას საუკუნო სასჯელისგან და აბრაამის წი-
ალში დაამკვიდროს: „რაჟამს მოხვიდე განსჯად, მსაჯულო სიმარ-
თლისაო, მიხსნენ, სახიერ, საშჯელთა მათგან საუკუნეთა და ღირს
ყვენ სულნი მიცვალებულნი წიაღთა აბრაჰამისთა და განუსვენე!“ აბ-
რაამის წიაღი არის გამორჩეული ადგილი. ლხინის სუფრას უსხედან
აბრაამი, ისააკი, იაკობი და სხვა უაღრესად ცნობილი და ავტორიტე-
ტული წმინდანები. შემდეგ იოანე ღვთისმშობელს მიმართავს, რომ
გაიხაროს, რადგან აღსდგა საფლავიდან მისი შვილი როგორც ღმერ-
თი. ასევე იხსენებს დიდ სასწაულს, შეუწველი მაცულის ამბავს: „შეუ-
ხებელმან მაცულისა წმინდაჲ ქალწული და განაკვირნა ზესკნელს ცა-
თანი, ვითარცა მოსე მთასა სინასა!“

ამ სასწაულის არსი ის არის, რომ მაცვალს ცეცხლი ეკიდა, მაგ-
რამ არ იწვოდა, როგორც წმინდა ქალწულ მარიამს შვილი გაუჩნდა,
მაგრამ ისევ ქალწული დარჩა. წესით, მაცვალი უნდა დამწვარიყო,
მაგრამ არ დაიწვა. ამის მხილველი იყო მოსე წინასწარმეტყველი, რო-
მელსაც ღმერთი დაელაპარაკა და მიანიჭა სასწაულმოქმედის ძალა,
რათა ებრაელები დაეხსნა ტანჯვისაგან.

ლიტერატურა

კეკელიძე 1980 – ვ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატუ-
რის ისტორია, ტ. 1, თბილისი.

**მორალურ-ზნეობრივი კონცეპტები დ. კლდიაშვილის
მოთხრობების მიხედვით**

დავით კლდიაშვილი მოღვაწეობდა მე-20 საუკუნეში. მისი შემოქმედების მთავარი თემაა იმერეთის გაღარიბებული, ე. წ. „შემოდგომის აზნაურების“ ცხოვრების მწუხარების ასახვა. ჩვენ გავამახვილებთ ყურადღებას რამდენიმე ასპექტზე:

1. კომიზმი დავით კლდიაშვილის მოთხრობებში;
2. ცხოვრება და ქრისტიანული მრწამსი – „შერისხვა“;
3. ირონია – როგორც პერსონაჟთა დახასიათების საშუალება

(რეალობა და ილუზია);

აზნაურთა გაჭირვება პირველად გამოჩნდა მოთხრობა „სოლომონ მორბელაძეში“. გაღატაკებული აზნაური სოლომანი გლეხურ შრომას თავილობს და მაჭანკლობით შოულობს ორიოდ გროშს. მას კარგად ესმის, რომ ამგვარი წანწალიდან არაფერი გამოდის, გარდა ერთმანეთის მოტყუებისა, „მაგრამ რა ჰქნას ღვთისგან დაწყევლილმა ხელმოკლე, უსაშვალო, გაძაღლებულმა აზნაურმა?“. იგი ისეთ პირობებში იყო აღზრდილი, რომ მუშაობას ხელს ვერ მოჰკიდებდა, ამიტომ ერთადერთ გამოსავლად მაჭანკლობა მიაჩნდა. სოლომანი გაურიგებს ბესარიონის ქალიშვილს ქაიხოსროს ვაჟ ნიკოს. მას სასულიერო სემინარია დაემთავრებინა და სამღვდლოდ იყო გამზადებული. როგორც ჩვეულებადაა, ქალისათვის მზითვი უნდა მიეცათ და ოჯახები მორიდებოდნენ. საქმე მოგვარებული იყო, რომ ბესარიონმა უეცრად უარი განაცხადა. მას საკმარისი თანხა არ ჰქონდა. ბიჭის მამა კი პირობის შეცვლას არ აპირებდა. სოლომანი მხოლოდ სასიძოს გაუმყვავნებს ამ ამბავს. ქორწილის დღე დანიშნეს, მაყრიონი და სასიძო მოვიდა. ქაიხოსრომ მზითვის ჩაბარება მოითხოვა, მაგრამ დაპირებულის მაგივრად ოცდაათი თუმანი მოუტანეს. ამან ძალიან გააბრაზა, მაგრამ შვილის მუდარამ, აზნაურების ვედრებამ გული მოუღბო და თანხმობა განაცხადა. შვილს ჯვარი დასწერა. სასაცილო და თან შესაბრალოს მდგომარეობაში მარტო სოლომანი ჩავარდა. ოცნების მკოშკები ჰქონდა აშენებული სამაჭანკლოზე,

ცოლს ეუბნებოდა: „იმისთანა ტკიცინა წითელ-წითელ თუმნიანებს მოგიტან, თვალები აგიბრჭყვიალოსო“. ბოლოს კი ექვსი და ათი თუმნის მაგიერ „ექვსი მანეთი და ორი აბაზი მიიღო და ერთი ხარის ტყავი“. ეს ექვსი მანეთიც სასიძომ მისცა ისე, რომ ქისაც კი დაიბერტყა. ფაქტობრივად, ბესარიონმაცა და ქაიხოსრომაც საწყალი სოლომანი პირში ჩალაგამოვლებული გაისტუმრეს. ეს არის მთელი მოთხრობა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ამბავს ჰგავს, თუმცა თუ დავუკვირდებით და მის სიღრმეში ჩავიხედავთ, დავინახავთ, თუ რამდენი ტრაგიზმი, ტანჯვა- ვაებაა ჩაქსოვილი. სოლომანის წაწეული სრულიად გამოუსადეგარი შეიქმნა. ეს მთელი დრამაა ხელმოკლე კაცის ცხოვრებისა. მთელი მოთხრობა ისეთი დრამატული კომიზმით არის სავსე, მზად ხარ ცრემლები დააფრქვიო, რომ „თვით ამბავი სასაცილო არ იყოს“. თუ განვაზოგადებთ, კაცის ცხოვრებაც ასეა. რამდენი შრომა და ჯაფა სჭირდება ადამიანს, რომ რაიმე მიზანი განახორციელოს. თუმცა ხშირად ეს აუსრულებელი რჩება და გული მწარე ნაღველით ევსება. ადამიანს მრავალი უსიამოვნება ხვდება სრულიად მოულოდნელად და დაუმსახურებლადაც.

საყურადღებოა სოლომანის სულიერი მდგომარეობა ჯორთან მოქცევისას. როცა ბესარიონმა პირობა შეუცვალა, მისთვის ცხადი გახდა, რომ სამშველო ხელიდან ეცლებოდა, მწუხარე, გულნატკენი და გულამღვრეული სოლომანი მიაჩქჩაქებდა აღმართ-დაღმართებში თავის ჯორს და წამდაუწუმ დეზებს სცემდა საწყალს პირუტყვს, რომელსაც სრულიად ვერ გაეგო, რა დაემშვეებინა ასეთი თავის პატრონისათვის. სოლომანი დღემდე კარგად ეპყრობოდა ჯორს, დღეს კი ტყუილ-უბრალოდ იმდენი სცემა მას. გაკვირვებული, თან შეშინებული და დამფრთხალი ჯორი მირბოდა და, მისდაუნებურად, ხან კოლბოხებს წაჰკრავდა ფეხს, ხან – ქვას, წაიფორხილებდა ამის გამო და, რასაკვირველია, ახლა ამიტომ აგინებდა და ლანძღავდა პატრონი. როცა სოლომანმა სასიძოსთან მამის მოტყუების საქმე გაჩაჩხა, მისი მაქანკლობა დაგვირგვინებულად მიაჩნდა, „გამარჯვებული მამული ახლა მხიარულად მიაჩქჩაქებდა საღამოზე ჯორს თავის სახლისკენ და ერთხელაც არ უთქვამს წყრომის სიტყვა თავის დაუღალავის ამხანაგისათვის“. ხოლო როდესაც მოატყუეს, სასოწარკვეთილმა ღვთის გმობა დაიწყო და თანაც „მისი გული სიბრალულით აივსო ყოველ ღვთის გაჩენილად და ჩაგრულისადმი; ამათ რიცხვში, რასაკვირველია, თა-

ვის ჯორისადმიცა, თუმცა ბევრს ვერაფერს სიამოვნებას ხედავდა თავის ღარიბის პატრონის ხელში, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი მორჩილი, ერთგული მოსამსახურე, ხანდახან ამხანაგიც იყო და რომელიც აგერ ახლაც თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისაკენ თავის ნაღვლიანს, შავ-უკუღმა ფიქრებში წასულს ბატონსა“. ყოველი სიხარული თუ მწუხარება ჯორის ზურგზე აისახებოდა. მოთხრობის ფინალი უდიდესი ტრაგიკომიკურობით გამოირჩევა: „მოიტანე, ბატონო, მაგ მაინც მოიტანე... ემუდარება ფულის მოცემას სოლომანი ახალ ჯვარდაწერილ სემინარისტს, თვარა მაგიც დაკარგული შეიქნება ჩემთვის. გასაროზგავი ვარ, ამნაირ კაცებთან რომ შევები, მარა გვიანდაა, მე კი ჩემი დამემართა, მარა ღმერთი მოწყალეა, ერთ დღეს იქნება ჩვენსკენაც გადმოიხედავს მზე... ჰმ, პატიოსან სიტყვას ვენდე! მშიერ კაცს სადა აქვს ღონე, თავის პატიოსან სიტყვას გაჰყვეს... მე სულელმა ეს რავა ვერ ვიფიქრე! ამ დაწყველილ ხელობაში მაინც რა არ შეგემთხვევა, რა?! მოვუშვა ხელი? წაწალსა და ათას უსიამოვნებას გადარჩები კაცი, მარა ეს ოხერი გროში რომ გჰკირდება, სად უნდა იშოვო? რითი უნდა იშოვო?“ გამწარებით ამბობდა სოლომანი. მაჰანკალი ამ სიტყვების შემდეგ სიბრალულს გამოიწვევს ჩვენში და თანაგრძნობას აღძრავს. კლდიაშვილი სასაცილო მდგომარეობაში აყენებს თავის გმირებს, თანაც ებრალება ისინი. ებრალება იმიტომ, რომ სასაცილონი არიან. ეს სიბრალული გვაფიქრებს, ღრმა გრძნობებს იწვევს ჩვენში. ავტორი ნათლად გვიჩვენებს ასეთი ცხოვრების უნაყოფობას, გვაზიზღებს ასეთ პირუტყვულ ყოფას. თანაც მისი გული „სიბრალულით სავსეა, ყოველ ღვთის გაჩენილ და დაჩაგრულისადმი“.

ახლა გავიხსენოთ გაღარიბებული აზნაურის, პლატონ სამანიშვილის დარდი. ახლად დაქვრივებული მამამისი ცოლის შერთვას აპირებს და ამით ოჯახს ლუკმა უფრო შეუმცირებოდა. პლატონი, რადგან ბეკინას გაჯიუტებას ვერაფერს მოუხერხებს, გადაწყვეტს, თვითონ მოუძებნოს დედაკაცი, რომელიც „ორი ნაქმარები იყოს და არც ერთისაგან შვილი არ მიცემოდეს“. ამ სურვილს მიაღწევს პლატონი, მაგრამ „ორ ნაქმარები“ ბეკინას ხელში დაორსულდა. ერთადერთი უკანასკნელი იმედი ის დარჩენოდა, რომ იქნება დედინაცვალს „გოგო“ ჰყოლოდა, მაგრამ ამაშიც უმუხთლა ბედმა და დედინაცვალს ვაჟი შეეძინა. ეს ამბავი სასაცილოცაა და სატირალიც. პლა-

ტონის დარდი და სევდა თანდათან ჩვენს გულს ხვდება და თანაგრძნობას აღძრავს. საყურადღებოა, რომ ადამიანის ცხოვრების გამომსახველი სიზიფეს მითია. საბრალო სიზიფე დიდ ლოდს დღესაც კი მიაგორებს მაღალი მთის წვერისკენ, მაგრამ მიღწევს თუ არა, ქვა ხელიდან გაუსხლტება და ქვევით დაექანება. აქედან გამომდინარე, ადამიანის ცხოვრება ბრძოლაა საწადელის მიღწევაში, თუმცა რამდენადაც ახლოს მივა მიზანთან, იმდენად ეს საგანი მისგან შორს გაიწევეს. ადამიანის სულის სიმაღლე კი იმაში გამოიხატება, რომ თავს არ ხრის სირთულეების წინაშე, ამიტომ ყოველთვის წინ მიდის. წამიერი ბედნიერება სრულიად ავიწყებს განვლილ უბედურებას.

საგულისხმოა „ქამუშაძის გაჭირვება“. ამ მოთხრობაში ისახება სურათი ადამიანის კუდაბზუკობისა და გაუმძღრობის. ოტია გაღატაკებული „შემოდგომის აზნაურიშვილი“ იყო: „ვაი, ნეტავი თელი წელიწადი კი არა, ნახევარ წელიწადს მქონდეს ის დალოცვილი საჭმელად, გამოუღვევლად, ამბობს ეკალას გამო ერთი მათგანი, ცუდი კაცი ვიყვე, თუ სხვა რამე ვინატრო კიდეე! რას მეუბნები?! ამ დროებში ოქროს ფასი დაედვა მას ყველასაგან, აზნაურისაგან და გლეხისაგანაც... მალე თავადების სანატრელიც გახდეს მგონია!“ ტრაგიზმს, სიღარიბესა და სიღატაკეს ვხედავთ ერთი სცენიდან, სადაც ძალი გამხდარა მთელი ოჯახის მარჩენელი: „უბრალო შავი ნაგაზია, ამბობს ერთი ამ აზნაურთაგანი, მარა ყოველ ჩემს კეთილს და ჩემისთანა ხელმოკლე კაცს ღმერთმა მისცეს იმისთანა შემბრალე და თანამგრძნობი. ერთობ რამე სულიერია. დილას, ბატონო, რომ ადგება, კაი დაკვირვებული ადამიანივით შემოირბენს სახლის ყოველ კუთხეს. ერთი წაქცეული სამზარეულო მაქვს, იქაც მისუნავს-მოსუნავს და, თუ შეხედა, რომ სახლში არაფერი არის გასაკეთებელი, ერთი გავარდება, ეზოდან, შემოირბენს მეზობლებს, სად კეციდან ჭადს ააგლეჯს, გამოიტანს და მოარბენიებს, სად ქათამს ფრთას წააგლეჯს და მოაწანწალებს, სად კვერცხს გამოწახავს, ხანდახან ჩადებულსაც არ დამიწუნებენო, გარდასწყვეტს და აგერ რომ გვგონია დღეს უსადილოდ ვრჩებით, გარდაწყვეტილი გვაქვს, ეს ღვთისნიერი სულდგმული ხელახლად ამივსებს ცალიერ სუფრას ათასნაირი საჭმელებით... თითქოს მეზობლებისაგან ხონჩები მომსვლოდესო“. ოჯახი თავს ირჩენს ძალის მოტაცებული საჭმელით და ამით ამაყოფს. ოტია გაჭირვებული იყო, ცოლის შერთვის შემდეგ სულ მთლად გაღარიბდა. ქალაქელი ქალი სონია კი დაუსრულებელ სევდას მიეცა, „ამგვარი სურათებისა

და ამბების ყურება სონიას ახლა თავის თავზე უფრო ძალაუნებურად უკვირებდა, თავის მდგომარეობაზე ანიშნებდა, ყველასაგან და ყოველ მხრიდან მხოლოდ გაჭირვებულ და შევიწროებულ ცხოვრებაზე ჩივილი რომ ესმოდა, იგიც შიშში ჩავარდა, „ვაი, თუ მეც ამათთანავე და ამათგვარსავე მდგომარეობაშივე ვიყო და მხოლოდ ვერ ვამჩნევდო“. ეს შიში მით უფრო იპყრობდა, რომ, რასაც ჯერ ხედავდა ამ ახალ ოჯახში, საიმედოს არაფერს უქადდა მომავლისათვის, „ვერაფერს ბედნიერებას იგეგმებდა მასზე მოიმედეთ დამყარებული ადამიანი... ყმაწვილ ქალს აუტანელი მოუსვენრობა და გულისწუხილი ერეოდა და ერთიმეორეზე უფრო უნუგემო სურათები თვალწინ ეხატებოდა“. იმდენად გაუჭირდა ოტიას, რომ ქალაქში გადასვლა გადაწყვიტა – „სოფელში აღარაფერი სიკეთეა. გაჭირვებისა და უბედურების მეტი!“ ფიქრობდა, „სადაც მეტი ხალხია, იქ მეცადინე კაცისათვის უფრო შემთხვევაც მეტია იშონოს რამე“. იმედი ჰქონდა, სიღარიბიდან თავს დააღწევდა. თუმცა ფინალი მიგვანიშნებს, რომ ოტია გაჭირვებას თავს ვერ დააღწევს. ეს მოთხრობაც იმავე ღრმა სევდას ტოვებს ჩვენს გულში, როგორც სხვები.

აღსანიშნავია, რომ მწერალი პირდაპირი მემკვიდრეა ილია ჭავჭავაძისა იმ მხრივ, რომ როგორც ი. ჭავჭავაძე, ისე დ. კლდიაშვილი სატირას იყენებენ თავად-აზნაურთა წოდების ცხოვრების აღსაწერად. თუ ილია ბატონყმობის წეს-წყობილებაზე აღზრდილ „ბრწყინვალე ვაჟბატონების“ ცხოვრებას აღგვიწერს, დ. კლდიაშვილი ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დამყარებულ ეკონომიკურ ნიადაგზე გაჩენილ წვრილფეხა „შემოდგომის აზნაურებს“ გვიხატავს. მათი ცხოვრების გასაჭირს გვაჩვენებს, სევდიან სურათებს გვიხატავს. თუ ლუარსაბსა და დარეჯანს ჭერზე ბუხის დასათვლელად ეცალათ და დილიდან საღამომდე ამას აკეთებდნენ გართობის მიზნით, საწყალ პლატონსა და ოტიას გემრიელად ლუკმის ჭამაც კი არ შეეძლოთ, ისე იყვნენ წელში მუშაობით გაწყვეტილი. ილია ჭავჭავაძისა და დ. კლდიაშვილის ლიტერატურული იარაღი სატირაა. მაგრამ პირველის სატირა მკაცრია და შეუბრალებელი, ხოლო კლდიაშვილისა თანაგრძნობას აღძრავს ჩვენში.

საგულისხმოა კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“. როგორც მოთხრობაშია აღწერილი, გალაკტიონის ბოსტანს შეეჩვევიან ბაკულას ღორები და უოხრებენ ბოსტნეულობას: „ბოსტანში მყოფმა ძალზე გა-

მხდარმა ორმა ღორმა და ცხვარმა, ალბათ, კარგად იცოდნენ რა დღესაც დააყენებდა მათ ტრუბია. გაფაციცებით უცმაცურებდნენ პირს პრასას, ჭლავკს, ნიახურს, ოხრახუმს – რაც კი პირს მოხვდებოდა“. ოჯახის უფროსი სთხოვს მეზობელს, ჩაკეტოს ღორები საღორეში, თუმცა ვერაფერს გახდება. გადაწყვეტს, მეზობელთა დასანახად სადილზე მიიწვიოს ცოლის ნათესავი შაშა და კანცელარიის ჩინოვნიკები: „რამდენიმე დღის შემდეგ გალაქტიონი დაბა N-ს გაემგზავრა თავის ცოლის ნათესავთან, ალექსანდრე შარაქაძესთან, რომელიც თარჯიმნად მსახურობდა მაზრის სამართველოში“. არამზადა ნათესავმა თითქმის მთელი თანამშრომლობა წამოიყვანა. საბრალო გალაკტიონმა, რაც კი სულიერი ჰყავდა, ყველაფერი გაწყვიტა, რომ საკადრისი სუფრა გაეშალა. გაიძვერა მოხელეები გამოთვრნენ, ატეხეს აყალმაყალი და ღორებზე უარესად წარმოჩნდნენ. საწყალ გალაკტიონს ბავშვები მშიერი დაურჩა, თუმცა პრობლემა მაინც ვერ მოაგვარა. ტრაგიკომიკურია ეს სურათი, თან სიცილს იწვევს ჩვენში და ამავედროულად გვებრალება ოჯახის უფროსი. დ. კლდიაშვილი ამ მოთხრობაში გვიჩვენებს იმასაც, რომ სამართალმა ძალა დაკარგა, გაფუჭდა ხალხი, ერთმანეთის მიმართ თანადგომა, პატივისცემა, ზრუნვა, უანგარო სიკეთე დაივიწყეს.

რომ შევაჯამოთ, დავით კლდიაშვილის კალამს სევდა და ნაღველი ახლავს, როცა სოლომან მორბელაძის, პლატონ სამანიშვილის, გაკალტიონისა და ოტია ქამუშაძის „გამაღლებულ“ ცხოვრებასა და გაჭირვებას აღგვიწერს, ამ ყოველივეს კი ცრემლწარევი სიცილით გადმოგვცემს: „ეს კაცები... სწორედ შეეცოდებოდნენ ადამიანს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ იყოს“.

2. ცხოვრება და ქრისტიანული მრწამსი – „შერისხვა“

მოთხრობაში სიმართლის ძიების პროცესი შურისძიების პროცესად იქცა, რადგან იურიდიულად გაუმართავმა სამართალმა გაიმარჯვა. სიმართლის ძიება ბედნიერების მაგიერ უბედურების სათავედ ექცა მთავარ პერსონაჟს – კაციას: საზოგადოება გულგრილობით გაუსწორდა, კერძო საკუთრება უკანონოდ წაართვა, კანონზე წარმოდგენაც არ აქვთ, კაცია გარყვეს, ახლოს აღარავინ ეკარებოდა, ამიტომაც გაბაროტდა იგი. საზოგადოების დამოკიდებულებამ რადიკალურად შეცვალა პერსონაჟი, იმდენად რომ, ღმერთიც კი დაივიწყა. ამის

შემდეგ იგი არც დაწერილ და არც დაუწერელ კანონებს აღარ ემორჩილება. იგი თვითონაა ჭეშმარიტების ერთადერთი მფლობელი, მხოლოდ მან იცის, რა არის სიმართლე და სამართლიანობა. ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც კაციას სურს, თვით ღმერთის ნება მის ნებას უნდა დაემთხვეს. მას ქრისტიანული ცნობიერება დაერღვა: იმის ნაცვლად, რომ ღვთის ნებას, ზნეობრივ მცნებებს ემორჩილებოდეს, ადამიანი ღმერთისგან მოითხოვს მორჩილებას. ღვთისგან საკუთარი მტრის დასჯის მოთხოვნას, შურისძიების წყურვილს ქრისტიანობასთან სართო არაფერი აქვს. ქრისტიანობა ხომ სიყვარულის რელიგიაა, გვასწავლის ყოველივე ღირებულს: სიკეთეს, სათნოებას, ერთგულებას, მეგობრობას, ისეთ ცნებებს, რაც ადამიანს აამაღლებს. გავიხსენოთ მითოლოგიური თხზულებები – პრომეთე ღმერთს დაუპირისპირდება, იგი სამართლიანობას მოითხოვდა. თუმცა ამ ყოველივეს მიზეზი „გაბუდაყრება“ გახლდათ. ამ მხრივ საინტერესოა „ამირანიანი“. ამ ეპოსში გმირი სულიერ რევოლუციას გადის. „ამირანიანმა იმაზე მეტი მოინდომა, ვიდრე ჰქონდა. იგი არჩევანში თავისუფალი იყო, მის საქმეში არც ბედისწერა ჩანდა, არც წინასწარმეტყველება“. ამირანი სულ მარტო დარჩა. „ტყვეობაში ჩნდება ახალი პერსონაჟი გომია, რომელმაც მთელი წლის განმავლობაში უნდა ლოკოს ჯაჭვი, გაწყვეტამდე მიიყვანოს, რათა მჭედლებმა კვლავ გაამთელონ. ეს ხდება დიდ ხუთშაბათს, როცა ისინი დილაადრიან გრდემლზე უროს სცემენ და მათი ძალისხმევით ჯაჭვი კვლავ იჭედება. აქვე ჩანს ჩიტი, რომელიც პალოზე შემოჯდება ხოლმე. ფრთოსანს წილი უდევს, თითქოს უკვე თავდახსნილი ამირანის ხელმეორედ მიჯაჭვებისა. გომია მიწის არსებაა, ამიტომ ეხმარება, ჩიტი – ცის. იგი ხელს უშლის. ამირანის გათავისუფლებას სიჯიუტე აბრკოლებს [კიკნაძე 2012: 140]. მონადირეს, რომელსაც ამირანი იხსნის დაღუპვისგან, აკისრია მისი გადარჩნა. მან სამჭედლოდან უნდა წამოიღოს ჯაჭვი, რომლის საშუალებითაც ამირანი თავისკენ მიიზიდავს ხმალს და გაკვეთს ბორკილებს. ყოველი მცდელობა ამაოა, რადგან მონადირე დუმილის აღთქმას ვერ იცავს. ბორკილები მხოლოდ ფიზიკური ძალით ვერ აიხსნება, ისინი სხვა ძალამ უნდა ახსნას. ეს სინანულია. სურვილი – გახედეს ღმერთზე უფრო ამაღლებული, დაუძლეველი რჩება, ამიტომ ჯაჭვი არ წყდება. ამპარტავნება აბრკოლებს ამ პროცესს. არ შეიძლება ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდეს. რა სირთულეც არ

უნდა გადაიტანოს, ღმერთის იმედი არ უნდა დაკარგოს. აღსანიშნავია ავთანდილი, რომელიც საკუთარ თავს „ცუდ მიწას“ უწოდებს. ამით თავმდაბლობას, სწორად ცხოვრების სურვილს ამჟღავნებს. განა მას არ გადაუტანია ცხოვრებისეული სირთულეები? თუმცა დემონურმა ძალამ სული ვერ ჩაუკლა. ადამიანში არ უნდა იყოს გამეფებული ამპარტავნება, თვითნებობა.

ეგოიზმის ნათელი მაგალითია დ. კლდიაშვილის „მიქელა“. გვარის ამოძირკვის შიშმა სულ მთლად დააბრმავა მთავარი პერსონაჟი. სპიდიონას შვილიშვილადაც აღარ მიიჩნევდა. იმდენად შეიძულა, რომ ძლიერი წვიმის დროსაც კი არ შემოუშვა სახლში. ბიჭის კარავი განადგურდა, თვითონ კი გარდაიცვალა. ამის მიუხედავად, მიქელა თავს იმართლებდა, მწუხარებაც კი არ შეტყობია მას: „სასაფლაოდან ჩამობრუნებულმა ნაეზოვარში გადააგდო კუბოს ნადგამი ურმის ზესადგარი, გამოიცვალა ახალუხი და შარვალი. დაბანა ხარები და მხოლოდ მაშინ შევიდა სახლში“. გარდა ამისა, „შერისხვაში“ ვხედავთ პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირებასაც. დავით კლდიაშვილის პერსონაჟი, ისევე როგორც ალუდა ქეთელაური, საზოგადოებას უპირისპირდება, მაგრამ მათ შორის განსხვავებაა. ალუდა დაუპირისპირდა თემს, რადგან ჭეშმარიტება აღმოაჩინა, რაც ყველაზე ღირებული აღმოჩნდა მისთვის. ამიტომ მზად არის თავი გაწიროს საკუთარი სიმართლის დასაცავად. კაციასთვის კი ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი კერძო ინტერესი. შელახული სიამაყის დაცვაა შურისძიების გზით და ეს აპირისპირებს მას საზოგადოებასთან. საზოგადოება, თავის მხრივ, პიროვნების ღირსებას დიდად არ აფასებს. შეიძლება ითქვას, გამემომაც დიდი როლი ითამაშა კაციას გარდასახვაში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანმა ამის გამო ღმერთი უნდა უარყოს და ეგოიზმში ჩაეფლოს. ალუდა სასტიკი ღმერთის ნაცვლად კაცთმოყვარე ღმერთს აღმოაჩენს, ხოლო კაცია ღმერთის უარყოფის შემდეგ კვლავ დამსჯელ ღმერთზე თავისი წარმოდგენის ტყვე ხდება – მას, ისევე როგორც საზოგადოებას, რომელშიც ის ცხოვრობს, დაკარგული ჰყავს მოწყალე და მიმტევებელი ქრისტიანული ღმერთი.

3. ირონია – როგორც პერსონაჟთა დახასიათების საშუალება (რეალობა და ილუზია)

დ. კლდიაშვილი იშვიათად მიმართავს პერსონაჟის პირდაპირი დახასიათების ხერხს, იგი ძირითადად იყენებს ირონიას. მთლიანად ირონიული შინაარსისაა ეკვირინეს დახასიათება „ქამუშადის გაჭირვების“ დასაწყისში. აქ მწერლის ირონიის ობიექტია წოდებრივი სიამაყის გრძნობა, რომელსაც რეალურად საფუძველი მხოლოდ პერსონაჟის, ეკვირინეს, ხასიათში აქვს. ირონია აქ ემყარება შეუსაბამობას სინამდვილესა და პერსონაჟის ხასიათს შორის. ეკვირინე ამაცობს თავისი წოდებით, ეს სიამაყე ხასიათში აქვს გამჯდარი. სინამდვილეში კი გადარიბებული აზნაურია, რომელსაც ლუკმაპური ენატრება. იუმორისტული ირონიის კლასიკური ნიმუშია ცნობილი სცენა, როდესაც ეკვირინე ახალმოყვანილ ქალაქელ რძალს თავის კარმიდამოს აჩვენებს: „– აქანაი, შვილო, ჭურები გვაქვს, – ანიშნა მან ხის ქვეშ ყავრებით გადაფარებულ შეყრილ მიწაზე. ამ ყავრებს უნდა დაეფარა, რომ წვიმის დროს წყალი არ ჩასულიყო მარანში. „იცოცხლე, შვილო, ამ ჭურებში შარშან ღვინოები ჩაისხა!.. საპალნე რატომ ოცი მანეთიც არ ღირდა, ისეთი რამ მშვენიერი იყო... აძლიეს კიდევაც თექვსმეტი მანეთი, მეტსაც მისცემდნენ, მარა არ შეეღია!.. ძნელია შესაღვეია, შვილო – კაი ღვინო ოჯახის დამამშვენებელია... წრეულსაც, იმედია, ღმერთი კიდევ უკათესს მოგვცემს!.. ღვთის მადლით, ვენახი კარგი გვაქვს, თუ არა შენი ლამაზი თვალებით ნახავ ეხლავე!.. ისეთი ტევნები ასსხია, თითოსაგან რატომ ბოთლი ღვინო არ გამოიწურება!.. აქ ბოსტანი ჰქონდა ეკვირინეს. ვიწრო, გრძელი, კოლბოხებით სავსე კვლევებზე მოჩანდა ზოგან ხახვი, ზოგან ნიახური, ოხრახუში, პრასა, ქინძი, საზამთრო, ფხალი, სალათა და აქა-იქ გრძელი ზადრიჯანი... – ბოსტანი მქონდა, შენ გენაცვალე, ასეთი ბოსტანი, რომ მარტო ერთი შეხედვით გული გაგეხსნებოდა!... ქალი უკეთესს ვერ დაიჩემებდა, მარა რად გინდა, ვერ დევიცევი, ასე გადამითხარეს ქათმებმა, – ჩემმა და სხვისმაც!... ვერაფრით ვერ შემოვყარე... იცოცხლე, ეს ხახვი, ეხლა ამას რომ ხედავ, ეს რაა იმასთან, შარშან რომ იყო... გადვირია, ბატონო, გადვირია, მარა რანეირად!.. ვირამ მოლია!... ექვსი ბათმანი სულ ამხელ-ამხელა თავები კიდომ შევიწახე საზამთროდ!.. და ეს სალათა... ჰმ, იმდენი იყო, რომ მთელი მეზობლობა გავაჯერე მაგით... წროულს კი რა დეემართა, აღარ ვიცი, სულ აღარ ამოსულა... მაგივრად ნესვი, კინტრი იყო იმდონი, რომ კინაღამ დევიხაშმეთ!.. შეგვეშინდა, რომ

ავადმყოფობა არ გაეჩინა და სულ ავთხარეთ და გადავუყარეთ ღორებს!... გაისადაც კარგი ბოსტანი გაკეთდება, შვილო, კიდეც უკეთესი, ცოცხალი ვიყვეთ და!... ცხენებით ვაწიკვივებთ ოტისა შენს სახლს აქაურ მწვანის...“ – ასე დაათვალიერებინა ეკვირინემ რძალს თავისი ბოსტანი. იგი აბუქებდა ყველაფერს, თან ტრაბახობდა, თითქოს რასაც ამბობდა, იმისი თვითონვე სჯეროდა. ჰგონია, რომ რძალსაც იმავე რწმენას ჩაუნერგავს: „მოხუცებულის სიტყვები ახლა უსიამოვნოდ ხვდებოდა სონიას გულს. რომ ატყობდა აშკარად გაბერვით ლაპარაკს, სწყინდა, რადგან ამაში ხედავდა დედამთილის განზრახვას, მოეტყუებინა იგი. ნამდვლად კი ეკვირინეს ღრმად სწამდა თავისი ოჯახის კეთილმყოფელობა და ახლა მხოლოდ ნატრულობდა, ეგვე რწმენა ჩაენერგა რძლის გულში“. ეკვირინე ღრმად დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო თავის სიმართლეში, იგი მართლაც ცრუ და ტრაბახა იქნებოდა. მაშინ მკითხველი აღარ დაიჯერებდა იმ ცრემლებსაც, რომლითაც ეს უბედური ქალი მოთხრობის დასასრულს თავის ღარიბულ სახლ-კარს ეთხოვება. ეკვირინეს შემთხვევაში მწერლის ირონია იუმორისტული შინაარსისაა, ღიმილის მომგვრელია ამ „თმაბურძენული“ მოხუცებული ქალის გვარიშვილობით ამაცობა. ახალმა ცხოვრებამ ის გაჭირვებასა და სიღატაკეში ჩააგდო, მაგრამ გულს მაინც არ იტებს, ძველებურად მხიარულია, მომავალზე ამყარებს თავის იმედს. დავით კლდიაშვილი პერსონაჟის გარეგნობის დახატვისას იუმორს იყენებს, რათა ადამიანს შეებრალოს იგი. წოდებრივ სიამაყეში კი გვიჩვენებს ადამიანთა სისუსტეს, რომ მხოლოდ ტრაბახი, კუდაბზიკობა შეუძლიათ მათ. თუმცა ეს ყოველივე კი არ გვაღიზიანებს, არამედ ღიმილს გვგვრის, გვეცოდება ისინი. მწერალსაც ეცოდება და ამიტომ უწოდებს „საწყალს“: „არ მოელოდა საწყალი ეკატერინე, თუ როდისმე იგი გამოეთხოვებოდა თავის საცხოვრებელს...“

იუმორისტულ ირონიას იყენებს მწერალი ბეკინა სამანიშვილის დახასიათებისას: „ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბი. აბა, რა სიმდიდრეს მოასწავებდა ის ოცდაათი ურემი სიმინდი, ორმოცი ჩაფი ღვინო და ათიოდე ბათმანი ლობიო, მის მამულს რომ შემოჰქონდა და რითაც თავს ირჩენდა წლიდან წლამდე ბეკინას ოჯახი. მაგრამ ბეკინას კი თავისი თავი მდიდრებში მოჰქონდა და ვინ იქნებოდა, რომ თავის სიღარიბეზე ერთი სიტყვა წამოეცდევინებინა ბეკინასათვის? როგორც იმერეთში ამბობენ,

ერთობ გადაპრანჭული იყო ჩვენი ბეკინა... როცა აზნაურობაშიაც ლაპარაკს გააბამდა ბეკინა თავის გამოუღეულ სარჩოზე, ღონიერ ლუკმაზე, მისი ერთადერთი ცოლშვილიანი ვაჟიშვილი პლატონი, თუმცა ტრაბახობად მიაჩნდა მოხუცებული მამის ასეთი სიტყვა, მაინც არას ეუბნებოდა საწინააღმდეგოს და მხოლოდ ჯვრის გამოსახვით იტყოდა ხოლმე: – ამაზედაც გმადლობთ, უფალო! ამაზედაც გმადლობთ, უფალო!“ აქედან გამომდინარე, ვხედავთ, რომ ბეკინა სამანიშვილიც ილუზიაში ცხოვრობს. თავი მდიდარი ჰგონია, „ერთობ გადაპრანჭული კაცია“. იგი აზნაურებს ესაუბრება თავის გამოეღეულ სარჩოზე, ღონიერ ლუკმაზე. სინამდვილეში კი სულ სხვანაირ მდგობარეობაშია. სიღარიბეს ვერ ამჩნევს. ბეკინა ეკვირინეს მსგავსად ტრაბახობდა, თუმცა არაფერი გააჩნდა. ეს აზნაურნი თავიანთ რეალურ ყოფას ვერ ამჩნევენ. აღსანიშნავია, რომ დ. კლდიაშვილს გამოკვეთილი და შემჩნეული აქვს იმერელი აზნაურის საუბრის ყოველი ნიუანსი, წინადადებების მიმოხრა, თავისებური გამოთქმები, აკვიატებული სიტყვები და მეტყველებაში გამოყენებული ხშირად მნიშვნელობას მოკლებული ბგერებიც კი. ამ ხერხით მკითხელი უფრო მძაფრად შეიგრძნობს იმდროინდელ ვითარებას. ისინი ჩვენში სევდნარევ სიცილს იწვევენ და სიბრაღული გვიპყრობს.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავით კლდიაშვილმა ნათლად დაგვანახა „შემოდგომის აზნაურთა“ ხასიათი, ტკივილი, ყოფა-ცხოვრება, პატარა ადამიანების თავგადასავალი, უხერხულობანი და ა. შ. ეს სურათები კი სამუდამოდ შევიდნენ ქართულ ლიტერატურაში, როგორც ძველი იმერეთის შეუდარებელი პასაჟები.

ლიტერატურა

აბაშიძე 1970 – ვ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბილისი.

გაწერელია 1962 – ა. გაწერელია, დ. კლდიაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, წერილები და ნარკვევები, ლიტერატურული მიეზანი, პირტრეტები, თბილისი.

კიკნაძე 2012 – ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბილისი.

ნამილ გასანოვი

ფრაზეოლოგიური გამოთქმების ერთი სახეობისათვის აზერბაიჯანულში (ქართულთან მიმართებით)

სტატიაში განხილულია აზერბაიჯანული ფრაზეოლოგიური გამოთქმების ერთი მცირე ნაწილი ქართულთან მიმართებით.

ჩვენ გავეცანით ბიძინა ფოჩხუას ნაშრომს „ქართლი ენის ლექსიკოლოგია“, აგრეთვე – თედო სახოკიას ლექსიკონს „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ და ალექსანდრე ონიანის ლექსიკონს „ქართული იდიომები“.

აზერბაიჯანული მასალა მოვიპოვეთ ქულუ მეჰერლემლისა და რაფიკ ისმაილოვის „აზერბაიჯანული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონიდან“. ჩვენი მიზანი იყო ქართული და აზერბაიჯანული ფრაზეოლოგიური გამოთქმების შედარება და, შესაბამისად, მსგავსება - განსხვავებათა დაძებნა, მაგალითად, რა შემთხვევაში მიმართავს ორი ტიპოლოგიურად განსხვავებული ენა ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს მსგავსი შინაარსის გამოსახატავად მყარ შეხამებათა საშუალებით.

ფრაზეოლოგია არის მოძღვრება მყარ შეხამებათა შესახებ. მაგალითად, სიტყვათა მყარი შეხამებებია: „თქვენი ჭირი წაიღო“, „ჭკუაში დაუჯდა“, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“, „კუდით ქვა ასროლინა“ და ა. შ. ამ სახის გამონათქვამები ორ ან სამ სიტყვას შეიცავს, შესაძლებელია – მეტსაც, თუმცა თითოეულ ლექსიკურ ერთეულს არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. მაგალითად, „თქვენი ჭირი წაიღო“ ნიშნავს შემდეგს: „გარდაიცვალა, მოკვდა“, ე. ი. ეს სამი სიტყვა ერთ აზრობრივ მთლიანობას წარმოადგენს. ახლა ავიღოთ ასეთი წინანდადება: „მოსწავლეები გაკვეთილებისთვის ემზადებიან“. აქ სამი სიტყვაა და სამივე გამოყენებულია პირდაპირი მნიშვნელობით. თუ დასახელებულ წინანდადებას შევადარებთ მყარ შეხამებას – „თქვენი ჭირი წაიღო“, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი სიტყვათა თავისუფალ შეკავშირებას არ წარმოადგენს, არამედ მყარი შეხამების ნიმუშია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფრაზეოლოგიურ შეხამებად მიჩნეულია როგორც იდიომები, ასევე ანდაზები, გამოცანები, ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

მოხსენებაში განხილულია იმ სახის მყარი შეხამებები (აზერბაიჯანულ ენაში დადასტურებული მასალის გათვალისწინებით), რომელთა შემადგენლობაში მონაწილეობას იღებს ადამიანის სხეულის ნაწილები: პირი, ენა, თვალი, ხელი, ქუსლი, მხარი და სხვ. მათ ჩვენ დავუძებნეთ ქართული ვარიანტები.

ძალზე საინტერესოა, როცა ორ ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენაში იძებნება ამა თუ იმ აზრის ხატოვნად წარმოსაჩენად ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულებისაგან შედგენილი მყარი შეხამებანი.

ჩვენი მასალა შემდეგნაირად არის განლაგებული: ჯერ წარმოდგენილია აზერბაიჯანული ფრაზეოლოგიური გამოთქმა (კერძოდ, იდიომი), მაგ.: Ağzına qifil vurmaq, შემდეგ მას მიწერილი აქვს სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ქართულად: „პირზე ბოქლომის დადება“, მესამე სვეტში ახსნილია მყარი შეხამების მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში — „გაჩუმება“, ხოლო მეოთხეში გათვალისწინებულია აზერბაიჯანული იდიომის ქართული შესატყვისი (ასევე იდიომის სახით): „პირზე ბოქლომი ადევს“, „ხმას არ იღებს“, „პირში წყალი აქვს ჩაუტეხული“. როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანულ მყარ შეხამებას ამ შემთხვევაში დაემებნა სამი ქართული ვარიანტი, ფაქტობრივად — იდიომთა სინონიმები. ამათგან ორ შემთხვევაში ქართულშიც გამოყენებულია ლექსიკური ერთეული **პირი**, ხოლო მესამეში — **ხმა**“.

ფრაზეოლოგიური გამოთქმა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია „ენა“

პირველი სვეტი: „Dili qifillanmaq“.

მეორე სვეტი: „ენაზე ბოქლომის დადება“.

მესამე სვეტი: გაჩუმება.

მეოთხე სვეტი: „ენის დაბმა“, „ენის ჩავარდნა“, „ენის ჩაწყვეტა“.

ამ შემთხვევაში ქართული იდიომების სამივე ვარიანტი იყენებს ლექსიკურ ერთეულს „ენა“.

Ağzına aifil vurmaq	პირზე ბოქლომის დადება	გაჩუმება	1. პირზე ქობლომი ადევს; 2. ხმას არ იღებს; 3. პირში წვალი აქვს ჩაგუბებული.
---------------------	-----------------------------	----------	---

**ფრაზეოლოგიური გამოთქმა, რომლის ერთ-ერთი
შემადგენელი კომპონენტია „თვალი“**

ქვემოთ წარმოდგენილი მყარი შეხამება ზმნა-შემასმენელს არ შეიცავს.

პირველი სვეტი: „Gözlə qaş arasında“.

მეორე სვეტი: „თვალსა და წარბს შუა“.

მესამე სვეტი: სწრაფად, შეუმჩნევლად, მოულოდნელად.

მეოთხე სვეტი: „თვალსა და ხელს შუა“.

Gözlə arasında	qaş	თვალსა და წარბს შუა	და	სწრაფად, შეუმჩნევლად, მოულოდნელად	თვალსა და ხელს შუა (გვატყუებს)
-------------------	-----	------------------------	----	---	--------------------------------------

„Gözlə qaş arasında“ – თვალსა და წარბს შუა (იგულისხმება , რომ რაღაც საქმე სწრაფად ან შეუმჩნევლად, მოულოდნელად გაკეთდა).

აღნიშნულ იდიომს ქართულად შეესატყვისება „თვალსა და ხელს შუა“. როგორც ვხედავთ, ქართულში „წარბის“ ნაცვლად გამოყენებულია „ხელი“.

**ფრაზეოლოგიური გამოთქმა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი
კომპონენტია „ხელი“**

პირველი სვეტი: „əl vermək“.

მეორე სვეტი: „ხელის მიცემა“.

მესამე სვეტი: დახმარება, შველა.

მეოთხე სვეტი: ხელი გაუმართა, ხელი გაუწოდა.

ol vermək	ხელის მიცემა	დახმარება, შველა	1. ხელი გაუმართა; 2. ხელი გაუწოდა.
-----------	--------------	------------------	---------------------------------------

აქ „ხელი“ უცვლელად არის წარმოდგენილი აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად ორივე ენაში.

ფრაზეოლოგიური გამოთქმა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია „ქუსლი“

პირველი სვეტი: „Ağlı topuğunda olmaq“.

მეორე სვეტი: „ჭკუის ქუსლში ქონა“.

მესამე სვეტი: უჭკუო, უნიჭო; ის, ვინც მოვლენებს ზერელედ აფასებს.

მეოთხე სვეტი: „თვალეზში აქვს ჭკუა“; „ფეხებში აქვს ჭკუა“.

Ağlı topuğunda olmaq	ჭკუის ქუსლში ქონა	უჭკუო, უნიჭო; ის, ვინც მოვლენებს ზერელედ აფასებს	თვალეზში აქვს ჭკუა; ფეხებში აქვს ჭკუა.
----------------------	-------------------	--	---

როგორც ვხედავთ, ქართულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში „ქუსლის“ ნაცვლად გამოყენებულია „თვალეზი“ .

ფრაზეოლოგიური გამოთქმა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია „მხარი“

პირველი სვეტი: „ciyin vermək“.

მეორე სვეტი: „მხარის მიცემა“.

მესამე სვეტი: დახმარება, შველა.

მეოთხე სვეტი: „მხარი მხარს მივსცეთ, ხელი ხელს, ნესტან -დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს“.

Çiyin vermək	მხარის მიცემა	დახმარება	1. მხარის მიცემა; 2. ხელის მიცემა.
--------------	---------------	-----------	---------------------------------------

ქართულში გვაქვს როგორც „მხარი მხარს მივცეთ“, ასევე „ხელი ხელს მივცეთ“.

სტატიაში წარმოდგენილი იყო 6 მყარი შეხამება, რომელთა შემადგენელ კომპონენტებად აზერბაიჯანულშიც და ქართულშიც დადასტურდა: პირი, თვალი, ენა, ხელი, ქუსლი და მხარი. ქართულში რამდენიმე გამოთქმასთან გამოვლინდა სინონიმური ვარიანტებიც. გამორიცხული არ არის, აზერბაიჯანულშიც დადასტურდეს მსგავსი შემთხვევები. ჩვენ ახლა ვმუშაობთ აზერბაიჯანულ ლიტერატურაზე, რათა დავძებნოთ სინონიმური ფრაზეოლოგიური გამოთქმები და შევუდაროთ ისინი ქართულს.

საბოლოოდ ჩვენი მიზანია აზერბაიჯანულ-ქართული ფრაზეოლოგიური გამოთქმების ერთმანეთთან შედარება და სინონიმური ვარიანტების გამოვლენა ორივე ენაში.

ლიტერატურა

მეჰერლემლი, ისმაილოვი 2018 – ქ. მეჰერლემლი, რ. ისმაილოვი, „აზერბაიჯანული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“.

ონიანი 1966 – ა. ონიანი, „ქართული იდიომები“, თბილისი.

სახოკია 1979 – თ. სახოკია, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, თბილისი.

ბ. ფოჩხუა, „ქართული ენის ლექსიკოლოგია“, თბილისი (თიკო)

ანკა გიორგობიანი

ოსტატი და მარგარიტა

„ოსტატი და მარგარიტა“ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე იდუმალეობით მოცული რომანია, რომლის არსის ამოხსნაზე დღესაც კამათობენ მეცნიერები. ამ ნაწარმოებში ნებისმიერი მკითხველი იპოვის მისთვის საინტერესოს და ერთ ნაბიჯს წინ გადადგამს ეგზისტენციალური პრობლემების გადაჭრაში. ხელოვნების რაობაზე დაფიქრება და ჭეშმარიტ სიყვარულთან ზიარება – ეს არის ის, რასაც გვიძახდებს ეს წიგნი და ჩვენ მსჯელობა მარადიულ წიგნსა და მარადიულ საკითხებზე გვინდა, მაგრამ სანამ უშუალოდ ნაწარმოებისა და პერსონაჟების განხილვაზე გადავალთ, ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ ავტორზეც.

მიხაილ ბულგაკოვი რუსი მწერალია, რომელიც 1891-1940 წლებში მოღვაწეობდა. ის 1891 წელს დაიბადა ქალაქ კიევში. 1916 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს იყო სამხედრო ექიმი. 1921 წლიდან დასახლდა მოსკოვში, სადაც დაიწყო აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა. ბულგაკოვი არასოდეს უჭერდა მხარს ბოლშევიკურ რევოლუციას. თავის ბევრ ლიტერატურულ ნაშრომში მძაფრი სატირის გამოყენებით დასცინის და აკრიტიკებს საბჭოთა რეჟიმს. ამიტომაც ნაწარმოებების უმეტესობა აიკრძალა ან სულაც გამოუქვეყნებელი დარჩა. ის წლების განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა მიეტოვებინა საბჭოთა კავშირი. 1928 წელს ბულგაკოვი იმყოფებოდა საქართველოში და მოინახულა თბილისი და ბათუმი. 1940 წელს კი, სამწუხაროდ, თირკმლების დაავადებით გარდაიცვალა.

ნაწარმოებს წინ უძღვის ეპიგრაფი, რომელიც ცნობილი გერმანელი მწერლის, გოეთეს „ფაუსტის“ სიტყვებია:

„... და მაინც ვინ ხარ, ბოლოს და ბოლოს?

მე ნაწილი ვარ იმ ძალისა, ვისაც მარად ბოროტება სწავლია და სიკეთეს კი იქმს“.

აქედანვე ვხვდებით, რომ წინ იდუმალეობით, რეალურსა და ირეალურ სამყაროს შორის არსებული მოქმედებები გველოდება. ამ ნაწარმოებს ხშირად უწოდებენ „რომანი რომანში“, რადგან გვაქვს

ორი ამბავი. ერთი, რომლის მოქმედებაც მოსკოვში ვითარდება, როდესაც ემბაკი ვოლანდი თავისი ამალით ეწვევა მოსკოვს, და მეორე, რომელიც ისტორიულ გმირებს – პილატე პონტოელსა, ჰანოცრის და ლევი მათეს ისტორიას აერთიანებს. თვითონ რომანი კი სამგანზომილებიან სიბრტყედ არის დაყოფილი: ისტორიული (იგუმუას ამბავი) რეალური (ოსტატი) და ირეალური (ვოლანდი). რომანი ქვეტექსტებით არის დატვირთული, რისთვისაც აუცილებელია კარგი მკითხველის მახვილი თვალი და გონება, რათა შეძლოს ამოიცნოს ის საიდუმლოებები, რაც გენიოსმა მწერალმა ჩააქსოვა შესანიშნავ ნაწარმოებში.

რომანი იწყება ბატონი ვოლანდის პერსონაჟით, რომელიც ერთი „უცხოელი“ გახლავთ ორი „გენიოსი“ ლიტერატორის – ბერილიოზისა და ბეზდომნის – თვალში. მათ დიალოგის საწყისად კი საკმაოდ საინტერესო თემა აქვთ შერჩეული – ღვთის არსებობა-არარსებობა. ეს დიალოგი ძალიან საინტერესოა და იმ წუთიდანვე ითრევს მკითხველს ინტერესის მორევში. ასევე მასში მარტივად შეიძლება დავინახოთ იმდროინდელი საზოგადოების სულიერი სახე: „დიახ, ჩვენ ღმერთის არ გვწამს, მაგრამ ამაზე სრულიად უშიშრად შეიძლება საუბარი“. მან ძრწოლით ახედა სახლებს, თითქოს შიშობდა ყოველ ფანჯარაში წყვილ-წყვილი ათეისტი არ დაენახა. ვოლანდი ოსტატურად უგებს სიტყვაში თავისი ენამახვილობით ბატონ ბერლიოზსა და ბატონ ბეზდომნის, ასევე ღვთის „არსებობის“ დამამტკიცებელ საბუთებსაც იხმობს. კერძოდ:

„კოსმოლოგიური დასაბუთება – რადგან არსებობს შემდეგი (სამყარო, კოსმოსი) მაშ უნდა არსებობდეს მიზეზიც, საწყისი ყველა ნივთისა.

ტელეოლოგიური დასაბუთება – ბუნებაში არსებული მიზანშეწონილობა ამტკიცებს იმას, რომ არსებობს ბუნების გონიერი მომწესრიგებელი.

ონტოლოგიური დასაბუთება – რადგან ღმერთი სრულყოფილია, მაშინ უნდა არსებობდეს კიდეც.

ზნეობრივი დასაბუთება – ემყარება საკუთარ შინაგან სამყაროზე დაკვირვებას.

ისტორიული დასაბუთება – დედამიწაზე არსებულ ყველა ხალხს გააჩნია ღმერთის რწმენა, რაც მის არსებობას ამტკიცებს.

ღმერთის არსებობის ექვსი დამამტკიცებელი საბუთი – იმანუელ კანტმა უარყო ღმერთის არსებობის ყველა დამამტკიცებელი საბუთი, დაამტკიცა, რომ შეუძლებელია ღმერთის არსებობა თეორიულად დასაბუთდეს, მაგრამ წამოაყენა ახალი ზნეობრივი არგუმენტი. იგი ღმერთს განიხილავდა როგორც პრაქტიკული გონების პოსტულატს. უფლის არსებობის დასაბუთება მან გადაიტანა მორალის სფეროში, ის ზნეობრივი ქცევის ნორმად აქცია. აი, ასეთი „საბუთებით“ ვოლანდი ცდილობს დაარმწუნოს ორი ლიტერატორი ღვთის არსებობაში და დასძენს: „კარგად დაიხსომეთ, იესო არსებობდა“.

გარდა იმ მარადიული საკითხებისა, რომლებიც თავიდან ბოლომდე იპყრობს ჩვენს გონებას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მწერალს ოსტატურად აქვს გაკრიტიკებული საბჭოთა მოჩვენებითი თანასწორობა და, ზოგადად, მთლიანად ეს მანკიერი რეჟიმი. ვარიეტეს სცენები და მაგიის გამოაშკარავება (ასევე სხვა მრავალი დეტალი) ცხადყოფს, თუ როგორი სიბზელით არის მოცული მაშინდელი კაცობრიობა.

ვოლანდი – რეალურად ეშმაკი, რომლის საწყისი ყოველივე ბოროტებაა. ის სატანაა, ლუციფერი, მაგრამ მოსკოველებზე ბევრად მაღალზნეობრივი პერსონაჟი. მე, და დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ მე, მაქვს ამ პერსონაჟის მიმართ სიმპათია. მართალია ის სატანის სახით გვევლინება, მაგრამ ადამიანებზე მეტად გვაწონებს თავს. პერსონაჟი, რომელიც ეშმაკის სახით მოდის როგორც მხსნელი, ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია დათრგუნოს ბოროტება ამ გამეფებული სატანიზმის დროს (საბჭოთა კავშირის პერიოდში). ის, ალბათ, ყველა დროის ყველაზე საყვარელი ეშმაკია, რომელზეც საუბარი შორს წავგიყვანს.

ოსტატი – ის, როგორც შემოქმედი, ძალიან უსუსურ მდგომარეობაში გვყავს წარმოდგენილი. ცნობილია, რომ ხელოვანი ადამიანი ყველაზე ახლოს დგას უფალთან, რადგან ღმერთმა არარაისგან შექმნა სამყარო, ხელოვანიც არაფრისგან ქმნის ხელოვნებას, შემოქმედებას. ოსტატიც არის ღვთის სახე ფიზიკურ სიბრტყეში, რომელიც დათრგუნული და შიშით შეპყრობილია. ამით მწერალი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმდროინდელ უბედურებაზე, რომ ღვთის ხატად შექმნილი ადამიანიც კი უძლურია ამ საბოროტეთში.

იეშუა, ჰა-ნოცრი – ყველაზე საინტერესო პერსონაჟი, რომელიც შიშის მსხვერპლი გახდება, რადგან პილატე ვერ დაძლევს თანამდებობის დაკარგვის შიშს და გაწირავს „კეთილ ფილოსოფოსს“. ის ბოროტების საწყისისთვის შეწირული კეთილი სულია, რომელიც მწერალს გამოყვანილი ჰყავს ღვთის სახით, მაგრამ ნაწარმოებში წარმოაჩენს ისტორიულ გმირად და არა მაცხოვარად. გმირი, რომელიც განსაკუთრებულ ექსპრესიულობას სძენს ნაწარმოებს. ესაა ყველასთვის ნაცნობი და თანაც უცნობი საყვარელი და კაცთმოყვარე ჰა-ნოცრი.

მარგარიტა – ქალი, რომელიც სიყვარულისთვის ყველაფერს აკეთებს, ერთი შეხედვით, ბედნიერი და უდარდელი, სინამდვილეში კი მარტოობით დაწყლულებული სულის პატრონი. „მე მხოლოდ მისმა სილამაზემ კი არ გამაოცა, არამედ მის თვალებში ჩაღვრილმა უჩვეულო, აქამდე უნახავმა მარტოობამ!“ – სწორედ ასეთი „განსაკუთრებული“ მარტოობით გააკვირვა მან ოსტატი, რომლის სულიერ მხსნელადაც გვევლინება. ის სიყვარულისთვის ძალიან დიდ მსხვერპლს იღებს და ამას ამ ფრაზით ამართლებს: „რას იზამ, მან, ვინაა უყვარს, იმისი ხვედრიც უნდა გაიზიაროს, ვინც უყვარს.“ და ამგვარად, მარგარიტა სულს მიჰყიდის ეშმაკს, რათა იხსნას თავისი სიყვარული და მარადისობა გალიოს მასთან.

ცხადია, ამ ნაწარმოებზე ფიქრი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ „ასე ამრიგად, ყველაფერს ნათელი მოეფინა და ძიებაც დასრულდა, როგორც ყველაფერი მთავრდება ამქვეყნად...“ ამოების შეგრძნებითა და იმ ფიქრით დავასრულებთ მსჯელობას, რომ იცვლება დრო, საუკუნეები, ეპოქები, ადამიანები, მაგრამ სიტუაციები მეორდება... იეშუას სახით ოსტატი შეიძლება მოგვევლინოს, ლევი მათეს სახით კი – მარგარიტა. იქნებ თბილისსაც ეწვიოს ვოლანდი და ეს ყველაფერი შეიძლება ხსოვნიდანაც გაქრეს, მაგრამ უკვალოდ არაფერი რჩება.

ლიტერატურა

გელაშვილი 2019 – მ. გელაშვილი, „ოსტატი და მარგარიტას“ სიმბოლური გააზრებისათვის, თბილისი.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9A_%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98

<https://kate9alukard.wordpress.com/2009/09/29/immanuel-kant-ideaofgod/>

ქარგონი და მისი ადგილი თანამედროვე საზოგადოებასა და ლიტერატურაში

ფრანგული წარმომავლობის „ქარგონი“ და ინგლისური წარმოშობის „სლენგი“ ერთსა და იმავეს აღნიშნავს – ეს არის მეტყველების ნაირსახეობა, რომელსაც უპირატესად ზეპირი ურთიერთობისას იყენებენ ცალკეული მეტ-ნაკლებად მყარი სოციალური ჯგუფები, რომლებიც ადამიანებს აერთიანებს პროფესიის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, ინტერესების ან ასაკობრივი ნიშნის მიხედვით. ქარგონის თავისებურ სიტყვებსა და თქმებს ქარგონიზმები ჰქვია [ბასილაია 1991: 45].

ისინი ჩნდება და, ვფიქრობთ, მუდამ იქნება ყველგან, სადაც, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს უწევთ ერთად ყოფნა. ქარგონი სოციალური დიალექტია, რომელიც განსხვავდება საერთო სალაპარაკო ენისაგან სპეციფიკური ლექსიკითა და ფრაზეოლოგიზმებით, ექსპრესიული ნიშნებითა და გამოყენების განსაკუთრებული სფეროთი. ქარგონული ლექსიკის შემადგენლობის მიკუთვნება ერთი რომელიმე კატეგორიისთვის ძნელია, პირიქით, ის მიემართება მრავალ სოციალურ ჯგუფს. ქარგონს არ გააჩნია საკუთარი ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ გრამატიკული სისტემა. ქარგონიზმების ძირითადი ნაწილი მიიღება სესხების ან სემანტიკური გარდაქმნის გზით. ამდენად, ქარგონული ლექსიკა იქმნება უკვე არსებული ლიტერატურული ენის ბაზაზე, სიტყვათა მნიშვნელობის მეტ-ნაკლები ცვლით, მეტაფორიზაციით, სიტყვის გაფორმებით, ბგერადობით, აგრეთვე სხვა ენის ლექსიკური ერთეულის გააქტიურებით.

ქარგონი შეიძლება იყოს ლოკალიზებული და გეოგრაფიულად გავრცელებული. არის საერთაშორისო სიტყვახმარებაში გავრცელებულიც. ის ისეთი მეტყველებაა, რომელიც დამახასიათებელია როგორც დაბალი, ისე მაღალი ფენისათვის. ამდენად, შეიძლება განეკუთვნებოდეს მეტყველების დაბალ და მაღალ სტილსაც [ბრეგაძე 1999: 5].

ქარგონული ლექსიკიდან ცალკე გამოყოფენ ისეთ სიტყვებს, რომელთაც არგოტიზმებს უწოდებენ. ესენია თავისებური სიტყვები, რომლებსაც იყენებს განსაკუთრებული ჯგუფი და სრულიად გაუგებარია სხვებისათვის. ასეთებია, მაგალითად, ქურდებისა და ხულიგნების სპეციფიკური სიტყვები.

ქარგონს რამდენიმე ფუნქცია აქვს. უპირველესად უნდა ითქვას, რომ იგი ერთგვარი „კოლექტიური თამაში“ – „კოლექტიური ენობრივი თამაში“, ადამიანი კი, მოგეხსენებათ, მოთამაშე არსებაც არის (სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ჰომო ლუდენსი“). ამავდროულად, ქარგონი, ქარგონულ ენაზე მეტყველება ნიშანია, რომლითაც შეიძლება გამოვიცნოთ „ჩვენნი“ და „სხვა“. გარდა ამისა, ის კონსპირაციის საშუალებაც არის – ზოგჯერ არ გვინდა ყველამ გაიგოს, რას ვამბობთ, რა აზრისა ვართ ამა თუ იმ ადამიანსა თუ მოვლენაზე, ან რას ვაპირებთ, რა გვაქვს დაგეგმილი [ბრეგამე 1999: 9-10].

წარმოვადგენთ დღეს ყველაზე გახშირებულ ქარგონებს და ზოგი მათგანის წარმომავლობას. ცნობილია, ქარგონთა უმეტესი ნაწილი ჩვენში რუსულიდან არის შემოსული, მაგრამ ქართული ენის ლექსიკურ ფონდში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს აღმოსავლური ენებიდან, მათ შორის არაბული ენიდან ნასესხები ქარგონები. არაბულიდან ქართულში დამკვიდრებული სიტყვები სხვადასხვა დროისა და ხასიათისაა. ნასესხებ სლენგთა ნაწილი ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგადაა შეთვისებული, ნაწილი წიგნური გზით შემოვიდა უშუალოდ არაბულიდან თუ სხვა ენათა მეშვეობით. მაგალითად:

1. **არიფი** (ARIF) – არაბულად ნიშნავს „მცოდნეს“. ძველად ეს სიტყვა ნიშნავდა ამხანაგს, ტოლს, თანამოაზრეს. დღევანდელ სასაუბრო მეტყველებაში კი ნიშნავს გამოუცდელს, ცხოვრებას ჩამორჩენილ ადამიანს.
2. **ზაითი** – არამეული წარმომავლობის სიტყვაა. ნიშნავს საცხოვრებელ ადგილს, ქართულ ენაშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება ქარგონად.
3. **კაიფი** – სიამოვნება, კმაყოფილება, ხოლო მისი ზუსტი მნიშვნელობაა ნარკოტიკული ნივთიერების მიღებით თრობა. არაბ. ქეიფისგან ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებულია ქართულ ქარგონულ მეტყველებაში.

4. **მაყუთი** – ყუათი არაბულად ძალას, შესაძლებლობას, ენერჯის ნიშნავს. ვარაუდობენ, რომ ეს სიტყვა ქართულში ებრაულიდან არის შემოსული. ქართულ ჟარგონში მაყუთი ფულის მნიშვნელობას ატარებს და გვხვდება სხვადასხვა ფორმით: მაყუთი იჭრება, მაყუთს ღუნავს, დაამაყუთა და ა.შ.
5. **ყომარი** (QIMAR) – არაბულად ნიშნავს ოთხი კოჭით თამაშს. ქართული ჟარგონული ყომარი აზარტული თამაშის სახეობაა. ასევე გვხვდება სიტყვა **მოყომარება**, რომელიც ჟარგონის ენაზე მოგვარებას ნიშნავს [ზრეგაძე 1991].

რა თქმა უნდა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ჟარგონის უსარგებლო და ხშირი გამოყენება საზიანოა ენისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი გამოყენება მხატვრულ ლიტერატურაშიც. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მასში ხშირად იყენებენ ჟარგონულ სიტყვებსა თუ გამოთქმებს პერსონაჟთა მეტყველებისას. მაგრამ აქვე ჩნდება კითხვაც – საჭიროა თუ არა ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლის მეტყველების ასეთი ზუსტი კოპირება? ვფიქრობთ, ორიოდ დამახასიათებელი სიტყვა თუ გამოთქმა სავსებით საკმარისია სათანადო ეფექტის მოსახდენად. ჟარგონი „სერიოზულ“ პროზაშიც შეიძლება შეგვხვდეს, თანაც არა მარტო სატირულ-იუმორისტულში, არამედ როგორც ავტორის, ასევე პერსონაჟთა მეტყველებაშიც. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილს მარჯვე სტილისტურ ხერხადაც მიაჩნდა პერსონიფიცირების მსგავსი ხერხი, მაგრამ ამავდროულად აღნიშნავს, რომ ჟარგონის ყოვლისწამლეკავი მოძალეობა, რა თქმა უნდა, მიუღებელია და ცუდი შედეგის მომტანია ქართული სალიტერატურო ენისთვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მწერლების ნაწერებში განსაკუთრებულად იგრძნობა ე.წ. „არანორმატიული ლექსიკის გამოყენება“ და ამიტომ ხშირად ეს ტექსტები საზოგადოების კრიტიკის საგანი ხდება. მაგალითად, თანამედროვე მწერალ ლაშა ბუღაძეს თავის ცნობილ რომანში „პატარა ქვეყანა“ მრავლად აქვს გამოყენებული ჟარგონები: „მიყვარს მე ეგ ბიჭი და რას მაშაყირებ“; „მანიაკია ტიპშა“; „არ წახვიდე, ფეხებზე დაიკიდე“...

ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქტორების, მთარგმნელებისა და მწერლების ნაწილი აღნიშნავს, რომ ქართველი მკითხველის ასეთი კრიტიკული მიდგომის მიზეზი გახლავთ ყურის შეუზღველობა „არანორმატიულ ლექსიკასთან“. ამის შესახებ მკვლევარი ლევან

ბერძენიშვილი წერს, რომ „ენა გახდა უფრო მოურიდელები. მთარგმნელები გახდნენ უფრო თამამები და მკითხველები გახდნენ უფრო ამტანები. ხუთი წლის წინაც კი შეუძლებელი იყო რაღაცები, რაც შესაძლებელია დღეს“ [ბერძენიშვილი 2015]. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, სლენგისა და სკაბრეზის გადაჭარბებული დოზით გამოყენება არაა საჭირო არამცთუ ლიტერატურაში, არამედ ყოველდღიურ მეტყველებებშიც. ეს ენის გაღარიბებასაც უწყობს ხელს,

რაც შეეხება პოეზიას, „სერიოზულ“ ლირიკაში, სადაც პროტაგონისტი ე. წ. ლირიკული გმირია, ნაკლები ადგილი რჩება ჟარგონისთვის. სამაგიეროდ, სატირულ-იუმორისტულ თუ ირონიულ-პაროდულ ლექსებში ჟარგონი უხვად გამოიყენება.

რა თქმა უნდა, ლიტერატურას ყველა დროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ ობიექტურები ვიქნებით, თუ ვადირობთ, რომ 21-ე საუკუნეში საზოგადოებაზე უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს მასმედია და სოციალური ქსელები. ჟურნალისტების მეტყველებას გადამდები ძალა აქვს და უნებლიე მიბამვის საფრთხეს გვიქმნის. ასევეა პოლიტიკოსების მეტყველებაც. სამწუხაროა, რომ ჩვენთან ქართული ენის სიწმინდის საკითხი არ დგას უწინარეს რიგებში, რაც ძალიან ნათლად ჩანს სწორედ თანამედროვე პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების გამოსვლებსა თუ ინტერვიუებში. ხშირად პოლიტიკურ ტოკ-შოუებსა და რეპორტაჟებში ვხვდებით ისეთი ტიპის ჟარგონებს, როგორებიც არის: „გადაადგოდო“, „გააპრავა“, „აპრავებს“ და ა. შ.: „ქართულმა ოცნებამ“ და კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილმა გადაადგო მოსახლეობა, – ასე ეხმაურება დამოუკიდებელი დეპუტატი ლევან კობერიძე პროპორციულ სარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებების ჩაგდებას; „პრემიერს პრაქტიკულად **„გაპრავება“** გამოუვიდა, უფრო სწორად, **„აპრავდანიის“** აღება, – ასე ეხმაურება დავით ზურაბიშვილი პრემიერ კვირიკაშვილის უცნაურობას; „ოპოზიცია არ **მაზავს** შანსს“. უფრო მეტიც, ზოგს ის კარგი ქართული სიტყვა ჰგონია – „ამასთან დაკავშირებით გვაქვს ერთი კარგი ქართული სიტყვა **გაპრავება**“. „კარგად მახსენდება უახლოესი მოვლენა, როდესაც ირაკლი ალასანია პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე მოვიდა და თქვენ **განაბი** დაახვედრეთ“; „ესენი არიან **არიფი „შულერები“**; „გავრცელებული ინფორმაციით, გასულ კვირას თურქეთში კანონიერი

ქურდების მორიგი „სხადნიაკი“ გაიმართა, რომლის თაობაზეც სტატია გაზეთმა „ვერსიამ“ მოამზადა“; თბილისის გამგეობების 60% კარგად მუშაობდაო და გამგებლებიც საუკეთესოები იყვნენ, ამიტომაც ვტოვებ ნარმანიას „ჯიგრებსო“, გამოდის ნარმანიას „სიფათი“ და პიარი არ მოსწონდათ, თორემ დანარჩენი საათივითაა აწყობილიო“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ეგვიპტეში ჟურნალისტები ჟარგონების გამოყენების გამო შეიძლება დააკავონ. კაეროს არაბული ენების აკადემია გახდა ინიციატორი პროექტისა, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტებს არასწორი ფორმების გამოყენების გამო 200 000 ეგვიპტური ფუნტით დააჯარიმებენ. სახელმწიფო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მედია ვალდებულია ენის კვალიფიციური სპეციალისტები დაიქირაოს. აკადემია ამ პროექტით ავალდებულებს სალიტერატურო ენით მეტყველებას არა მარტო ჟურნალისტებს, არამედ მასწავლებლებს, პოლიტიკოსებს.

ჟარგონები შესაძლოა ერთი შეხედვით ძალიან დიდ პრობლემას არ უქმნიდეს ენას, მაგრამ მარტივადაც ვერ შევხედავთ ამ პროცესს. ეს მოვლენა დიდი საფრთხე არაა ენისათვის იმიტომ, რომ ენა სისტემაა, სისტემას კი თავისი შინაგანი კანონები აქვს. თუ ძალით არ ჩავერევით, თავს არ მოვახვევთ შეგნებულად ამ ფორმებს და თუ მასობრივი უწიგნურება არ გვექნება, მაშინ დიდი საფრთხე არ გვექნება. ჩვენი უდიდესი სურვილია, რომ საზოგადოება ზრუნავდეს ენის სიწმინდეზე, რადგან ენა არის საძირკველი და მტკიცე საფუძველი ჩვენი ერთიანობისა, დარაჯი ერის რწმენის, ერთობისა და გამთლიანებისა.

ლიტერატურა

ბასილაია 1991 – ნ. ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი.

ბრეგამე 1999 – ლ. ბრეგამე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბილისი.

ბერმენიშვილი 2015 – ლ. ბერმენიშვილი, ჟარგონი, როგორც ლიტერატურა, რადიო თავისუფლება, თბილისი.

გვანცა გოჩიაშვილი

„გაცრუებული იმედები“ გალაკტიონ ტაბიძისა და ოლღა ოკუჯავას სასიყვარულო წერილების მიხედვით

ჩვენდა საბედნიეროდ, შემორჩენილია მსოფლიო მნიშვნელობისა და დონის ადამიანების მიმოწერები, განსაკუთრებით სასიყვარულო წერილები, რომლებიც გვეხმარება წარმოვიდგინოთ, თუ როგორი პიროვნებები იყვნენ მათი ავტორები. ჩვენამდე მოაღწია ნაპოლეონ ბონაპარტესა და ჟოზეფინას, ვიქტორ ჰიუგოსა და ჟულიეტა დრუეს, შარლ ბოდლერისა და მარის, აკაკი წერეთლისა და ნატალია ბაზილევსკაიას, გალაკტიონ ტაბიძისა და ოლღა ოკუჯავასა თუ სხვათა სასიყვარულო წერილებმა. ამ ადამიანების სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერაფერი მოერია. სწორედ ამით იზიდავს მათი ისტორიები ჩვენს დროში ადამიანებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ გალაკტიონ ტაბიძისა და ოლღა ოკუჯავას სასიყვარულო წერილებზე, რადგან სწორედ მათი საშუალებით შეგვიძლია გავაცოცხლოთ პოეტისა და მისი სატრფოს პიროვნება თუ ხასიათი.

გალაკტიონი და მისი ბიძაშვილი ტიციანი ქუჩაში მიდიოდნენ, ოლღა კი მარტო მიდიოდა, მიმავალი დაინახა (სწორედ იმ წელს გაიცნო მერი შერვაშიძეც). ოლღა მათ გაცნობას ასე აღწერს: „ქუჩაში მოვდიოდი, გალაკტიონი რომ დავინახე, მივხვდი, რომ ცხოვრება ტანჯვად გადაქცეოდა“. ქალი ამ პერიოდში ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში სწავლობდა. ამ შენობასთან ახლოს იყო ვაჟთა კლასიკური გიმნაზიაც. ოლია თავის ჩანაწერებში წერდა: „სულ ვხედავდი, როგორ დადიოდა თავისი შარფით განმარტოებული“. ის სხვებს სრულიად არ ჰგავდა, თუნდაც თავის ბიძაშვილს. აქედან დაიწყო მათი სიყვარულიც.

როგორც ვახტანგ ჯავახაძე აღნიშნავს თავის წიგნში „უცნობი“: „ოლია იყო პოეტურად განწყობილი და ლირიკულად მოაზროვნე ორეული გალაკტიონისა“, რის დასამოწმებლადაც მას მოჰყავს ქალის წერილიდან ნაწყვეტი, რომელსაც პოეტური ელფერი დაჰკრავს:

„ჩვენ, როგორც ორი შეთქმული, ვფარავთ სიყვარულს, ხარებას, განძი, კლდეებში შედგმული, გაურბის დღის ელვარებას“.

მათი სიყვარული სავსე იყო წინააღმდეგობით. ოლღას მამა – სტეფანე – წინააღმდეგი იყო ამ ქორწინების, რადგან თვლიდა, რომ პოეტი ოჯახის მოვლას ვერ შეძლებდა და ამიტომ როგორც კი ოლიამ დაამთავრა სასწავლებელი, ჭიათურის სკოლაში გადაიყვანა მასწავლებლად. გალაკტიონი ძალიან დაამწუხრა ამ ამბავმა და გრძნობებს უზიარებდა ოლიას: „მას შემდეგ, რაც შენ წადი, რაღაც საშინელმა სიცალიერემ მოიგვა მთელი ჩემი არსება... სიცალიერემ, რომლის განადგურებას, არ ვიცი, რანაირი მდგომარეობა შეძლებს და რა არის მისი წამალი. როდესაც შენ აქ იყავი, მე შემეძლო დამენახე შენ... ჩემთვის უბრალოდ შენს ახლო ყოფნა საკმარისი იყო, რომ შენს გარდა არაფერზე არ მეფიქრა. როდესაც მწარე ფიქრები, სევდიანი და სასოწარკვეთილი სულიერი განწყობილება შემიპყრობდა, მე მოვქროდი შენსკენ, თუმცა არც შენგან მესმოდა დამამშვიდებელი საუბარი, მაგრამ უბრალო სიახლოვე საკმარისი იყო ჩემთვის, ვიმეორებ. ჩემს გულს საშინლად სწამლავდა შენიანების იქ ყოფნა. მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ უცხო, ძალიან უცხო და არა-სასიამოვნო პირი ვიყავი დედაშენისთვის, მე ვგრძნობდი, რომ ყველა გულში ან დამცინოდა ან და კვირობდა ჩემს ხშირ სტუმრობას... მე ვგრძნობდი, რომ რაღაცნაირი სიცივე შემქონდა თქვენს სახლში და მინდოდა მეყვირა, რომ არავინ არ მინდა შევაწუხო, რომ მხოლოდ ოლიასთან ყოფნა მინდამეთქი. მართლაც, რა საკვირველი რამაა, მთელ შენ კომპანიასთან, მხიარულ კომპანიასთან მხოლოდ მაშინ ვგრძნობ კავშირს, როდესაც შენა ხარ ქუთაისში... როდესაც შენ წახვალ, მე მათ ვავიწყდები და ისინი მე მავიწყდებიან... თითქოს არაფერიც არ მომხდარა, თითქოს არაფერი საერთო ერთმანეთთან არა გვაქვს. აი, მაგალითად, შენი ორჯერ გამგზავრების ამბავი: ოკტომბერში მატარებელზე ყველანი შევიკრიბენით, რადგან შენ მიდიოდი ჭიათურაში. რაღაც ნაღვლიანი გაცილება იყო. შენ სიკვდილ-მისჯილი დამნაშავეის სახე გქონდა, ჩვენ კიდევ მოწყენილი. და აი, დაიმრა მატარებელი, შენ წადი... მე ერთი გადავხედე ყველას... ყველა ჩუმად, უსიტყვოდ იდგა, უსიტყვოდ დავიძარით სადგურიდან, უსიტყვოდ დავესალმეთ ერთმანეთს და შემდეგ არსად არ შევხვედრივარ არც ერთს შენს ხელ-ახლა ჩამოსვლამდე.

შენ ჩამოდი და მე ისევ არ მინდოდა დავახლოვებოდი ამ ჯგუფს, რადგან არავითარ სულიერ ნათესაობას არ ვგრძნობდი მათთან. მხოლოდ შენმა მათში ყოფნამ მაიძულა, სახეზე ნიღაბი ამეფარებია, თითქო მართლაც... უკანასკნელად, როცა შენ მიემგზავრებოდი, ეს „ჩატეხილი ხიდი“ უფრო საგრძნობი და თვალსაჩინო გახდა ჩემთვის. როგორც კი მატარებელი დაიდრა, იმ წუთშივე ვიგრძენი, რომ გადამთიელი ხალხი მერტყა ირგვლივ, მათ სახეზე შევამჩნიე ამგვარივე გამომეტყველება, რომ მეც გადამთიელი ვიყავი მათთვის. რა არის უკანასკნელად ამის მიზეზი? ჩემი გულდახურულობა? იქნება ეს ასეა? სადგურიდან წამოვედით... მთელი ეს კომპანია სადღაც მიემშურებოდა. კუზინამა გაკვრით სთქვა, რომ ამელამ კოლიასთან იკრიბებთან (ჯაფარიძესთან)... მე ვიგრძენი, რომ ზედმეტი კაცი ვიყავი მათში და საჩქაროდ დავშორდი მათ; დავშორდი მათ, მე მგონია, დიდი ხნით. როდესაც შენ ჩამოხვალ, შეიძლება ისევ შევუერთდე შენს მეგობრებს... მანამდე არ ვიცი, როგორ მოხდება.

ოღია, როგორ ფიქრობ შენ ამ ამბავზე? შენ იქნება გადამეტებულათ მიიჩნიო ყველაფერი ეს, იქნება უბრალო განმარტოების სიყვარულს და სხვა ასეთებს დააბრალო, მაგრამ ეს ასეა.. მე ვიცი, ისინი ყოველთვის ისე მიმიღებენ, როგორც მიღებდენ. ასეა საქმეები, ჩემო ოღია...

იყავი კარგათ. მშვიდობით!

მარადის შენი გ. ტაბიძე“

[6 იანვარი, 1914]

თუმცა გალაკტიონი ოღლას ჩუმიად ნახულობდა. საბოლოოდ მათ ჯვარი დაიწერეს 1916 წელს. ახლად დაქორწინებულები მოსკოვში გაემგზავრნენ, სადაც პოეტს სწავლის გაგრძელება სურდა, თუმცა ვერ მოახერხა და უკან, ქუთაისში დაბრუნება მოუწია. ოლიამ კი სწავლა გააგრძელა. მათ შორის მიმოწერა დაიწყო. გალაკტიონი წერს:

„**ოღია!** როდესაც ჩამოვალ, უსათუოდ ერთად უნდა ვიცხოვროთ. აქედან წამოვიღებ რამე-რამეებს... ტანისამოსი გინდა შენ, დედოფალო! არ ვიცი, შეიძლება თუ არა იანვრიდან შანიავსკის უნივერსიტეტში ჩაწერა? ეს აუცილებლად საჭიროა სტიპენდიისთვის. მე ვოცნებობ ჩვენ ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე. განა კარგი არ არის? აჰ, ნეტავი კარგად მოვეწყობოდეთ... მე ამისი იმედი მაქვს. Будем

жить при певаючи. ა? ა? ა? კარგია, კარგი ცხოვრება. ცხოვრებას ჭკვიანად უნდა [გამო] მოხერხება. ცხოვრება მიდის“ [26 დეკემბერი, 1916].

„მვირფასო მეგობარო! ცისფერ სალამს გიმღვნი ამ ნათელ, მშვენიერ დილას! ახლა, როცა შენთან ყოფნა მინდა, ვზივარ „განმარტობის კუთხეში“ და ვდარდობ. გახსოვს სკამი, მესამე წყაროსთან ფრთაგაშლილ და ნაღვლიან რძის ქვეშ, რომელსაც „ბაირონს“ ვეძახდიო? არავის არ ველი ამ წმინდა იდუმალებით მოცულ დამეებში. სიყვარულის დამეებში!!! მე ვიჩოქებდი და შენზე ვლოცულობდი, ჩემო მშვენიერო, ჩემო იშვიათო, ჩემო ქარიშხლისებურ სიყვარულის დემერთო! მე ისევ ვლოცულობ! გახსოვს როგორი სიხარულით მოგვხვია სიყვარულის მშვენიერმა ქალდემერთმა ხელი, ნაზად გაგვახვია შროშანებით მოფენილ დოღბანდში და გვიჩურჩულა: „გაჩუმდით“. ჩვენ ორნივენი დავმუნჯდით, გვეშინოდა ჩვენი გრძობების სიმების შეხებისა“ [1927წ].

როგორც წერილებიდან ირკვევა, მათ გარშემო მუდმივი მითქმა-მოთქმა და ინტრიგა ტრიალებდა. აი, რას სწერს გალაკტიონი ოლლას:

„ოლოლ!

როგორი კილოთი მწერ უკანასკნელ წერილს? რამ გამოიწვია შენი ადელვება? გრწამდეს, მიყვარხარ შენ ერთი და მხოლოდ შენ! ჭორებს ყურს ნუ უგდებ, ვისაც რა უნდა, ისა სთქვას.. ამ წერილს საჩქაროდ ვწერ, ასე რომ, მინდა უკანასკნელ ფოსტას მოუსწროს.. იყავი კარგად, მე შენს მეტი არავინ, არავინ არ მიყვარს.. მაგრამ არა, რა იდეალური ამხანაგი გყოლია, ოლოლ! ეს ნატალია კაკაბაძე... მე ისიც, ისიც მიყვარს.. უთხარი მას, რომ ისიც ძალიან კარგი გოგონა ყოფილა.. მე, ოლოლ, მუდამ შენზე ვფიქრობ, რატომ გგონია, რომ სხვაზე? მე მგონია, არას დროს არ შემიცოდავს...

მარადის შენი გ. ტაბიძე

[5 სექტემბერი, 1914 წელი]

თავის მხრივ, გალაკტიონიც ეჭვიანობდა მეუღლეზე:

„ოლია!

მე ყველაფერს გეტყობდი, რომ რამე იყვეს. რაღაც გამოურკვეველი მწუხარება გამეფდა ჩემს გულში, როცა შენი უკანასკნელი წერილი წავიკითხე. რაშია საქმე? ვინაა ის ვაჟბატონი, რომელიც ასე ურცხვავთ ტალახში სვრის ჩემს სახელს, ჩემს სიყვარულს? ან რა საქმე აქვს

მას ჩვენთან? გამაგებინე – ვინაა იგი! მე არ გამკვირვებია ეგ ჭორი: ეს ხომ პირველი არ არის... არც უკანასკნელია! მე მხოლოდ ის მაწუხებს, რომ შენამდისაც მოაღწია ამ ქუჩაში შეთითხნილმა ამბავმა. არ ვიცი, რათაა ასე: ბავშვობიდანვე ჩემს ირგვლივ ჭორები ტრიალებენ, ბავშვობიდანვე რაღაც უჩვეულო ხმებს ავრცელებდნენ ჩემზე. მე მაშინ უძლური ვიყავ, პასუხის გაცემა არ შემიძლო, მაგრამ სულ სხვაა დღეს: დღეს მე არავის ნებას არ მივცემ, რომ ცუდი რამ სთქვას ჩემზე ისეთი, რაც არ ყოფილა და მსგავსი რამეც არ მომხდარა.. ან რას გავს ეს უკანასკნელი ჭორი? მე მინდა, უსათუოთ სიმართლე გამოირკვეს, ამისთვის შემატყობინე, ვინ ბრძანდება ის ჭორიკანა.. რაისა ჩიხლამის სახელი მოუცილებელ ჩირქად დარჩენილა ჩემს ცხოვრებაში; არა, ეს ასე არ უნდა იყოს.. მე ის არასდროს არ მყვარებია, მე ის არასდროს არც მეყვარება.. მე იმას სრულიადაც არ ვიცნობ, როგორც მეგობარს, მაშ, რა უნდა მის სახელს ჩემს სახელთან? მაგრამ მე ერთი რამ მაკვირვებს: რატომ უნდა ილაპარაკონ ჩემზე ამდენი, ვინ მისცა მათ ამისი ნება? დროა, გამოირკვეს ყველაფერი..

შემატყობინე კიდევ ერთი რამ: ღირს თუ არა ის ვაჟბატონი იმათ, რომ პასუხი მოეთხოვოს ჩემგან? ღირს?

ქუთაისში სიწყინარეა.. მოწყენილობაა... მომაბეზრებელი ერთფეროვანი ცხოვრება თითქო შემოდგომის ნისლიანი დღეების გაგრძელებაა და უკუღმა – შემოდგომის დღეები საშინლად ჰგავს ამ ერთფეროვან ცხოვრებას... ოჰ, რომ იცოდე, როგორ მწყურია სიკვდილი! ღმერთს გეფიცები, ვისმეს თავს შევაკლავ, თუ ასე გაგრძელდა... საშინლად მომწყინდა ყველაფერი... დიდი ხნიდან დავეძებ მე ამ სიკვდილს... მაგრამ არ მოდის იგი... თავის მოკვლა არ მსურს, მაგრამ სხვა არავინა მკლავს... ბევრჯერ მივეცი სხვებს შემთხვევა, მაგრამ მათ... ხომ იცი, სიკვდილის ყველას ეშინია... რომ იცოდე, რა მოსაწყენია ყველა ეს ინტრიგები, დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა, ჭორები... თავის თავად იბადება სურვილი, რომ გაშორდე ყველა ამას – რადგან ამის მეტი ცხოვრებაში არა-არის-რა [1914 წელი].

ოღლა ოკუჯავა პირველად 1929 წელს გადაასახლეს უზბეკეთში, რადგან ბოლშევიკთა რიგებში ირიცხებოდა. „ოლიას ისე ფანატიკურად უყვარდა გალაკტიონი, როგორც პარტია!“ გალაკტიონმა საყვარელ მეუღლეს მიუძღვნა ლექსი „უკანასკნელი მატარებელი“.

ვახტანგ ჯავახიძე „უცნობში“ აღნიშნავს, რომ დაბრკოლებების მიუხედავად გალაკტიონ ტაბიძესა და ოლღა ოკუჯავას გადაწყვეტილი ჰქონდათ ერთად ცხოვრება. გალაკტიონს სამგზავროდ წიგნიც კი უყიდა – „В стране белого золота“, თუმცა გამგზავრება ვერ მოასწრო, რადგან ოლია ყირიმში გადაიყვანეს. ქალი დანებებას არ აპირებდა: „ეცადე ჩქარი მატარებლის ბილეთი აიღო. ბილეთი უნდა იყოს: თბილისი-მოსკოვი-სიმფეროპოლი. მოსკოვიდან სიმფეროპოლამდე ორი დღის სავალია. სიმფეროპოლში დაისვენებ მეორე დილამდე. მეორე დღეს ჩაჯდები ავტობუსში და ერთ საათში აქ იქნები. ავტობუსი «გლეხის სახლთან» ჩერდება და მეც იქ დაგხვდება“.

სამწუხაროდ, ვერც მაშინ აიხდინეს სურვილი, რადგან ოლია ისევ გადაასახლეს. საგულისხმოა ისიც, რომ მისი დაბრუნების შემდეგაც თან სდევთ განშორება:

„– გალ! მაპატიე, გუშინ რომ ვერ მოვედი, მაგრამ სულ ტრამვაის ბრალია. ბარე ორ საათს ველოდე, დამაწყდა ნერვები. დღეს აქა ვარ და შენ გელოდები. ვერც ამ საღამოს შევძლებ მოსვლას იმიტომ, რომ ხვალ დილით დედა უნდა გავამგზავრო. გავა მატარებელი და უმალ შენთან გავჩნდები. რაღაც კარგად ვერ ვგრძნობ თავს. – საყვარელო გალ, მაგრად, მაგრად გკოცნი. ვატყობ, ვერასოდეს მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას ისე, რომ მარტონი დავრჩეთ ერთად! ყოველთვის მეშინია, რომ ვიღაც გვითვალთვალებს... ხომ ხედავ, მოწმის გარეშე წერილის დაწერასაც ვერ ვახერხებ... გალ, ხვალ აუცილებლად დამირეკე. ძალიან, ძალიან მინდა ახლა შენთან ვიყო. გკოცნი, მაგრად, მაგრად. მე“.

თეიმურაზ დოიაშვილი წერილში „დრამა ბინაში“ ვარაუდობს, რომ ოლიამ უღალატა გალაკტიონს და იმოწმებს პოეტის სიტყვებს. ჩანს, რომ ამის გამო მათი სიყვარული განელდა: „გრცხვენოდეს, ოლია. შენ მეტად ავად ხარ იმისთვის, რომ როდისმე გაგაგებინო. მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი! არასდროს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი და შეიძლება, ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იქნეს შენთვის? მე ვიზრუნებ შენთვის, რომელიც ასეთი შებრალებით მიყვარხარ. შენ კი, თუ გსურს, კიდევ მიღალატე, მიღალატე, როგორც მღალატობს ყველა: გალაკტიონ ტაბიძე თავის თავს არ უღალატებს! შენ არ გიღალატია! ვერავინ, ვერავინ ვერ გაიგებს ამ ცნობას. ეს, თითქო, არც მე ვიცი... ხა, ხა, ხა“.

რაც უნდა მომხდარიყო მოსკოვში, გალაკტიონისა და ოლღას სიყვარული არ განელებულა. წერილებიდან იგრძნობა, თუ რა ძლიერ უყვართ ერთმანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში გალაკტიონ ტაბიძე ასე თავგანწირვით არ შეეცდებოდა საყვარელი ადამიანის გათავისუფლებას. ამ მიზნით მან დაწერა „ბალადა სტალინზე“, თუმცა მაინც დახვრიტეს ოლღა ოკუჯავა.

ამგვარად, ვფიქრობ, რომ მიუხედავად უამრავი იმედგაცრუებისა, მათი დიდი გრძნობა შეურყვნელი დარჩა, რომელმაც გაუძლო არაერთ წინააღმდეგობას. სწორედ ამიტომ იტაცებს კვლავაც თანამედროვე მკითხველს. ამასთანავე უკეთ ვეცნობით მათ სულიერ სამყაროსა და პიროვნებას.

ლიტერატურა

დოიაშვილი 2019 – თ. დოიაშვილი, დრამა ბინაში ანუ ფსევდო-ლეგენდის წინააღმდეგ, თბილისი.

ჯავახაძე 2013 – ვ. ჯავახაძე, „უცნობი“, თბილისი.

<https://www.kvirispalitra.ge/>

<http://galaktion.ge/?>

საბა ლომიძე

დაუმარცხებელი გენერალი – გიორგი მაზნიაშვილი

„მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკებისა, მე ვარ საქართველოს გენერალი!“ – ეს სიტყვები ეკუთვნის ქართველ გენერალს, გიორგი მაზნიაშვილს, რომელიც სამი ხელისუფლების დროს მოღვაწეობდა და სამივემ საკუთარ მტრად გამოაცხადა. ტყუილ-მართლის გარკვევა იმ პერიოდში არავის უცდია. საკუთარი თავის დაცვა არც გიორგი მაზნიაშვილს უფიქრია, რადგან ასე სჯეროდა: „სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება“.

გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის საუკეთესო მაგალითია. მან სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი სამშობლოს სახელოვან გმირთა გალერეაში. იგი შტაბის გენერალი არ ყოფილა, ის სამხედრო ნაწილებს უშუალოდ ფრონტის ხაზზე სარდლობდა და შესანიშნავი მცოდნე იყო მეომართა ფსიქოლოგიისა. ქედუხრელი გენერლის მოღვაწეობის ამსახველი მასალები, სამწუხაროდ, მწირია, რადგან დროთა განმავლობაში ომებისა და განუკითხაობის ხანძარმა შეიწირა ბევრი მასალა. თუმცა გენერლის დატოვებული კვალი საქართველოს ისტორიაში გამოკვეთილია, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას არაერთგზის შეხებიან ქართველი ისტორიკოსები და მწერლები. გიორგი მაზნიაშვილის შესახებ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს მისი „მოგონებანი“. მასში მოთხრობილია 1917-1925 წლების მოვლენები.

არსებობს ვერსია მაზნიაშვილთა გვარის არაქართული წარმოშობის შესახებაც. თემამის ხევზე ცხენოსანთა პოლკი მდგარა. ერთი მათგანი, გვარად მაზნიევი, დემობილიზაციის შედეგად სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და სოფელ სასირეთში ჩასიძებულა, აქედან მოდის მისი შემდგომი შთამომავლობა. გიორგი მაზნიაშვილის კარიერას ხელი შეუწყო მისმა მამამ, ივანემ, რომელიც ოცნებობდა, შვილი ოფიცერი გამხდარიყო. მართლაც, მომავალში გიორგიმ ბრწყინვალე სამხედრო კარიერა შეიქმნა – მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში, პირველ მსოფლიო ომსა და, რაღა თქმა უნდა, დამოუკიდებელი საქართველოს დასაცავად გამართულ ბრძოლებში.

ცხოვრებაში გიორგი მაზნიაშვილი გახლდათ კეთილი, კაცთმოყვარე ადამიანი. ამაზე მეტყველებს მისი სოფლისადმი გაწეული უამრავი დახმარება. არსებობს ცნობა, რომ მან რუსეთ-იაპონიის ომის დროს ლტოლვილი ჩინელი ბავშვი შეიფარა, სოფელში ჩამოიყვანა და ქართველი ქალიც შეართვევინა ცოლად. სახელი ტუხა დაარქვა, გვარიც ჩინურს მიაღსგავსა – ჯუჯანქია უწოდებია.

1917 წელს, საბჭოთა რევოლუციის შემდეგ, მაზნიაშვილი სამშობლოში დაბრუნდა და ორი ეროვნული დივიზია შექმნა. ამ დროს ქართული მიწის მიტაცებას ყველა მხრიდან ცდილობდნენ. ასე რომ, მეტად საჭირო იყო ამ დივიზიების კარგად აღჭურვა. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა არმიის გაძლიერებას გულგრილად უყურებდა. გენერალი მაზნიაშვილი იხსენებს იმ მძიმე ვითარებას, რომელიც მაშინ არმიაში გახლდათ: „ოფიცრების ჯამაგირი მცირე იყო, ისიც რამდენიმე თვეში ერთხელ“. აქვე დასძენს, რომ სამხედრო საწყობებში იარაღი და საკვები საკმარისი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინდელი მთავრობა არმიის მომარაგებაზე იშვიათად იწუხებდა თავს. ამისდა მიუხედავად, რიგ ბრძოლებში მაზნიაშვილიცა და ქართული არმიაც ბრძოლის ველზე სასწაულს ახდენდა. გავიხსენოთ სომხეთის დიდი „მადა“ საქართველოს მიმართ 1918 წელის დეკემბერში გადახდილ ბრძოლებში. ისინი უკან დახიეს და რომ არა ინგლისის გულითადი დახმარება, ქართველი გენერლები – კვინიტაძე და მაზნიაშვილი – სომხეთს სრულიად თუ არა, დიდ ნაწილს მაინც დაიკავებდნენ. მაზნიაშვილი ასევე აღნიშნავს მოგონებებში, რომ შემდგომში, ემიგრაციაში ყოფნისას, გენერალმა იკითხა მიზეზი, რატომ არ იყენებდნენ საწყობებში არსებულ რესურსებს. ამაზე მთავრობის წევრების პასუხი იყო, რომ ისინი ამ რესურსებს ინახავდნენ. პირადად ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ვისთვის ან რისთვის ინახავდნენ იარაღს მაშინ, როდესაც ქვეყანას უწევს გაუმკლავდეს ყოველმხრივ გარს შემოკრებილ უტიფარ მტრებს. დამოუკიდებლობის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ არმიისდამი გულგრილი დამოკიდებულება იყო, რადგან „ქვეყანა, რომელსაც არ სურს შეინახოს საკუთარი ჯარი, იძულებული იქნება, შეინახოს სხვა სახელმწიფოს არმია“.

ჩვენდა სამწუხაროდ, პრობლემები არმიაში დღესაც არსებობს. მოგეხსენებათ, ამიერკავკასიის რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე არასტა-

ბილური და ფეთქებადსაშიშია. ამისი მიზეზი მის ტერიტორიაზე არსებული სამი კონფლიქტური ზონაა. ამასთან, აქ მთელი რიგი „მძიმე-წონიანი“ სახელმწიფოების ინტერესები ოდითგანვე იკვეთება, რაც ისედაც რთულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს. მაშასადამე, ამ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ვალდებულება, ჰქონდეს ძლიერი და ანგარიშგასაწევი სამხედრო პოტენციალი, რათა მის წინაშე არსებულ რისკებსა და გამოწვევებს ღირსეულად უპასუხოს. დღეს ამისათვის ძალიან ცოტა რამ კეთდება საქართველოში. არმიაში ფული უფრო მეტად იხარჯება სოციალურ საკითხებზე. დიახ, ადამიანური თვალსაზრისით ეს კარგია, თუმცა ომს მაღალანაზღაურებადი ჯარისკაცი კი არა, კარგად აღჭურვილი მებრძოლი იგებს.

გენერალი მაზნიაშვილი „მოგონებანში“ წერს, რომ 1920 წლის მეორე ნახევარში ნათელი გახდა, ომი ბოლშევიკებთან გარდაუვალი იქნებოდა. ამისათვის კი მთავრობა არათუ ემზადებოდა, არამედ განხილულ იქნა გვარდიის შტაბის მოთხოვნა, რომ გათავისუფლებულიყო ყველა ჯარისკაცი, რომელმაც იმსახურა ჯარში ორი წელიწადი ან მეტი... ამ წინადადებას მხარი დაუჭირა პირადად ნოე რამიშვილმა და გაიცა ბრძანება გამოცდილი მეომრების დათხოვნის შესახებ. ამან ქართული საბრძოლო ძალა დააქვეითა. პრობლემები იყო არმიის ყველა კომპონენტში. ქართველი გენერლები კი, რაცკი ღონე ჰქონდათ, მთავრობას სთხოვდნენ სათანადო ყურადღების გამოჩენას, თუმცა ხელისუფლება მეტად უნიათო აღმოჩნდა. ეს სახელმწიფოებრიობის ფასი დაჯდა. თბილისის მისადგომებთან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა შეწყდა, მთავრობა გაიქცა... 1921 წლის თებერვალში ემიგრაციაში მიმავალი საქართველოს ხელისუფლების თბილისიდან გაყვანა გიორგი მაზნიაშვილს დაევალა. 17 მარტს მან ბათუმამდე გააცილა მთავრობა, მაგრამ მას ემიგრაციაში არ გაჰყვა. გენერალმა სამშობლო ვერ მიატოვა, რადგან იმ პერიოდში საქართველოში არსებული მდგომარეობით თურქეთმა ისარგებლა, ქიზიმ-ბეის ჯარის ნაწილებმა საქართველოს საზღვარი გადმოლახეს და ბათუმის ოლქი მთლიანად დაიკავეს. ქიზიმ-ბეიმ თავი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა საბჭოთა საქართველოდ გამოცხადდა, გენერალმა მაზნიაშვილმა პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა კვლავ ქვეყნის ინტერესები დააყენა. ის დათანხმდა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების თხოვნას,

დახმარებოდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. გენერალ მაზნიაშვილის არმიის წითელგვარდიელები და თეთრგვარდიელები გვერდიგვერდ იბრძოდნენ. ცნობილია სიტყვა, რომელიც მან სუფსის სადგურთან მდებარე ეკლესიის ეზოში წარმოთქვა: „მამებო, ძმებო, შვილებო! უჭირს სამშობლოს, გვართმევენ ბათუმს. ჩვენს ჯარსა და არმიას დახმარება სჭირდება. თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი ჯარისკაცებს არ გვყოფნის, პურსაც ვერ მოგცემთ... ისევ თქვენი მჭადითა და ცულით უნდა დაეხვედეთ მტერს და ვძლიოთ... ქუდზე კაცი უნდა გამოხვიდეთ!“

თურქებთან ბრძოლა სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, 1921 წლის 20 მარტს კი მაზნიაშვილის ჯარმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა და ქართველებმა ბათუმი და მისი ოლქი დაიბრუნეს. მიუხედავად გამარჯვებისა, ამ ბრძოლის შემდეგ ბოლშევიკებმა გიორგი მაზნიაშვილი დააპატიმრეს. საგანგებო კომისიამ მას კონტრრევოლუციონერობისა და ბანდიტიზმის ბრალდებით დახვრეტა მიუსაჯა. მოგვიანებით გენერალს საბოლოო განაჩენი პატიმრობით შეუცვალეს – თურქებთან ბრძოლაში მისი ღვაწლი გაითვალისწინეს. სამი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და როგორც მენშევიკების გენერალს, სამშობლოდან გაძევება მიუსაჯეს. ირანში გახიზნული გენერალი პარიზში დამოუკიდებელი მთავრობის წევრებთან ჩავიდა. თავდაპირველად ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ საფრანგეთში ჩასული გენერალი დიდი პატივით მიიღო. მას 1000 ფრანკი გადასცეს და ხელფასის სახით ყოველთვიურად 500 ფრანკი დაუნიშნეს. პარიზში ყოფნის დროს საქართველოს ემიგრაციული მთავრობის დავალებით გიორგი მაზნიაშვილი საფრანგეთის გენერალურ შტაბთან და გენერალ ფურნესთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რათა ფრანგების სამხედრო დახმარებით საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლება აღედგინათ. ამავე დროს ირაკლი წერეთელი ინგლისის მთავრობასთან ცდილობდა მოლაპარაკებას, მაგრამ ეს მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. საფრანგეთისა და ინგლისისგან ქართველებმა სამხედრო დახმარების თაობაზე უარი მიიღეს. 1924 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში აჯანყება ჩაახშო. აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ კი გენერალ მაზნიაშვილზე ჭორები გავრცელდა, თითქოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი იმიტომ დამარცხდა, რომ მაზნიაშვილმა ბოლშევიკებს აჯანყების გეგმა გადასცა. 1925 წლის 14 იანვარს მან მიმართა ნოე ჟორდანიას წერილით, რომელშიც ითხოვდა, მინისტრთა

კაბინეტის წევრებს ოფიციალური განცხადებებით დაედასტურებინათ გენერალ მაზნიაშვილის უდანაშაულობა. პასუხად 26 იანვარს მოუვიდა კანდელაკის წერილი, სადაც ხაზგასმული იყო გენერლის უდანაშაულობა, მაგრამ მთავარი არ გაკეთდა – ეს წერილი არ ჩასულა საქართველოში. შესაბამისად, ჩვენში დიდხანს სჯეროდათ, რომ 1924 წლის აჯანყების გამცემი გენერალი იყო. სასოწარკვეთილი გენერალი წერდა: „დავკარგე სრული იმედი და რწმენა მენშევიკების პარტიის ლიდერებისა... გადავწყვიტე, დავბრუნებულებიყავი სამშობლოში, შევერთებოდი ჩემ ორ მილიონ მოძმეს და მათთან ერთად გამეზიარებინა ბედნიერებაცა და უბედურებაც და აგრეთვე ხმაძალა მეთქვა, ყველა ქართველის გასაგონად, რომ რამიშვილისა და მისი დამქაშების ავანტურაში და დონკიხოტობაში მე არავითარი წილი არ მიდევს“. ამის შემდეგ გიორგი მაზნიაშვილი იძულებული გახდა, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისთვის ეთხოვა, სამშობლოში დაებრუნებინათ.

1925 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა. მაზნიაშვილი არასდროს ყოფილა საბჭოთა რეჟიმის მოყვარული და დიდ შეცდომას უშვებენ ის მკვლევრებიც, რომლებიც გენერლის ნაბიჯში პრობოლშევიკობას ხედავენ. საქართველოში დაბრუნებული გენერალი საკუთარ სოფელში, სასირეთში, ცხოვრობდა. ქართულმა ემიგრაციამ და, განსაკუთრებით, უცხოეთში გადახვეწილმა სამხედროების ნაწილმა მას ვერ და არ აპატია ეს ადამიანური სისუსტე. ქართველ მხედართა კრებამ „ქართველ უფროს მხედრების კრების დადგენილებით“ 1926 წლის ორ იანვარს გიორგი მაზნიაშვილს გენერლის პატივი აჰყარა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ დოკუმენტში გიორგის მოიხსენიებენ რუსული ფორმით – მაზნიევი. მოგვიანებით გენერალი კვინიტაძე მემუარების წერისას მაზნიაშვილს ახასიათებს როგორც უშიშარ, ღირსეულ გენერალსა და პატრიოტს. ეს ფაქტი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ კვინიტაძეც გახლდათ „ქართველ უფროს მხედრობის კრების დადგენილებისა“ ერთ-ერთი ავტორი. აღსანიშნავია ისიც, რომ ის თავის მემუარებში ამ დოკუმენტს საერთოდ არ ახსენებს. როგორც ჩანს, ქართულმა ემიგრაციამ მოგვიანებით გააანალიზა რეალობა და, შესაბამისად, გადაწყვეტილებებიც ცხელ გულზე იყო მიღებული. სამშობლოში მაზნიაშვილს უამრავი უსიამოვნება შეხვდა – არ მისცეს სამსახური, არ დაუნიშნეს პენსია, გააკულაკეს კიდეც. 30-იან წლებში, როცა უდანაშაულო ადამიანებს იჭერდნენ და ხვრეტდნენ,

მოხუცებულ გენერალს ახლობლები და მეგობრები მალავდნენ. თუმცა 1937 წელს იგი მაინც დააპატიმრეს და შვილთან, ივანე მაზნიაშვილთან ერთად გასამართლების გარეშე დახვრიტეს. მან საქართველოში სიკვდილი არჩია ევროპაში უმოქმედოდ ყოფას. ასე დაამთავრა სიცოცხლე დღეს უკვე დაუმარცხებელ გენერლად წოდებულმა, საქართველოს ეროვნულმა გმირმა გიორგი მაზნიაშვილმა. ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი სირცხვილი ჩვენი ქვეყნისა ისაა, რომ სამშობლოს ღირსეული შვილის საფლავის ადგილსამყოფელი დღემდე არ ვიცით.

ლიტერატურა

მაზნიაშვილი 1990 – გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1917-1925, ბათუმი.

სამუშია 2017 – ჯ. სამუშია, საქართველოს სამხედრო ისტორია, თბილისი.

ჩხარტიშვილი 2008 – ც. ჩხარტიშვილი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, თბილისი.

ნიკოლოზ ნარიმანიძე

ქართული იერუსალიმი

ყველა მორწმუნეს აქვს თავისი იერუსალიმი, თავისი გოლგოთა. თითქმის ყველა მორწმუნე ერის ისტორია დაკავშირებულია იერუსალიმთან. თავად იერუსალიმი კი ყველაზე მრავალფეროვანი, დიდებული, სამი რელიგიის სამშობლოა. ის იტევს ყველას, მაგრამ თავად მორწმუნენი ვერ ეტევიან იერუსალიმში, ისინი ფარავნ ერთმანეთს. ამ ქალაქს აქვს უდიდესი ყოვლისმომცველი ისტორია, რომელშიც ქართველებმაც დავტოვეთ საკმაოდ ღრმა კვალი, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, იქ ჩვენ აღარაფერი გაგვაჩნია, გარდა წარსული დიდების ხსოვნისა და იმედისა, რომ უფლის ნებით იერიქონის ვარდევით აღდგება ქართველთა სავანე იერუსალიმში.

წმინდა მიწასთან საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. IV საუკუნიდან მოყოლებული, როცა ქრისტიანობა ჩვენში ოფიციალურ რელიგიად აღიარეს, ქართველ ქრისტიანთა ინტერესი წმინდა მიწის, როგორც რჯულის სამშობლოსადმი, დღემდე არ განელებულა. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში არაერთი ცნობაა დაცული ქართველთა წმინდა მიწაზე პილიგრიმოზისა თუ სხვა სახის მოღვაწეობის შესახებ. ჩვენმა წინაპრებმა მკაფიო კვალი დატოვეს აქ. წმინდა მიწაზე დღემდეა შემორჩენილი მათ მიერ ნაშენი, მოხატული და ნაქონი ეკლესია-მონასტრები, მათგან შეწირული ხატები და ხელნაწერები, ქვაზე ნაკვეთი თუ მოზაიკით გაწყობილი ქართული წარწერები.

წარსულში წმინდა მიწაზე ქართული თემის სიძლიერის დასტურად სხვადასხვა დროს აქ მრავალი ეკლესია-მონასტრის ფლობის ფაქტიც იკმარებს. მხოლოდ იმ სავანეთა რიცხვი, რომლებსაც ქართველები დროდადრო ერთპიროვნულად ფლობდნენ, ორ ათეულს აჭარბებს. ზოგიერთი მათგანის შესახებ ჩვენი ცოდნა წერილობით წყაროებში მოცემული ცნობებით ამოიწურება. მაგალითად, მღვდელი პეტრე კონჭოშვილი თავის წიგნში თვრამეტ ყოფილ ქართულ მონასტერზე წერს (XIX-XX სს. მიჯნაზე). ვიცით მათი სახელწოდებები,

მაგრამ არ ვიცით მათი ზუსტი ადგილმდებარეობა. ზოგიერთი მათგანი უკვე აღარც არსებობს, ზოგი კი საფუძვლიანად შეიცვალა ახალ მეპატრონეთა ხელში. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ „დედინაცვლებმა“ უკვე მოასწრეს ჯვრის მონასტრის საუკეთესო არქეოლოგიური ფენის საგულდაგულოდ ჩაბეტონება. გარდა ამისა, ჩვენი წინაპრები წმინდა მიწის ბევრ იმ ეკლესია-მონასტერშიც მოსაგრეობდნენ, სადაც მათ გვერდით სხვა ეროვნების ბერ-მონაზვნებიც იყვნენ და რომელთა აღშენებაც მათ სახელს არ უკავშირდება.

ბოლო წლებში აქტიურად გრძელდება იერუსალიმის ქართული კვალის შესწავლა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდათიანი წლებიდან დაიწყო მუშაობა იერუსალიმის ექსპედიციამ და დღემდე, მიუხედავად არაერთი წინააღმდეგობისა, რომლებიც ბერძნული და სომხური ეკლესიებიდან მომდინარეობდა, მათ მაინც შეძლეს არაერთი მნიშვნელოვანი ცნობის, ხელნაწერის აღმოჩენა და უბრალოდ უძველეს ქართველთა შთამომავლების პოვნა თუ გაცნობა. აღსანიშნავია ებრაელი მეცნიერების მუდმივი გვერდში დგომა და ერთგულად მეგობრობა. მათ ქართველ მეცნიერთა დახმარების სპეციალური ჯგუფიც კი შექმნეს და რომ არა ებრაელი კოლეგების მონდომება, დღეს იმის ნახევარიც კი არ გვეცოდინებოდა, რაც ვიცით, რადგან ქართველ მეცნიერებს დღემდე, ცალკეული გამონაკლისების გარდა, არც ბერძნები და არც სომხები არ უშვებენ საცავებში. ეკლესიებში მალავენ მნიშვნელოვან ხელნაწერებს, რისი მეშვეობითაც ნათლად დადასტურდება დღეის მდგომარეობით მათ მფლობელობაში არსებული მონასტრების ქართული კვალი.

ყოფილი ქართული ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი წმინდა ქალაქში ან მის შემოგარენში მდებარეობს. მათგან ყველაზე უკეთ შესწავლილი და ცნობილი იერუსალიმის ჯვრის მონასტერი გახლავთ. ეს არის უდიდესი ქართული მონასტერი უამრავი ქართული ფრესკითა თუ წარწერით, მაგრამ დღეს უკვე არსებული უზარმაზარი ინფორმაციის გამო ამ მონასტერზე არ გავამახვილებთ ყურადღებას. ჩვენი მიზანია, ვიკვლიოთ იერუსალიმის შედარებით ნაკლებად ცნობილი მონასტრები და ქართული წარწერები.

ჩვენი იერუსალიმი იწყება მესამე-მეოთხე საუკუნიდან, სწორედ ამ პერიოდის არქეოლოგიურ ფენებში აღმოჩნდა სრულიად შემთხვევით პირველი ქართული გრაფიტები. 1970-იან წლებში ფრანცისკანელებმა ახალი ტაძრის მშენებლობის დროს აღმოაჩინეს ეს ქართული

წარწერები და, რა თქმა უნდა, სომხურად მონათლეს, მაგრამ როდესაც ამერიკელმა არმენოლოგმა მაიკლ სტოუნმა ნახა, თქვა, რომ არ იყო სომხური. მკვლევარმა ის ყოველი შემთხვევისთვის ქართველ მეცნიერს, თამილა მაგალობლიშვილსაც ანახა გადასამოწმებლად. სწორედ ამერიკელი მეცნიერის დამსახურებით გაირკვა ამ ფილების ქართული წარმომავლობისა და ქართველთა პირველი ფაქტობრივი კვალის შესახებ იერუსალიმში. მისივე დამსახურება იყო ისიც, რომ ქართველმა მეცნიერებმაც დაიწყეს მუშაობა იერუსალიმში.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იაკობ დაჭრილის მეჩეთმა იერუსალიმში. ეს იყო ადგილი, სადაც პეტრე იბერმა ააშენა პირველი მცირე სალოცავი და სწორედ ამ მეჩეთის გალავანთან აღმოჩნდა სამარხი წარწერით – იაკობ ეპისკოპოსი ივერიელი. ეს გახლდათ ძალიან მნიშვნელოვანი ცნობა, რომ უკვე მეხუთე საუკუნისათვის ქართველებს გვყავდა ეპისკოპოსი ივერიელის სახელით. თავად პეტრეს მიერ დაარსებული იყო თავშესაფარი პილიგრიმებისათვის, სკოლა და რამდენიმე სალოცავი. მეორე, უფრო მოგვიანო ხანის ეპისკოპოსის, საფლავი აღმოჩნდა იერუსალიმის სამხრეთით, ქალაქგარეთ სრულიად შემთხვევით. როდესაც ერთ-ერთი მკვიდრი ებრაელი ექიმი საძირკველს თხრიდა სახლისთვის, გამოჩნდა მოზაიკის ნაწილები. იქაური კანონების მიხედვით მან დაუყოვნებლივ გამოიძახა არქეოლოგიური პოლიცია, დაიწყო კვლევა. საბედნიეროდ, ადგილზე იყვნენ წმ. ნიკოლოზის ტაძრის აღსადგენად ჩასული ქართველი მეცნიერები და ისინიც ჩაერთნენ სამარხის კვლევაში. იქ აღმოჩნდა ერთი ეპისკოპოსისა და სამოცი ბერის სამარხი. ეპისკოპოსის საფლავს ჰქონდა ქართული წარწერა – იოჰანე ცურტაველი ეპისკოპოსი ქართველისა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც არა იბერთა, არამედ ქართველთა სახელით მოიხსენიეს. ეპისკოპოსი სამარხი დათარიღდა მეექვსე საუკუნით.

მნიშვნელოვანია იაკობის მონასტერი, რომელიც დღეს სომხურად არის მონათლული. სომხების დიდი მონდომების მიუხედავად, მაინც გაირკვა, რომ მონასტერი ქართულია. პეტერბურგში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, დაცულია არაბული წარწერა, რომელიც ადასტურებს, რომ მონასტერი ქართულია. ამასთანავე ქართველმა მეცნიერებმა მაინც მოახერხეს მონასტერში ჩუმად შესვლა და მისი საცავის საიდუმლოდ აღწერა, მაგრამ ვერ გადაიღეს ფოტო-

ბი, რადგან აპარატის სინათლე მათ გამოააშკარავებდა. აღწერა შეძლეს ერთი მოხუცი სომეხი სასულიერო პირის დახმარებით, რომელიც რატომღაც კეთილგანწყობილი იყო და ქართველ მკვლევარს დამის საათებში უშვებდა მონასტერში. ამავე მოხუც სომეხ ბერს შემთვხვევით ისიც წამოსცდა საუბარში, რომ ადრე არარატის ქუჩას იბერთა ქუჩა ერქვაო. ეს იყო გულუბრყვილო აღიარება მოძღვრისა. ასე თუ ისე, დადასტურდა, რომ იაკობის მონასტერში მეთოთხმეტე საუკუნემდე არანაირი სომხური წარწერა არ ფიქსირდება და ეს ტაძარი სავარაუდოდ მესამეა, რომელიც პეტრე იბერმა ააგო.

ურიათუბნის წმინდა გიორგის მონასტერი სიონის მთაზე, ძველი ქალაქის ებრაულ კვარტალში, ამჟამინდელი წმინდა მოციქულ იაკობის სომხური მონასტრის უკან მდებარეობს. მისი ხილვის მსურველთათვის მონასტრის ზედა ტერასიდან იშლება არაჩვეულებრივი ხედი ზეთისხილის მთაზე, იორდანეს დაბლობზე, მკვდარ ზღვაზე. ჰორიზონტს ამ მხრიდან არაბეთის კლდოვანი მთები ასრულებენ. მონასტრის დაარსების ზუსტი დრო უცნობია. ის ოსმალეთის სულთან აჰმედ I-ის 1606 წლით დათარიღებულ ფირმანში მოიხსენიება ქართველთა კუთვნილ იმ მონასტრებს შორის, რომელთა საკუთარ მფარველობაში მოქცევას, თურქების მხარდაჭერის იმედით, სწორედ იმ დროს ლამობდნენ ბერძნები. ამით აღმფოთებულ ქართველებს სერბ მართლმადიდებლებთან ერთად გაუპროტესტებიათ ბერძნების მცდელობა და მათი ეს პროტესტი მცირე ხნის შემდეგ ოსმალებს გაუთვალისწინებიათ კიდევ. თუმცა ეს წმინდა სავანეც, სხვა დანარჩენი ქართული ეკლესია-მონასტრის მსგავსად, საბოლოოდ მაინც ბერძენთა კუთვნილებად იქცა. მართალია, იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის 1706 წლით დათარიღებულ წერილში ის კვლავინდებურად ქართულ მონასტრად მოიხსენიება, მაგრამ ბერძენთაგან მისი დავალიანების დაფარვის შემდეგ ქართველებს ამ წმინდა სავანეში, ფაქტობრივად, ფეხი ამოეკვეთათ. ერთადერთი წერილობითი ცნობა, რომელიც ამ მონასტრის დაარსებას უკავშირდება, ტიმოთე გაბაშვილთან შემონახული ტრადიციული გადმოცემაა დადიანთა მიერ მისი „აღშენების“ შესახებ. დადიანების საგვარეულოს წევრთა იერუსალიმში აქტიური სააღმშენებლო მოღვაწეობის ფაქტი დოკუმენტურად არის დადასტურებული. მაგალითად, ლევან II დადიანს (1611-1657 წწ.) უღვაწია ჯვრის მონასტრის განახლებაზე. ტიმოთე გაბაშვი-

ლი 1757 წლისათვის ურიათუბნის წმინდა გიორგის მონასტერში დადიანთა „მოსახსენებლის“ არსებობაზეც გვამცნობს, მაგრამ მათი მოღვაწეობის კონკრეტულ დროსა და სახელებზე, სამწუხაროდ, დუმს. რაკილა დანამდვილებით ვიცით, რომ აღნიშნული მონასტერი არსებობდა ლევან II-მდეც, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი აღმშენებელი „დადიანები“ XVI საუკუნის ან უფრო ადრინდელი დროის მოღვაწენი იყვნენ. შესაძლოა, მათ რამენაირად უკავშირდებოდეს უფლის წმინდა საფლავის ტაძრის კარიბჭის მარჯვენა მეორე სვეტზე დაფიქსირებულ ერთ მკრთალ მინაწერში ნახსენები ვინმე „ვამიყ“. ქართველ მკვლევართა აზრით, XIV-XVI საუკუნეების ოდიშის მთავრების ნუსხაში ამ სახელის მატარებელი ორი პირია: ვამიყ I (1384-1396 წწ.) და ვამიყ II (1474-1482 წწ.). საინტერესოა, რომ უფლის წმინდა საფლავის ტაძრის კარიბჭის გრაფიტებიც უმთავრესად XIV-XV სს-ით თარიღდება, ხოლო ტიმოთე გაბაშვილის სიაში წარმოდგენილი იერუსალიმის სხვადასხვა სავანის ქტიტორები მხოლოდ XIV საუკუნიდან გვხვდება. ცნობილია ისიც, რომ სწორედ აღნიშნული საუკუნის დასაწყისში (1305 წ.) გამოიხსნეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი მაჰმადიანთაგან, ხოლო მეფე გიორგი V ბრწყინვალის დროს ქართველებს ქრისტეს საფლავის კლიტენიც კი ჩაუგდიათ ხელში. ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, იერუსალიმის ჯვრის მონასტერს იმავე საუკუნეში სხვებთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა გიორგი II დადიანიც (1345-1384 წწ.). როგორც ჩანს, ურიათუბნის წმინდა გიორგის მონასტერი საკატრონოდ სწორედ XIV საუკუნეში გადაეცა დადიანთა საგვარეულოს და მისი წარმომადგენლები მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში შეძლებისდაგვარად ზრუნავდნენ ამ წმინდა სავანეზე, სანამ ის დაგროვილი დავალიანების გადაუხდელობის შედეგად XVII საუკუნის მიწურულს საბოლოოდ არ გადავიდა იერუსალიმის ბერძნული საკატრიარქოს მფლობელობაში. ამჟამად მონასტერი დედებს აქვთ და მასში რაიმე ქართული კვალი არ ჩანს.

გიორგი V ბრწყინვალის მეფობის პერიოდშივე განუახლებიათ ქართველებს იერუსალიმის წმინდა დიმიტრის მონასტერიც. ის იხსენიება 1187 წლის შემდეგ შედგენილ ბერძნულ ანონიმურ ხელნაწერში, როგორც მაცხოვრის წმინდა საფლავის გარშემო არსებული ცამეტიდან ერთ-ერთი მართლმადიდებლური სავანე. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი 1706 წელს ამ მონასტერს ქართულ სავანეთა

რიგში მოიხსენიებს. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, წმინდა დიმიტრის მონასტერი აუშენებიათ „ქსნის ერისთავს შალვას, ვირშელს ივანეს, და მათი მოხსენებაც მუნ არს“. დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი მონასტრის აღმშენებლად მხოლოდ შალვა ქსნის ერისთავს ასახელებს. წმინდა დიმიტრის მონასტრის ქართველთაგან აშენება-განახლების ამბავს გვამცნობს კიდევ ერთი, 1817 წლით დათარიღებული ქართული ხელნაწერი: „ოდესმე კეისართაგან მიენიჭნეს მეფეთ ჩუენთა წმიდანი მონასტერნი წმიდასა ქალაქსა იერუსალიმსა და მათგან სახლთა ჩუენთა ბოძებოდათ მონასტერი ესე წმიდისა დიმიტრისა და მე, ქსნის ერისთავმან შალვამ სრულიად განვაახლე და აღვაშენე მონასტერი ესე დედისა ჩუენისა ბატონის თამარის საფასითა საოხად სულთა ჩუენთა და აღსაზრდელად მეთა ჩუენთა ჟამთა გიორგი კურაპალატის მეფობისა, ერისთავს პიპარს მიხსენებდეთ მონასტერსა ამას“. მკვლევართა აზრით, ეს ცნობა, სავარაუდოდ, გადმოწერილია ან მონასტრის კედლის წარწერიდან ან უცნობი ხელნაწერის მინაწერიდან. შალვა და პიპარ (პიპა) ქსნის ერისთავები გიორგი ბრწყინვალესა და იერუსალიმთან ერთად მოიხსენიება ტექსტშიც „მეგლი ერისთავთა“: „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალემისანი სპარსთა დაიპყრესო და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა მე შალვა ერისთავისად, რომელსა ერქუა პიპად, გზასა ხმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა... ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალემისანი“. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ადაპთა ნუსხაშიც გვხვდება ჩანაწერი ჩვენთვის საინტერესო პირთა შესახებ: „წირვად და ალაპი საუკუნო ერისთავისა შალვას ქენიფნეველისა, შვილისა პიპასი, და მისისა მეუღლისა თამარისი, შეუნიდვენ ღმერთმან, ვინცა შეცვალოს, კრულმცა არს“.

ცნობილია, რომ გიორგი ბრწყინვალემ ორგზის, 1316 და 1320 წლებში, გაგზავნა ელჩები ეგვიპტის სულთანთან მაცხოვრის საფლავის კლიტეთა მოსაპოვებლად. იმავე საუკუნის შუა ხანებისთვის ეს კლიტენი უკვე ქართველთა ხელში იყო. უაღრესად საინტერესოა ცნობა, რომ იერუსალიმში ზოგიერთი მონასტრის ქართველთა მფლობელობაში გადასვლა (თუ წართმეულის დაბრუნება) „კეისართა“ ხელშეწყობით მომხდარა, რაც სხვა მაკონტროლებელი ისტორიული მასალის საფუძველზეც დასტურდება: 1299 წელს საქართველო-

დან ეგვიპტის სულთან ნასირ მუჰამედთან (1293-1341 წწ.) გაგზავნილი ელჩობა კონსტანტინეპოლში ჩავიდა და აქედან მას კეისარმა ანდრონიკე II-მ (1282-1328 წწ.) საკუთარი დესპანიც გააყოლა სულთანთან იერუსალიმში ქართველთათვის კუთვნილი მონასტრების დაბრუნების თხოვნით. 1305 წელს ჯვრის მონასტერი და ზოგიერთი სხვა ქართული წმინდა სავანე სულთანმა თავის ძველ მფლობელებს დაუბრუნა. XIV საუკუნეს ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს ტრაპიზონელ კომნენოსთა სამეფო სახლი. მათთან ქართველ ბაგრატიონებსა და თვით გიორგი ბრწყინვალეს ნათესაობა აკავშირებდა. როგორც ირკვევა, მეფე გიორგის წმინდა დიმიტრის მონასტერი საპატრონოდ ქსნის ერისთავთა სახლისთვის უბოძებია. შალვა ერისთავს იგი დედის, თამარის, სახსრებით განუახლებია და დაუწესებიათ მონასტრის ქტიტორთა ხსენებაც. რუსი არქიმანდრიტი ლეონიდ კაველინი (XIX ს-ის 50-იანი წლები) ამ სავანეს საბაწმინდის ლავრის „ძველითგან მეტოქად“ ასახელებს. მის დროს მონასტრის შემადგენელ დიდ შენობას ყველაზე ხშირად ბულგარელი მომლოცველები აფარებდნენ თავს. ამ შენობის ადგილას ამჟამად საპატრიარქოს მიერ დაარსებული წმინდა დიმიტრის სახელობის სკოლაა გამართული. შენობის საძირკველში კვლავაც შეინიშნება ძველი ნაგებობის კედლების ფრაგმენტები. რაც შეეხება ქართულ კვალს, იქ, სამწუხაროდ, ქართველი მკვლევრები ვეღარ პოულობენ.

საინტერესოა წმინდა თეოდორეს მონასტრის ისტორია. ის დედათა მონასტერია და ამჟამად იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს ეკუთვნის. წმინდა მოწამენი – თეოდორე ტირონი და თეოდორე სტრატილატი – ეკლესიაში წმინდა დიმიტრისა და წმინდა გიორგის შემდეგ ლიტურგიკულად ყველაზე პატივდებულად მიიჩნევიან. მათი წმინდა ნაწილები ყოველი პროსკომიდიისას (ანუ კვეთისას) გამოაქვს სამღვდელოებას. ადგილობრივი ბერძნული გადმოცემის თანახმად, ეკლესია ამ ადგილას თითქოს სოფრონ იერუსალიმელის (634-644 წწ.) მოწაფეს, ღირს იოანეს დაუარსებია VII საუკუნეში. მანამდე (532 წ.), კირილე სკითოპოლელის ცნობით, ამ ადგილას წმინდა თეოდორეს სამარტვილე მდგარა. მონასტერი ნახსენებია 1187 წლის შემდეგ შედგენილ ანონიმურ ბერძნულ ხელნაწერში. მართალია, ჯვაროსნების ლათინთა სამეფოს პერიოდში ეს სავანე წყაროებში არ ჩანს, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ მამლუქთა ბატონობისას

მონასტერს ქართველები ფლობდნენ და ის უკვე ორი თეოდორეს სახელს ატარებდა. არქიმანდრიტ კაველინის ცნობით, უწინ ამ მონასტერს თავშესაფრად იყენებდნენ იერუსალიმში მოსალოცად ჩასული ტრაპიზონის სამეფო (1204-1461 წწ.) სახლის ბანოვანები. ოსმალეთის სულთან სელიმ I-ის დროს შედგენილ ერთ საბუთოში (1517 წ.) მონასტერი არ ფიგურირებს ბერძენთაგან „თვალდადგმულ“ სავანეთა ნუსხაში. XVI საუკუნის შემდეგ მონასტერს კვლავ ქართულ სავანედ იცნობს რუსი მოგზაური ბასილ ჰოსნიაკოვი. ასეთად არის დასახელებული ის იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის 1706 წლით დათარიღებულ წერილშიც. 2001-2002 წლებში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის მიერ იერუსალიმში მიკვლეულ ერთ-ერთ ხელნაწერში დაცულია ბენა ჩოლოყაშვილის ანდერძი, რომლის მიხედვით, მას არა მარტო განუახლებია წმინდა თეოდორეთა ეკლესია, არამედ უზრუნუნია მისი წიგნთსაცავის შევსებაზეც, მოუძებნია და ისევ ადგილზე დაუბრუნებია ამ სავანის მანამდე გაბნეული ხელნაწერები. ბენა ჩოლოყაშვილი იერუსალიმში საგანგებო მისიით იმყოფებოდა 1512-1514 წლებში და თავდაუზოგავად იბრძოდა იმ დროისთვის ქართველთათვის წართმეული თუ სადავოდ გამხდარი ეკლესია-მონასტრების შემოსამტკიცებლად. აკადემიკოს ნიკო ჩუბინაშვილის ცნობით, მონასტერს უწინ ქართული წარწერაც ამჟღავნებდა, სადაც ბენა ჩოლოყაშვილი ამ წმინდა სავანის განმაახლებლად მოიხსენიებოდა. ტიმოთე გაბაშვილის სიტყვით კი, წმინდა თეოდორეს მონასტერი „არს აღშენებული“ ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილების მიერ. მის ცნობას იმეორებს დეკანოზი პეტრე კონჭომვილიც. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, წარწერაში გარსევან და ბაადურ ჩოლოყაშვილებზე უნდა ყოფილიყო საუბარი. მათ 1635 წელს განუახლებიათ ეს წმინდა სავანე. აღნიშნული წარწერა, რომელიც მოგვიანებით ბერძნებს ტამრის კედლიდან მოუხსნიათ, ამჟამად უკვალოდ არის გამქრალი. მონასტერი ქართველებს ბერძნებმა 1685 წელს ჩამოართვეს და ის დღემდე მათ უკავიათ.

კიდევ ერთი ქართულყოფილი წმინდა სავანე დგას ახალი კარიბჭის სიახლოვეს. მონასტერი წმინდა ბასილი დიდის სახელზეა აგებული. ეს დედათა მონასტერიც იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მფლობელობაშია. ის, ფაქტობრივად, მუდამ დაკეტილია და მხოლოდ დღესასწაულებზე თუ მასპინძლობს მლოცველებს. ქარ-

თულ ხელნაწერთა კოლექციაში აქ გადაწერილი XIV-XV საუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერიც გვხვდება. სავსებით ცხადია, რომ იმ დროს მონასტერი ქართველთა კუთვნილება იყო. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ამ სავანის მაშენებელნი იყვნენ XIV საუკუნეში მცხოვრები თავადი ამირინდო ამირახორი (ამილახვარი) და თაყა. იმავე ცნობას იმეორებენ პეტრე კონჭოშვილი და 1817 წლით დათარიღებული ხელნაწერის უცნობი ავტორიც. ქართულ მონასტრად მოიხსენიებს მას 1706 წელს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსიც. მონასტერმა ძლიერი სახეცვლილება განიცადა ახალი მფლობელის ხელში. ბერძენ ბერ ბასილის მიეწერება 1764 წელს მონასტრის საფუძვლიანი განახლება (ადგილზე გამოცემულ სხვადასხვა ცნობარსა თუ ინტერნეტსაიტებზე ის საერთოდაც მონასტრის აღმშენებლად არის გამოცხადებული). სამწუხაროდ, ქართული კვალი აქაც სრულიად წარხოცილია. როგორც ზემოთ ვნახეთ, ხსენებულ მონასტრებს სხვადასხვა ქართული ფეოდალური საგვარეულო პატრონობდა. თუნდაც ჩვენს ხელთ არსებული მწირი ისტორიული მასალიდან ამკარად ჩანს, რომ წმინდა სავანეებზე ზრუნავდნენ თაობები ამა თუ იმ წარჩინებული გვარიდან. ქართველ მეცნიერებს კიდევ დიდი შრომა მოუწევთ აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად. საკითხს დიდი მეცნიერის, ელენე მეტრეველის სიტყვებით დავამთავრებ: „აღმოჩენაშიც ბევრი რამ არის აღმოსაჩენი“.

ლიტერატურა

მგალობლიშვილი 2013 – თ. მგალობლიშვილი, ახალი იერუსალიმები საქართველოში, თბილისი.

მენაბდე 1980 – ლ. მენაბდე, ძველი ქართული კულტურის კერები, თბილისი.

მეტრეველი 1962 – ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქარვული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, ტ. 2, თბილისი.

ეგზისტენციალური საკითხები ბესიკ ხარანაულის „ხეივანი თოჯინას“ მიხედვით

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში გამორჩეულია ბესიკ ხარანაულის სახელი. მისი მრავალფეროვანი შემოქმედება, გამოთქმის ხელოვნების მისეული ექსპერიმენტები ჟანრული ძიებების თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული ელფერით აღბეჭდავს მის ვერლიბრსა თუ მეტაჟანრულ მხატვრულ ტექსტებს. შემოქმედის „ხეივანი თოჯინა“ ლირიკულ პოემად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც წვეთივით ირეკლავს ზოგადსაკაცობრიო ეგზისტენციალურ პრობლემებს.

ბესიკ ხარანაულმა პირველი კრებული 1968 წელს გამოსცა და დღემდე აქტიურად მოღვაწეობს. 2021 წელს პრემია „საბათი“ დაჯილდოვდა ლექსების კრებულისთვის. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე. პოეტის ლექსები თარგმნილია ფრანგულ, რუსულ, გერმანულ, ჩეხურ და სხვა უამრავ ენაზე, რაც გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ პოეტს, როგორც მაღალი მხატვრული პოეზიის შემოქმედს, თავისი თავყვანისმცემლები ჰყავს უამრავ სხვა ქვეყანაშიც. ბესიკ ხარანაულის ცხოვრებისეული მიზანი და უმთავრესი პრინციპი არის გულმოწყალება. ეს არის უპირველესი, რაც პოეტს მოსწონს სხვა ადამიანებსა და საერთოდ მთელ სამყაროში.

ფრანგული პრესა ბესიკ ხარანაულზე წერდა: „70 წლის ასაკში ბესიკ ხარანაულმა ნაციონალური აღიარება მოიპოვა არა მარტო თავის ქვეყანაში, მან სახელმწიფო ჯილდო მოიპოვა რუსთაველის პრემიის სახით. საბჭოთა პერიოდში პოეტი ხელახლა აცოცხლებს ქართულ პოეზიას, ათავისუფლებს კალამს ყოველგვარი ფორმალიზმისგან, რომელიც იმ პერიოდში მეტად აქტუალური იყო“. ჟურნალ „არილში“ ვკითხულობთ: „ბესიკ ხარანაულმა თითქოს ხაზგასმულ უბრალოებას და სისადავეს მიმართა, ამან გამჭირვალეობა და ფოლკლორული სიმკვეთრე მიანიჭა. ის, რაც ორიგინალურ, აზრობრივ ნახატს გვიქმნის“ (თორნიკე მოდებაძე).

საზოგადოდ ცნობილია, რომ ბესიკ ხარანაული ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ქართულ პოეზიაში ვერლიბრთან ერთად ახალი აზროვნება შემოიტანა და გალაკტიონის შემდეგ მთელი ქართული პოეზია შეცვალა. მნიშვნელოვანია ლიტერატურის კრიტიკოსების მოსაზრებები. მაგალითად, მეცნიერი ლევან ბრეგაძე მას ასე წარმოაჩენს: „ის ახერხებდა ძალიან ძნელად გამოსათქმელი აზრების გამოხატვას უჩვეულო მხატვრული ფორმებით“. მკვლევარ ზვიად რატიანის თქმით: „პოეტს სხვებისაგან გამოარჩევს მისი დაწერილი სიმართლე, ის სიმართლეს წერს, ძალიან დახვეწილი ფორმებით, საკუთარი სიმართლე გააჩნია, რომელიც ამავე დროს ყველასია“.

ბესიკ ხარანაულის ამ ლირიკულ პოემაში „ხეიბარი თოჯინა“ მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი თემებია მხატვრულად გადამუშავებული, ისეთი ეგზისტენციალური საკითხებია წარმოჩენილი, როგორებიცაა: სიცოცხლე, სიკვდილი, ადამიანის დანიშნულება, წუთისოფლის რაობა, ცხოვრების ხანმოკლეობა და სხვ. პოემის მთავარი გმირი ალექსანდრეა, კაცი, რომელიც დაეძებს ცხოვრების საზრისს და ვერ უპოვია, სწორედ მისი ფიქრების, გრძნობების, შეხედულებების მოზაიკური ნახატია წარმოჩენილი ამ ტექსტში. ადამიანს ჰგონია, რომ სიცოცხლე ხანგრძლივია, არადა, როგორც პოეტი აღნიშნავს, კაცი მხოლოდ მოსაწყვეტად გამოზადებული ფოთოლია, რადგან „ქარი უკვე გზაშია“. პოეტი ნაწარმოებში წარმოგვიდგენს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, საკუთარ ემოციებსა და ფიქრებს, რომლებიც ლირიკული გადახვევებით კომპოზიციურად მნიშვნელოვან თემებს ერწყმება.

„ხეიბარი თოჯინა“ რთული კომპოზიციური სტრუქტურისაა, ერთმანეთს ენაცვლება სუბიექტური და ობიექტური განცდები, შესაბამისად, პირველსა თუ მესამე პირში გადმოცემული. უპირველესად, ყურადღებას იქცევს პოემის სათაურის ესთეტიკა და ნაწარმოების ეპიგრაფი, რომლებიც დაგვაფიქრებენ და ახსნისკენ გვიბიძგებენ. „ხეიბარი თოჯინა“ – ეს მრავალმნიშვნელოვანი სათაური მეტაფორაა, რომელიც მთავარ სათქმელს გამოხატავს. მკითხველს თავიდან უჩნდება კითხვა: რატომ ხეიბარი თოჯინა? თოჯინა ხომ მკითხველს წარმოუდგება როგორც ლამაზი, სათუთი სათამაშო, რომლითაც მოხიბლულები უნდა ვიყოთ, მაგრამ პოეტმა თავიდანვე დაძაბა მკითხველის მოლოდინი, ორიგინალურობით გამორჩეული სათაური შექმნა, თუმცა სევდითა და წუხილით გამსჭვალული.

პოეტმა აზრობრივად მნიშვნელოვან სათაურთან ერთად მკითხველისთვის გზის გასაკვლევად პოემას დაურთო ეპიგრაფი, რომლის მხატვრული ფუნქციაა, მკითხველმა ახსნას დაშიფრული კოდები. იგი ერთგვარი გასაღებია, რომელიც მკითხველმა უნდა მოარგოს ნაწარმოებს და გაიაზროს მისი მნიშვნელოვანი საკითხები:

„უქმად ჩამალევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა“.

ვაჟა ფშაველა

პოეტი ნაწარმოების უშუალო დაწყებამდე ამ მნიშვნელოვან სიტყვებს გადმოგვცემს ეპიგრაფის სახით, რომელიც ამონარიდია ვაჟა ფშაველას ცნობილი ლექსიდან „კაი ყმა“. ვაჟა ფშაველას ამ ლექსში „კაი ყმის“ იდეალია წარმოჩენილი, მასთან დაპირისპირებული თანამედროვეობა. ამ სტრიქონებით ვაჟა აკრიტიკებს ადამიანებს, რომლებიც „უქმად“ ცხოვრობენ, არ ფიქრობენ სიცოცხლის აზრსა და მიზანზე, ამიტომ „უქმადვე“ კვდებიან.

ამ პოემაშიც – „ხეიბარი თოჯინა“ – ავტორი წარმოაჩენს მთავარ გმირს, ალექსანდრეს, რომელიც „უქმად“ აღიქვამს საკუთარ სიცოცხლეს, რადგან სიცოცხლის აზრი და მიზანი ვერ უპოვია. არადა, ბესიკ ხარანაშულის აზრით, ადამიანმა ღირსეულად უნდა იაროს ცხოვრების გზაზე. პოეტის უდიდესი სევდა და წუხილი იმითაცაა გამოწვეული, რომ ადამიანები ცხოვრობენ მხოლოდ ყოველდღიური საზრუნავით, მსგავსად ლუარსაბ თათქარიძისა. შემოქმედის აზრით, რადგანაც ყველაფერს გააჩნია დასაწყისი და დასასრული, ადამიანმა უნდა გაიაზროს არა მხოლოდ ცხოვრების ეტაპები, არამედ მომავალ, საიქიოს ყოფაზეც უნდა იფიქროს.

„კვლავ გაიღვიძა ალემ, ალექსანდრემ,
კვლავ გაიღვიძა.
ეს მერამდენედ?
ნეტავი ვის რად აინტერესებს,
ან რა ფასი აქვს
დღეის გარდა სხვა გაღვიძებებს“.

გაღვიძება აქ მეტაფორაა, ადამიანმა არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც უნდა გაიღვიძოს, თვალი აახილოს და შეიმეცნოს საკუთარი თავი თუ სამყარო. ეს რთული და მძიმე, მტანჯველი პროცესია, ამიტომ ადამიანს ურჩევნია, უბრალოდ გაიღვიძოს და გუშინდელი დღე გაიმეოროს. ეს იცის ალექსანდრემ, მაგრამ ვერ ახერხებს თავი დააღწიოს ყოველდღიურ ყოფას, რუტინას, ამიტომაც იტანჯება თავისი ერთფეროვანი ცხოვრებით.

ალექსანდრე განიცდის ერთგვარ ეგზისტენციალურ კრიზისს, მან დაკარგა ცხოვრების აზრი და ამიტომ ის თითქოს ხეივანი თოჯინაა, რომელიც საყრდენს ვერ პოულობს. ერთ ეპიზოდში ბავშვები თოჯინებით თამაშობენ და სწორედ იმ თოჯინას, რომელიც დამტვრეულია და ხელ-ფეხი აკლია, ალექსანდრეს დაარქმევენ. საკუთარ თავს სწორედ ამგვარად აღიქვამს პერსონაჟი, რადგან ისე ჩაეფლო ყოველდღიურ ერთფეროვნებაში, რომ მაღალი იდეალები დაკარგა.

პოეტი მხატვრული სახეებით ამდიდრებს სათქმელს და ემოციას ამგვარად ამძაფრებს, თითოეული მათგანის აზრს გამოკვეთს. გარდა ამისა, ავტორს ახასიათებს საგნისა და მოვლენის შინაგანი გამოსახულების მაქსიმალური დაზუსტებისაკენ სწრაფვა და თითქოს აღარ ენდობა ტრადიციულ ცნებებსა და ღირებულებებს. ის არა მხოლოდ სინამდვილეს, არამედ საკუთარ განწყობილებას, აღქმასა და განცდებსაც ხაზს უსვამს: „ეს მერამდენედ?!“ პოემის ტრადიციული, მკაცრად მოწესრიგებული კრიტერიუმი იშლება პოეტის განსაკუთრებული ინტონაციის საშუალებით. ამით ახალი, განსაკუთრებული ენერჯია იქმნება, რომელიც ფიქრებსა და აზრებს შორის გაიშლება:

„ვიდრე ახლო საგნები და შორი ცნებები, ვიდრე ეს სამყარო, ვიდრე ეს ცხოვრება, თითო-თითოდ და ჯგუფ-ჯგუფად, წესრიგით თუ აურზაურით არ შემოვა ჩვენში, არ შემოცვივდება!“

ბესიკ ხარანაულის პოეზია ემოციურ დამაბულობას უქმნის მკითხველს. გმირი რომ სახიერად გამოკვეთოს, ამბებს ჩართავს მისი წარსულიდან, რომლებიც მოგონებების სახით იჭრებიან. პოემაში პირველი სიყვარულიც ჩანს:

„მე ვისწრაფოდი მისკენ, როგორც შმაგი პოეტი უმთავრესი იდეისკენ“.

დეტალები და კონკრეტულ საგანთა აღწერა ამკვეთრებენ სივრცის აღქმას:

„დილაა, მარტი, თებერვალი, პიკის საათი ჟინჟლი, ხმაური“.

გვახსენდება მისი კიდევ ერთი უჩვეულო ლექსი „კარტოფილის ამოდება“, რომელშიც პოეტი ცხოვრების რეალურ მოვლენას – კარტოფილის ამოდებას აღგვიწერს და ამ არაპოეტურ მოვლენას მაღალ პოეზიად აქცევს. სწორედ ამგვარი სტილით გვიქმნის ერთგვარ ფოტო-სურათებს. მკითხველი მიჰყვება პოეტს და ფიქრობს სიკვდილზე:

„დედამიწა უმისოდაც კარგად იგორებს,
მისთვის ყველაზე კარგი დრო და ტკბილი წუთები
სიკვდილზე ფიქრის წუთები არის“.

„გახსოვდეს, ძილიც სიკვდილისაა, მისი წვეთია, მისი
თმის ღერი“.

„სასაცილოა, ასჯერ უფრო სასაცილოა, როცა ამ ცის
ქვეშ არაფერი შენ არ გეკუთვნის“.

პოემის ფინალში თანდათან მძაფრდება და მძიმდება პოეტის ფიქრებიც. ის დაღლილი და შეწუხებულია წუთისოფლის მუხანათობისაგან. თუმცა პატარა იმედსაც იტოვებს, რომ მისი სევდა და მწუხარება დასრულდება, რომ სამართალი ადრე თუ გვიან იზეიმებს და მეხსიერებაში ეძებს სურათებს, როდესაც იგი ბედნიერი იყო: „არა, არა აუცილებლად იქნება მშვენიერი, უხვი ანაზღაურება...“

პოეტის ფიქრი ფილოსოფიურად ამგვარად განზოგადდება: „ერთადერთი რაც არის, არის არარსი“. ჩნდება კითხვა: რა გადაარჩენს, იხსნის ადამიანს წარმავლობისაგან?

„დარჩება მხოლოდ... ვთქვათ წიგნები, რომლებსაც ექნებათ დაფა წარწერით, მწერლის გვართ, მწერლის სახელით, მაგრამ ეს ხომ სიმბოლოა მხოლოდ და მხოლოდ და არაფერი აქვს საერთო იმ ცოცხალ კაცთან მშვენიერ წიგნებს, რომ გვიწერდა, რათა დაეფრთხო არარსის ლანდი“.

პოემის ფინალი „ეკლესიასტეს“ ეხმიანება – იქნებ ის სჯობდა, რომ საერთოდ არ დაბადებულიყო ადამიანი. ბესიკ ხარანაული თავისებური, გამორჩეული მეტაფორულობით ამ აზრს, სევდითა და წუხილით სავსეს, ასე გამოთქვამს:

„და ის არ მერჩივნა, დედის საშვილოში რომ ვიჯექი, როგორც ძველი მინიატურა ოქროს ჩარჩოში?!“

ამგვარად, ბესიკ ხარანაულმა ამ ლირიკულ პოემაში „ხეივანი თოჯინა“ დაგვიხატა თანამედროვე, ეგზისტენციალური კრიზისით შეპყრობილი ადამიანი, რომელიც იტანჯება იმით, რომ საკუთარი ცხოვრების გამართლება ვერ უპოვია, თუმცა ქვეტექსტურად იმასაც გრძნობს მკითხველი, რომ სწორედ ეს ტანჯვაა ადამიანის არსებობის გამამართლებელი – როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებულ“.

ადამიანმა უნდა დამლიოს სულიერი კრიზისი და გააგრძელოს სიცოცხლე, რომელიც სავსე იქნება ზგიებით, დაცემითა და წამოდგომით.

ლიტერატურა

„ბესიკ ხარანაული – 80“ 2019 – ვებპორტალი „ქართული კვირა“, თბილისი.

გელაშვილი 2009 – ნ. გელაშვილი, „ბესიკ ხარანაულის პოეზია“ ვებპორტალი „ბურუსი“, თბილისი.

ხარანაული 2011 – ბ. ხარანაული, „რასაც ვწერ, იმაზე ვგიჟდები, იმით ავსებულნი დავდივარ“, ჟურნალი „არილი“, თბილისი.

მარიამ ტეფნაძე

ნაცვალსახელთა ბრუნების ტიპები ძველ ქართულში

ნაცვალსახელი ენის უძველეს თავისებურებათა მქონე მეტყველების ნაწილია. ქართულში მას დაცული აქვს სახელთა ბრუნების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპები. ნაცვალსახელთა შორის ყველაზე მეტ თავისებურებას ავლენს პირის ნაცვალსახელები იმ თვალსაზრისით, რომ მათთვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი დღეს აღარ გამოიყენება თავისი ფუნქციით, მაგრამ მათ გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნაცვალსახელთა ბრუნების ისტორიის განხილვისას [იმნაიშვილი 1957: 487].

დაისმის კითხვა: ბრუნების რა ტიპებია დამახასიათებელი ნაცვალსახელისათვის ძველ ქართულში? საამისოდ პასუხი უნდა გაცეს შემდეგ კითხვებს:

- გამოიყოფა თუ არა უკუმშველი და კუმშვადი, უკვეციელი და კვეცადი ნაცვალსახელები?
- აქვს თუ არა ყველა ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ფორმები?
- განიცდიან თუ არა ცვლილებას ბრუნვის ნიშნები?
- იცვლის თუ არა ესა თუ ის ნაცვალსახელი ფუძეს ბრუნებისას?
- ნაწილაკიან ნაცვალსახელებთან ბრუნვის ნიშანი ფუძეს დაერთვის თუ ნაწილაკს?
- გამოიყოფა თუ არა ბრუნების ისეთი ტიპები, რომლებიც მხოლოდ ნაცვალსახელებისათვის არის დამახასიათებელი?

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ჩვენ გამოვყავით ნაცვალსახელთა ბრუნების 14 ტიპი.

I ტიპი — უკუმშველი ნაცვალსახელები

პირველ სახეობაში გაერთიანებულია თანხმოვანფუძიანი ნაცვალსახელები, რომელთა ფუძე არ იკუმშება და არც ბრუნვის ნიშნები განიცდიან ცვლილებას; მოეპოვებათ ნართანიათი მრავლობითი

რიცხვის ფორმებიც; შესაბამისად, ამ სახეობას ჩვენ წარმოვადგენთ, როგორც ნაცვალსახელთა ბრუნების პირველ ტიპს.

	მხ.რ.	მრ.რ.		
წრფელ.	რაოდენ	// რავდენ	_____	_____
სახ.	რაოდენ-ი	// რავდენ-ი	რაოდენ-ნ-ი	//რავდენ-ნ-ი
მოთხრ.	რაოდენ-მან	// რავდენ-მან	რაოდენ-თ-ა	//რავდენ-თ-ა
მიც.	რაოდენ-ს-ა	// რავდენ-ს-ა	რაოდენ-თ-ა	//რავდენ-თ-ა
ნათ.	რაოდენ-ის-ა	// რავდენ-ის-ა	რაოდენ-თ-ა	//რავდენ-თ-ა
მოქმ.	რაოდენ-ით-ა	// რავდენ-ით-ა	„	„
ვით.	რაოდენ-ად	// რავდენ-ად	„	„

ამ ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე შემდეგი ნაცვალსახელები: ჩვენებითი — **ესრწთი, ეგრწთი, ესეოდენი, ეგეოდენი, ესევითარი, ეგევითარი, ესემლევანი, ეგემლევანი** და სხვა.

მაგალითები: „**რაოდენი** უყავთ ერთს ამას მცირეთაგანსა ძმსა ჩემსა, იგი მე მიყავთ“ (მათე 25,40); „**რაოდენსა** ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოვებით, გეყოს თქუენ“ (მათე 21,22); „**ესე რად** მყოფ არს **ესოდენსა** ამას“ (იოანე 6,9 C); „**ვითარ** ჯელ-ეწიფების კაცსა ცოდვილსა **ესევითარისა** სასწაულისა საქმედ“ (იოანე9,16); „**ესევითარნი** სიტყუანი არა ეშმაკეულნი არიან“ (იოანე 10,21 C); „სხუასა მსგავსსა **ესემლევანსა** მრავალსა იქმნთ“ (მარკოზი 7,13 C); „**რადსამე** საქმედ კეთილისა **ეგეოდენითა** მაგით ფიცხლად მარხვითა“ (შუშან. 23,29).

აღსანიშნავია, რომ ნაცვალსახელი ესევითარი სახარების ტექსტში (იოანე და მარკოზი) შეკუმშული ფორმითაც დადასტურდა: „**ვითარ-მე** შემძლებელ არს კაცი ცოდვილი **ესევითარისა** სასწაულისა ყოფად(იოანე 9,16 C);“ „**ესევითარითა** იგავითა ეტყოდა მათ სიტყუასა(მარკოზი 4,33).

II ტიპი — კუმშვადი ნაცვალსახელები

კუმშვად ნაცვალსახელთა ჯგუფში გათვალისწინებულია ის ნაცვალსახელები, რომლებიც, ბუნებრივია, იკუმშებიან და მოეპოვებათ ნართანთან მრავლობითი რიცხვის ფორმები. ასეთებია: კითხვითი ნაცვალსახელი **რომელი** და განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ყოველი**.

	მხ.რ.		მრ.რ.	
<i>წრფელ.</i>	რომელ	ყოველ-	_____	_____
<i>სახ.</i>	რომელ-ი	ყოველ-ი	რომელ-ნი	ყოველ-ნი
<i>მოთხრ.</i>	რომელ-მან	ყოველ-მან	რომელ-თ-ა	ყოველ-თ-ა
<i>მივ.</i>	რომელ-ს-ა	ყოველ-ს-ა	რომელ-თ-ა	ყოველ-თ-ა
<i>ნათ.</i>	რომელ-ის-ა	ყოველ-ის-ა	რომელ-თ-ა	ყოველ-თ-ა
<i>მოკმ.</i>	რომელ-ით-ა	ყოველ-ით-ა	„	„
<i>კით.</i>	რომელ-ად	ყოველ-ად	„	„
<i>წოდ.</i>	_____	_____	_____	_____

მაგალითები: „**ყოვლისაგან** თესლად-თესლადისა შეიკრიბიან” (მათე 14, 47 C); „**რომლისა** მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭკნარნი და დამღირებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი” (შუშან.:24,8);

გამოვარჩევთ ერთ ნაწყვეტს „შუშანიკის წამებიდან“, რომელშიც ვხვდებით ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ფორმას ერთდროულად: „და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამს იგი განვათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით, რომელი **ყოვლითა**

ყოველთა მიმართ შემძლებელ არს და განამჴნის მამანიცა და დედა-ნიცა და თვსთა მათ თვსი იგი ძლიერების ძლევაჲ მიჴმადლის ყოველთა, რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა” (27,21).

III ტიპი — უკვეცელი ნაცვალსახელები

უკვეცელ ნაცვალსახელთა ჯგუფში გაერთიანებულია უარყოფითი ნაცვალსახელები: **ნურარაჲ, არარაჲ, ნურაჲ, ვერარაჲ**, აგრეთვე – კითხვითი ნაცვალსახელი **რაჲ**. ბრუნების თვალსაზრისით ისინი ერთგვარ ვითარებას წარმოგვიდგენენ: მათ არ მოეპოვებათ მრავლობითი რიცხვის ფორმები (რა-ნ-ი ძველ ქართულში ნაკლებად გვაქვს). სახელობით ბრუნვაში, ბუნებრივია, მათ აქვთ დაბოლოება **ჲ** (იოტი), რომელიც ასევე დასტურდება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში (ბრუნვის ნიშანთა ხმოვნით ელემენტად).

მხ.რ.

წრფელ.	რა	ვერარა
სახ.	რა-ჲ	ვერარა-ჲ
მოთხრ.	(რა-მან)	(ვერარა-მან)
მიც.	რა-ს-ა // რა-ს	ვერარა-ს-ა//ვერარა-ს
ნათ.	რა-მს-ა // რა-მს	ვერარა-მს-ა//ვერარა-მს
მოკმ.	რა-მთ-ა // რა-მთ	ვერარა-მთ-ა// ვერარა-მთ
ვით.	რა-დ	ვერარა-დ
წოდ.	_____	_____

მაგალითები: **„არარაჲ გუჴაქუს, გარნა ხუთი ჴუეზაჲ პური”** (მათე 14,17); **„ნურას უფროჲს განწესებულისა თქუენისა იქმთ“** (ლუკაჲ 13); **„რაღისა ჴელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ (შუშან. 16,11)“**; **„და ვითარცა სცეს კუერთხითა სამას ოდენ არარაჲ აღმოჴდა პირსა მისსა ვადებაჲ, არცა კუნესაი (შუშან. 20,2)“**; **„ნურარაჲ გგლიან, უტე მოკუედეს (შუშან. 21,13)“**.

IV ტიპი — კვეცადი ნაცვალსახელები

კვეცადია განსაზღვრებითი ნაცვალსახელები— **სხუა** და **თითოსახე**. მათ ნართანიანი მრავლობითი რიცხვის ფორმებიც მოეპოვებათ. სახელობითში ბრუნვის ნიშნად აქვთ *ფ* (ისევე, როგორც ყველა ხმოვანფუძიან სახელს ძველ ქართულში); ამავე ბრუნვაში (მამასადა-მე, სახელობითში) ნაცვალსახელი **თითოსახე** დაწერილობის თვალსაზრისით მეორე სახეობასაც წარმოგვიდგენს, რომელიც გამოხატულია **ფ**-ით: **თითოსახე**. რაც შეეხება ნაცვალსახელს **სხუა**, ის ნათესაობითსა და მოქმედებითში დასტურდება ორგვარი დაწერილობით: *სხუ-ის-ა//სხვსა*; *სხუ-ით-ა//სხვთა*.

	მხ.რ.		მრ.რ.	
<i>წრფელ.</i>	სხუა	თითოსახე	_____	_____
<i>სახ.</i>	სხუა-ფ	თითოსახე-ფ // თითოსახე	სხუა-ნი	თითოსახე-ნი
<i>მოთხრ.</i>	სხუა-მან	თითოსახე-მან	სუა-თ-ა	თითოსახე-თ-ა
<i>მიც.</i>	სხუა-ს-ა	თითოსახე-ს-ა	სხუა-თ-ა	თითოსახე-თ-ა
<i>ნათ.</i>	სხუ-ის-ა (//სხვსა)	თითოსახ-ის-ა	სუა-თ-ა	თითოსახე-თ-ა
<i>მოქმ.</i>	სხუ-ით-ა (//სხვთა)	თითოსახ-ით-ა	„	„
<i>ვით.</i>	სუა-დ	თითოსახე-დ	„	„
<i>წოდ.</i>	_____	_____	_____	_____

მაგალითები: „შენ მამისა შენისა საქმენი განჰყუენ და **სხუად** გარდააქციენ კეთილნი მისნი“ (შუშან. 16,18); „და რაითა **სხუად** არავინ შევიდეს ხილვად მისა — არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი“ (შუშან. 18,13); „და ეგრეთ **სხუათა** მათ აღვიღეთ გუამი იგი“ (შუშან. 27,9); „და **სხუანი**, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა“ (აბო. 46,32); „ვინამცა ჟამსა მას მოიწია სიმრავლე **თითოსახეთა** სნულთაჲ და ყოველნი განიკურნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა“ (სერაპ. 125,1)

V ტიპი — პირველი პირის ნაცვალსახელი მე

პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელი მე ცალკე ტიპს წარმოადგენს, რაკი ის მნიშვნელოვნად განსხვავდება არა მხოლოდ სხვა ჯგუფის ნაცვალსახელების, არამედ თავად პირის ნაცვალსახელთა ბრუნებისაგან. მე ნაცვალსახელი უბრუნველია და ასრულებს სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფუნქციებს, ამავდროულად თანდებულის ბრუნვებში მას ჩაენაცვლება **ჩემ-** ფუძე.

ვფიქრობთ, რომ **მე** და **ჩემ** ისევე გვიჩვენებენ ორ ფუძეს ბრუნების პარადიგმაში, როგორც მესამე პირის ნაცვალსახელი იგი, რომელსაც მოთხრობითიდან ჩაენაცვლება ფუძე — **მა-ნ** (მა-ს, მ-ის, მ-ით) იმ განსხვავებით, რომ პირველ პირთან მე გამოყენებულია უთანდებულო, ხოლო **ჩემ** — თანდებულის ფორმებთან, აგრეთვე — ვითარებითთან.

რაკი ნათესაობითი ბრუნვის ძირითადი ფუნქცია კუთვნილების გამოხატვაა, ეს ფორმა (ჩემ-) გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელების საწარმოებლად. სწორედ ფუძეზე (ჩემ) ბრუნვის ნიშანთა დართვა აქცევს მას კუთვნილებით ნაცვალსახელად (ჩემ-ი, ჩემ-მან...). ამას ისიც მოწმობს, რომ მესამე პირის იგი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მის ასევე გამოყენებულია კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძედ (მის-ი, მის-მან, მის-სა..). მაშასადამე, **ჩემ, შენ, ჩუენ, თქუენ** პირის ნაცვალსახელებია, რომლებიც ამავდროულად გამოიყენებიან კუთვნილებითი ნაცვალსახელების საწარმოებლად. მესამე პირის ნაცვალსახელის შემთხვევაში, როგორც ითქვა, ეს აშკარად ჩანს. აღსანიშნავია ისიც, რომ **ჩემ** ფუძე დასტურდება მიცემით ბრუნვაშიც თანდებულის ფორმათა გამოსახატავად.

ფუძის მონაცვლეობა თანდებულისი და უთანდებულო ვარიანტების გათვალისწინებით მხოლოდ პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის პარადიგმაში დასტურდება. ამიტომაც გამოვეყოფთ მას ცალკე ტიპად. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ მიცემით ბრუნვაში მე ნაცვალსახელის პარალელურად უნდა გავითვალისწინოთ **ჩემ** ფუძეც, რომელიც (როგორც ითქვა) თანდებულის ვარიანტებში იჩენს თავს (ჩემ ზედა).

რაც შეეხება მოქმედებით ბრუნვას, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, დადასტურდა მხოლოდ მეორე პირის მრავლობითი რიცხვის თანდებულობის ფორმა **თქუენითურთ**: „*ვეცხოვნდეთ მისთანა ძალისაგან ღმრთისა თქუენითურთ*“ (II კორ., 13,4), რაც, ბუნებრივია, გვაგარაუდებინებს, რომ ზეპირ მეტყველებაში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა. შესაბამისად, პირველი და მეორე პირის (როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვის) პარადიგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს **ჩემ, ჩუენ, შენ, თქუენ** ფუძეები თანდებულობის ვარიანტებით (ჩემ+თანდებულობითი, ჩუენ+თანდებულობითი, შენ+თანდებულობითი, თქუენ+თანდებულობითი).

ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება **ჩემად, ჩუენად, შენად, თქუენად** ფორმები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებენ მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში (სახლად ჩემად, ძმად შენად...), თუმცა გვაქვს **ჩემდა, ჩუენდა, შენდა, თქუენდა** ფორმებიც. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რომელი ბრუნვის ფორმებია ეს უკანასკნელი? – არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, **და** ფორმანტი მიმართულებითი ბრუნვის ნიშანია („ჭანურის გრამატიკული ანალიზი“). ვარლამ თოფურია (შრომების მესამე ტომი) მას ასე შლის: **დ** — ბრუნვის ნიშანი, ხოლო **ა** – მსაზღვრელი ნაწილაკი. ი. იმნაიშვილს **და** ფორმანტი თანდებულად მიაჩნია (მნიშვნელობით -თვის), რასაც ადასტურებს მესამე პირის ფორმა მისდა, აგრეთვე ოთხთავის პარალელურ რედაქციებში -თვის და და ფორმანტების მონაცვლეობა: „*თუ გნებავს იქმნენ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიადასა*“ (მათე, 17, 4), შეადარეთ: „*ექმნეთ ასე სამ ტალავარ – ერთი შენთჳს, ერთი მოსესთჳს და ერთი ელიადასთჳს*“ (მარკოზი, 9,5). აღსანიშნავია ისიც, რომ ეს **დ** შემდეგ შეეზარდა ფუძეს და მოყვანილი სამი კარვის მაგალითი ადიშურ ვერსიაში შემდეგნაირად დასტურდება: „*ექმნეთ აქა სამ ტალავარ: შენდად ერთი და მოსესა ერთი და ელისადას ერთი*“. სასულიერო პოეზიაში კი **ჩემდად** ფორმა -**მდე** თანდებულობის ვარიანტით არის წარმოდგენილი – **ჩემდადმდე** (აგრეთვე: შენდადმდე, თქუენდადმდე...). **და**-ს თანდებულად მიიჩნევენ აგრეთვე ნიკო მარი და აკაკი შანიძე.

ჩვენი აზრით, **და** ფორმანტი ვითარებითი ბრუნვის ნიშანია და ვფიქრობთ, რომ ამ ბრუნვას ძველ ქართულში მეტ-ნაკლებად დანიშნულების ფუნქციის გამოხატვაც ეკისრებოდა, რასაც ადასტურებს

ჩემდა, ჩუნდა, შენდა, თქუნდა და ჩემთვის, ჩუნთვის, შენთვის, თქუნთვის ფორმათა პარალელური გამოყენების შემთხვევები, რის გამოც, ბუნებრივია, იგი შეიძლება აღქმულ იქნეს თანდებულად, რომელიც გამოხატავს დანიშნულებას (ამიტომაც არის, რომ **და** ფორმანტი გვხვდება მესამე პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან — მისდა, როგორც თანდებული). ეს ვითარება განსაკუთრებით იჩენს თავს სწორედ პირველი და მეორე პირის ფორმებში, სახელებთან კი დანიშნულების ფუნქციას **თვის** თანდებული კისრულობს ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან, შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ პარადიგმაში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებთან უნდა მიეთითოს **ჩემ, ჩუნ, შენ** და **თქუნ** ფუძეები.

I პირი

	პირ. ნაცვ.	კუთვნ. ნაცვ.
<i>წრფელ.</i>	_____	_____
<i>სახ.</i>	მე	ჩემ-ი
<i>მოთხრ.</i>	მე	ჩემ-მან
<i>მიც.</i>	მე/ჩემ+თანდებული	ჩემ-ს
<i>ნათ.</i>	ჩემ+თანდებული	ჩემ-ის
<i>მოქმ.</i>	ჩემ+თანდებული	ჩემ-ით
<i>ვით.</i>	ჩემ-	ჩემ-ად
<i>წოდ.</i>	_____	ჩემ-ო

მაგალითები: „*მო-სამე-ვიდეთ მე და დედა შენი*“ (აბულ. 1973:227); „*დიდი ბოროტი მოწევნად არს ჩემ ზედა*“ (ცხ. იოვანესი და ეფთვიმესი. 303,33); „*სენით, ჩემ ზედა მდებარით, აღვემართე, რაჟამს მომეც მე მკურნალი, ღვთისმშობელო, ვიკსენ საცთურთაჲთ ნინოჲ მიერ ღირსისა.*“ (გალობა ნინოჲსი. 543,34); „*ამიერთგან იყავნ წმიდაჲ ჯუარი შენი საფარველ ჩემდა და შეწევნად ღირსთა ლოცვათა შენთაჲ ზღუზე ჩემდა* (ხანძთ. 138, 23,24).

VI ტიპი — ჩუენ, თქუენ, ზენ

VI ტიპად გამოყოფილია პირველი პირის მრავლობითი რიცხვისა და მეორე პირის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელები: **ჩუენ, თქუენ, ზენ**. ისინი ერთნაირად იქცევიან ამა თუ იმ ბრუნვის ფუნქციის გამოხატვისას: არც ფორმას იცვლიან და არც სხვა ფუძეს იყენებენ თანდებულებიან ფორმათა წარმოსაჩენად.

მოპოვებულ მასალაში დადასტურდა მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის თანდებულებიანი ვარიანტი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ): „*ვცხოვრდეთ მისთანა ძალისაგან ღმრთისა თქუენითურთ*“ (II კორ., 13,4), რაც პარადიგმაშიც ასახა.

	II პირი		I პირი
	მხ.რ.	მრ.რ.	მრ.რ.
სახ.	შენ	თქუენ	ჩუენ
მოთხრ.	შენ	თქუენ	ჩუენ
მიც.	შენ	თქუენ	ჩუენ
ნათ.	შენ	თქუენ	ჩუენ
მოქმ.	შენ	თქუენ	ჩუენ
ვით.	შენ-	თქუენ-	ჩუენ-
წოდ.	_____	_____	_____

მაგალითები: „**შენმცა** ხარ მისა მოწაფე“ (იოანე 9,28C); „*ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა ჩუენთა*“ (მათე 6,12); „**თქუენ** თვთ მეწამებით მე“ (იოანე 3,28); „*ვცხოვრდეთ მისთანა ძალისაგან ღმრთისა თქუენითურთ*“ (II კორ., 13,4); „**შენ მიერ** ჳსნილნი ძვრთადათ სამწყსონი შენნი, ნინოღს წმიდისა მიერ სამადლობელთა შევსწირავთ შენდა, მის მიერ განსწავლულნი, გნატრით ყოველი თესლები, ვითარცა სთქუ!“ (გალობა ნინოდისი.544,10); „*ითხოვე დაცვად საუკუნოდ ჩუენ შორის მიუდრეკელად*“ (გალობა ნინოდისი 544,39); „*ვჳმადლობ ქრისტესა, რომელი მომიძლუა საყოფლად შენდა* შვილსა შენსა და ღირს მყო მე თაყუანის-ცემად კუალსა წმიდათა ფერჳთა შენთასა გამორჩეულო ღმრთისაო!“ (ხანძთ. 138,20); „*და კმა არს ჩუენდა, და ინებენ უფალმან მოცემად ჩუენდა მადლი ესე*“ (ხანძთ. 140,9); „*რამეთუ უდაბნოთა ამათ და მათათა აღვიხილენით თუალნი ჩუენნი, ვინაჲ მოხუედ შეწევნად ჩუენდა*“ (ხანძთ. 141,36).

VII ტიპი — ესე, ეგე, იგი

VII ტიპი წარმოდგენილია ესე, ეგე, იგი¹, [ისი]² პირის ნაცვალსახელებით, რომლებიც ერთნაირად იქცევიან იმ თვალსაზრისით, რომ მოეპოვებათ ნართანაირი მრავლობითი რიცხვის ფორმები და ხასიათდებიან შემდეგი თავისებურებებით:

I. მხოლოდითი რიცხვის სახელობითში არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს;

II. მოთხრობითიდან მოყოლებული მათ სხვა ფუძე ენაცვლებათ;

III. მოთხრობითში ბრუნვის ნიშნად -ნ გამოიყოფა;

მხ.რ.

მრ.რ.

სახ.	ესე	ეგე	იგი	[ისი]	ესე-ნი	ეგე-ნი	იგი-ნი	[ისინი]
მოთხრობ.	ამა-ნ	მაგა-ნ	მა-ნ	იმა-ნ	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	მა-ს	იმა-ს	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	მ-ის	იმ-ის	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
მოქმ.	ამ-ით	მაგ-ით	მ-ით	იმ-ით	_____	_____	_____	_____
ვით.	ამა-დ	მაგა-დ	_____	იმა-დ	_____	_____	_____	_____
წოდ.	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____	_____

მაგალითები: „და წარადგინა **იგინი** წინაშე საკურთხეველსა“ (შუშან.14,35); „ამისთვის აღვსძრავთ **მას შენდა** მომართ მეოხებად ჩუენთვის“ (გალობა ნინოდსი, 542,14); „ხოლო **მან** შენ ჩუენთვის დაგმარბა“ (გალობა ნინოდსი. 543,8).

¹ იგი ნაცვალსახელს არ აქვს ვითარებითი ბრუნვა.

² ძველ ქართულში არ დასტურდება ისი და ისინი, მაგრამ გვხვდება სხვა ბრუნვის ფორმებით.

VIII ტიპი — ვინ, არავინ, ვერავინ, ნუვინ, არღარავინ, ვერღარავინ

VIII ტიპში გაერთიანებულია კითხვითი ნაცვალსახელი ვინ და უარყოფითი ნაცვალსახელები: **არავინ, ვერავინ, ნუვინ, არღარავინ, ვერღარავინ**. ისინი მხოლოდით რიცხვში მხოლოდ ორ ფორმას წარმოგვიდგენენ (**ვინ** და **ვის**; **არავინ** და **არავის**; **ნუვინ** და **ნუვის**; **არღარავინ** და **არღარავის**; **ვერღარავინ** და **ვერღარავის**; **ვერავინ** და **ვერავის**), მრავლობითი რიცხვი კი სახელობითი ბრუნვა მხოლოდითის ფორმას იმეორებს.

სახ.	მ.რ.		მ.რ.	
	ვი-ნ	არავი-ნ	ვი-ნ	არავი-ნ
მოთხრ.	ვი-ნ	არავი-ნ	ვი-ეთ//ვი-ნ	არავი-ნ
მიც.	ვი-ს	არავი-ს	ვი-ეთ//ვი-ს	არავი-ს
ნათ.	ვი-ს	არავი-ს	ვი-ეთ//ვი-ს	არავი-ს
მოქმ.	_____	_____	_____	_____
ვით.	_____	_____	_____	_____
წოდ.	_____	_____	_____	_____

მაგალითები: „**ვინ** გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მომავალისა მისგან რისხვისა?“ (მათე 3,7); „**ნუ ვის** მიჰხედავ თუალითა მრისხანითა, **ნუვის** მიაგებ ბოროტსა თავისა შენისათჳს, გარნა ღმრთისათჳს“ (ბალაჰვ.278, 37,38).

IX ტიპი — ნაწილაკიანი ნაცვალსახელები I

მეცხრე ტიპში წარმოდგენილია მიმართებითი ნაცვალსახელები: **ვინ-ცა, ვინ-ესე, ვინ-ეგე, ვინ-იგი, ვინ-ცა-იგი** და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **ვინმე**, მაშასადამე, იმ ტიპის ნაწილაკიანი ნაცვალსახელები, რომელთა პირველი ნაწილი (უნაწილაკო კომპონენტი) **ვინ** ნაცვალსახელია. ისინი ერთგვარად იქცევიან ბრუნების თვალსაზრისი; უნაწილაკო ფუძე იბრუნვის ისე, როგორც ცალკე აღებული **ვინ** კითხვითი ნაცვალსახელი; მოეპოვებათ ნართანიანი მრავლობითის ფორმებიც.

	მხ.რ.		მრ.რ.	
სახ.	ვინ-მე	ვინ-ცა	ვინ-მე	ვინ-ცა
მოთხრ.	ვინ-მე	ვინ-ცა	ვი-ეთ-მე	ვი-ეთ-ცა
მიც.	ვი-ს-მე	ვის-ცა	ვი-ეთ-მე	ვი-ეთ-ცა
ნათ.	ვი-ს-მე	ვის-ცა	ვი-ეთ-მე	ვი-ეთ-ცა
მოქმ.	_____	_____	_____	_____
ვით.	_____	_____	_____	_____
წოდ.	_____	_____	_____	_____

	მხ.რ.	მრ.რ.
სახ.	ვინ-იგი	ვინ-იგი
მოთხრ.	ვინ-იგი	ვი-ეთ-იგი
მიც.	ვი-ს-იგი	ვი-ეთ-იგი
ნათ.	ვი-ს-იგი	ვი-ეთ-იგი
მოქმ.	_____	_____
ვით.	_____	_____
წოდ.	_____	_____

	მხ.რ.	მრ.რ.
სახ.	ვინ-ცა-იგი	ვინ-ცა-იგი
მოთხრ.	ვინ-ცა-იგი	ვი-ეთ-ცა-იგი
მიც.	ვი-ს-ცა-იგი	ვი-ეთ-ცა-იგი
ნათ.	ვი-ს-ცა-იგი	ვი-ეთ-ცა-იგი
მოქმ.	_____	_____
ვით.	_____	_____
წოდ.	_____	_____

შენიშვნა: ძველ ქართულში დასტურდება ვიეთნიმე ვარიანტიც („ზოგნი, ზოგიერთები“), რომელიც მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში **ვიეთამე** ფორმით წარმოგვიდგება.

მაგალითები: „რომლისათვისცა წარვიდეს კერძოთა პონტოდსათა უდაბნოთა ადგილთა და მიემთხვნეს მამასახლისსა **ვისმე** სულიერსა“ (ცხ. იოვანესი და ეფთვიმესი.305,4); „უკუეთუ **ვინმე** იპოვოს მშლელი განგებასა მამისა ეფთვმისსა“ (ცხ. იოვანესი და ეფთვიმესი. 305,37); „და უკუეთუ **ვიეთმე** ძმათა სწადოდის ყოფად ხანცთელთა შატბერდს, გინა თუ შატბერდელთა ხანცთას, ნუ ვისმცა ჯელ-ქიფების არა შეწყნარებად მათი, გინათუ შფოთით განზრახვისა მათისა დაშლად და მძლავრებით დაყენებად თვნიერ სამართალისა რადსამე მიზეზისა“ (ხანძთ. 213,5).

X ტიპი— ნაწილაკიანი ნაცვალსახელები II

მეათე ტიპი მოიცავს **რა** ფუძის შემცველ ნაწილაკიან ნაცვალსახელებს. ასეთებია მიმართებითი **რად-ცა**, **რად-ესე**, **რად-ეგე**, **რად-იგი**, **რად-ცა-იგი** და განუსაზღვრელობითი **რადმე**. როგორც ზემოთ ითქვა, რად ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ფორმები ძველ ქართულში ნაკლებად უდასტურდება.

მხ.რ.

სახ.	რა-მე	რად-ცა
მოთხრ.	რა-მან-მე	რა-მან-ცა
მიც.	რა-ს-ა-მე//რა-ს-მე	რა-ს-ა-ცა//რა-ს-ცა
ნათ.	რა-მს-ა-მე//რა-მს-მე	რა-მს-ა-ცა//რა-მს-ცა
მოქმ.	_____	_____
ვით.	_____	_____
წოდ.	_____	_____

მაგალითები: „კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრული იყო კითხვად **რადსმე** სიტყვსა“ (შუშან.15,5,6); „არა ჯერ-არს, თუმცა უცხად შე-**რადმე**-გამთხვე, რამეთუ ჭურჭელი ჩემი ეგრეთ არს, ვითარცა გაუწყა მზარდულმან“ (ბალაჰვ.240,2).

XI ტიპი— ნაწილაკიანი ნაცვალსახელები III

მეთერთმეტე ტიპში წარმოდგენილია **რაოდენ (რავდენ)** ფუძის შემცველი ნაწილაკიანი ნაცვალსახელები. ესენია — განუსაზღვრელობითი **რაოდენიმე (რავდენიმე)** და მიმართებითი **რაოდენ-რად**. (რაოდენ-ესე, რაოდენ-ეგე, რაოდენ-იგი ჩვენს მასალაში ვერ დავადასტურეთ, თუმცა მუშაობას ვაგრძელებთ).

	მხ.რ.		მრ.რ.	
<i>წრფელ.</i>	_____	რაოდენ-რად	_____	_____
<i>საბ.</i>	რაოდენ-ი-მე	_____	რაოდენ-ნ-ი-მე	რაოდენ-ნ-ი-რად
<i>მოთხრ.</i>	რაოდენ-მან-მე	რაოდენ-მან-რად	რაოდენ-თ-ა-მე	რაოდენ-თ-ა-რად
<i>მიც.</i>	რაოდენ-ს-ა-მე	რაოდენ-ს-ა-რად	რაოდენ-თ-ა-მე	რაოდენ-თ-ა-რად
<i>ნათ.</i>	რაოდენ-ის-ა-მე	რაოდენ-ის-ა-რად	რაოდენ-თ-ა-მე	რაოდენ-თ-ა-რად
<i>მოკმ.</i>	რაოდენ-ით-ა-მე	რაოდენ-ით-ა-რად	_____	_____
<i>ვით.</i>	_____	_____	_____	_____
<i>წოდ.</i>	_____	_____	_____	_____

XII ტიპი — ნაწილაკი ნაცვალსახელები IV

მეთორმეტე ტიპში გაერთიანებულია რომელ ფუძის შემცველი ნაწილაკიანი ნაცვალსახელები. ასეთებია: მიმართებითი **რომელი-ცა, რომელი-ესე, რომელი-ეგე, რომელი-იგი, რომელი-ცა-იგი, რომელ-რად** და განუსაზღვრელობითი **რომელიმე**. ბუნებრივია, **რომელ** ფუძე იკუმშება. ყველას მოეპოვება ნართანიანი მრავლობითი რიცხვის ფორმები.

სახ.	რომელ-ი-მე	რომელ-ი-ცა	რომელ-ნ-ი-მე	რომელ-ნ-ი-ცა
მოთხ რ.	რომელ-მან-მე	რომელ-მან-ცა	რომელ-თ-ა-მე	რომელ-თ-ა-ცა
მიც.	რომელ-ს-ა-მე	რომელ-ს-ა-ცა	რომელ-თ-ა-მე	რომელ-თ-ა-ცა
ნათ.	რომელ-ის-ა-მე	რომელ-ის-(ა)-ცა	რომელ-თ-ა-მე	რომელ-თ-ა-ცა
მოქმ. ვით.	რომელ-ით-ა-მე	რომელ-ით-(ა)-ცა	_____	_____
წოდ	რომელ-ად-მე	_____	_____	_____
	_____	_____	_____	_____

მაგალითები: „ხოლო ესეცა უწყოდე, რამეთუ **რომელნიმე** ოდეს იშვნენ, მაშინვე წარიტაცებს სიკუდილი, და **რომელთამე** – მცირედ რად აღიზარდნენ, და ზოგთად — რად მოვიდენ“ (ბალაჰვ.238.7,8); „გამოვიდა მთესვარი და იწყო თესვად. და **რომელიმე** დავარდა გზასა ზედა, მფრინველთა აღიტაცეს; და **რომელიმე** – კლდესა ზედა, რომელსა მიწად არა იყო, და აღმოსცენდა და განჴმა, რამეთუ ძირნი არა დაებნეს“ (ბალაჰვ. 242.13,14). „**რომელთა-იგი** სძინავნ, ღამე სძინავნ, და **რომელნი-იგი** დაითრვნიან, ღამე დაითრვნიან“ (შანიძე 1976:48); „ქუეყანად ეგე, **რომელსა** შინა-ეგე გძინავს, შენ მიგვე“ (შანიძე 1976:49); „**რომელსა-იგი** თვთოეული მათი ჴმა-მაღლად ქადაგებს და ღმერთსა ცათა შინა აღუწერიეს“! (ცხ. იოვანესი და ეფთვიმესი.303,9); „**რომელმან-იგი** ღმრთისათვს დაუტევა“ (ცხ. იოვანესი და ეფთვიმესი. 304,29); „ყოვლითა სამკაულითა განშუენებული, **რომელი** ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებლად სულთა მრავალთა, რომელსა შინა აღჴმართნეს ეკლესიანი ცათა მოზამავნი“ (ცხ. იოვანესი და ეფთვიმესი 293,35,36).

XIII ტიპი — თავადი, კაცად-კაცადი

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი თავადი დასტურდება მხოლოდ სამ ბრუნვაში: სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცემითში: თავად-ი, თავად-მან, თავად-ს-ა: „**ეგე თავადი არს ელია**“ (მათე, 11, 14 C); „**მაშინ თავადიცა იესუ აღვიდა დღესასწაულსა მას**“ (იოანე, 7, 10); „**თავადმან მიუგო და ჰრქვა მას**“ (მათე, 4, 4); „**თავადსა იოანეს ემოსა სამოსლად მისა სტევისაგან აქლემისა**“ (მათე, 3, 4).

ანალოგიური ვითარება გვაქვს **კაცად-კაცადი** ნაცვალსახელის შემთხვევაშიც. ის ტექსტებში დადასტურდა სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმებით: „**წარვიდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცადი თვისსა ქალაქსა**“ (ლუკა, 2, 3); „**უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან მოყვასსა თვისსა**“ (მათე 18, 35); „**მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ**“ (მათე, 16, 24).

დასახელებული ნაცვალსახელები უკუმშველთა ტიპს განეკუთვნება, მაგრამ ცალკე გამოყავით იმის გამო, რომ მათ მხოლოდ სამი ბრუნვა მოეპოვება (მოპოვებული მასალის გათვალისწინებით).

XIV ტიპი — ერთიერთი, ურთიერთას

ერთიერთი და **ურთიერთას** ურთიერთობითი ნაცვალსახელებია. **ერთიერთი** თითქმის ყოველთვის მიცემითსა და ნათესაობითში დასტურდება: **ერთიერთსა, ერთიერთისა**. რაც შეეხება **ურთიერთას** ფორმას, ის მხოლოდ მიცემითში გვაქვს.

მეათე საუკუნიდან უკვე ჩნდება ნაცვალსახელი **ერთმანერთი**.

მაგალითები: „**მოვედით, შვილნო, ხანცთისა მკვდრთა თანა, ძმათა თქუნთა, და ნებად ურთიერთას შეზავეთ, რამეთუ შფოთი ივლტის ბრძენთაგან, და ერთობით უმჯობესი დაამტკიცეთ**“ (ხაძთ. 212, 23); „**აწ თქუნცა დაიმარხენით უფლისა ბრძანებანი ერთმანერთისა პატივითა და სიყვარულითა ყოვლისა თანა სათნოებისა, სიმდაბლითა უეჭუელითა, და წმიდათა შინა ეკლესიათა თქუნთა ურთიერთას ულოცევდით** (ხაძთ. 213, 2).

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ძველ ქართულში დასტურდება ნაცვალსახელთა ბრუნების თოთხმეტი ტიპი. თითოეული მათგანი გარკვეული ნიშნით (ან ნიშნებით) განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან.

1. ფუძეუკუმშველი (რაოდენი...);
2. ფუძეუკუმშვადი (რომელი...);
3. ფუძეუკვეციელი (რაა...);
4. ფუძეუკვეცადი (სხუა...);
5. პირველი პირის ნაცვალსახელი მე;
6. ჩუენ, შენ, თქუნ;
7. ესე, ეგე, იგი;
8. ვინ, არავინ, ვერავინ, ნუვინ, არღარავინ, ვერღარავინ;
9. ნაწილაკიანი ნაცვალსახელები I (ვინმე, ვინ-ესე...);
10. ნაწილაკიანი ნაცვალსახელები II (რამმე, რამ-ესე...);
11. ნაწილაკიანი ნაცვალსახელები III (რაოდენიმე, რაოდენ-რაა...);
12. ნაწილაკიანი ნაცვალსახელები IV (რომელიმე, რომელი-ესე...);
13. თავადი, კაცად-კაცადი;
14. ერთიერთი, ურთიერთას.

ლიტერატურა

ვაშაკიძე 2018 – თ. ვაშაკიძე, მე ნაცვალსახელის პარადიგმისათვის თანამედროვე ქართულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXIX, თბილისი.

იმნაიშვილი 1975 – ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

კვაჭაძე 2018 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

სარჯველაძე 1997 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

ყუბანეიშვილი 1960 – ს. ყუბანეიშვილი, ჩვენი საუნჯე, ძველი მწერლობა, ტომი I, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტომი III, თბილისი.

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

ჩიქობავა 1973 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

მარიამ ტეფნაძე

შინაარსობრივად შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული მასმედის ენაში

თანამედროვე ქართულში ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ სახის ენობრივ დარღვევას, მათ შორის, შეუსაბამო სიტყვათშეხამებებს. კერძოდ, აღსანიშნავია სიტყვის შერჩევის თვალსაზრისით პრესაში დადასტურებული არაერთი უმართებულო ფორმა. უპირველესად ეს გამოწვეულია არასრული განათლებით. გარდა ამისა, ფრაზის ავტორისთვის უცნობია სინტაგმის რომელიმე წევრის ზუსტი მნიშვნელობა ან უბრალოდ ცდილობს წინადადება უფრო წიგნური გახადოს, გაალამაზოს, გაამხატვრულოს ნათქვამი. შედეგად კი მხოლოდ გაუგებარი და აზრობრივად შეცვლილი წინადადება გვაქვს [ზურაბიშვილი, კალაძე 1980: 55].

დარღვევები სხვადასხვა ხასიათისაა: ზოგჯერ ფრაზეოლოგიზმში უმართებულოდ არის შეცვლილი რომელიმე წევრი, ხან სხვადასხვა გამონათქვამთა კონტამინაცია გვაქვს, ზოგჯერ კი ფრაზის ავტორს თვითონ უცდია ახალი სიტყვათშეხამების შექმნა, როგორც ჩანს, უფრო ძლიერი ემოციის გამოსაწვევად, მეტი ეფექტის მოსახდენად [ზურაბიშვილი, კალაძე 1980: 55].

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენაში არ შეიძლება რომელიმე სიტყვა ნებისმიერ სხვა სიტყვას დავუკავშიროთ. ყოველ სიტყვას აქვს თავისი ადგილი ტრადიციულ სიტყვათშეხამებაში და სწორედ ეს მზა ფორმები უნდა გამოიყენოს სალიტერატურო ენის მომხმარებელმა. თუ სიტყვებს ერთმანეთთან არაბუნებრივი კონტექსტით დავაკავშირებთ, ის სრულიად უჩვეულო იქნება გასააზრებლად.

ფრაზეოლოგიზმებისა და მყარ გამონათქვამთა გამოყენება გამომსახველსა და მოქნილს ხდის პრესის ენას, მაგრამ, როდესაც ამგვარ გამონათქვამებში შეცდომებია დაშვებული, მაშინ ისინი კარგავენ თავიანთ ღირებულებას და ზიანს აყენებენ ფრაზას.

ჩვენ ყურადღება გვაგამახვილეთ ზოგიერთ მათგანზე. ქართულში გვაქვს ასეთი ფრაზეოლოგიზმი: ერთ ყურში შეუშვა, მეორე-

დან გამოუშვა, რაც ნიშნავს შემდეგს: ნათქვამს ყურადღებას არ აქცევს, ანგარიშს არ უწევს. ამ ფრაზეოლოგიური გამოთქმის ნაცვლად ამავე მნიშვნელობით უხმარიათ: ერთი ყურით მოისმინა, **მეორეთი კი დაივიწყა**. ეს ფრაზა უვარგისია არა მარტო გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც, რადგან მისი მეორე ნაწილი „მეორეთი კი დაივიწყა“ აზრობრივად გაუმართლებელია.

ასევე გვაქვს შემდეგი სახის ფრაზეოლოგიზმი: **ნირის შეშლა, ნირის შეცვლა, ნირის გატეხა**, სადაც **ნირი** აღნიშნავს წესს, რიგს, გეხს, მსვლელობას, ზნეს, ჩვევას, ხასითს. ზოგჯერ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა არ არის ცნობილი და ამიტომ მყარ გამონათქვამში უმართებულოდ ცვლიან სინტაგმის ერთ-ერთ წევრს, მაგალითად:

„ცხოვრების ნირის დაქვეითებას არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდა თაობის... ფსიქიკაზე“ [ზურაბიშვილი, კალაძე 1980: 56].

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვათშეხამებაა **კვალი დატოვა** და **კვალი გაავლო**, ხოლო მისი უარყოფითი ფორმით გვხვდება „**დალი დაასვა**“. დღევანდელ ქართულში კი ამ ორ სიტყვათშეხამებას არასწორად უკავშირებენ ერთმანეთს: „ამ მიზეზებმა წარუშლელი **კვალი დაასვა** მერმინდელი საუკუნეების პროზას“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ამ სიტყვათშეხამების სწორი დაწერილობაც დასტურდება: „რუსეთმა ნამდვილად წარუშლელი **კვალი დატოვა** თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში“; „ომმა, რომელმაც სამუდამო **დალი დაასვა** სამშობლოს.“

დადასტურდა ასეთი შინაარსის წინადადება: „საავადმყოფოს გამოცდილი ექიმებიც კი შეკრთნენ და აღარ იცოდნენ, რა **გზას სწვოდნენ**“. ქართულში არსებობს ორი ასეთი ფიგურალური გამოთქმა – **ზედს ეწევა** და **გზას დაადგება**. მოყვანილი მაგალითი ამ ფიგურალური გამოთქმების კონტამინაციის შედეგი ჩანს და უმართებულოა. უნდა ყოფილიყო: **აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ**.

მსგავსი შემთხვევები თანამედროვე პრესის ენაში არცთუ იშვიათია [ზურაბიშვილი, კალაძე 1980].

მსაზღვრელი წინადადებაში ერთ-ერთი ამხსნელი სიტყვაა. ის ყოველთვის დაკავშირებულია წინადადების რომელიმე სიტყვასთან და ახასიათებს მას რაიმე ნიშნისა თუ თვისების თვალსაზრისით, მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ საგანს მისთვის შეუფერებელი ნებისმიერი ნიშანი ან თვისება მივაწეროთ. მიზეზი იმისა,

რომ მსაზღვრელი ისეთ ნიშანზე ან თვისებაზე მიუთითებს, რომელიც მასთან დაკავშირებულ საგანს ან მოვლენას არასდროს არ ახასიათებს, არის:

1. უმეტესწილად არ არის სწორად გაგებულ სინტაგმის რომელიმე წევრის ზუსტი მნიშვნელობა.
2. რამდენიმე შესაძლებელი სინონიმისაგან ამა თუ იმ საგნისათვის მართებულად ვერაა შერჩეული მსაზღვრელი სახელი.
3. არის ცდა „გაალამაზონ“, „მხატვრული“ გახადონ ფრაზა და ამ მიზნით იყენებენ მაღალფარდოვან, ემოციურად დატვირთულ, მაგრამ მოცემული კონტექსტისათვის მნიშვნელობის მხრივ შეუფერებენ სიტყვას [ზურაბიშვილი, კალაძე 1980].

მაგალითად, ზედსართავი სახელი **მაღალი** ამ ბოლო დროს მოხმარების არის თვალსაზრისით დიდად გაფართოვდა, რის გამოც ზოგიერთ შესიტყვებაში ლექსიკურ შტამპადაც კი იქცა – დაკარგა თავისი ძირითადი დანიშნულება და ადრინდელი გამომსახველობა. ამას გარდა, ის ისეთ სინტაგმაშიც მოჰყვა, სადაც მისი არსებობა ყოველად გაუმართლებელია. წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს: „**მაღალი სისუფთავის** პრობლემა ტექნიკაში“; „უნდა ვუსურვოთ ყველას,... ვისაც კი უყვარს ხელოვნება, პატივი სცენ ამ მშვენიერ ნივთებს და განიცადონ ისეთივე **მაღალი ტკბობა**, როგორიც განვიცადე მე“; „ისინი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ოლქის მეომართა **მაღალი გაწვრთნილობის** დისციპლინის... მაჩვენებელია“; „ასეთი **მაღალი გამოხმაურება** საქართველოდან ჩვენთვის მეტად ძვირფასია“ და მისთ.

თითოეულ წინადადებაში **მაღალი** უადგილოდაა გამოყენებული. მის მაგივრად უნდა იყოს **დიდი**, **უხვი**, **კარგი**, **საპატიო** ან რაიმე სხვა განსაზღვრება. ზოგჯერ აზრის სხვაგვარად გადმოცემაც კია საჭირო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზედსართავები **მაღალი** და **დიდი** განსაკუთრებით ხშირადაა ადრეული ერთმანეთში. ამ მოვლენის ახსნისას, ალბათ, რუსული ენის გავლენას ვერ გამოვრიცხავთ. რასაკვირველია, მოსავალი უნდა იყოს **კარგი**, **ცუდი**, **დიდი**, **უხვი**... მაგრამ არავითარ შემთხვევაში **მაღალი** ან **მყარი**. სამწუხაროდ, ჩვენი პრესის ფურცლებზე ხშირად შევხვდებით უმართებულო შინაარსით გამოყენებულ ამ ზედსართავ სახელებს.

„საფუძველს უყრიან უხვ და **მყარ მოსავალს**“; „მეუღლესთან ერთად წელს **მაღალი მოსავალი მოვიყვანე**“; „მაყვლის **მაღალი მოსავალი** ნაყოფიერ, ჰუმუსივით მდიდარ ნიადაგზე მიიღება“ და მისთ [ზურაბიშვილი, კალაძე 1980].

სიტყვა **მაღალი** შეგვხვდა **ტემბთანაც**: „სვანეთში ელექტროენერჯის მოხმარება **მაღალი ტემპით** იზრდება...“ თუმცა **ტემპი** შეიძლება იყოს **ჩქარი, აჩქარებული, ნელი, შენელებული** და არა მაღალი ან დაბალი, მითუმეტეს გაქანებული. ამიტომაც სწორი იქნება – **ჩქარი ტემპით** იზრდება.

ქართულში, ისე როგორც სხვა ენებში, სიტყვას უმრავლეს შემთხვევაში რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. კარგი მოქართულე ვალდებულია გაითვალისწინოს ენის ეს მხარე და სინტაგმა ისე შეადგინოს, რომ ერთმანეთს დაუკავშირდეს ყველა სხვა შესაძლებელ ვარიანტთაგან უფრო შესაფერისი სიტყვები. როგორც ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, ამის გათვალისწინება ყოველთვის ვერ ხერხდება და შედეგად ვიღებთ ორი სიტყვის აზრობრივი შეუთავსებლობის არაერთ შემთხვევას.

თანამედროვე ქართული პრესის ენაში ენობრივ დარღვევათა მოზრდილ ჯგუფს ქმნის შესიტყვებები, რომლებშიც მონაწილეობს შემასმენელი და ვითარების გარემოება.

როგორც ცნობილია, ვითარების გარემოების დანიშნულებაა წინადადებაში დაახასიათოს ზმნის მოქმედება. ვითარების გარემოებების გამოყენებისას პრესის ენაში იმგვარივე შეუსაბამოებები გვხვდება, როგორც გვექონდა მსაზღვრელიან სინტაგმაში, ოღონდ, თუ პირველ შემთხვევაში მსაზღვრელის მნიშვნელობა არ იყო ბუნებრივი საზღვრულით აღნიშნული საგნის დასახასიათებლად, ამ შემთხვევაში ვითარების გარემოებით გადმოცემული შინაარსი არ შეიძლება მიესადაგოს შემასმენლით ნაგულისხმევ მოქმედებას.

მაგალითად: „შავხალათიანი **გულადმა დამხოხილიყო**“. აღნიშნული სიტყვათშეხამება უმართებულოა, რადგან **გულადმა** ნიშნავს პირით ზევით, ხოლო **დამხოხა** – პირით ქვევით, ამიტომ ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს ვერ დავაკავშირებთ. უნდა იყოს **გულადმა დაწოლილი** ან **პირქვე დამხოხილი**.

ამგვარი ტიპის შეცდომაა, როდესაც ვამბობთ – **გატარდეს** საჭირო **ზომები**... მართებული იქნებოდა: მიიღონ **ზომები**, მიიღეს **ზომები**, იღებენ **ზომებს**, ვინაიდან არსებით სახელთან **ზომები** მისაღები

ზმნაა **იღებს**. არცთუ იშვიათად გვხვდება ამგვარი ფორმები. მაგალითად, „ევროპის ქვეყნებში განსხვავებული აზრი აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა **ზომები უნდა გატარდეს** საემიგრაციო კრიზისის მოსაგვარებლად“. შევნიშნავთ, რომ შეუსაბამოთა გვერდით მასმედი-აში დასტურდება მართებული ვარიანტებიც: „პოლიციელების აზრით უფრო მკაცრი **ზომების მიღება** იყო საჭირო“; „ეროვნულმა ბანკ-მა სათანადო **ზომების მიღება** დაიწყო.“

აღსანიშნავია ერთი გარემოება **ჩამო-** ზმნისწინთან დაკავშირებითაც – თანამედროვე ქართულში ძალიან ხშირად ისმის (და იწერება კიდევც): **ჩამოვყალიბდეთ, ჩამოვყალიბდებით, ჩამოყალიბდით** და ა. შ. **ჩამო-** პრევერბი დასახელებულ ზმნაში სავსებით ბუნებრივია, თუ ვამბობთ: **ჩამოვყალიბდეთ კარგ სპორტსმენებად/მსახიობებად** და სხვ., მაგრამ როცა აზრის ჩამოყალიბებაზეა საუბარი, მაშინ უნდა ვთქვათ და ვწეროთ: **ჩამოვყალიბოთ აზრი** ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით (და არა: ჩამოვყალიბდეთ) [მაღრაძე 2018: 73].

როგორც ვხედავთ, ყოველივე ზემოთქმული მეტად აქტუალური პრობლემაა და ამისათვის საჭიროა მედიის წარმომადგენლებმა, საჯარო მოხელეებმა, ზოგადად, საზოგადოებამ იცოდეს შესიტყვებების სწორად გამოყენების წესები, მართებული ფორმები.

პრესის ენასაც, ისევე როგორც მხატვრული ნაწარმოების ენას, გამომხატველსა და ემოციურს ხდის, მოქნილობას მატებს ფრაზეოლოგიზმების, იდიომებისა და გამონათქვამების გამოყენება, მაგრამ მათ განსაკუთრებული სიფრთხილით სჭირდება მოპყრობა. ენის მიერ ტრადიციულად უკვე შესისხლხორცებული ამგვარი სიტყვათშეხამების დარღვევას სალიტერატურო ენა ვერ იგუებს.

ლიტერატურა

მაღრაძე 2018 – ვ. მაღრაძე, ჩა- და ჩამო- ზმნისწინთა გამოყენებისათვის თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მე-18, თბილისი.

ზურაბიშვილი, კალაძე 1980 – თ. ზურაბიშვილი, ც. კალაძე, მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი ქართული პრესის ენაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მე-3, თბილისი.

მარიამ ტეფნაძე

გრამატიკის საკითხები ძველ ქართულ ნათარგმნ და ორიგინალურ თხზულებებში

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ევროპული გრამატიკული აზროვნება ანტიკურ-ბიზანტიურ გრამატიკულ აზროვნებას ეფუძნება. თანამედროვე ინგლისელი მკვლევარი რობინსი ასე აფასებს დიონისე თრაკიელის გრამატიკას: „დღეს არ არსებობს ინგლისური ენის გრამატიკა, რომელშიც დიონისე თრაკიელი არ ჩანდეს“. ევროპა ანტიკურ-ბიზანტიურ გრამატიკულ აზროვნებას, დიონისე თრაკიელის გრამატიკასა თუ მის კომენტარებს ლათინური თარგმანებით გაეცნო.

გასაკვირია, მაგრამ მე-20 საუკუნის თითქმის ბოლომდე საქართველოში არსებობდა მოსაზრება, რომ ქართველებმა პირველი გრამატიკა მე-18 საუკუნეში სომხურიდან თარგმნეს. გასაკვირია, რადგან ქართული მთარგმნელობითი სკოლა წარმოუდგენელია განვითარებულიყო იმ გრამატიკული თეორიების გარეშე, რომლებსაც მთელი იმდროინდელი ანტიკურ-ბიზანტიური ფილოლოგიური კვლევები ეყრდნობოდა. შეუძლებელი და დაუჯერებელია, რომ ბიზანტიურ კულტურას უშუალოდ ნაზიარებ ქართველ მთარგმნელებს არ სცოდნოდათ ამ ფილოლოგიური კვლევების საფუძველი – იმდროისათვის უმნიშვნელოვანესი გრამატიკული თეორიები.

თუმცა, სამწუხაროდ, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე არ არსებობდა რამე დოკუმენტური ცნობა, რომელიც ამ აზრს უარყოფდა. მწირი იყო ცოდნა ასევე ანტიკურ-ბიზანტიური ენობრივი თეორიებისა, რაც განაპირობებდა მცდარი თვალსაზრისების გავრცელებას ქართულ მეცნიერებაში, მაგალითად, ის, რომ ძველი ბერძნები ასოსა და ბგერას ვერ ასხვავებდნენ, მათ არ ესმოდათ ფონეტიკის საკითხები და სხვა, თუმცა დღეს ბევრი რამ შეიცვალა: არსებობს ანტიკურ-ბიზანტიური ტექსტების ქართული თარგმანები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს უშუალოდ გავეცნოთ ამ ეპოქის გრამატიკულ აზროვნებას. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია აკადემიკოს მზექალა

შანიძის მიერ 1990 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „სიტყუად ართრონთათვის“ – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი“. მეთერთმეტე საუკუნის ქართულმა ორიგინალურმა თხზულებამ „სიტყუად ართრონთათვის“ უტყუარად დაასაბუთა ის, რომ XI-XII საუკუნეების ქართველი მთარგმნელები ზედმიწევნით იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკულ აზროვნებას და ამ თვალთა აკვირდებოდნენ და მსჯელობდნენ ქართული ენის თავისებურებებზე.

რა საკითხები ჩანს ამ ეტაპზე ცნობილ ქართულ ორიგინალურ გრამატიკულ თხზულებასა თუ სხვადასხვა სასულიერო ტექსტთა თარგმანებში გამოვლენილ გრამატიკული ხასიათის მინაწერებში, ეგრეთ წოდებულ „შეისწავებებში“?

უპირველესად მნიშვნელოვანია ის, რომ სიმონ ყაუხჩიშვილმა მეათე საუკუნის „მატბერდის სასწავლო წიგნში“ გამოავლინა დიონისე თრაკიელის გრამატიკის სქოლიოს ქართული თარგმანი, რომელიც ასონიშნებსა და ბგერებს, ანუ ასოსტიქიონებს ეხება [ქაროსანიძე 2017: 98].

აქვე შევნიშნავთ იმას, რომ ძველი ქართველი გრამატიკოსები ასონიშნებსა და ბგერებზე საუბრისას მთლიანად ეყრდნობიან ანტიკურ-ბიზანტიურ თეორიებს. ცნება სტოიხეიონისა, ანუ სტიქიონისა, უპირველესად ფილოსოფოსთა მსჯელობებში ჩნდება: სამყარო და სამყაროში არსებული ყველა საგანი სტიქიონებისგან, ანუ უმცირესი ნაწილაკებისგან შედგება, თანმიმდევრობა ქმნის კოსმოსს, ანუ წესრიგს. არისტოტელესთან ეს მსჯელობა მეტყველებასაც შეეხო და ასე ჩამოყალიბდა მეტყველების კოსმოსი: სტიქიონები ქმნიან მარცვლებს, მარცვლები – სიტყვებს, სიტყვები – წინადადებებს და პირიქით. მეტყველების ამ კოსმოსში ასოსტიქიონი ეწოდება ბგერას მნიშვნელობის მქონე სიტყვაში, ცალკე აღებული კი მხოლოდ ასონიშანია. ბგერის ანტიკურ-ბიზანტიური გააზრება ჩანს თითქმის ყველა ქართველ გრამატიკოსთან მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე. ასე განმარტავს ბგერას სულხან-საბა ორბელიანი, ასე ესმის ასონიშანი და ბგერა ანტონ კათალიკოსსაც. შესაბამისად, ძველ ქართველ გრამატიკოსთა ნააზრევის სწორად გასააზრებლად უმნიშვნელოვანესია ამ ნააზრევის საფუძვლის, ბერძნული პირველწყაროების ცოდნა.

ბერძნული კლასიკური ფონეტიკური თეორიის გავლენას ხედავს აკადემიკოსი თ. გამყრელიძე წიგნში „წერის ანბანური სისტემა

და ძველი ქართული დამწერლობა“. ვ. ბოედერის აზრით, – წერს ავტორი – „სპეციფიკურ“ ქართულ თანხმოვანთა ამგვარ დალაგებაში შესაძლებელია ასახული იყოს კლასიკური ბერძნული ფონეტიკური თეორია, რომლის ცოდნა ივარაუდება ბერძნული განათლების მქონე ქართული ანბანის შემქმნელის მიერ. ქართულ ანბანში ბერძნული „ყრუ ხმულები“, „ყრუ ფშვინვიერები“ და „მჟღერები“ გაიგივებულია შესაბამისად ქართულ გლოტალიზებულ (პ ტ კ), ყრუ ფშვინვიერ (ფ თ ქ) და მჟღერ (ბ დ გ) თანხმოვნებთან. ამის შესაბამისად ქართული მჟღერი თანხმოვანი „ძ“ აღიქმება, როგორც „შუათანა“ ფშვინვიერი (ჩ ც) და მკვეთრი (წ ჭ) თანხმოვნების მიმართ, რაც სათანადოდ აისახება ანბანში „ძ“ თანხმოვნის მთელი ამ ჯგუფის ცენტრში მოქცევით.

ეს იმას ნიშნავს, რომ დიონისიოს თრაკიელის გრამატიკას ჩვენში იცნობდნენ არა X საუკუნეში, არამედ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული ანბანის საბოლოო სახე ყალიბდებოდა [ქაროსანიძე 2017: 98].

ეგრემ მცირე, არსენ იყალთოელი თუ სხვები „შეისწავებში“ მსჯელობენ **რიცხვის შესახებ**. ქართველი მთარგმნელები შენიშნავენ იმას, რომ ქართულ ენას, ბერძნულისაგან განსხვავებით, არა აქვს ორობითი რიცხვი. ძველ ქართულ ტექტებში დასტურდება რიცხვის აღმნიშვნელი ტერმინები: **მხოლობითი** ან **ერთობითი**, **მრავლობითი** ან **სამრავლო** და **ორობითი**. ცნობილია, რომ მეთერთმეტე საუკუნეში უკვე გვაქვს ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართული თარგმანები. ამონიოს ერმისის ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მოღვაწე ფილოლოგია, არისტოტელეს თხზულებათა ცნობილი კომენტატორი [ქაროსანიძე 2017: 102].

საინტერესოა მსჯელობა **ბრუნვების შესახებ**:

ადვილობითი

ძველ ქართულ წყაროებში პირველი ბრუნვისთითის დადასტურებულია შემდეგი ტერმინები: ადვილობითი („სიტყუაჲ ართრონთათვის“), ევთია და ორთი (ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში), საწრფელო – ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში, წრფელობითი და სახელობითი – ანტონ I-ის გრამატიკაში.

საინტერესოა ტერმინი ადვილობითი, რომელიც დასტურდება სომეხ კომენტატორთანაც, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული

ადვილობითი სომხური ტერმინის თარგმანია. დასაშვებია ვარაუდი, რომ ქართველ ავტორსაც ამგვარადვე გაუგია ბერძნული და მისი შინაარსის შესაბამისი ტერმინი შეუქმნია. ესე იგი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სომეხმა კომენტატორმა და ქართული გრამატიკული ტრაქტატის ავტორმა ბერძნული ტერმინი გაიგეს როგორც „მარტივი“, „ადვილი“ [ქაროსანიძე 2017: 105].

ჰელიოდორე მსჯელობს: ავთია პირველი ბრუნვაა იმიტომ, რომ მას გრამატიკული ფორმა არ გააჩნია, ხოლო მისგან ნაწარმოებ მომდევნო ბრუნვას გრამატიკული ფორმა აქვს.

სტეფანეს აზრით, ის პირველი ბრუნვაა იმიტომ, რომ ოგო წრფელად აღნიშნავს სახელს. იქვე განაგრძობს მსჯელობას, რომ ბრუნვაში სახელი განუვრცობელია.

კომენტატორთა მსჯელობიდან და ქართველ გრამატიკოსთა განმარტებიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ბრუნვაში სახელი მარტივია, განუვრცობელია [ქაროსანიძე 2017:106-107].

შობილობითი

მეორე ბრუნვის სახელია შობილობითი, რომელიც ნათესაობითის სინონიმია. ნათესაობითი ჰქვია იმიტომ, რომ წარმომშობია, დედაა ირიბი ბრუნვების. ამ განმარტებას ვხვდებით ჰელიოდორეს კომენტარებში, რაც ადასტურებს იმას, რომ ქართველი მწიგნობრები ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ ბიზანტიაში აღიარებულ გრამატიკულ თეორიებს [ქაროსანიძე 2017: 108].

მიცემითი

მესამე ბრუნვის სახელწოდება თითქმის ყველა ენაში „მიცემა“ ზმნასთან არის დაკავშირებული (ვასწავლი მეგობარს). ქართული გრამატიკული ტრაქტატის ავტორიც, რა თქმა უნდა, ასევე განმარტავს ბერძნული ტერმინის ზუსტ ქართულ შესატყვისს: „მიცემითი ამისთვის ეწოდების ლექსსა მას, რაჟამს ეტყოდის ვისმე, მითარმედ: „ვის მისცემ ამას რამესა?“ და მან გრქუას, ვითარმედ „ღმერთსა“ [ქაროსანიძე 2017: 108].

მიზეზობითი

ამ ბრუნვის სახელის წარმომავლობის შესახებ არსებობს განსხვავებული აზრი. ერთი მხრივ, გაგებულია როგორც „ბრალდება“ და მეორე მხრივ – „მიზეზი“. მეცნიერებაში უფრო მიღებულია „მიზეზი“. ალფრედ გუდემანი ბერძნულ და ლათინურ ტერმინთა ისტორიას გადმოგვცემს და ბერძნულ ტერმინთა ლათინურ შესატყვისობებზე მსჯელობს. მას აიტატივე ბრუნვის ლათინური თარგმანი აკუსატივუსი შეცდომად მიაჩნია და ამბობს, რომ უნდა იყოს კაუსატივუსი [ქაროსანიძე 2017: 108].

მაშასადამე, ამ თვალსაზრისის მიხედვით ქართული ტერმინი მიზეზობითი უფრო ზუსტი შესატყვისია ბერძნული ტერმინისთვის.

წოდებითი

მეხუთე ბრუნვის სახელწოდებაა წოდებითი. წოდებით ბრუნვაში დასახელებული ართრონი ყველა სქესისთვის ერთნაირია. მზექალა შანიძე აღნიშნავს, რომ ავტორი განსხვავებას ართრონსა და შორისდებულს შორის ვერ ხედავს, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წოდებითი არის ერთადერთი ბრუნვა, რომელიც ართრონს შეიძლება ჰქონდეს ქართულში.

თრაკიელიც ართრონის წოდებით ბრუნვად ასახელებს ო-ს, რომელიც თანამედროვე გრამატიკის თვალსაზრისით, შორისდებულია. სტეფანესა და ჰელიოდორეს მტკიცებით, ო რომ ართრონი იყოს, რიცხვში განსხვავებული ფორმები ექნებოდა [ქაროსანიძე 2017: 109].

ამონიოს ერმისი

გრამატიკული ტერმინოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა ბრუნებასა და ბრუნვებთან დაკავშირებული ცნებები. ამონიოსა ერმისი ამბობს: „მთარგმნელი თანმიმდევრული არ ჩანს, იგი ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად ხან ბერძნულ სიტყვას იყენებს, ხან ქართულ შესატყვისის უძებნის მას“.

საინტერესოა ტერმინი დაკუეთვა. მ. რაფავა აღნიშნავს, რომ იგი ქართული ძირიდანაა ნაწარმოები. რას ნიშნავს დაკუეთვა და რატომ გამოიყენა მთარგმნელმა ბერძნული პტოსის სინონიმად. ბერძნული პტოსის ზუსტი შესატყვისი უნდა იყოს ქართული ტერმინი

დაკუეთვა, რომელსაც დაცემის მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულში: „დაჰკუეთა იგი ეშმაკმან“. ბერძნულ ტექსტებში შესაბამის ადგილას სხვა ზმნაა დასახელებული, მაგრამ მასაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც პტოსს. მასასადამე, ძველი ქართული გრამატიკული ტერმინი დაკვეთა ბერძნულ ტერმინ პტოსის შესატყვისია.

ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში ბრუნვათა შემდეგი სახელწოდებებია დასახელებული:

- სახელობითისთვის – ევთია, კატევთია, ორთი.
- ნათესაობისთვის – ნათესაობითი, გენიკი.
- მიცემითისთვის – მიცემითი, დოტიკი.
- აიტიატიკესთვის – მიზეზობითი.

ტერმინი კატევთია ქართულად ასე ითარგმნება – „ევთიას მიხედვით: ანუ ამ ბრუნვის მიხედვით“ [ქაროსანიძე 2017:125].

ბრუნვათა სხვა სახელწოდებები დადასტურებულია ქართულ გრამატიკულ ტრაქტატშიც. მასასადამე, აქ იმის თქმა შეიძლება, რომ X-XII საუკუნეებში ლიტერატურულ წრეებში გამოიყენებოდა ქართველ მთარგმნთა მიერ შემუშავებული და გარკვეულად უკვე ტრადიციად ქცეული გრამატიკული ტერმინოლოგია, რომელიც თანდათან იხვეწებოდა და ივსებოდა.

ლიტერატურა

ქაროსანიძე 2017 – ლ. ქაროსანიძე, ანტიკური თეორიები, თბილისი.

ნინო ტულუში

ეროვნული განძის ისტორიული თავგადასავალი

საქართველოს ეროვნული გმირი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, პროფესორი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, წმ. ექვთიმე ღვთისკაცი აღნიშნავდა: „მაქვს ბედნიერება პირველად წარმოვდგე 25 წლის შემდეგ, რაც ჩვენი სათაყვანებელი სამშობლო იძულებით, თვალცრემლიანმა დავტოვე. ნება მომეცით ორიოდ სიტყვა, როგორც იტყვიან „პროდომოსუა“ მოგახსენოთ. მინდა ჩვენი დაუვიწყარი აკაკის სიტყვებით დავიწყო: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო!... 82 წლის მოხუცს ამიხდა დიდი ხნის ნატვრა, დავუბრუნდი სამშობლოს და დავუბრუნე მისი კუთვნილი განძეული“.

თბილისიდან განძეულობა გაჰქონდათ დიდი აჩქარებისა და ნერვიულობის ატმოსფეროში. 1921 წლის 20 თებერვალს, სადამოქმად, მენშევიკების მთავრობის მეთაურს წინადადება მიუცია ექვთიმე თაყაიშვილისთვის, რომ ხაზინის ქონებასთან ერთად თბილისიდან ქუთაისში გაეტანათ ძვირფასი სამუზეუმო ნივთებიც. თანაც მოუთხოვია, რომ ეს განძი მეორე დილის 11 საათისთვის მიეტანათ რკინიგზის სადგურზე. ექვთიმე თაყაიშვილს მაშინვე შეუკრებია თბილისის მუზეუმების გამგეები და მათი „მრჩევლები“. ამ საპასუხისმგებლო თათბირის მონაწილე ყოფილა თვით ექვთიმეც, რომელიც ამავე დროს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს განაგებდა.

ქართველი ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენელთაგან, როგორც ჩანს, ბევრი არ იზიარებდა თბილისიდან განძეულის გატანის აუცილებლობის შესახებ აზრს. ამ შეხვედრისას ივანე ჯავახიშვილსაც გარკვეული მოსაზრებით გამოუთქვამს თავისი უარყოფითი შეხედულება, „მაგრამ ეს, რასაკვირველია, მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლიდა“ – შენიშნავს ექვთიმე.

ერთ-ერთ მოგონებაში ექვთიმე იხსენებს, თუ რა მოტივი ჰქონ-

და განძის თბილისიდან გატანას. როგორც ჩანს, მათი გადაწყვეტილება გამომდინარეობდა პანიკური შიშისგან, რომელსაც ავრცელებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები. ამ ხმების თანახმად, მენშევიკური მთავრობის თბილისიდან ევაკუაციისას სამუზეუმო განძეულობა თითქოსდა საფრთხეში ჩავარდებოდა.

მუზეუმის ხელმძღვანელებისთვის, ისევე როგორც ექვთიმესთვის, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ქუთაისში გაგზავნილი განძეულობის შემდგომი ბედ-იღბალი, ხოლო საზღვარგარეთ გაგზავნაზე არც კი უფიქრიათ. მუზეუმთა მუშაკებს 21 თებერვლის წინა დამეს სრულიად არ უძინიათ, უმუშავიათ „დაუცხრომლად“ და მეორე დღეს, 21 თებერვლის დილის 8 საათზე ყუთები სამუზეუმო ქონებით გამზადებული და დაბეჭდილი იყო. ისინი თბილისის უნივერსიტეტის შენობიდან 21 თებერვალს, დილის 9 საათზე გაუტანიათ რკინიგზის სადგურზე. იმავე დღეს, საღამო ჟამს, ეს ქონება ქუთაისში ჩაუტანიათ და ქალაქის ხაზინის შენობაში მოუთავსებიათ.

ქუთაისში ექვთიმეს გაუტარებია ხუთი დღე – 25 თებერვლიდან 2 მარტამდე, ხოლო თბილისიდან ჩამოტანილი განძეულობა და სხვა ქონება 21 თებერვლიდან ქუთაისში რვა დღე გაუჩერებიათ. გარდა ამისა, ამ ყოველივეს შემატებია მეტად ძვირფასი განძეულობა დასავლეთ საქართველოს მონასტერთა საცავებიდან – მარტვილიდან და გელათიდან, ზუგდიდიდან, ხობიდან. გელათიდან და მარტვილიდან ჩამოტანილი განძეულის გადარჩევა უთხოვია კანდელაკს ექვთიმესთვის. ამ პროცესს ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მიტროპოლიტი ნაზარი ქართული საღმრთაგან განძეულობის უცხოეთში გატანის წინაღმდეგი იყო, ისევე როგორც ქართველი სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ჯერ ერთი, მათ ეშინოდათ მათი დაკარგვის და მეორეც, არ ენდობოდნენ მენშევიკურ მთავრობას.

1 მარტს საბოლოოდ გადაწყდა განძეულობის ბედ-იღბალი – მენშევიკური მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ ამორჩეულ კომიტეტს, რომელიც პარტიების წარმომადგენლებისგან შედგებოდა, გამოუტანია დადგენილება განძის ბათუმში გატანისა და იქ ფრანგულ კრეისერზე მოთავსების შესახებ. იმავე დღეს, 1 მარტს, პარტიების წარმომადგენელთა კომიტეტის კრებაზე გადაწყდა საკითხი უცხოეთში გასატანი განძეულობის მეთვალყურის არჩევის შესახებ.

ყველა პარტიამ თავისი კანდიდატურა წამოაყენა, მაგრამ ბოლოს, კანდელაკის წინადადებით, შეთანხმებულან ექვთიმე თაყაიშვილის კანდიდატურაზე. მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე სულ არ აპირებდა ემიგრანტობას, კანდელაკს მაინც დაუყოლებია, რადგან ძლიერ ადარდებდა განძეულის ბედი და მასზე კარგად ეს საქმე არავის ესმოდა.

ამგვარად, 1921 წლის 1 მარტიდან ექვთიმე უკვე იურიდიულადაც ითვლებოდა ჩვენი საუნჯის მეთვალყურედ და ზედამხედველად. 2 მარტის წინა ღამეს დატვირთეს ვაგონები განძეულობით და უთენია წაიღეს მატარებლით ბათუმის მიმართულებით. ტანჯვით მოგზაურობამ დღე-ნახევარს გასტანა. 3 მარტს საღამოთი მატარებელმა მიაღწია ბათუმს. ექვთიმეც 3 მარტს ჩავიდა ბათუმში. იგი იხსენებს, რომ მათი ვაგონები ვაგზლიდან შორს დააყენეს. შემდეგ ტელეფონით აცნობა ქალაქის გამგეს, რომ მცველები გამოეგზავნათ ვაგონებისთვის. დაჰპირდნენ, მაგრამ არავინ გამოგზავნეს. იოსებ ელიგულაშვილს ბათუმში მამა და ოჯახობა ჰყავდა, ამიტომ იქ წავიდა, ექვთიმე და მისი მეუღლე ნინო მარტო დარჩნენ ვაგონში, რაზემელებიც გაქრენ. განძი, ფაქტობრივად, ორი ხანშიშესული ადამიანის ანაბარა დარჩა. საბედნიეროდ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

1921 წლის 5 მარტს განძეულობით დატვირთული ყუთები საფრანგეთის წარმომადგენლის, აბელ შევალეს განკარგულებით მოათავსეს ფრანგულ კრეისერ „ერნესტ რენანზე“. ბუნებრივია, განძთან ერთად კრეისერზე მისი მცველებიც იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ექვთიმეს თხოვნისა, იგი და იოსებ ელიგულაშვილი იქ არ დატოვეს. ექვთიმემ კიდევ ერთი ღამე გაატარა ვაგონში, უკვე უგანძოდ. რაკი ქონებით დატვირთული ყუთები კრეისერზე ეწყო, ისინი სიით ჰქონდა ჩაბარებული კაპიტანს, რომელმაც განძს მცველები დაუყენა.

1921 წელი, 11 მარტი – ფრანგულმა სამხედრო გემმა „ერნესტ-რენანმა“ ქართული საგანძური უმეთვალყურეოდ წაიღო. ექვთიმე თაყაიშვილი, მისი მეუღლე ნინო და იოსებ ელიგულაშვილი ბათუმში მობრუნდნენ, პატარა მოტორიანი ნავი იქირავეს და განძით დატვირთულ გემს გამოეკიდნენ. საწვავი მთავრდებოდა, იყო საშინელი ამინდი და ისინი იძულებული გახდნენ უკან, ბათუმში დაბრუნებულიყვნენ. ექვთიმესა და მისი მეუღლისთვის ახალი სიცოცხლე დაიწყო. ბედის ირონიაა, 58 წლის ხეიბარ, უფულო და უიარაღო კაცს ერგო ეროვნული განძის დევნა და მოვლა.

1921 წლის 14 მარტი – როგორც იქნა სტამბულში ჩააღწიეს, სახედრო გემი მოძებნეს. საბედნიეროდ, ის ადგილზე დახვდათ, მაგრამ განძის მცველებს ელოდათ ახალი იმედგაცრუება – გამტყუნდა მათი იმედი, რომ სტამბულიდან მაინც გაემგზავრებოდნენ განძთან ერთად „ერნესტ რენანით“. სტამბულელ ფრანგ ხელისუფალთ განკარგულება გაუციათ კრეისერის ნაცვლად ჩვენი განძი სტამბულიდან მარსელამდე გადაეტანათ ფრანგული სამხედრო-სატრანსპორტო გემით, რომელსაც ჰქონდა ვიეტნამური სახელწოდება „ბიენ-ჰოა“. ტვირთი ერნესტ რენანიდან გადმოიტანეს ტომრებში, მოთავსებული ნივთები ყუთებში ჩააწყვეს, 249 ყუთი გემ „ბიენ-ჰოაზე“ დააბინავეს და მარსელისკენ აიღეს კურსი. გემი, რომელზეც ქართული ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები და სხვა ძვირფასი ისტორიული ნივთები ეწყო, ფაქტობრივად, გამოსული იყო მწყობრიდან. ამის შესახებ გემის კაპიტანმა პირადად მოუთხრო ექვთიმეს. მარსელში ჩასულელებს დახვდათ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. გემიდან განძის გადმოტანა დაევალა სენეგალის პოლკს, რომელიც საფრანგეთში საიმედო და პრესტიჟულ დაცვად იყო მიჩნეული, ფრანგები თავიანთ ქონებას მხოლოდ მათ ანდობდნენ. მარსელის ნავსადგურში ზურაბ ავალიშვილთან და ანდრია დეკანოზიშვილთან ერთად სწორედ ეს პოლკი დახვდა ქართულ საუნჯეს, ტვირთი მთლიანად მარსელის ბანკში მიიტანეს, იქიდან სამუზეუმო განძის 39 ყუთი გამოყვეს, ერთი წლის შესანახი თანხა (2500 ფრანკი) გადაიხადეს და აკაკი ჩხენკელის ანგარიშზე შეიტანეს, საბანკო ვერცხლეულობა კი, ეგრეთ წოდებული ზოდები, საგანგებო კომისიამ გადაადნო და 1 200 000-ად გაყიდა.

უცხოეთში ჩვენი განძის გატანის პირველ ცამეტწლიან პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ უცხოეთში ყოფნის ისტორიის „მშვიდობიანი პერიოდი“. ქონების მარსელში ჩაბარების შემდეგ ექვთიმე მეუღლითურთ პარიზში ჩავიდა.

პარიზში ცხოვრება ძვირი იყო, ემიგრანტები მას ვერ შესწვდებოდნენ. გადაწყვიტეს, ქალაქგარეთ ეყიდათ სახლი, რამდენიმე ადგილი დაათვალიერეს და არჩევანი ლევილზე შეაჩერეს. ექვთიმე უსაქმოდ არ გაჩერებულა, ჩასვლისთანავე სამეცნიერო საქმიანობაში ჩაერთო, ნუმიზმატთა და სააზიო საზოგადოების წევრი გახდა. პარიზის ეროვნულ მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერები შეისწავლა, გამოიკვლია და გამოსცა.

ექვთიმე თაყაიშვილი პარიზში ქართველებსაც ხვდებოდა, მათ შორის, კონსტანტინე გამსახურდიასა და ლადო გუდიაშვილს. ერთხელ აკაკი შანიძემ და გიორგი ახვლედიანმაც ინახულეს. ემიგრანტ-მა მეგობრებს სამშობლოში თხოვნა დააბარა: „მოახერხონ და დროზე წაიღონ ქართული საგანძური, ჩემი მეორე სიკვდილი იქნება, თუ ეს ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება“. მდგომარეობა თანდათან მიმდებოდა, მატერიალურად ხელმოკლედ იყვნენ.

ქართული საუნჯის ამბავი მსოფლიოში გახმაურდა და საშიშროებამაც არ დააყოვნა. ჩვენს განძეულობას საფრანგეთში ბევრი მტერ-მოყვარე და ცილისმწამებელი გამოუჩნდა. ბრიტანეთის მუზეუმი უილიამ ალენის საშუალებით მოლაპარაკებას აწარმოებდა, ახალგორის ერთი რამე ნივთი მოგვეცით და თქვენს მთელ განძს უფასოდ შეგინახავთო. ნიუ-იორკის მუზეუმიც ძალიან დაინტერესებული იყო, მენშევიკები განსაკუთრებით აქტიურობდნენ, ხელწერილი მოსთხოვეს ექვთიმე თაყაიშვილს, მაგრამ მან ასე უპასუხა: „რაი მეთქი, რა უფლებით აძლევთ რაზე მუუწერო ხელი, რომ პადლეცი არ ვიქნები და სხვის ქონებას არ გავყიდი მეთქი, მაგაზე თქვენ მუუწერეთ ხელი მეთქი“.

სამწუხაროდ, გატანილი ქონების ნაწილი მართლაც გაიყიდა უცხოეთში. ეს ქონება გაიყიდა ნაწილ-ნაწილ 1921 წლის მაისიდან 1924 წლის აგვისტოს ახლო ხანებამდე. 235 ყუთიდან, რომლებიც მარსელში აღრიცხა კომისიამ, გაყიდულა 154 ყუთის ქონება და დარჩა ბანკში. ლევილის მამულისა და პარიზის მახლობლად სოფლის საწყობში მხოლოდ 81 ყუთის ქონება დარჩა, აქედან ბანკში – 39, ლევილის მამულში – 15, ხოლო პარიზის მახლობელ სოფლის საწყობში წიგნებით დატვირთული 27 ყუთი შემორჩა.

შემდგომ პერიოდში მატერიალურად უფრო მეტად გაუჭირდათ. ერთი თეთრი თხა ჰყავდათ, ხშირად მისი რძე იყო მათი ერთადერთი საკვები. ექვთიმემ თხის მოწველის მოხერხებული მეთოდი შეიმუშავა, მაგრამ ერთელ მაინც წაიქცა და რძეც დაეღვარა. მის მეუღლეს მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული, კვირაობით „პარიზის სინემამი“ უკრავდა, მაგრამ ერთხელ დაეცა, საავადმყოფოში წაიყვანეს, ოცი თვე იავადმყოფა და 1931 წლის 8 მარტს გარდაიცვალა. ექვთიმე თაყაიშვილი მშვიდად შეხვდა მეუღლის სიკვდილს, გამოემშვიდობა, ჯვრისწერის სანთლები ჰქონდა წაღებუ-

ლი და ანთება ითხოვა. იქ მყოფი მთელი ქართველობა დაესწრო ნინოს დაკრძალვას. მეუღლის გარეშე კიდევ უფრო გაუჭირდა ცხოვრება. მისმა უბნის წიგნაკმა სხვა ამბებთან ერთად შემამრწუნებელი ცნობებიც შემოგვინახა. 1934 წლის თებერვალში 6 დღე არ უსადილია, მარტში – 13 დღე. სიკვდილს ერთმა კეთილისმყოფელმა გადარჩინა, ბრიუსელის სასტუმროში გადაიყვანა. იქიდან დაბრუნებულს თვალები ასტკივდა, არადა, პირადად ისეთი ნუმინოზმატიკური მონეტები ჰქონდა, შეეძლო არა თუ ემკურნალა, არამედ კარგად ეცხოვრა. ერთმა ქველმოქმედმა ქალბატონმა 75 დოლარი გამოუგზავნა, ისიც ვერ გაიმეტა თავისთვის და საგამომცემლო ფონდში შეიტანა.

მალე ახალი, ბევრად სერიოზული საფრთხე გამოჩნდა – ობოლევსკის ქვრივმა, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, ნიკო დადიანის ასულმა სალომემ სასამართლოს მიმართა და თავისი წინაპრების ნივთები მოსთხოვა. ექვთიმე თაყაიშვილმა მენშევიკური მთავრობის 1920 წლის დეკრეტი წარადგინა, რომლის ძალით სამეგრელოს მთავრის ქონება სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა. სასამართლომ ობოლენსკის უარი უთხრა, მაგრამ ექვთიმეს საქმე უფრო გაურთულდა. საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო თავდაუსხმელობის აქტი, ცხადია, ემიგრანტ მთავრობასაც ლეგიტიმაცია გაუუქმდა, ქართული განძეულობა უპატრონოდ გამოცხადდა და მუსიე პიერ ჟოდონს ჩაბარდა, რომელსაც საფრანგეთში დარჩენილი მეფის რუსეთის ქონება ებარა. 13 წლის შემდეგ ექვთიმესა და სხვა ქართველების დაუსწრებლად 39 ყუთი სამუზეუმო ქონება პირველად გახსნეს და მარსელიდან პარიზის ბანკში გადაიტანეს. ჟოდონმა გულისხმიერება გამოიჩინა და ექვთიმესა და ყოფილი მთავრობის ოთხ წარმომადგენელს მხოლოდ ერთხელ აჩვენა ყუთებიდან ამოლაგებული და თაროებზე მიჯრით დაწყობილი საუნჯე. მათაც მხოლოდ თვალი შეავლეს, აღწერა და შემოწმება ვერ მოხერხდა.

1936 წელს მეორედ იჩივლა სალომე ობოლენსკაიამ საქართველოსა და ახლა უკვე ჟოდონის წინააღმდეგ. დადიანის ასულს ბევრი მომხრე გამოუჩნდა, სპეკულანტები ამოუდგნენ მხარში, ფულსაც ხარჯავდნენ. ექვთიმეს მოკვლითაც დაემუქრნენ, მაგრამ მას ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია, ბრძოლა არ შეუწყვეტია. პროცესი 1941 წლის თებერვლამდე გაგრძელდა, მომჩივანს ამჯერადაც უარი უთხრეს. ექვთიმე თაყაიშვილს ახლა უკვე საფრანგეთის მთავრობის წინააღმდე-

გაც უწევდა ბრძოლა, სასოწარკვეთილმა იმდენი მოახერხა, რომ ჟორდანის მთავრობისაგან მიიღო საბუთი, რომლის მიხედვითაც თაყაიშვილი ხდებოდა განძის მცველიცა და შენახვის მეთვალყურეც. ამვე დროს მუზეუმებისა და საქართველოს წინაშე პასუხისმგებლობაც მას ეკისრებოდა. პასუხისმგებლობა დიდი ჰქონდა, უფლება და სახსარი კი – არაფრის. ექვთიმემ თბილისში ვუკოლ ბერიძეს ვრცელი წერილი გამოუგზავნა, რომელშიც წერდა: „ნივთები უპატრონოთ არის გამოცხადებული, ვერ დავმშვიდდები, მანამ ისინი საქართველოს არ დაუბრუნდება“. ვუკოლ ბერიძემ ეს ამბავი ლავრენტი ბერიას აცნობა, მან კი ორაზროვანი პასუხი გასცა: „სჯობია ისევ პარიზში დარჩეს, ვიდრე აქ ჩამოვიტანოთ“.

1940 წლის 22 ივნისს საფრანგეთმა კაპიტულაციას მოაწერა ხელი. ჰიტლერმა დიდი ხნის ოცნება აისრულა. დილის 6 საათზე პარიზში ჩავიდა, ეიფელის კოშკი და ოპერის თეატრი მოინახულა, ქედმოხრილი მდუმარედ გაჩერდა ნაპოლეონის საფლავთან და 9 საათზე დატოვა პარიზი – ასეთი იყო დამპყრობელი ტურისტის ექსკურსია. არამხოლოდ ემიგრანტების, არამედ საფრანგეთის მოქალაქეებისთვისაც გაჭირდა ცხოვრება. შიმშილისგან თავის დასაღწევად ექვთიმემ ბოსტანი მოაწყო და იქ კარტოფილი და პამიდორი მოჰყავდა. აი, რას წერს ექვთიმე: „ჩემი მდგომარეობა ფრიად უმწეოა, ყველაფერი მაკლია. სამოსელი სულ შემომეხა, საზრდო სამყოფი სულ არ მაქვს, დოხტურთან ვერ მივდივარ, წამლებს ვერ ვყიდულობ, პარიზში ვერ ჩავდივარ, ზამთარი კარზე მოგვადგა და ჩემთვის კრიტიკული მდგომარეობა ტრაგიკულით იცვლება. გთხოვთ მაცნობთ შესაძლო იქნება თუ არა დამდვით პატივი და იმ საზრდოსთან, რასაც თქვენთვის სადილ-ვახშმად იკეთებთ, ერთი კერძი მეც მიზიაროდ, რა საკვირელია ჯერვანის საფასით და კიდევ საუბედუროდ ზამთარში მე მიწაზე ფეხს ვერ მოვიცილი, დავეცემი, იქნებ სევასტიმ მიქნას სიკეთე და მომაწოდოს სადილი და მასთან ცოტა რამე რაც ვახშმისათვის გამომადლება“.

ამ გასაჭირთან ერთად სხვა პრობლემაც დაემატა – ემიგრანტ ქართველთა ნაწილი ფაშისტებს მიემხრო და მათ საფრანგეთში გადამალული უძვირფასესი განძის შესახებ აუწყეს. ექვთიმეს ადრე თუ დროდადრო უხდებოდა ბრძოლა, ახლა მუდმივი შიშით ცხოვრობდა. ბინაშიც კი მიადგნენ გასაჩხრეკად, გახსნეს მისი ყუთები, მაგრამ

იქ ოქროს ნივთები არ აღმოჩნდა. ისევ გურულმა გამჭირახობამ უშველა – რომელ ოქროულობას ეძებთ, ამერიკაში რომ წაიღესო?! – ასე უპასუხა მათ. მაგრამ საბუთებში მითითებულ ადგილზე განძის დატოვება მაინც სახიფათო იყო. ჟოდონმა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ბანკიდან ყუთები გამოიტანეს და სატვირთო ეტლით ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკის სარდაფში გადაიტანეს.

1944 წლის 25 აგვისტო – აჯანყება მთელ პარიზს და მის შემოგარენს შეეხო, გერმანელთა გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა და ნაცისტებმა საფრანგეთი დატოვეს. იმავე დღეს პარიზში ჩავიდა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური, გენერალი შარლ დეგოლი, მაგრამ ნანატრი მშვიდობა არ დადგა, საფრანგეთს ძალა არ ჰქონდა ბოლომდე ებრძოლა ნაცისტებთან. დეგოლი მოსკოვში უნდა გამგზავრებულიყო და საბჭოთა მთავარსარდლისთვის ეთხოვა დახმარება. ორი ქვეყნის – საჭოთა კავშირისა და საფრანგეთის – უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში. ამ შეხვედრამ გადაწყვიტა განძის საქართველოში დაბრუნების საკითხი.

1944 წლის 23 ნოემბერს საბჭოთა კავშირის ელჩმა საფრანგეთში ალექსანდრე ბოგოლოვმა ექვთიმეს თავისი მანქანა გამოუგზავნა და საელჩოში მიიყვანა. საუბრის შემდეგ მისი მოთხოვნით ექვთიმემ ვრცელი მოხსენება დაწერა და განძის მდგომარეობა აღწერა, იმდღესვე გადასცეს გენერალ დეგოლს. მან კარგად იცოდა, რომ იოსებ სტალინმა ქართველი იყო და ისიც უთხრეს, რომ ის ამ საუნჯის ბედით ძლიერ დაინტერესებული იყო. სულ რამდენიმე საათის შემდეგ ქართველი ემიგრანტის თხოვნას ამომწურავი რეზოლუცია დაადო – დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს.

ჟოდონმა საცავის კარი გაუხსნა ექვთიმეს და მანაც ნივთების ამოლაგება დაიწყო, 25 ყუთი ამოალაგა, მაგრამ სარდაფში გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. საქართველოს იმდროინდელმა მთავრობამ პარიზში ორი მეცნიერი გააგზავნა: შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია. შალვა ამირანაშვილმა აღწერა კოლექცია, ყველა ნივთი და დოკუმენტი უკლებლივ ადგილზე დახვდა.

პარიზიდან 1945 წლის 5 აპრილს გამოფრიდნენ ამერიკული ორი თვითმფრინავით. საინტერესოა ერთი დეტალი – პარიზში,

გამოფრენის წინ, ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ექვთიმე სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებდა. იფიქრეს, იქნებ ნინოს საფლავის მიტოვება ეძნელება ან ის, რომ ღრმად მოხუცებულს პირველად მოუხდებოდა თვითმფრინავით მგზავრობა?! ბოლოს ექვთიმე გაუბედავად გამოტყდა: “წარსდგა მშიერი და ვერა ტიტველი” და მაშინლა მიხვდნენ, რომ სამოსელშემოფლეთილ მეცნიერს ეთაკილებოდა საქართველოში ასე გლხაკივით ჩამოსვლა.

მალევე მოსკოვში დეკემბა გააგზავნეს და სამ დღეში თანხმობაც მიიღეს. ექვთიმეს სამოსის ფული საბჭოთა კავშირის საელჩომ გამოუყო. მან თანამგზავრებს დაუბარა, თუ გზაში რამე დამემართა, არ დამტოვოთ, აუცილებლად სამშობლოში წამასვენეთო. პარიზიდან ორი თვითმფრინავით გადმოფრინდნენ. ევროპა ისევ იბომბებოდა და ფრენა სახიფათო იყო. ამიტომ რომის, პენდაზის, კაიროსა და თეირანის აეროპორტები მოიარეს, უამინდობასაც თავი აარიდეს და თბილისში დაეშვნენ. თანამგზავრთა მოწმობით, ექვთიმე გზაში კარგად გრძნობდა თავს. ამან გადაატანინა მას მის სიცოცხლეში პირველად და თან უკანასკნელად განცდილი საჰაერო მოგზაურობა. თეიმურაზ შავდია, რომელმაც ექვთიმესთან ერთად იმოგზაურა, იხსენებს, რომ როდესაც მან „თბილისის აეროდრომზე ქართულ მიწას ფეხი დაადგა, მან ზევით აიხედა, ცას შეხედა. მერე დაიღუნა, მარჯვენა ხელით აიღო მიწა და ეამბორა მას“.

ჩამოსვლისთანავე პ. შარიამ მანქანით წაიყვანა ექვთიმე და შალვა ამირანაშვილი. თეიმურაზმა და კოლა მელაძემ კი ორი მძიმე მანქანით წაიღეს განძეულობა საქართველოს მუზეუმში და ეზოდან შეიტანეს.

დასრულდა 24-წლიანი ლტოლვილობა. 82 წლის ექვთიმე თაყაიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და ეროვნული საუნჯეც ჩამოიტანა. თბილისში თვალცრემლიანმა თანამგზავრებს მიმართა: „ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი, არ მაქვს უფლება დავემდურო ბედს. ცა-ფირიუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სწეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარო!...“

1953 წელი – იანვარში ექვთიმე თაყაიშვილი 90 წლის გახდა. 21 თებერვალს, შაბათ დღეს გარდაიცვალა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ **საქართველოს მეკურკლეთუხუცესად** წოდებული დიდი ქართველი. 24-ში დაკრძალეს, ბევრმა იქნებ მართლაც ვერ გაიგო, მაგრამ პანაშვიდზე მყოფებსაც აფრთხილებდნენ, გასვენებაზე მოსვლით ნუ

შეწუხდებითო. 48 კაცი დაესწრო გამოსვენებას. პროცესი ვაშლოვნის ქუჩიდან ვაკის სასაფლაოვკენ დაიდრა, ნაბრძანები ჰქონდათ, არსად შეჩერებულიყვნენ. ამაში, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი იგულისხმებოდა. იოსებ მეგრელიძეს 30 მანეთი დაუჯდა კატაფალკის გაფუჭება და უნივერსიტეტთან 6 წუთით შეჩერება. ექვთიმე თაყაიშვილის საფლავთან აკაკი შანიძემ ახლად გამოსული სქელტანიანი მონოგრაფია „1917 წლის მოგზაურობა“ მაღლა ასწია და თქვა: „ძმაო ექვთიმე, შენ არც მიტინგი და არც მეგლი გჭირდება, შენი მეგლი შენი წიგნებია.“ იგი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. 1963 წელს 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დიდუბის პანთეონში გადაასვენეს, ხოლო 2000 წელს მთაწმინდაზე დაიდო სამუდამო ბინა.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც – ექვთიმე თაყაიშვილი პარიზიდან თბილისში რომ ჩამოფრინდა, დიდ სიხარულთან ერთად აწუხებდა მეუღლის ნეშტის იქ დატოვება. ამის გამო მან დაწერა: „82 წლის მოუცს ამიხდა დიდი ხნის ნატვრა, დავუბრუდი სამშობლოს და დავუბრუნე მას მისი კუთვნილი განძეული... მაგრამ გულს მიკლავს ის გარემოება, რომ ჩემი საცოდავი მეუღლე, ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის ერთგული თანამგზავრი, საფრანგეთის მიწაში დამრჩა დამარხული“.

ექვთიმე ამას ვერ მოესწრო, მაგრამ ეს აღსრულდა – 1987 წლის 22 თებერვალს, დღის 2 საათზე ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი და ლევილიიდან ჩამოსვენებული ქალბატონი ნინოს ნეშტი დაიკრძალა ქმრის საფლავის გვერდით.

2002 წლის 17 ოქტომბერს ექვთიმე თაყაიშვილი წმინდა სინოდის სხდომამ წმინდანად შერაცხა და ეწოდა „წმ. ექვთიმე ღვთისკაცი“, 2013 წელი კი იუნესკომ ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა.

ლიტერატურა

ამირანაშვილი 1978 – შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბილისი.

საქართველოს ისტორია 2003 – საქართველოს ისტორია, XX სა-
უკუნე, თბილისი.

ჟორდანია 1983 – გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, თბი-
ლისი.

ზმნური ანტონიმია თანამედროვე ქართულში

ანტონიმები ენობრივი უნივერსალიებია. ისინი (სემანტიკურად დაპირისპირებული ლექსიკური ერთეულები) დამახასიათებელია სხვადასხვა სისტემის ენებისათვის. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ანტონიმები (და, ზოგადად, ანტონიმია) შესწავლილია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ბიძინა ფოჩხუას ნაშრომი „ქართული ენის ლექსიკოლოგია“.

მასალამ გვიჩვენა, რომ ქართულში დასტურდება როგორც კონტრარული (*შავი – თეთრი, გრძელი – მოკლე*) ისე კონტრადიქტორული (*ლამაზი – ულამაზო, ბედნიერი – უბედური, ყოფნა – არყოფნა*) დაპირისპირების შემთხვევები. ზოგი სიტყვა წარმოდგენილია რამდენიმე საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ერთეულთან, მაგ.: *სუფთა – ბინძური, სუფთა – ჭუჭყიანი, სუფთა – უსუფთაო...*

ანტონიმურ წყვილთა კომპონენტებად გამოყოფილია არსებითი სახელები (*ლხინი – ჭირი...*), ზედსართავეები (*მაღალი – დაბალი...*), მიმღეობები (*ანთებული – ჩამქრალი...*), რიცხვითი სახელები (*ბევრი – ცოტა*), ნაცვალსახელები (*არაფერი – ყველაფერი*), ზმნისართები (*ადრე – გვიან*), ნაწილაკები (*არა – დიახ, არა – კი*).

ჩვენ გვანტერესებს არა მხოლოდ უკვე ცნობილი ანტონიმური წყვილების ანალიზი, არამედ ზოგადად ყველა სახის დაპირისპირება, რაც კი შეიძლება არსებობდეს ლექსიკურ ერთეულებს შორის, თუმცა ჩვენ არ განვიხილავთ მხატვრულ (პოეტურ) დაპირისპირებას (როგორც არის მაგალითად თერგი და მყინვარი, ან „შუშანიკის წამებაში“ ვარსკენისა და მისი მამის დაპირისპირების ეპიზოდი) ჩვენ გვანტერესებს უშუალოდ ლექსიკურ ერთეულებში არსებული ანტონიმის ყველა შემთხვევა. გავიხსენოთ მისი განმარტება, ეს არის საპირისპირო სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულები და თუ დიდი და პატარა, ან მაღალი და დაბალი ანტონიმებია, მაშინ ამ ფუძეებზე დამყარებული ზმნური ფორმებიც ანტონიმები იქნება: ადიდებს აპატარავებს, ამალღებს ადაბლებს და ა.შ. ანალოგიური ვითარება გვექნება შემდეგ შემთხვევებშიც: თუ მაღლა და დაბლა, ან კიდევ გარეთ და შიგნით ანტონიმური წყვილებია, მაშინ ზმნებიც, რომლებიც

ზმნისწინების საშუალებით გამოხატავენ ამ **მიმართულებრივ** დაპირისპირებას, ბუნებრივია საპირისპირო შინაარსისა იქნებიან, მაგალითად: ადის – ჩადის, გაიტანს – შემოიტანს, გავა – შემოვა და სხვა.

პირველ შემთხვევაში დაპირისპირება მთლიანად ეკისრება მხოლოდ ზმნის ფუძეს (ადიდებს - აპატარავენს), ხოლო მეორე შემთხვევაში ზმნისწინს (ადის - ჩადის).

როგორც ვხედავთ, ზმნურ ანტონიმიას იწვევს ორი ძირითადი ფაქტორი – ანტონიმური ნასახელარი ფუძეები და საპირისპირო სემანტიკის მქონე ზმნისწინები.

ნასახელარი ზმნის ფუძეებით დაპირისპირებული ანტონიმები:

ადვილებს – აძნელებს (შდრ.: ადვილი – ძნელი)

ადვილებს: ადვილს ხდის, – აიოლებს: კაცია მე არ მიცნობს, არცა სადმე ვუნახივარ... ეს ძალიან *ადვილებს*... დავალებას! (შ. არაგვ.).

აძნელებს: ძნელს ხდის, სიძნელეს მატებს, – ართულებს, აბრკოლებს: ტერმინების უქონლობა... *აძნელებს* გაგებას ნათქვამისას (ილია).

აბინძურებს – ასუფთავებს (შდრ.: ბინძური – სუფთა)

აბინძურებს: ბინძურს ხდის, – აჭუჭყიანებს: ბაქანს ნუ *აბინძურებ!* (ვ. კანდელ.).

ასუფთავებს: სუფთას ხდის, – ჭუჭყს აცლის, წმენდს: ნატა ყოველ კვირას ჩადის, ალაგებს, *ასუფთავებს*, რეზოს ურეცხავს (ნ. ონაშ.).

აგრძელებს – ამოკლებს (შდრ.: გრძელი – მოკლე)

აგრძელებს: სიგრძეს უმატებს, სიგრძივ ადიდებს: მელას უთქვამს: გრძელს რომ ამოკლებდნენ, იქ ვიყავი, მოკლეს რომ *აგრძელებდნენ* – არაო (ანდაზა).

ამოკლებს: მოკლეს ხდის, სიგრძეს აკლებს, უახლოვდება: საქვეითო ბილიკი ერთიორად *ამოკლებდა* ცხენისათვის მიხვეულ-მოხვეულს გზასა (ა. ყაზბ.).

ადაბლებს – ამაღლებს (შდრ.: დაბალი – მაღალი)

ადაბლებს: დაბალს ხდის: გიორგი კიბეს *ადაბლებდა*.

ამაღლებს: (უფრო) მაღალს ხდის, სიმაღლეს მატებს: კედელს *ამაღლებს*.

ათხელებს – ასქელებს (შდრ.: თხელი – სქელი)

ათხელებს: სითხის მიმატებით თხელს ხდის, წყალწყალად აქცევს: ფაფას *ათხელებს*; თხლად, გამხდრად აჩენს: ეს კაბა *ათხელებს* ტანს.

ასქელებს: სქელს ხდის: ბევრი დუღილით ფაფას ასქელებს; ამსხვილებს: ეს კაბა ტანს *ასქელებს*.

აიოლებს – ართულებს (შდრ.: იოლი – რთული)

აიოლებს: იოლს, ადვილს ხდის, – აადვილებს: უკვირდათ და აქებდნენ, დათა *აიოლებდა*, არაფერია ისეთიო (რ. ინან.).

ართულებს: რთულად აქცევს, რთულს ხდის, რაიმე სირთულეს იწვევს, ამწელებს (რამეს): საკითხს *ართულებს*; ცხოვრება მარტივია, ... მარტივად არის მოწყობილი, მაგრამ თვითონ ადამიანები *ართულებენ* მას (ა. სულაკ.).

როგორც ზემოთ ითქვა, გვაქვს ისეთი ანტონიმური წყვილებიც, როცა დაპირისპირება ზმნისწინებს ეკისრება. ასეთ შემთხვევებში წყვილის ორივე წევრი ერთი და იმავე ფუძისგან არის ნაწარმოები. ასეთებია:

ადის – ჩადის

ადის: ქვევიდან ზევითკენ მიდის, მიემართება: კაცი ძირს ვერ დადიოდა, ალვის ხეზე *ადიოდაო* (ხალხ.); ბუხრიდან მაღლა *ადიოდა* ბოლი (ვაჟა).

ჩადის: ზევიდან ქვევით მიდის, მიემართება: თავდადმართში... *ჩადიოდა* ურემი (შ. არაგვ.).

აგა – ჩაგა

აგა: ქვევიდან ზევით გადაინაცვლებს: ხელი თუ არ მოიშველიეთ, ვერ *ახვალთ* (ვ. ბარნ.).

ჩაგა: ზევიდან ქვევით გადაინაცვლებს, გადაადგილდება: დედალი კალია... პატარა ორმოსა თხრის და, როცა კარგა ღრმად *ჩაგა* მიწაში, ...კვერცხებს დებს (ი. გოგებ.).

აირბენს – ჩაირბენს

აირბენს: სირბილით ავა, სირბილით აივლის (რასმე); ილიამ... კიბე მარდად *აირბინა* (რ. გვეტ.); ოთარი ხედავდა, რა ხალისით *აირბენდა* ყოველთვის ომანი გორაკს (ს. კლდ.).

ჩაირბენს: სირბილით ჩავა, სირბილით ჩაივლის: [ზახვა] ხტომით *ჩაირბენდა* ქოჩორა ტყით დაჩრდილულ სერსა (გ. წერეთ.); *ჩავირბინე* კიბე და გარეთ გავედი (ს. კლდ.).

აიტანს – ჩაიტანს

აიტანს: მიიტანს ქვევიდან ზევით: მატარებელში ბარგი *აიტანეს*.

ჩაიტანს: მიიტანს ზევიდან ქვევით: მდინარე შლამს ზღვაში *ჩაიტანს*.

ახტება – დახტება

ახტება: ხტომით ავარდება ზევით; ხტომით დაჯდება ზევით, – ასკუპდება: სუფრაზე *ახტა* კოსტას ძმა (დ. კლდ.).

დახტება: ნახტომს გააკეთებს ზევიდან ქვევით, ხტომით დაემშვება, დაჯდება (დასკუპდება) ან დადგება რაიმეზე: რწყილი *ახტა, დახტა*, მივიდა ღორთან (ხალხ.).

გავა – შემოვა

გავა: აქედან იქით ან შიგნიდან გარეთ წავა: მზე ჩაათბობს აივანს და ბებია მარიამიც გაბედავს და *გავა* აივანზე (რ. ინან.).

შემოვა: გარედან შიგნით (აქეთ) მოექცევა, გარედან შიგნით მოვა: ჩემი შვილი აქ იყო, მაგრამ ამ კარებიდან *შემოვიდა* და იმ კარებიდან გავიდა (ზღაპ.).

გაიტანს – შემოიტანს

გაიტანს: შიგნიდან გარეთ (აქედან იქით) გადაადგილებს, წაიღებს: ძალი სამჭედლოდან რას *გაიტანსო!* (ანდაზა); ავდექ, *გავიტანე* სანთელი მეორე ოთახში (აკაკი).

შემოიტანს: გარედან შიგნით მოიტანს, – შემოზიდავს; შემოალაგებს, შემოაწყობს: სალომემ *შემოიტანა* ღომი და ყველი (გ. წერეთ.); [მსახურმა] *შემოიტანა* ორი დიდი ხონჩა ცხვრის ხაშლამა (ს. შანშ.).

გადავა – გადმოვა

გადავა: ადგილს გადაინაცვლებს; აქედან იქით წავა: სანამ ეზოში იყვნენ, ქალს ეგონა, ბილიკზე გადავალთ და სკამზე ჩამოვსხდებითო (ო. იოს.); ვთხოვ ნაკრძალზე გადაგატაროთ, ფერმაში მოკლეზე გადახვალთ (ლ. მრელ.).

გადმოვა: ადგილს გადმოინაცვლებს; იქიდან აქეთ მოვა; გადმოლაზხავს რამეს: თოვლი მოვიდა ტიალი, ველარ გადმოხვალ მთასაო (ვაჟა); კიდევ გადმოხვალ ვენახში? (თ. რაზიკ.).

გადაირბენს – გადმოირბენს

გადაირბენს: სირბილით გადაივლის, გადავა, რამეზე გადავლით გაირბენს: [ატუამ] გადაირბინა პატარა ეზო და არჩილის სამხარეულოს უკან ყორეს ამოეფარა (ს. კლდ.).

გადმოირბენს: სირბილით გადმოივლის, გადმოვა:[უცნობმა] მდინარეზე გადებული მორი სწრაფად გადმოირბინა (ა. ბელ.); ნიკოს ვენახის თავზე გადმოერბინა ლუკას ბიჭს (ლ. მრელ.).

გადაიტანს – გადმოიტანს

გადაიტანს: ერთი ადგილიდან მეორეზე მიიტანს, წაიღებს; ადგილს შეუცვლის, გადაუნაცვლებს; გადაადგილებს რამეს: მაგის დადგმული ურემი ორპირსა და კავკავში ორას ფუთ ბარგს გადაიტანს (ნ. ლომ.).

გადმოიტანს: იქიდან აქეთ მოიტანს, წამოიღებს, გადმოიღებს (და დასცემს): [ივანემ] გადმოიტანა შეშა, რომელიც ტივზე ეყარა (ე. ნინოშ.).

გადაფრინდება – გადმოფრინდება

გადაფრინდება: ფრენით გადავა: [ბულბულმა] ფრთა გაშალა, ...ცხრა მთას იქით გადაფრინდა (აკაკი).

გადმოფრინდება: ფრენით გადმოვა: ინდი-მინდი, ფერად შინდი, ფრთა გაშალე, გადმოფრინდი (ხალხ.).

გადაცურავს – გადმოცურავს

გადაცურავს: ცურვით გადავა, გადალაზხავს (წყალს, მდინარეს...): ჩემი გეგმით უნდა გადაგვეცურა მტკვარი (ჭ. ამირეჯ.).

გადმოცურავს: ცურვით გადმოვა; გადმოლახავს (მდინარეს, ზღვას...); გამოლმა უნდა *გადმოგვეცურა* და ისევ აქეთა მხრით განგვეგრძო სიარული (ჭ. ამირეჯ.).

მიაქვს – მოაქვს

მიაქვს: მიდის და თან აქვს; აქედან იქით რასმე ადგილს უნაცვლებს, ეზიდება: სად *მიაქვს*, ქორო, შე გულმკვდარო, ქათამი! (ვაჟა); ბამბა გასასყიდად ქალაქებში *მიაქვთ* (ი. გოგებ.).

მოაქვს: მოდის და თან აქვს; იქიდან აქეთ (მოლაპარაკისაკენ) რასმე ადგილს უნაცვლებს, ეზიდება: აგერ გამოჩნდა გოგრას დედა, მუშებისათვის სადილი *მოაქვს* (ვაჟა); მართლა, სად იყო ამდენი ხეტყე, რაც ამ წყალს *მოაქვს*?! (აკაკი); [ქარს] *მოაქვს* ლელისა და ნარის ლელქაში, მოაგორებს ხმელს, ძირიანად მოგლეჯილს ეკლებს და ნარებს (თ. რაზიკ.).

მიდის – მოდის

მიდის: აქედან იქით სვლით მოძრაობს, ადგილს ინაცვლებს, მიემართება: აღმართ-აღმართ *მივდიოდი* მე წელა (აკაკი); გამახარე და იმისი ამხანაგები დაბარგული ცხენებით ბოწახის ქალაზე *მიდიოდნენ* (ვაჟა).

მოდის: იქიდან აქეთ სვლით მოძრაობს, ადგილს ინაცვლებს; მოემართება, მოეშურება: გზაზე ჩვენებურები *მოდდიოდნენ* (ვაჟა); გზა გაწმინდე, ვერა ხედავ ურმები *მოდია*?! (ეკ. გაბ.).

მირბის – მორბის

მირბის: სირბილით მიდის: *მირბის*, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი (ნ. ბარათ.); გაიქცა კაკაბი..., *მირბის*, მისვლევ მეც (ვაჟა); სწრაფად, გაჩქარებული მიდის: გათენდებოდა ... თუ არა, სიკო *მირბოდა* ზალიკასას (ე. ნინოშ.).

მორბის: სირბილით მოდის; სწრაფად, ჩქარა მოდის: კურდღელი მაინც *მორბოდა*, *მორბოდა* გამალეებული, ზურგზე ყურებ-გადაწყობილი (ვაჟა); ყოველი მხრიდან *მორბოდნენ* შეიარაღებული მოლაშქრენი (დ. შენგ.).

დადასტურდა ისეთი მაგალითიც, როცა ანტონიმიას ქმნის ფუძე და ზმნისწინიც ერთდროულად. ასეთ შემთხვევაში ფუძე ნასახელარია, ხოლო ზმნისწინები მიმართულების მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს:

აამაღლებს – დაადაბლებს (შდრ. მაღალი – დაბალი)

აამაღლებს: მაღალს გახდის, სიმაღლეს მოუმატებს: ლადომ დაიჟინა: გუბე პატარაა და ავამაღლოთო (ა. გეწ.).

დაადაბლებს: დაბალს გახდის: მაგიდას ფეხები დაუმოკლა და დაადაბლა; სკოლიდან გამოტანილი ძველი მერხები საგანგებოდ დაედაბლებინათ (რ. ჯაფ.); გორაკის სიმაღლე უცბად წყდებოდა, თითქოს ვინმეს ხელოვნურად დაუდაბლებიაო (ი. ვართაგ.).

გამოიყო იმ სახის ზმნური ანტონიმებიც, როცა ერთი და იგივე ზმნისწინი ერთვის სხვადასხვა ფუძეს:

გააბედნიერებს – გააუბედურებს (შდრ. ბედნიერი – უბედური)

გააბედნიერებს: ბედნიერს გახდის, ბედნიერებას მიანიჭებს: სახელი როგორ გააბედნიერებს კაცს, თუ სინდისი აწუხებს?! (ვაჟა); ჩემო მეგობარო! ოღონდ ამ დღიდან დაგვიხსენ და გაგამდიდრებ, გაგაბედნიერებ! (ა. ყაზბ.).

გააუბედურებს: უბედურს გახდის: თქვენი წინდაუხედაობით მეც დამტანჯეთ და თქვენი თავიც გააუბედურეთ (აკაკი).

გაამარტივებს – გაართულებს (შდრ. მარტივი – რთული)

გაამარტივებს: მარტივს, უბრალოს გახდის: სიუჟეტი საშუალებას იძლეოდა, გაემარტივებინა თხრობა (ს. კლდ.).

გაართულებს: რთულს გახდის, არევ-დარევს, გააძნელებს: კარგად მოიქცა, ურთიერთობა რომ არ გაართულა (ა. სულაკ.).

გაამდიდრებს – გააღარიბებს (შდრ. მდიდარი – ღარიბი)

გაამდიდრებს: მდიდარს გახდის; უფრო სრულს, მრავალფეროვანს გახდის: მარტო შემოსავალი კაცს არ გაამდიდრებს, თუ დაზოგვამაც ხელი არ შეუწყო (ხალხ.).

გააღარიბებს: ღარიბს გახდის: მგელი ვერ გაგვაღარიბებს, თუ სხვაფრივ ვუვლით სარჩოსა (ვაჟა).

ბუნებრივია ანტონიმური წყვილის კომპონენტები ყოველთვის ერთი და იმავე პრევერბით ვერ გაზმნავდება, მაგალითად:

გაადიდებს – დააპატარავებს

გაადიდებს: დიდს გახდის, – გაზრდის: *გაადიდეს* საქართველოს საზღვრები (აკაკი).

დააპატარავებს: პატარას გახდის, – შეამცირებს: მე შემოდლია უარესი გიყო, დაგშალო, დაგაწიწილაქო, *დააპატარაო* (ნ. დუმბ.).

გაალამაზებს – დააუშნობს

გაალამაზებს: ლამაზს, სახიერს გახდის, შნოსა და ლაზათს შესძენს: სადაც საჭირო იყო, [კალატოზი] კედელს... *გაალამაზებდა* (ნ. ლომ.).

დააუშნობს: უშნოს გახდის, შნოს დაუკარგავს, – ულამაზოდ, ულაზათოდ აქცევს: ქუდმა ელგუჯა სულ შეცვალა და *დააუშნოვა* (რ. ჭეიშვი.).

გააფართოებს – დაავიწროებს

გააფართოებს: ფართოს გახდის, სიგანეს მოუმატებს, – გააგანიერებს; *გაადიდებს* (ფართობს, მოცულობას): ბინა გაუფართოებია; [მტრედის] ბუდე... ქორს დაესაკუთრებინა, *გაეფართოებინა* (ვაჟა).

დაავიწროებს: ვიწროს გახდის, – სიგანეს მოუკლებს: კაბა *დაავიწროვა*.

გვაქვს უზმნისწინო წყვილებიც:

სძულს – უყვარს

სძულს: სიძულვილი აქვს ვინმეს ან რაიმეს მიმართ: კაცი ვერ იტყვის – *სძულდათ* თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი (ილია).

უყვარს: სიყვარულის გრძნობით არის ვინმეს მიმართ გამსჭვალული: რად გიკვირს, ყოველ ქალზე უფრო მეტად დედას რომ *უყვარდე?* (აკაკი).

ღვიძავს – სძინავს

ღვიძავს: ფხიზელ მდგომარეობაშია, არა სძინავს: ადამიანს... დღისით ღვიძავს (ი. გოგებ.); გღვიძავს, თანდია? – გამიფრთხა ძილი! (ს. შანშ.).

სძინავს: ძილის მდგომარეობაშია: ჩიტის ბარტყს ეგონა, კატასა *სძინავსო* (ი. გოგებ.).

დადასტურდა იმ ტიპის ანტონიმური წყვილებიც, რომელთა კომპონენტები მიჩნევის ვნებითებია:

ეადვილება – ეძნელება

ეადვილება: ადვილია მისთვის, – უადვილდება: *ეადვილებათ* შვილების აღზრდა (ილია).

ეძნელება: ძნელია მისთვის, – უძნელებს, ეძნელება, უჭირს: ყოფნა უმშობლოდ *მეძნელებოდა* (ილია).

ეზევრება – ეცოტავება

ეზევრება: ზევრად ეჩვენება, ბევრი ჰგონია: ერთადერთი ქართული წიგნი, რომელიც აქ იხმარებოდა ყველა კლასში, არის „დედა ენა“ და ესეც თურმე *ეზევრებათ* (ი. გოგებ.).

ეცოტავება: ცოტად მიაჩნია, ცოტად ეჩვენება, ცოტა ჰგონია: ეგებ საჩუქარი *ეცოტავა* (აკაკი).

ეპატარავება – ედიდება

ეპატარავება: პატარა ეჩვენება: დავითს თავისი ოთახი თითქოს *ეპატარავებოდა*.

ედიდება: დიდი ეჩვენება: მარიამს კაბა *ედიდება*.

გვაქვს გუნების ვნებითებით შედგენილი ანტონიმური წყვილიც:

ეცინება – ეტირება

ეცინება: სიცილი მოსდის, უნებლიედ იცინის; სიცილის გუნებაზე: ყველას *გვეცინებოდა*, მაგრამ ვინ გაზედავდა სიცილს უფროსთან (აკაკი).

ეტირება: სატირლად არის განწყობილი, ტირილის გუნებაზეა; ტირილი მოსდის: ჭირისუფალი არ ტირის, მოტირალს რა ეტირებაო (ანდაზა); გოგრას ეტირება, მაგრამ არა ტირის: იცის, რომ სირცხვილია ვაჟკაცისათვის ტირილი (ვაჟა).

როგორც ვხედავთ, ზმნური ანტონიმია ამოუწურავია და მუშაო კვლავ გაგრძელდება.

მარიამ ყარყარაშვილი

ზოგი სინონიმური ზმნის სინტაქსური კონსტრუქციისათვის

სინტაქსური კონსტრუქციების ცვლილების თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ერთი სემანტიკური ველის მქონე, კერძოდ, მეტყველების გამომხატველი ზმნები. აღსანიშნავია, რომ ისინი სინონიმურობის ანუ შინაარსობრივი სიახლოვის გამო ხშირად ირევა ანალოგიით.

ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა შესაბამისი ზმნები. მაგალითად: **მოუყვა დედა შვილს ზღაპარს** – ეს არის სწორი სტრუქტურა. თუმცა ძალიან ხშირად დასტურდება მისი არასწორი აგებულებაც: **მოუყვა დედამ შვილს ზღაპარი**.

ცნობილია, რომ გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნასთან შეხამებული სუბიექტის ერგატივიზაციის საფუძველია მოთხრობით-ბრუნვიანი კონსტრუქციის მქონე სინონიმური ზმნები, როგორებიც არის **მოუთხოვო, უამბო**, რის გამოც **მოუყვას** შემთხვევაშიც უმართებულოდ დასტურდება სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში, ხოლო პირდაპირი ობიექტი – სახელობითში.

ახლა შევადაროთ ერთმანეთს **დაჰპირდა** და **აღუთქვა** ზმნები. სალიტერატურო ნორმაა **დაჰპირდა დედა შვილს სათამაშოს**, თუმცა, როგორც წესი, თანამედროვე ქართულში დასტურდება შემდეგი უმართებულო კონსტრუქცია – **დაჰპირდა დედამ შვილს სათამაშო**. ერგატივიზაციის საფუძველია პასიური **დაჰპირდა** ზმნის სინონიმური ფორმა, რომელიც აქტიური ზმნაა: **აღუთქვა გიორგიმ მოძღვარს პატიება**.

განვიხილავთ ისეთ ორ ზმნას, რომლებიც ასევე მეტყველების სემანტიკის გამომხატველია: პასიური **შეეკითხა** და აქტიური **ჰკითხა**. სწორი ფორმაა **შეეკითხა შვილი დედას ამზავს**, თუმცა აღნიშნული კონსტრუქციის ნაცვლად ამბობენ და წერენ **შეეკითხა შვილმა დედას ამზავი**, რაც, ვფიქრობთ, **ჰკითხა** ზმნის ანალოგიითაა გამოწვეული. **ჰკითხა შვილმა დედას ამზავი** – ეს, რა თქმა უნდა, მართებულია, მაგრამ შეცდომაა პასიურ ზმნასთან.

რაც შეეხება **შეეხვეწა** და **სთხოვა** ზმნებს, თანამედროვე ქართულში ხშირად გვეხვამის **შეეხვეწა მეგობარმა მეგობარს სტუმრობა**. ეს კონსტრუქცია **შეეხვეწა** ზმნისთვის მიუღებელია. უნდა გვქონდეს მართებული **შეეხვეწა მეგობარი მეგობარს სტუმრობას**. ანალოგიური იქნება მსჯელობა **სთხოვა** ზმნასთანაც. ამ შემთხვევაშიც შეცდომის საფუძველია აქტიური სინონიმური ზმნის სინტაქსი – სთხოვა მეგობარმა მეგობარს სტუმრობა.

როგორც ვხედავთ, არცთუ იშვიათად არასწორი სინტაქსური კონსტრუქციის წარმოქმნის მიზეზია მსგავსი შინაარსის მქონე ზმნები, რომელთაგანაც ერთი აქტიურია და მისი სინტაქსური კონსტრუქცია ანალოგიით ვრცელდება პასიური სინტაქსური ზმნის სტრუქტურაზე.

ლიტერატურა

კვაჭაძე 2010 - ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, III ტომი, თბილისი.

მარიამ ყარყარაშვილი

ფიქრის ძალა

რა არის ფიქრი? ფიქრი ქარია,
მაშინ დაბერავს, შენ რომ არ ელი.
და მერე ქარი როცა ჩადგება,
შენ გაიფიქრებ - მე კვლავ ქარს ველი...

რა ძალა აქვს ფიქრს? ამ კითხვაზე პასუხს ყველა სხვადასხვანაირად გასცემს, რაც ისევ და ისევ ფიქრის შედეგია. მას უსაზღვრო ძალა აქვს, შეუძლია დაავადების განკურნება, ადამიანის მდგომარეობის შეცვლა და ასევე სასწაულების მოხდენა. ფიქრსა და ჩვენს ბედს შორის, შეიძლება ითქვას, რომ იერარქიული წყობაცაა – ფრთხილად ფიქრებთან, ისინი გადაიქცევიან სიტყვებად, სიტყვები გამოიხატება ქმედებებად, ქმედებები ჩვევებად იქცევა, ჩვევები ხასიათად ყალიბდება, ხასიათი კი ჩვენ წარმოგვაჩენს. ფიქრის დროს ვასხივებთ აზრობრივ ტალღებს და ისინი უკანვე გვიბრუნდებიან. რაც მეტი განცდით ვიფიქრებთ საკითხზე, მით მეტი სისწრაფით ექნება მას მატერიალური სახე. სულერთია, ეს ფიქრი პოზიტიურია თუ ნეგატიური. როდესაც ჩვენ დადებითად ვართ განწყობილი, ჩვენ ვიზიდავთ პოზიტიურ ადამიანებს, მოვლენებსა და გარემოებებს. ხოლო, როცა უარყოფითი ემოციებით ვართ სავსე – ნეგატიურად განწყობილ პიროვნებებსა და სიტუაციებს. მეცნიერულად დადგენილია, რომ პოზიტიური აზრი ასჯერ უფრო ძლიერია ნეგატიურზე.

შეიძლება ვთქვათ, რომ ერთგვარი კავშირია ფიქრსა და საიდუმლოს შორის. რა არის ეს საიდუმლო? საიდუმლო მიზიდულობის კანონში მდგომარეობს. იმისათვის, რომ უფრო ჩავწვდეთ მიზიდულობის კანონის არსს, თავი მაგნიტად უნდა წარმოვიდგინოთ. მას აქვს ძალა, რომელიც იზიდავს საგნებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ ფიქრებზე, მაგნიტის მსგავსად ვიზიდავთ იმას, რაზეც ვფიქრობთ. ყველაფერს, რაც ხდება ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ თვითონ ვიზიდავთ იმ სახეების ძალით, რომლებიც არის ჩვენს ცნობიერებაში. ეს პრინციპი შეგვიძლია შევაჯამოთ სამი მარტივი გამონათქვამით:

- 1) ფიქრი ხორცს ისხამს;
- 2) ის ხორციელდება;
- 3) ხდება მატერიალური.

გონება ბატონობს აზრების წყალობით, რომლებსაც ადამიანები ირჩევენ და ინარჩუნებენ. 1997 წელს ექიმმა იუმოტო მასარუმ შემოგვთავაზა კიდევ ერთი საინტერესო ცდა. მან განათავსა ბრინჯი სამჭიქაში. ერთი თვის განმავლობაში თითოეულს შემდეგნაირად მიმართავდა:

- ერთს – მიყვარხარ,
- მეორეს – დებილო,
- მესამეს – მეზიზღები.

ერთი თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის ბრინჯისჭიქა, რომელსაც ეუბნებოდა „მიყვარხარ“, ვიზუალურად კარგად გამოიყურებოდა და სასიამოვნო სურნელიც ასდიოდა. იმას კი, რომელსაც უწოდებდა „დებილო“, მასში ბრინჯი გაშავდა. ხოლო იმჭიქამ, რომელსაც ეუბნებოდა „მეზიზღები“, ლპობა დაეწყო.

ამერიკული ფსიქოლოგიის მამამ, უილიამ ჯეიმსმა, ერთხელ თქვა, რომ ფიქრი თავის თავში მალავს ძალებს, რომლებიც სამყაროს ამოძრავებენ. ყოველი აზრი აღიქმება ჩვენი ტვინის მიერ, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ცნობიერი მოაზროვნე გონების ორგანოს. როგორც კი ჩვენი ობიექტური, ანუ ცნობიერი გონება მიიღებს შესაბამის აზრს, ჩვენი აზრები და წარმოდგენები აქტიურ საქმიანობას აჩაღებენ და ჩვენი ცხოვრების მოვლენებში მატერიალიზდებიან. აზროვნების გარეშე მოქმედება შეუძლებელია. ადამიანი საკუთარ თავს თავად ქმნის ან ანადგურებს.

ცნობილი ფსიქოლოგის შემდეგი მაგალითი ნათლად დაგვეხმარება ამ სიტყვების გააზრებაში: „ერთხელ სტუმრად მივედი ცნობილ მხატვართან. მას სახლში ყველა კედელზე გამოფენილი ჰქონდა შიშველი ქალის პორტრეტები. მე მას ვუთხარი, რომ პირად ცხოვრებაში აშკარად პრობლემები ჰქონდა. მან მიპასუხა: – შენ რა, ნათელმხილველი ხარ? პასუხი კი ასეთი გახლდათ:

– შენ ამ ქალის შვიდი გამოსახულება გაქვს გამოფენილი. მასში მთელი შენი წარმოსახვა და შემოქმედების უნარი გაქვს ჩადებული. შენ გვერდით ტრიალებს უამრავი ლამაზი მსახიობი ქალი, მაგრამ პირადი ცხოვრება არ გაგაჩნია.

– მინდა ვხვდებოდე სამ ქალს
– დახატე შენი თავი სამი ქალის გარემოცვაში და ჩამოვიდე ეს სურათები სახლში.

ნახევარი წლის შემდეგ მას შეეხვდი, ვკითხე, როგორი მდგომარეობა ჰქონდა პირად ურთიერთობაში. მიპასუხა, რომ ყველაფერი კარგადაა, ისინი მირეკვევენ და პაემანს მინიშნავენ. მაგრამ ახლა უკვე სტაბილურობა მინდა, ოჯახური ცხოვრება და ცოტა რომანტიკა. ვურჩიე, რომ დაეხატა სურათი მშვენიერი რომანტიკული ურთიერთობების შესახებ. ერთი წლის შემდეგ ის დაქორწინდა. ამ მაგალითიდან გამომდინარე, მან გამოხატა თავისი სურვილები, გულის სიღრმეში მას ძალიან უნდოდა ახდენოდა, მაგრამ მათი მატერიალიზირება არ შეეძლო“.

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ყოველთვის კარგი ფიქრები კარგ შედეგებს არ გამოიღებს. ჩემი გამოცდილებით, ხშირად ვყოფილვარ ისეთ სიტუაციაში, რომ ჩემი ფიქრები დადებითად განმიწყვიტა, მაგრამ ასე არ მომხდარა. მაგალითად, გამოცდის წინ ბევრჯერ მიფიქრია, რომ შემხვედროდა ისეთი კონკრეტული საკითხი, რაზეც ბევრი ვიმუშავე, თუმცა ეს ასე არ მომხდარა და ჩემი ფიქრები ვერ რეალიზდა ჩემი სურვილების შესაფერისად.

ვფიქრობ, რომ ყველამ ჩვენი ფიქრები უნდა წარვმართოთ დადებითისკენ. მართალია, არ არის ადვილი შეინარჩუნო პოზიტიური განწყობა, როცა ამდენი უარყოფითი რამაა გარშემო, მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ სრული კონტროლი გვაქვს იმაზე, თუ რისი გვეჯერა და რა აზრების მატარებლები ვიქნებით. თავისუფლად შეგვიძლია თავის დაცვა უარყოფითი ენერგიებისაგან უბრალო, მაგრამ ძლიერი აზრების გარემოცვით. ყოველი ჩვენი დღევანდელი ფიქრი, ყოველი ჩვენი გრძნობა მონაწილეობს ჩვენი მომავლის შექმნაში – „ფრთხილად იყავით, თქვენ სურვილებთან, რადგან ისინი შეიძლება ახდეს“.

სალომე შველიძე

იმიტომ, რომ სახლია შენი

(ლითონის სხეული)

„ლითონის სხეული“ – რაოდენ მრავალფეროვანია ამ სიტყვების აღქმა. როდის ხდება ადამიანის სხეული ლითონის? ავტორი ამბობს: „ბოროტი ფიქრი ცივად შეუცოცდა სხეულში“ – აი, აქ იწყება ჩვენი სხეულის ფერთაცვლა. აი, აქ ვკარგავთ საკუთარ სულსაც და სხეულსაც. მალულად შემოპარული ბოროტი ფიქრი ჩვენს სხეულს ითრევს უკიდევანო, წყვიდადისებური სიბნელისკენ. ამ გადასხვაფერებას კი ვერც ამჩნევ, იმ ფერთაცვლას, რომელსაც ავტორი სხეულის გალითონებას უწოდებს. დროის სვლასთან ერთად ედება შიგნეულობას. იქვე შუბლის ძარღვის მნახველიც ჩაიციენებს – ცოტაოდენი კიდევ შერჩენია ადამიანურობისო – და გზას განაგრძოს.

ავტორის თქმით, ადრე ლითონის სხეულს სულიც ჰქონია, მაგრამ სული როდემდის გაძლებს ლითონის სხეულში, მას ხომ თავისუფლება სწყურია, როგორ იარსებებს სული ზღვარშემოწერილ სხეულში. იქ, სადაც მეწამული სისხლია, შავი ნაღველი, ლითონის მავთულძარღვები, გაყინულ რეცეპტორებიანი ორგანოები. რა საოცარი მაგალითია ადამიანისთვის ადამიანობის დაკარგვისა. ავტორი საოცრად გვიხატავს გაბოროტებულ, ცოდვებით დამძიმებულ ადამიანს ან სულაც გარემოებებით დატანჯული ადამიანის სახეს. ჩვენი სხეული მძიმდება ცოდვებისგან და ნამდვილად ემსგავსება ლითონის სხეულს. ამ დროს კარგავ ყველაფერ ადამიანურს, ივიწყებ გრძნობებს, ემოციებს, ყველაფერს ღირებულს.

ლითონის სხეულში გაქრა სხეულის სითბო და სიცივემ დაისადგურა, ღამის სიბნელით მოცულმა სიცივემ. სხეულმა იცვალა სახე. წარმოუდგენელი სიცხადით გრძნობს ავტორი იმას, რასაც წერს, ნუთუ ოდესმე გადახდენია მის სხეულს გალითონება? ნუთუ უგრძნია სხეულის ფერთა ცვლა?

მე ხშირად მიგრძენია, მიგრძენია ბოროტი ფიქრის შემოპარვისას ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე როგორ გარდაქმნილა ჩემი სხეული გრძნობადაკარგულ სხეულად, როგორ დაუძიმებია ცოდვას

ჩემი სხეული, ჩემი სული. ადამიანები, სამწუხაროდ, ცუდს მხოლოდ სხვა ადამიანებში ვპოულობთ და არა საკუთარ თავში. გალითონებუ-ლი ადამიანი არც კი დაეჭვებულა ლითონური ხმების საკუთრებაში, მალევე გასაღებების შეკვრას მიაწერა. სხეული იმდენად გაუცხოებუ-ლი იყო, რომ საკუთარ სხეულზე ჭიქის გატეხის შემდეგ არარსებული ნაკაწრიც გაუკვირდა.

ჩვენი სული უფლისაა, სხეული – მიწის. სული ძნელად თუ იც-ვლის ფერს, ის იბრძვის უკანასკნელ წუთამდე. ამ სხეულშიც ხომ მხოლოდ სული შფოთავდა და ევედრებოდა სითბოს დაბრუნებას. სავარაუდოდ, აქ უფალს გულისხმობს ავტორი. უფალი ხომ სიყვარუ-ლია და მის სიახლოვეს სწორედ სხეულში შემოჭრილი სითბოთი ვგრძნობთ. სულიც ღმერთს სთხოვს გონებისა და ლითონის სხეულის შეღვიძებას, ბოროტი ფიქრის განდევნას, რომელიც ასე დაჰკატრონე-ბია სხეულს.

ამ სხეულში სიცოცხლის ერთადერთ ნიშნად გულიდა დარჩე-ნილიყო, რომელიც ყველაფრის მიუხედავად ძგერდა გალითონე-ბულ სხეულში. გული ფეთქავდა და ცდილობდა, ცოტა კიდევ მოეთ-მინა. მან იცოდა, რომ რიჟრაჟის სინათლეს ალიონის სიგრილის მერე ცოტაოდენი სითბო მაინც მოჰყვებოდა.

სამწუხაროა, მაგრამ ამ პერიოდშიც ბევრი დადის ლითონის სხეულით, ფერებდაკარგული თვალებით, უემოციო გულით, თავი-სუფლების წყურვილით, მომაკვდავი სულით და დიდი ხნის მიძინე-ბული გონებით.

ავტორმა შეძლო ჩემი, როგორც მკითხველის, გაცემა და კვლავ ამომაცნობინა თავი ლითონის სხეულში.

სალომე შველიძე

იმიტომ, რომ სახლია შენი

(შესავალი)

„ტექსტად ქცეულ ქართულ სიტყვათა ჯერი“ – ასე უწოდა მამა ადამმა თავის საოცარ ნაშრომს, როცა გულისყურის მიპყრობას ითხოვდა მკითხველისგან. დიდებულია ნაშრომი, რომელიც ავტორის ხელს კვალად დაუჩნევია ფურცლებისთვის. წიგნის დასაწყისშივე საჭიროა კავშირი, გულთა კავშირი, ავტორსა და მკითხველს შორის „სხვაგვარად წარმოდგენელია ქარისა და დროის სულთა კლავიშების შეხება, ანდა მზის დისკოს გაუჩინარების დანახვა ზღვასა და ცას შორის“. როგორც მამა ადამი ბრძანებს, სხვა კავშირი წიგნსა და მკითხველს შორის – ეს არის უშუალო, პირდაპირი საუბარი მასთან, ვისაც ყველაზე მეტად სურს მისგან მხარდაჭერის მიღება. ეს არის წიგნი, რომელსაც ერთ სივრცეში შეუკრებია ყველა ადამიანური გრძნობა: სისუსტე თუ სიმძლიერე, მწუხარება თუ სიხარული.

ჩემი, როგორც მკითხველის, გადმოსახედიდან ავტორმა ნამდვილად შეძლო, ჩემს გულის კარამდე მოეტანა თავისი სათქმელი. კითხვისას მე ვიცანი თავი ჩემი, როგორც სუსტმა და როგორც ძლიერმა ადამიანმა. მან ნამდვილად შეძლო ჩემში ადამიანური გრძნობების გაღვიძება. წიგნის დასაწყისშივე საოცრადაა გამოხატული „შუაღღედ“ წოდებული ცხოვრების ეტაპი. ერთი დიდი დღეა ადამიანის ცხოვრება. სავარაუდოდ, ავტორი ამ სიტყვებში გულისხმობდა იმას, რომ ადამიანმა ერთი დღე ისე უნდა გაატაროს, თითქოს ის უკანასკნელი იყოს მის ცხოვრებაში.

ავტორი ცხოვრების შუა ეტაპზეა, როცა არც თავარა მზე იცის და არც მთლად უმზებობა, როცა ადამიანს ბევრი რამ აქვს სათქმელი, როცა იცის გულიდან წამოსული თითოეული სიტყვის ფასი, როცა ბევრი რამ უნახავს და გამოუცდია ამ ცხოვრებაში. ძლიერიც ყოფილა და ისევე დასუსტებულა, ისევე წამომდგარა და კვლავ დამარცხებულა, მაგრამ არ შეჩერებულა... ასეთია ადამიანის ცხოვრება, აღმართის შემდეგ დაღმართის მომლოდინედ მყოფისა. წიგნად აკონძული მშვენი-

ერების ფასი ხომ არაფერია, ოღონდ ამ მშვენიერების აღქმას სჭირდება დრო და მოთმენა, ერთგულება და სიყვარული. მე, როგორც მკითხველი, დარწმუნებული ვარ, მამა ადამის შუადღის ცხოვრებაში დადგება ის მომენტი, როცა ამ წიგნით გაცემულ სიყვარულსა და სითბოს უკუკავშირით მიიღებს იმ კითხველისგან, რომელსაც სიყვარულითა და გულისყურით წაუკითხავს და შეუგრძნია ამ წიგნის თითოეული სიტყვის ფასი. ძალიან რთულია, ასე სულშიჩამწვდომად მიაღწევიანო ხმას გულის კარამდის, მაგრამ როგორც ავტორი ბრძანებს, ნაწერი სიტყვა უფრო ხმამაღალ ექოს იძლევა, ვიდრე ნაფიქრი, ანდა ნათქვამი. ეს წიგნი ნამდვილად ჰგავს ლამბაქით მორთმეულს, ისე ლამაზად და შეხმატკბილებულად გაწყობილა სიტყვები, კითხვისას ისე ჰარმონიულად ერწყმიან და ქმნიან მელოდიას, როგორც ზღვის ტალღების საამური ხმაური.

მამა ადამი ამ ცხოვრებას „უსიტყვოთა ტყეს“ ადარებს. ჩვენ ნამდვილად იმ ეპოქასა და

იმ გარემოში ვცხოვრობთ, სადაც სიტყვას დაუკარგავს ფასი, სადაც სიტყვები ჰაერში ქაოსურად მოძრავ მოლეკულებს ჰგვანან. იქ, სადაც სიტყვის ძალას ვეღარ ვგრძნობთ, როცა სიტყვები ჰაერში იფანტებიან, ასეთ დროს საოცრად გვსიამოვნებს ერთ ლამბაქზე ლამაზად გაწყობილი სიტყვები.

ადამიანები ხშირად ვერ ვიაზრებთ ჩვენს გონებაში არსებული სიტყვების ძალას, ვერც კი ვხვდებით, როგორი გასაოცარი მშვენიერებაა „სიტყვა“, როგორი მრავალფეროვანი, როგორი მრავლისმთქმელი. ფურცელზე გადმოტანილი სიტყვის სხვაგვარი ცხოვრება კი სწორედ მაშინ იწყება, როცა ავტორი ერთ სივრცეში ერთ წიგნად მოუყრის თავს. ამ დროს ეს წიგნი მხოლოდ ავტორისდა როდია, ის უკვე მკითხველისაცაა. მკითხველისა, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში გაცოცხლებს ამ წიგნს, რომელიც მარადის შეინახავს და მოუვლის როგორც სანუკვარს. მთავარია გულის ხმას მიენდო, ის გონების კარს გაგიღებს, გონება კი გაჩვენებს სიტყვებს, რომელთა საოცრებაში თავად დარწმუნდები, როცა ფურცელზე კვალად გარდაქმნი. არ აქვს დროს მნიშვნელობა, არც გარემოს. როგორც ავტორი ამბობს, შეიძლება, შუაღამეს ძილგატეხილმა, წერით მოწყურებულმა დახატო სიტყვით შენი სათქმელი. „და ასე ყოველ ძილგატეხილობის ჟამს და სავსემთვარეობის ჟამსაც და ყვითელი და წითელი მზის გულზე და უთავბოლო წვიმის გულგრილ წვეთებზე და ციდან გადმოქცეული ვეებერთელა

ფანტელების უთეთრეს მაქმანებზე და უსახლკარო ქარის გოდების ბაგეებზე – ყველგან და ყოველთვის იგრძნობს ნაწერი სიტყვის შობის ტკივილებს და ამ ტკივილებზე უფრო ტკივილებიან ბედნიერებას.“

რა საოცრად აქვს აღწერილი ავტორს იმ ტკბილი გრძნობის შესახებ, როცა დღის ნებისმიერ წუთსა თუ წამს გინდა გონება გაათავისუფლო სიტყვათა სიმრავლისგან. იმ სიტყვებისგან, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან შობასა და ახალ სიცოცხლეს.

და ბოლოს, მამა ადამმა ნამდვილად მიაჩნა სიტყვებს თავისუფლება, სიყვარული და სითბო, რადგან ეს ნაწერი აუცილებლად გაუძლებს დროს და მის დაჭამნიკებას შეძლებს უამრავი თაობა.

სანდრო ჩემინავა

პუშკინი და დიუმა — როგორც ერთი პიროვნება

კაცობრიობის დიდი შემოქმედი ალექსანდრე პუშკინი ითვლება ყველა დროის ერთ-ერთ დიდ პოეტად. მისი ავტორიტეტი აღიარებულია მთელ მსოფლიოში და მიიჩნევა თანამედროვე რუსული ენის შემოქმედად. 1961 წელს გამოცემულ ბრიტანულ ენციკლოპედიაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ პუშკინი არის სალიტერატურო რუსული ენის ფუძემდებელი.

ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი დაიბადა 1799 წლის 6 ივნისს იმ დროს გაღარიბებული აზნაურის ოჯახში. სამამულო აღიარება პუშკინმა სიცოცხლეშივე მოიპოვა, გახდა მთავარი ნაციონალური პოეტი და შემდგომ მთელ მწერლობაში თავი ღირსეულად დაიმკვიდრა.

ალექსანდრე პუშკინი არა მხოლოდ თავად ქმნიდა პოეზიის გამორჩეულ ნამუშევრებს, არამედ თარგმნიდა ბაირონს, ვოლტერს, ფრანჩესკო ჯანის, პროსპერ მერიმეს... ეს არის ერთ-ერთი ის საკითხი, რომელსაც საბჭოთა კავშირის პერიოდში აკადემიური კვლევები ეძღვნებოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა წიგნი – ე. ეტკინდის ნაშრომი „Русские поэты- переводчики о Тредиаковского Пушкина“ (1973 წ.), რომელშიც ფართოდაა განხილული პუშკინის შემოქმედება, როგორც უნიკალური ფენომენი.

პოეტმა ბავშვობა გაატარა მოსკოვში, ფრანგების გარემოცვაში. 12 წლის პუშკინმა ჩააბარა ლიცეუმში (Императорский Царскосельский лицей), სადაც მეტსახელად „ფრანგი“ შეარქვეს. ამის მიზეზი იყო ფრანგული პოეზიის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება და მისი სიყვარული. თუ ლეგენდად მთარულ ამბებს დავუჯერებთ, იმასაც ამბობენ, რომ პუშკინი ლიცეუმში მოხვდა „ჩაწყობით“. პოეტის ბიძა, ვასილი ლვოვის ძე, პირადად იცნობდა იმდროინდელ მინისტრ სტეპანსკის, რომელმაც პატარა სამას ჩაბარების დროს პროტექცია გაუწია.

ცნობილია, რომ ყველა გენიოსს აქვს უცნაური თავისებურებანი. პუშკინიც, როგორც გენიოსი, არ ყოფილა ამ თვალსაზრისით

გამონაკლისი. დიდ რუს პოეტზე აღნიშნავენ, რომ იყო ცრუმორწმუნე ადამიანი. მაგალითად, ნატალია გონჩაროვაზე თავის სარფიან ქორწინებას უკავშირებდა „ბედნიერების მომტან სერთუკს“. ამბობენ, რომ უყვარდა ხმამაღალი სიცილი თავისსავე ხუმრობებზე. მხატვარი ბრიულოვი შენიშნავდა, რომ ბედნიერი პუშკინი ისე იცინოდა, თითქოს ნაწლავები უჩანდა. ჩვენამდე მოაღწია თქმულებამ, რომ 1829 წელს პოეტმა შეადგინა ქალბატონების სია და მასში შეიყვანა ყველა ის მანდილოსანი, რომლებითაც გატაცებული იყო. სიაში 37 ქალის სახელი ეწერა. არსებობს წერილი, სახელად „კნიაზინია ვიაზემსკოი“, სადაც აღნიშნულია, რომ გონჩაროვა არის პუშკინის 130-ე სიყვარული.

პოეტის ბიოგრაფია გახლავთ უაღრესად საინტერესო. მეცნიერები დღემდე ცდილობენ, რომ ბურუსით მოცული ინფორმაციები საგულდაგულოდ გამოიკვლიონ და ამოხსნან ის საიდუმლოება, რომელიც უკავშირდება პოეტის ცხოვრებას. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია სერგეი გესენისა და ლევ მოდზალევესკის წინი „Разговоры Пушкина (1929 წ.). ტრადიციული ცნობებით, პუშკინს 4 თვე აშორებდა თავის 38-ე დაბადების დღეს, თუმცა 1837 წელს მიღებული სასიკვდილო ჭრილობა მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

2000 წელს ლეონიდ ბელიაევმა გამოთქვა საინტერესო ჰიპოთეზა, რომ ალექსანდრე პუშკინი და ალექსანდრე დიუმა ერთი და იგივე პიროვნებაა. ეს მკვლევარი გახლავთ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის კათედრის გამგე. ის 1995 წლიდან 2001 წლამდე ასწავლიდა ამერიკაში, კერძოდ, კალიფორნიის, ჩიკაგოს, ვისკონსინის უნივერსიტეტებში. მის სახელს უკავშირდება 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. რა თქმა უნდა, ყველა მეცნიერისათვის ეს განცხადება ამაღელვებელი, სკანდალური აღმოჩნდა, თუმცა, როგორც ჰიპოთეზა, ის, რა თქმა უნდა, საინტერესო და ორიგინალურია.

ბელიაევის პოზიციას მოგვიანებით მიემხრო ფილოლოგი და ისტორიკოსი ვლადიმერ ივანოვი. ის ამტკიცებს, რომ პუშკინმა და დანტესმა დუელი გაითამაშეს. ეს იყო პუშკინის სიკვდილის ინსცენირება. ამ საკითხს ეძღვნება მოხსენება, სახელწოდებით „მოულოდნელი პუშკინი“, რომელშიც გვაქვს ორი ეტაპი: ა) ცხოვრება ცხოვრე-

ბის დროს (იგულისხმება პოეტის ცხოვრება) და ბ) ცხოვრება ცხოვრების შემდეგ. ივანოვი ამბობს, რომ საკვლევი მასალის სიდიდემ და სიფართოვემ ის ძლიერ განაცვიფრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის ანალიზებს და ხელმძღვანელობს დადასტურებული წყაროებით. მან გადაჭრით განაცხადა, რომ პუშკინის ცხოვრება თავიდანვე გაწერილი პროექტი იყო, რომელიც შეიქმნა სახელმწიფო სტრუქტურათა მიერ, ხოლო როგორც პროექტი, პუშკინის ცხოვრების ბოლო წლებში განხორციელდა. ივანოვის ცნობით, ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I პოეტის პრობლემების მოსაგვარებლად იხდის 138 000 რუბლს. აქ შედის გამოსყიდვა იმ მამულითა, რომელიც პუშკინმა ბანქოში წააგო. ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ეს თანხა იყო პოეტის, როგორც სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე მნიშვნელოვანი პირის, ხელფასი. ივანოვის მიერ პუშკინისა და დიუმას გაიგივება არ ყოფილა ერთადერთი ეპატაჟური განაცხადი. მან ასევე დასვა შეკითხვა – ეკუთვნის თუ არა „ვენეგი ონეგინი“ ალექსანდრე პუშკინის კალამს.

ივანოვს უკავშირდება არაერთი კვლევითი საქმიანობა: პუშკინისა და დიუმას კალიგრაფიების შედარება, ხელნაწერთა მართლწერის საკითხები. ის ამბობს, რომ პუშკინი თითო გვერდზე დაახლოებით 40-მდე შეცდომას უშვებს და ეს არის კატასტროფულად დიდი ოდენობა. ისმის კითხვა, რატომ წავიდა პუშკინი გარდაუვალ სიკვდილზე, როცა მან იცოდა, რომ დუელში იწვევდა საფრანგეთის ჩემპიონი მტრედებზე სროლაში ჟორჟ დანტესი? ივანოვი აღნიშნავს, რომ მისი მომავალი სიკვდილი პოეტის სიცოცხლეშივე ივარაუდებოდა და ამ დასასრულს ერთი წლის განმავლობაში უწევდნენ პოპულარიზაციას. თუ გავითვალისწინებთ შემოქმედის შესახებ გავრცელებულ „მითებს“, მათი რელევანტურობის შემთხვევაში გამოდის, რომ პუშკინი ნამდვილად იყო ის, ვისაც ამის გაკეთება შეეძლო. ცნობილი რუსი პოეტი, რუსული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვასილი ჟუკოვსკი აღნიშნავდა, რომ 17-18 წლის პუშკინი 30 წლის მამაკაცივით აზროვნებდა. თავადი დიმიტრი გარჩეკოვიჩი თავის მონგონებებში წერს, რომ პუშკინი უკეთესად ლაპარაკობდა ფრანგულად, ვიდრე რუსულად. ივანოვის მტკიცებით, როცა 1822 წელს ლიტერატურულ სარბიელზე დიუმა ჩნდება, პუშკინი ამ დროს – 1820 წლიდან 1823 წლამდე – ტოვებს რუსეთს და იმყოფება კავკასიაში, ყირიმსა და უკრაინის სხვადასხვა მხარეში.

გარდა ამისა, არსებობს ფაქტები, რომლებიც შესაძლოა ივანოვის სასარგებლოდ მეტყველებდეს. მაგალითად, ალექსანდრე დიუმას რომან „გრაფი მონტე კრისტოში“ გამოყვანილი ჰყავს პერსონაჟი ედმონდ დანტესი, რომელიც ვითომ მოკვდება და ამის მერე სხვა სახელით გაეცნობა ხალხს. 1840 წელს დიუმამ დაწერა „ფარიკაობის მასწავლებელი“. მასში იმდენად დეტალურადაა გადმოცემული რუსეთის 1825 წლის აჯანყების ამბები, რომ მკითხველს მართლაც გაუჩნდება შეკითხვა: როგორ ახერხებს დიუმა ყოველივე ამას, როცა ის რუსეთში ნამყოფიც კი არ არის? მწერალი ისე მკაფიოდ აღწერს დეკაბრისტების ისტორიას, თითქოს პერსონალურად იცნობდა რევოლუციონერებს. გარდა ამისა, ის თარგმნიდა რუსულ ლიტერატურას, მათ შორის, პუშკინის შემოქმედებას. საყურადღებოა, რომ დიუმა პირველად რუსეთში ჩადის ნიკოლოზ I-ის სიკვდილის შემდეგ – 1858 წელს. ივანოვი ამბობს, რომ პირველი, რასაც დიუმა ათვალისწინებს, პუშკინის საცხოვრებელი ადგილი და გარემოა.

ალექსანდრე პუშკინის, როგორც რუსი პოეტის არსებობის, მოტივად ივანოვი მოიაზრებს ხელოვანის მსოფლმხედველობას, განვითარებისა და თავისი ტალანტის გამოაშკარავების სურვილს. 1822-1823 წლებში, მაშინ, როდესაც ივანოვის აზრით, აბსოლუტურად ბურუსითაა მოცული პუშკინის ადგილსამყოფელი, პარიზში ჩნდება ვინმე დიუმა, გაურკვეველი ბიოგრაფიითა და უდიდესი სამწერლობო ნიჭით. რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ პუშკინს მთელი წლის განმავლობაში მისცემოდა საშუალება, რომ პარიზში ყოფილიყო, თუმცა ამაზე მკვლევარი პასუხობს, რომ დიუმას სახელით ნაწერებს აქვეყნებდა პუშკინის უმცროსი ძმა, ლევ პუშკინი, ალექსანდრე პუშკინის პირადი მდივანი და საქმეთა აღმასრულებელი. ძმები ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. რუსი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ 1820 წლიდან ლევ პუშკინს თავისუფლად შეეძლო საფრანგეთში საგამომცემლო საკითხების მოგვარება. თანამედროვე რუსული მეცნიერება ივანოვის მოსაზრებას არ მიიჩნევს სარწმუნოდ, თუმცა ამ კვლევამ ბევრ ადამიანში გააჩინა ეჭვები. ჩვენ არ ვიცით, რა არის სიმართლე, მაგრამ საინტერესოა, მომავალში რამდენად მყარ არგუმენტებს გაგვაცნობენ რუსი მკვლევრები.

ლიტერატურა

Гессен, Модзалевский 1929 – С. Гессен, Л. Разговоры Пушкина, Москва.

Эткинд 1973 – Е. Эткинд, Русские поэты-переводчики от Третьяковского до Пушкина“, Ленинград.

სანდრო ჩემინავა

მოთხრობა „ემზაკის მოსახვევის“ გააზრებისათვის

დიდი ქართველი მწერლის, გურამ გეგეშიძის სამწერლობო შემოქმედება ქართველი მკითხველისათვის მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან არის ცნობილი. მისი პირველი მოთხრობა ჯერ კიდევ 1957 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ და ამის შემდეგ მწერლის ყველა ცნობილი ნაწარმოები გახდა საერთო სახალხო სიმპათიის საგანი. ჩვენი მიზანია, გამოვყოთ და ავხსნათ, რა საკითხებზე წერდა იგი, როგორი იყო ავტორისეული ხედვა იმ ადამიანური ფასეულობებისა, რომელთა დაცვაც დღეს ჰუმანიზმის მთავარ მისიად ითვლება. ნიშანდობლივია ისიც, რომ მწერლის შემოქმედების სათანადოდ შეუსწავლელობის მიუხედავად, კრიტიკა მას დღესაც გვერდს უვლის. სამწუხაროდ, გურამ გეგეშიძის შემოქმედების ძირითადი ასპექტებისთვის მიძღვნილი სიღრმისეული რამდენიმე ნაშრომიც არ მოგვეპოვება. იმ მკითხველისათვის, ვინც კრიტიკას აქტიურად კითხულობს, თავისთავად უსიამოვნოა ეს ამბავი, რადგან ასეთი მაღალი დონის მწერალი კერძო ესთეტიკური იდეალებისა და ლიტერატურული ორიენტაციის გაანალიზების გარეშე დარჩა.

უპირველესად ვთქვათ ორიოდ სიტყვა მოთხრობის შინაარსზე: ახალგაზრდა მწერალი ცდილობს ზუგდიდიდან სვანეთში მიმავალი მანქანა იპოვოს. ურჩევნ, ჯვარში ჩავიდეს, რადგან იქიდან უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ გაემგზავროს. იქ ჩასული პერსონაჟი ბეჩოში მიმავალს ვერაფერს ნახავს, თუმცა ხაიშში წამსვლელს გაჰყვება. მგზავრობის დროს საუბრობენ მძღოლზე, სახელად კოჩიაზე, რომელიც წინა დღით ამ გზაზე გარდაიცვალა. ცოტა ხნის შემდეგ მანქანა ენგურის ხეობაშივე, სასადილო ქოხთან შეჩერდება, რადგან მძღოლს კვლავ მოუწდება ისადილოს, მიუხედავად იმისა, რომ ამავე მიზეზით მან სადგურიდან გასვლა დააგვიანა. მწერალიც გადაწყვეტს, რამე მიირთვას და სასადილოში შევა. აქ იგი სამ კაცს გაიცნობს, რომლებიც ადგილობრივებთან მუშაობენ (ხალხს ყუთებით ამარაგებენ და ტყემალს იზარებენ). სამიდან ერთ-ერთი, სახელად ასტამური, კოჩიას მსგავსად მძღოლია. მწერალი მათ დაემგზავრება. ხაიშში შესვლის შემდეგ ის ხედავს ავტობუსს, საიდანაც ნაცნობები ხელს უქნევენ. ის

მოითხოვს, შეუჩერონ, ბარგს იღებს, ხოლო მანქანა გზას აგრძელებს. ასტამური მარტო რჩება და იღუპება ზუსტად ისე, როგორც კოჩია.

ასე შემოჰყავს მწერალს მოთხრობაში პერსონაჟად ასტამური, როგორც კოჩიას ახლო ნათესავი და ბიძაშვილი. კოჩიას ამბის გამო წუხან ადგილობრივები, ასტამურის თანამშრომლებიც, ირგვლივ ყველა დარდობს და მათი წუხილი, მართალია მეტ-ნაკლებად, თუმცა დიდია. ასტამური ხმას არ იღებს. მარტოდ დარჩენილი პერსონაჟის ფიქრებს მწერალი ბოლოსკენ ამჟღავნებს.

გურამ გეგეშიძის მოთხრობა „ემშაკის მოსახვევი“ 1965 წელს დაიწერა. შექმნის თარიღს მისი თემატიკის ასახსნელად გადაწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია. დამძიმებული, აგრესიული სულის პრობლემა ყველა დროსა თუ საზოგადოებაში არსებობს და განსხვავებული ფორმით სხვადასხვა დროის ლიტერატურაში აისახება. გვაქვს მოლოდინი, რომ ზუგდიდში დაწყებული ამბები ბეჩოში უნდა განვითარდეს, თუმცა მოქმედება მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაიში ხდება. მწერალი თემის გასაშლელად რომელიმე ცნობილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის, მაგალითად, ომის ან რევოლუციის ფონს არ ირჩევს. ომსა და რევოლუციას ვერაფერს მიაწერ – ის, რაც აქ ხდება, ყოველდღიურობაა. შთაბეჭდილება, რომელსაც მოთხრობაში მომხდარი ამბავი ტოვებს, დამთრგუნველია. გრძნობ, რომ სამყაროს, რომელიც უხეშად გათელილა, განსაკუთრებული, სულიერი გადაწყვეტილებების მსგავსი სინამდვილე ათავისუფლებს, ეს სინამდვილე ჩვენშია და იგი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ არსებაში უნდა გადავარჩინოთ.

მოთხრობა ორი მეტ-ნაკლებად ვრცელი ნაწილისა და ეპილოგის მსგავსი მოკლე ფინალისგან შედგება. ნომერი მხოლოდ მესამეს, დაუნომრავ ნაწილს, არ აქვს და ვარსკვლავებით გამოიყოფა. მოქმედება ერთ დღესაც არ მოიცავს, დილაგასულზე იწყება და ღამით მთავრდება. იგი განსაკუთრებული ტემპით, თუმცა სწორხაზოვნად მიდის. ახალგაზრდა მწერლის მოკლე თავგადასავალი არა მარტო აწმყოს, არამედ წინანისტორიის მოსაყოლადაა საჭირო. ასტამურთან დაკავშირებული აბსოლუტურად ყველა ეპიზოდი აღწერთია. იგი ასტამურისა და კოჩიას თანაცხოვრებას, ხედვასა და ინტერესებს გვიხატავს. დამაბულობა იწყება მთავარი პერსონაჟის ფიქრებზე საუბრით. ავტორი მანამდე გვეუბნება: კაცი როცა ბედნიერია, ცუდ თვისებებს

უმჩნევენ, ხოლო კარგი თვისებები მაშინ ახსენდებათ, როცა კაცი უბედურიაო. საქმე ის გახლავთ, რომ ასტამურს აფიქრებს კოჩიას თვისებები, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ცუდი.

საზოგადოებას, რომელიც მოთხრობაში იხატება, ადგილობრივობა და ნაცნობობა აერთიანებს. თითქოს ეს გაერთიანება კონსოლიდაციის განსაკუთრებული ხარისხით გამოირჩევა — გარდაცვლილ კოჩიას ყველა იცნობს. მოთხრობაში კარგად ჩანს გარემო: ენგურის ხეობა, სასადილო ქოხი, საშიში გზა, გლეხები, კოლმეურნეობა და სხვ.

ასტამური კეთილი კაცია. როგორც ვამჩნევთ, ბრაზიანიცაა. უნდა ითქვას, რომ უსაფუძვლოდ არ ბრაზდება, თუმცა ამით შეუძლებელია საყვარელი ადამიანების ცხოვრების სტილი შეცვალო. ავტორს აქვს უნარი, ჯერ დაგვაჯეროს, მერე გადაგვარწმუნოს: მკითხველს თავიდანვე უჩნდება განცდა, რომ კომპოზიციური მუხტი ახალგაზრდა მწერალშია და მოთხრობის კულმინაცია მის ფონზე უნდა მოხდეს. მოქმედების კვანძი იხსნება მას შემდეგ, რაც გავიგეთ, რომ გარდაცვლილს ყველა მისტირის, დახლიდარი ბარდღაც კი, რომლის ვაი-ვიშმა თავიც კი გააცემინა, მაგრამ მოთხრობაში ასტამური ყველაფერია — კოჩიას შეფასების მკაცრი ინდიკატორიც. ასტამური კოჩიაზე 10 წლითაა უფროსი. ასტამური დამთმობია, მაგრამ კონფლიქტის ინიციატორიც თავადვე გახდება ბოლოს. „კოცონს“ კოჩია ასაზრდოებს, ამიტომ უსიმპათიო პერსონაჟია. საერთოდ, მკითხველს ზოგი პერსონაჟი მოსწონს, თავი თანამგრძნობად, თანაგამცდელად წარმოუდგება, ზოგი — არა. ამ მხარეს აღმოჩნდა კოჩიაც, რომელიც სხვადასხვანაირია: ხან მძიმე, ხანაც მსუბუქი, ნაკლებად მგრძნობიარე, გარესამყაროს მიმართ უარყოფითად დამუხტული. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმპათია და სიყვარული ადამიანს ყოველთვის იქით მიმართავს, საითკენაც მიძღები სული ეგულდება. ამიტომ გვკერა, როცა ავტორი გვეუბნება, ასტამურს კოჩია უყვარდაო. ადამიანი შეიძლება ჩხუბობდეს, მრისხანებდეს, თუმცა შინაგანი ბრძოლა აუცილებლად უნდა ჰქონდეს — იწვალოს, იტანჯოს და შეიცვალოს. კოჩია უცვლელი დარჩა იმის შემდეგაც, როცა თითქოს რაღაცას მიხვდა, თითქოს მისმა გონებამ რაღაც ამოიცნო (ფოთის გზაზე ნაავარიებ კოჩიას ასტამური ნასესხებ ფულს უგზავნის საავადმყოფოში, ხოლო მის ოჯახს 6 თვე არჩენს). ავტორმა პირდაპირ გვითხრა: ასტამურს სწყინს, სულის რომ არ სწამთო. ცხოვრებისეული მთლიანობის შეთვისება

სულიერად მთლიან ადამიანს შეუძლია. კოჩიას სულიერება დეფორმირებულია, მისი მთლიანობა დარღვეულია, ცალკეული ინსტიტუტები ცალმხრივადაა განვითარებული. რაც არ ვარგა, სიცუდით აღიზიანებს, ბოღმავს, თუმცა კარგიც სიკარგით აღიზიანებს. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნებოდა კოჩია, ჯარში რომ არ წასულიყო და რუსულ კულტურას არ დაეცა (სიგარეტს როცა სთხოვენ, რუსულად პასუხობს: „შენი უნდა გქონდეს!“). ყველას იმდენი სითბო აქვს, რამდენიც თავისი თავის გასათბობად ჰყოფნის. ეს ცხოვრებისეული რეალობაა. ასეთი იყო კოჩია. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ გარემოში იზრდება, ყველა წვრილმანს მარცვლავს, ყველა ნაკადს აერთებს, ყველა ნამს ისრუტავს და თავის სულიერ რეალობად აქცევს. ასეთი იყო ასტამური.

ავტორს ადარდებს ის, რაც ადამიანის ცნობიერებას არყვეს, აბინძურებს. მკითხველს იმთავითვე ახვედრებს, რომ მასში გაუტანლობასა და დაუდევრობას, გაუფრთხილებლობასა და უზრუნველობას დაუსადგურებია. ლიტერატურას იგი არსებობის დღიდან აფიქრებს და არც ისე შორეული წარსულიდან შეგვიძლია ისეთი კლასიკური მაგალითის მოყვანა, რომელიც არასოდეს დამველდება: მაგ., ილია ჭავჭავაძის ოთარანთ ქვრივი, როგორც პერსონაჟი, საკუთარ სულიერებაში გამოწრთობილია, ამბობს: „დმერთმა ადამიანი გააჩინა, უბრძანა: წადი, შენს თავს მოუარეო, შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო; მე ხელი დამიბანიაო; აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. ადულტულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, გაივილიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო“.

ავტორი ხედავს, რომ სინამდვილე, რომელშიც ვცხოვრობთ, ადამიანობის საწინააღმდეგოა. ადამიანის დაღუპვა ყოველთვის არღვევს სიმშვიდეს. მწერალი ასე ახმაურდა იმ სიმშვიდეში, რომელშიც მხოლოდ ადამიანთა დაუფიქრებლობა „ისმის“; მერე კი ამ სახით გადმოგვცა: „...სიკვდილში არაფერი არ არის უცნაური და არაჩვეულებრივი, პირიქით, ის უფრო უცნაური იქნებოდა, კაცი რომ არ კვდებოდეს საერთოდ. მაგრამ მაინც უნცაური და სამწუხარო ჩანდა ის ამბავი, რომ გუშინ ამ გზაზე, ამ მშვენიერი ბუნების წიაღში გამოიარა კაცმა, რომელიც დღეს აღარ არის.“

ტექსტის დასასრული უაღრესად გათვლილი დასასრულია. მე-ჯოგე ბიჭის სიტყვები გახლავთ უცნაური სიკვდილის ხაზგასმა. ზოგჯერ ადამიანს მხოლოდ ის აფიქრებს, რაც აოცებს. ბიჭის სიტყვებს გამოხმაურებული უფროსი კი მიდრეკილია იმისკენ, რაც ადამიანურია: დარწმუნებული, თვითდაჯერებული, ახლომხედველი — და არა თვითკრიტიკული და შორსმჭვრეტელი: „...გუშინ ამ დროსაც გადავარდა მანქანა მაგ ადგილზე... როგორ შეიძლება, პატენი, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას, ორი მანქანა გადავარდეს ზედიზედ?“

გურამ გეგეშიძე დინჯი და ყურადღებიანი მთხრობელია, იგი თითო-ოროლა ნიუანსს არ ენდობა, სახეებს, მოვლენებს, გარემოს გულდაგულ, ზოგჯერ დაწვრილებით აღწერს. მოთხრობაში ბევრი ტიპური და მრავლისმთქმელი წინადადებებია. ცხადია, რომ მწერალი გარკვეულ სტილსა და კითხვის ტემპს გვთავაზობს.

მოთხრობაში ცოტა დიალოგია, დიალოგზე მეტი — მოქმედება, ხოლო ორივეზე მეტი — მოვლენათა აღწერა. მწერალი პერსონაჟის განცდებზე შიშვლად, დეკლარაციულად არ ლაპარაკობს. იგი ამ გრძნობებს მოქმედებაში ან სულიერ მოძრაობაში გვიხატავს. ამიტომ, რომ მოქმედებაში ჩანს ადამიანის შინაგანი წინააღმდეგობა — გადაწყვეტილების მიღება, უარყოფა, ემოციის მთლიანობა. პერსონაჟის შინაგან მოძრაობას ამბის ფორმა აქვს.

მკითხველი, რომელიც ადამიანური სიტბოსა და სიყვარულის გამოვლენასთან მწერალმა უვალი გზით მიიყვანა, საბოლოოდ უკმაყოფილო დარჩა. უნდა ვადიაროთ, ავტორმა სამართლიანად გვაწყენინა. სიცოცხლე და სიკვდილი — თითქოს სულ ეს ორი რამ უნდა იყოს: „კვდება“ და ივიწყებენ, მაგრამ ჩვეულებრივ საზოგადოებაში ასე „არ კვდებიან“. ვგულისხმობთ გურამ გეგეშიძის აბსოლუტურად სხვა ნაწარმოებს, რომანს, სახელად „ცოდვილი“, რომელშიც ელამი ძუკუ და ლევანი უყვებიან თაურისას ასტამურისა და კოჩიას ამბავს. ამბების ასე გადანაწილება შემთხვევითი არ არის. უცხოური მხატვრული ლიტერატურისათვის კარგადაა ნაცნობი პერსონაჟთა ამბების სიმრავლე სხვადასხვა ნაწარმოებში. გურამ გეგეშიძე არის ავტორი, რომელსაც ასეთი გადამახილის ჩუქება ჩვენთვის არ უძნელდება.

მოთხრობის მესამე ნაწილი, დაუნომრავი თავი, მოქმედების კულმინაცია არ გახლავთ. მოქმედების კულმინაცია მეორე თავის ბო-

ლოშია. ის პატარა, განცალკევებული ნაწილი არის აზრობრივი კულ-
მინაცია: წამომხტარი მეჯოგის პირით მწერალმა გვითხრა, რომ
წარმოსახვა და სინამდვილე ყოველ წუთას მონაცვლეობს, იგი მთე-
ლი ნაკადია, რომელიც რეალური სცენების პარალელურად არსებობს
და თუ ადამიანი ამაზე ფიქრობს, სწორად ფიქრობს, რადგან გამორი-
ცხული არაფერია.

ეკატერინე ჩიქოვანი

იოანე ზოსიმე – „ქება და დიდება ქართულისა ენისა“

უკანასკნელ წლებში მრავალი მოსაზრება გამოითქვა ძველი ქართული თეოსოფიური მწერლობის ძეგლის „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ შესახებ. აშკარაა, რომ მკვლევარნი სხვადასხვა თვალსაზრისით განიხილავენ მას, მაგრამ ისინი მაინც დგანან სიმნელეთა წინაშე, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს თხზულება მაინც ბოლომდე ამოუცნობი დარჩა.

ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად განვიხილოთ იგი და მისი გაცნობისას გაჩენილ კითხვებს ვუპასუხოთ.

მნიშვნელოვანია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალები და ასევე ინტერნეტსაიტები, რომლებშიც განიხილავდნენ აღნიშნულ თემას. მოძიებული მასალიდან საინტერესოა ზვიად გამსახურდიას, კორნელი კეკელიძის, ალექსანდრე ცაგარლის, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის ნაშრომები ამ საკითხზე.

უპირველესად ორიოდ სიტყვით შევეხებით ავტორს, იოანე ზოსიმეს. იგი X საუკუნის ქართული სასულიერო მწერალი და ჰიმნოგრაფია. მის შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. როგორც სინის მთის ქართული ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, მოღვაწეობდა პალესტინაში, ჯერ საბაწმინდის ლავრაში, ხოლო X საუკუნის 70-იან წლებში – სინას მთაზე. მას ეკუთვნის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „საგალობელნი იადგარნი“, რომელიც ლიტურგიკული ძეგლიდან გამოკრებილ თხზულებებთა კრებულია. მასში შედის პატრიოტული სულისკვეთების საგალობელი „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ [ინგოროყვა 1924].

იოანე ზოსიმე ცნობილია როგორც ტექსტის განმაცხოველებელი, ანუ წაშლილი ადგილების აღმდგენი, ასევე შემოსველი, ანუ ამკინძავი, ყდის გამკეთებელი და დამჩხრევი – ტექსტის გადაწერი.

რადგანაც მისი დაბადების თარიღი უცნობია, კ. კეკელიძემ ივარაუდა, რომ იოანე ზოსიმე X საუკუნის დამდეგს უნდა დაბადებულიყო. ეს მოსაზრება ეყრდნობა ავტორისეულ ადრინდელ ხელნაწერს,

რომელიც გადაწერა 949 წელს [კეკელიძე 1980: 165]. როგორც ირკვევა, ის უბრალო ბერი ყოფილა და მღვდლის ხარისხი არ ჰქონია. იოანე ზოსიმე ფიზიკურად სუსტი და მანკიერი ყოფილა, ამაზე მეტყველებს მისივე ანდერძ-მინაწერები. იგი თვალნაკლოვანებას, ხაშმსა და მოხუცებულობას უჩივის. მაგალითად, იგი წერს 956 წელს: „ფრიად ხაშმსა და თუალმორიდებითსა დამიჩხრევიან წიგნი ესე“ [ჯავახიშვილი, ხელნაწერი N 15]. ამასვე მიუთითებს 978 წელს დაწერილი: „დიად ხაშმმან და ბრმამან და დიად უღონომან“ [ცაგარელი, N 8].

აქვეა ერთი საინტერესო ფაქტი სახელთან დაკავშირებით. მის მიერ დამუშავებული ძეგლების „ანდერძში“ ძირითადად მოხსენიებულია ერთი სახელით – იოანე. ასევე ხშირად გვხვდება ორმაგი სახელი – იოანე ზოსიმე ან – იოანე, ფრიად ცოდვილი ზოსიმე. პროფესორი ალ. ცაგარელი ორმაგ სახელად კი არა, ორ სხვადასხვა პიროვნებად მიიჩნევს და სინის მთის ხელნაწერთა კატალოგში მათ ამგვარად აღნიშნავს: „იოანე და ზოსიმე“ [ცაგარელი, ხელნაწერი N 12, 37, 83], ხოლო კ. კეკელიძე ამ ორი სახელიდან ერთ-ერთს საერისკაცოდ მიიჩნევს, ხოლო მეორეს – ბერობისად [კეკელიძე 1924: 164].

ავტორი ერთგან თავის სახელს მოიხსენიებს კრიპტოგრაფიულად (კრიპტოგრაფია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ფარულ წერას): „ქრისტე შეიწყალე რფხჳ“. აკაკი შანიძის აზრით, კრიფტოგრაფიული სისტემით იშიფრება როგორც იოვანე [საქ. მუზეუმის მოამბე, N 1].

უკანასკნელი ხელნაწერი იოანე ზოსიმესი თარიღდება 987 წელს. სავარაუდოა, რომ გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში, დაახლოებით 987წელს [კეკელიძე 1924: 165].

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება მისი ბიოგრაფიის შესახებ, დანამდვილებით ვიცით, რომ „ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“ მას უკავშირდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „საიდუმლოებით“ მოცული ეს თხზულება ერთგვარი წინასწარმეტყველებაა მომავალ საქართველოზე, ქართველ ხალხსა და ქართულ ენაზე. თხზულებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები:

- რა მადლი აქვს საქართველოს ისეთი, რომ უფალი მეორედ მოსვლის დროს ქვეყნებს განიკითხავს ქართულ ენაზე?
- ოვანე-ზოსიმემ რატომ შეადარა ქართული ენა ლაზარეს?
- რატომ არიან შედარებული ნინო და ელენე დედოფალი მართასა და მარიამს?
- რას ნიშნავს რიცხვები, რომლებიც ნახსენებია თხზულებაში?

უპირველესად ვიმსჯელებთ ლაზარეს შესახებ.

როგორც ვიცით, ლაზარე იყო უფლის ერთადერთი მეგობარი, რომელიც ღმერთმა ოთხი დღის გარდაცვლილი მკვდრეთით აღადგინა. ზვიად გამსახურდიას წერილში ვკითხულობთ, რომ ავტორის ნათქვამი „ენა“ ძველ ქართულად უნდა გავიგოთ როგორც ხალხი, ეროვნება, მოდგმა. იოანე ზოსიმე გვეუბნება, რომ ამ ენას ჰქვია ლაზარე. ამ მოსაზრებით თუ ვიმსჯელებთ, დავასკვნით, რომ ქართველი ხალხი მეგობარია უფლის, რადგან ქართველი ხალხი მოხსენიებულია როგორც ლაზარე.

ავტორი გვეუბნება, რომ ეს ენა არის მძინარე (როგორც ლაზარე) და მას, დღეს დაწუნებულს, უფალი წარმოაჩენს მეორედ მოსვლისას „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. ამიტომაც ჩვენი ენა სასოებით ელის მისთვის ძვირფას ამ დღეს: „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისასა“.

რაც შეეხება თხზულებაში ნახსენებ წმინდა ნინოსა და ელენე დედოფალს, მათი მოხსენიებით ავტორმა წინ წამოსწია ღვთის რწმენის ორმაგი გამოვლინება: მისტიკური ჭვრეტა და ხორციელი მსახურება, რისი სიმბოლოებიც ლაზარეს დები – მართა და მარიამი – არიან, რადგან ბეთანიამი მათთან მიბრძანებულ უფალს მარიამი წინ დაუჯდა და ყურადღებით უსმენდა, რათა მისგან გაეგო ჭეშმარიტება, ხოლო მართა შორი გზიდან მოსულ უფალს დასაპურებლად სუფრას უშლიდა და მასზე ზრუნავდა, რათა მოესვენა.

ზ. გამსახურდიას ნარკვევიდან ვიგებთ, რომ თხზულებაში ნახსენები „ახალმან“ ძველ ქართულად უნდა გავიგოთ როგორც „პირველმან“. ანუ წმინდა ნინო პირველი მქადაგებელია ქრისტიანული რელიგიისა, რომელიც სულიერებასა და ჭეშმარიტებას აზიარებდა ადამიანებს. მის სახელს უკავშირდება ქართლის მოქცევა და უფლის ერად გადაქცევა.

რა შუაშია ჰელენე დედოფალი? ელენე დედოფალი არის იმპერატორ კონსტანტინე დიდის დედა. იგი იყო მორწმუნე ადამიანი, აშენებდა ეკლესიას და ხალხს მატერიალურად ეხმარებოდა, ანუ გასცემდა ხორციელ დახმარებას. ყველაზე მეტად კი ელენე დედოფალი ცნობილია ძელიცხოვლის აღმოჩენით, კაცობრიობისთვის იმ ჯვრის დაბრუნებით, რომელზეც უფალი აცვეს.

ტექსტში გვხვდება რამდენიმე რიცხვი თუ თარიღი: 94; 4000... ვფიქრობთ, აქ უნდა იგულისხმებოდეს მათეს სახარების ქართული

თარგმანის პირველი ასო „წ“: „წიგნი შობისა იესო ქრისტესი“. ხოლო ქართული ანბანის მიხედვით „წ“-ს რიცხვითი მნიშვნელობა უდრის 4000-ს. იოანე ზოსიმემ ეს ფაქტი გამოიყენა თავისი თვალსაზრისის დამადასტურებელ ერთ-ერთ არგუმენტად.

დაბოლოს, რით დაიმსახურა ქართულმა ენამ ან ქართველმა ერმა ასეთი პატივი, რომ უფალი ქართულად განიკითხავს მთელი მსოფლიოს ერებს. ამ საკითხის ასახსნელად დავიმოწმებთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მოსაზრებას: „ერთადერთი ამოხსნა არის ის, რომ ქართველი ერი და საქართველო ბოლომდე შეინარჩუნებს ჭეშმარიტ სარწმუნებას, ბოლომდე იქნება ერთგული ჭეშმარიტებისა, უფალი თვითონ ამბობს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. აი, ამით დაიმსახურებს ქართული ენა იმას, რომ ამ ენით განიკითხება მთელი ერები“ [მამული, ენა, სარწმუნოება 2007: 8] – ეს სიტყვები პატრიარქმა 2004 წლის 3 აპრილს ქადაგების დროს წარმოთქვა.

ჩვენი აზრით, იოანე ზოსიმეს ეს ქადაგება უაღრესად საინტერესოა, უამრავ საფიქრალს აღძრავს. რატომ მაღავს ქართული ენა საიდუმლოს? რა მისია აქვს დაკისრებული ქართულ ენას ჩვენი ერისა თუ მსოფლიოს წინაშე? დაბოლოს, დავასრულებთ მოსკოვიდან გამოგზავნილი, მეგობრისადმი მოწერილი წერილის პატარა ამონარიდით: „... ჩვენ ვართ დროებით მოლაპარაკე, მოქმედი, მოძრავი საქართველოს მიწა! ამგვარი ყოფა დიდი-დიდი ოთხმოც წელიწადს გასტანს, მერე კი სამუდამოდ მიწა ვიქნებით... უბრალო, ჩვეულებრივი მიწა კი არა! საქართველოს კურთხეული მიწა! და როდესაც ვინმე დაიფიცებს თავის მიწას, თავის სამშობლოს, თავის ქვეყანას, ის მე და შენ ვიქნებით! ე. ი. ჩვენ საქართველო ვიქნებით!!!...“ [მამული, ენა, სარწმუნოება 2007: 246]

ლიტერატურა

ინგოროყვა 1924 – პ. ინგოროყვა, „საგალობელნი იადგარნი“, ჟურნალი „კავკასიონი“, № 1-2, თბილისი.

ინტერნეტსაიტი www.amsi.ge

კველიძე 1980 – კ. კველიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი.

მამული, ენა, სარწმუნოება 2007 – მონაზონ ნინოსა (გრიგოლაძე) და ლალი დათაშვილის რედაქციით, თბილისი.

ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები – საქართველოს მუზეუმის მოამბე, თბილისი.

მარიამ ჩხეიძე

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ – ისტორიული წყარო

წმინდა სერაპიონ ზარზმელი

სერაპიონი კლარჯეთიდან იყო. მას მშობლები ადრე გარდაეცვალა, მის მამას ერქვა კვიპრიანე, ხოლო დედის სახელი არ არის ცნობილი. იგი ღირსეული ოჯახიდან იყო და ჰყავდა ორი ძმა: ერთი უფროსი, რომლის სახელიც ასევე არ არის ცნობილი, ხოლო უმცროს ძმას ერქვა იოანე. მშობლების გარდაცვალების შემდეგ სერაპიონი და იოანე ერთად მივიდნენ ოპიზის მონასტერში მიქელ პარეხელთან და მოგვიანებით იგი მიქელის კურთხევით მღვდლად ეკურთხა.

მიქელისავე ბრძანებით სერაპიონი, იოანე და კიდევ ოთხი ბერი გაემართნენ სამცხისაკენ ეკლესიის ასაშენებლად და თან წაიღეს ფერისცვალების ხატი, რომელიც იმ ეკლესიაში უნდა დაესვენებინათ. იმ პერიოდში სამცხის დიდი მთავარი იყო გიორგი ჩორჩანელი, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა მათ – მონასტერს უწყალობა მიწა და საშენი მასალა. მშენებლობა სამ წელიწადში დასრულდა. მონასტრის ტიპიკონი დაადგინა სერაპიონმა.

სერაპიონმა და იოანემ ადგილობრივ მკვიდრთა თხოვნით ყველისხევში ააგეს მონასტერი **იოანეწმიდა**. სერაპიონი სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა ზარზმაში. იგი იქვე გარდაიცვალა და დაკრძალულია საკურთხევლის აღმოსავლეთით. ეკლესიის მშენებლობა დასრულდა მონასტრის მესამე წინამძღვრის, პავლეს დროს. სწორედ ამ პერიოდში მოვიდა ზარზმაში ბასილი – სერაპიონის ძმისშვილი.

ისტორიული წყარო

ქართველ ერს დიდი და მძიმე ისტორიული წარსული აქვს გამოვლილი, რაც აღწერილი არის ისტორიულ თხზულებებში. ამ თხზულებათა მხოლოდ ნაწილმა მოაღწია დღეს ჩვენამდე.

ქართული ისტორიოგრაფია ქვეყნის წინაქრისტიანულ პერიოდში დაიწყო – IX-XIII საუკუნეებში ისტორიოგრაფია განვითარების

მაღალ ეტაპს აღწევდა, ხოლო XV-XVII საუკუნეებში, ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული დაცემის პერიოდში თვითონ ისტორიოგრაფიაც ქვეითდებოდა.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული საისტორიო თხზულება V საუკუნით თარიღდება. ცნობილია, რომ V საუკუნეზე ადრინდელი ქართული საისტორიო თხზულება არ მოგვეპოვება, რაც უკავშირდება ქართული დამწერლობისა და საისტორიო მწერლობის წარმოშობის პრობლემას. ამას მრავალი ქართველი და უცხოელი მკვლევარი შეეხო. მეცნიერთა ნაწილი ქართული დამწერლობის წარმოშობას სომხურ ანბანს უკავშირებდა და ამის თარიღად ქრისტეშობიდან V საუკუნეს მიიჩნევდა, ნაწილი ბერძნულს უკავშირებდა, ნაწილი – არამეულს.

აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე აღნიშნავდა: „არმაზული დამწერლობის ძეგლების აღმოჩენამ გააფართოვა ქართული ანბანის მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობანი. არმაზული და ქართული ქრისტიანული დამწერლობის შესწავლის შედეგად აკადემიკოსი გ. წერეთელი ასკვნის, რომ ქართული ანბანის ძირითადი მასალა არამეულიდან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო ბერძნული დამწერლობის გავლენის ზრდა ქართულ ანბანზე ქრისტიანულ ხანას უნდა უკავშირდებოდეს“ [„ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“, გვ. 6].

საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ არმაზული დამწერლობა განიდევნა ხმარებიდან. დაიწყო ქრისტიანულ კულტურაში ქართული დამწერლობის წარმოშობის ახალი ეტაპი, რითაც ჩვენამდე მოღწეული ადრეფეოდალური ხანის ძეგლებია შესრულებული. ამ დროს საქართველომ რთული პერიოდი გაიარა, რის გამოც ეს პერიოდი გაიყო 2 ეტაპად: 1. ფეოდალური დაქსაქსულობის ხანა, რომელიც დასრულდა VIII საუკუნეში; 2. ამ დაქსაქსული ქართული სამთავროების გაერთიანებისათვის ბრძოლის ეტაპი, რომელიც მიმდინარეობდა IX-XI საუკუნეებში.

ამ ხანის დამწერლობა საკმაოდ დეტალურადაა ჩვენს ისტორიოგრაფიაში შესწავლილი. ამაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც გამოიკვლია ფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობის პერიოდიზაცია, შეაფასა ცალკეული საისტორიო თხზულებები და დასახა ისტორიული აზროვნების განვითარების გზები.

ქართულმა საისტორიო მწერლობამ ადრეფეოდალურ ხანაში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, რამაც საფუძველი შექმნა იმისა, რომ ეს მწერლობა განეხილათ როგორც სასულიერო მწერლობა. „ლიტერატურის ისტორიის აგებისას ლაპარაკი ცალკე სასულიერო და ცალკე საერო მწერლობაზე შეიძლება სავალდებულო არც იყოს. ჩვენ ამ ტერმინებს ვხმარობთ პირობითად, რამდენადაც პირველი შვიდი საუკუნის მანძილზე საერო ხასიათის არც ერთი არც ერთი ლიტერატურული ძეგლი არ შენახულა“ [„ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“ გვ.7]. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ პერიოდის ქართულ მწერლობას რომ არ შემოენახა საერო-საისტორიო ნაწარმოების არც ერთი ნიმუში, მაინც გვექნებოდა უფლება გვეფიქრა, რომ ამ ხანაში შეიძლებოდა არსებულიყო საისტორიო მწერლობა, რადგან ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა შექმნილიყო XI საუკუნის მაღალგანვითარებული საისტორიო თხზულებები, მაგ.: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხორება“ ან უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“. ამ პერიოდის მწერლებს კარგად ჰქონდათ შემუშავებული, თუ რა მეთოდებითა და ხერხებით უნდა შეექმნათ ნაწარმოები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, რომ ამბის მთხრობელი „პირი უტყუელი“, „სარწმუნო კაცი“ ან „თვითმხილველი“ უნდა ყოფილიყო. ამავე პერიოდის მოღვაწე იყო ბასილი ზარზმელი, რომელმაც ბიძის ცხოვრება აღწერა თხზულებაში „ცხორება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“. სწორედ ეს მეთოდები ესმოდა ბასილს და იცოდა, რომ მარტო თვითმხილველობა საკმარისი არ იყო, რადგანაც თვითმხილველსაც შეეძლო მსმენელის შეცდენა და ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო „პირი უტყუელი“ და „სარწმუნო კაცი“.

VIII საუკუნიდან მოყოლებული ქართული საისტორიო ძეგლები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით იწერებოდა, რაც არ უნდა დარღვეულიყო. მაგრამ, თუ აუცილებელი იყო თხრობის თემიდან გადახვევა, მაშინ ისტორიკოსი ვალდებული იყო არ დაევიწყებინა ეს ფაქტი და შესაფერის გარემოებაში დაბრუნებოდა მთავარ თემას. ბასილი ზარზმელსაც ჰქონდა თხზულების წერის გარკვეული გეგმა, რომელსაც იგი მისდევდა. მას ერქვა „წესი თხრობისა“, ხოლო მთხრობის გეგმით განსაზღვრულ მიმდინარეობას – „საზღუარი სი-

ტყვისადა“, ანუ თხრობისა. თხრობის საგნის შეცვლას ბასილი უწოდებს „წიადსლვას“ და ამის მიზეზსა და მიზანსაც ასახელებს ხოლმე. გეგმის გადახვევის შემთხვევაში ბასილი აღნიშნავდა: „ხოლო აწ კულადა აღვედინ სიტყუაჲ ჩუენი პირველდაწყებულთა სიტყუათაჲ“. ბასილის ამ საშუალებით სურდა მსმენელისა და მკითხველისთვის რომელიმე გარემოება უფრო მკაფიოდ და გასაგებად აღეწერა.

დიდი ყურადღება ექცეოდა საისტორიო ნაწარმოების გარეგან სახეს, მის სიგრძესა და მოცულობას, ნაწარმოების შესრულების გარეგან ტექნიკას. საისტორიო მწერლობას „წიგნი“ ეწოდებოდა, რასაც ჰქონდა ანდერძი, სადაც მოცემული იყო ავტორის ბიოგრაფია და ცნობები თხზულების შესახებ. XI საუკუნიდან კი „წიგნებს“ „ხანდუკი“ ანუ სარჩევი დაემატათ.

ადრეფეოდალური ხანის მახასიათებელი არის დუალისტური მსოფლმხედველობა და პროვინციალიზმი. დუალიზმი ასევე მთელ შუასაუკუნოვან ისტორიას ახასიათებს. პროვინციალიზმის მიზანია, მთელი ისტორიული პროცესი განიხილოს, როგორც ღვთის მიერ წინასწარ დასახული გეგმის განხორციელება, ხოლო ცალკეული მოვლენები, როგორც მისი ნების გამოხატულება. მაგალითად, ბასილი ზარზმელი თვლის, რომ მონასტრისათვის ადგილის მაძიებელი ბერების წინააღმდეგ ამხედრებული ხალხი არის „ყოვლად მხეცებრივი“ და ისინი „ვითარცა ცოფნი, წინა რბიოდეს“. შესაბამისად, ბერების მოწინააღმდეგეებს ღმერთმა სამაგიერო მიუზღო, დააქცია და დაანგრია მათი სამყოფელი, ხოლო სტეფანე მტბევარის აზრით, X საუკუნის მაჰმადიანი ამირას სომხეთზე თავდასხმისა და ქვეყნის მოოხრების მიზეზი სომეხთა ღვთის წინაშე შეცოდება იყო.

IX-X საუკუნეებში განვითარების მაღალ ეტაპს აღწევს „ცხორებათა“ ჟანრი – დიდ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერა. ამ პერიოდმა საქართველოს ქრისტიანი ქართველების დიდი რიცხვი შესძინა. განსაკუთრებით კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო აღმოჩნდა ძლიერი, სადაც დიდი სამონასტრო მშენებლობა დაიწყო და შეიქმნა ქართულ სავანეთა მნიშვნელოვანი კერა. ამ პერიოდის ქართული სალიტერატურო და საისტორიო ძეგლები არის: „სერაპიონ ზარზმელის ცხორება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხორება“ და „ილარიონ ქართველის ცხორება“.

„სერაპიონ ზარზმელის ცხორების“ სრული სათაურია „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა

სერაპიონისი“. იგი აღწერა მისმა ძმისშვილმა ბასილი ზარზმელმა. შესაბამისად, მანამდე, სანამ ის „ცხოვრების“ წერას დაიწყებდა, ცნობები უნდა შეეგროვებინა, კერძოდ:

1. ცნობებს სერაპიონის შთამომავლობაზე, მშობლებზე, ძმებზე, ახალგაზრდობასა და ჭაბუკობაზე ბასილი მამის ან რომელიმე სხვა საგვარეულო წრიდან გაიგონებდა;
2. ის ყველაფერი, რაც სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ გაკეთდა ზარზმაში, ბასილს შესაძლებელია საკუთარი თვალით ენახა, ხოლო ის, რაც მის დროს გაკეთდა, პირდაპირ მას აქვს აღწერილი თხზულებაში. მაგალითად, პირადად მას ეკუთვნის ცნობები სერაპიონის ცხედრის ეკლესიაში გადასვენების შესახებ, სადაც ის პირველ პირში საუბრობს: „მე ბასილი, ძმისწული წმიდისა სერაპიონისი... შემდგომად ჟამთა მიცუალებისა მისისათაჲ მოვიწიე ზედა წმიდას სამარხვოსა მისსა და ვიხილე ყოვლად ბრწყინვალედ და კეთილად და ყოველივე ნამუშავევი მათი და განვიშვი და განვიხარე... ხელყავ და შევმზადე ლარნაკი ქვისა და აღვაღე საფლავსა მისსა... დავხსენით ლარნაკსა შინა ახალსა და აღვმართენით მას ზედა ჯუარი“.
3. მას ბევრი მასალა მიაწოდა გიორგი მაწყვერელმა: „ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანაისკნელ ეხილვნეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუელმან, გიორგის ვიტყვი მაწყუერელსა“, ანდა „ხოლო მოგუეთხრა ესე არათუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიად საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყვი უკუე გიორგის ეპისკოპოსსა მაწყუერელსაო“.
4. ბასილი ზარზმელმა ისარგებლა მიქაელ პარეხელის ცხოვრებით, რაც თვითონ თხზულებაშიც ჩანს. მიქელის ცხოვრება დაწერეს მისმა მოწაფეებმა, შესაბამისად, ბასილს ამ ცნობით უნდა ესარგებლა. აქედანვე უნდა ამოელო ცნობები სერაპიონისა და მისი მოწაფეების პარეხიდან ზარზმაში წასვლის შესახებ.
5. იმ ადგილიდან, სადაც სამონასტრო ადგილის ძებნაზეა საუბარი, ბასილს მონაწილის პირით აქვს ნაამბობი სერაპიონის ერთ-ერთი ძმათაგანის მოთხრობილი, რაც თვით თხრობასაც ეტყობა. სამონასტრო ადგილის ძებნის აღწერილობა ჯერ სასაუბრო კილოთი იწყება: „აღდგა წმიდაჲ იგი და ძმა მისი იოანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა რიცხვი ექუს იყო, წარემართნის ჭაბუკსა მას თანა

სამნი იგი და სამნი დაეტევენს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად...და ვითარ ვლეს, მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა“ (გვ. 16). იმ ადგილიდან მოყოლებული, სადაც ნათქვამია, თუ როგორ მოვიდნენ სამმომდე, მოთხრობა პირველ პირში არის დაწერილი: „ვითარცა მოვიწინეთ ადგილსა მას (სამმოს)... ჩუენ ჩუენ გუენება, რამეთო გარეშემოწერით შემოვლოთ სიმგრგულე მათ ადგილთა“ (იქვე 16); „ადვჰყევით პირსა მის მდინარისასა და მოვიწინით ხევსა“ (იქვე); „...განსმენილიყო მოსულა ჩუენი...და გუკითხვიდა კაცი იგი“ (იქვე 17); „...გვიკვირდა ჩუენ ფრიად და ვკითხეთ კაცსა მას... ვითარცა შთავედით პირსა მას ტბისასა, ვჰკითხეთ კაცსა ჟამი დღისა, ხოლო მან მომიგო“ (იქვე 18). აქ ბასილი ზარმელი სერაპიონის ერთ-ერთი თანამგზავრი ბერის ნაამბობს აღწერს. როგორც ჩანს, იმ დროს იგი ახალგაზრდა იყო და ბასილის დროსაც ცოცხალი იყო. ამგვარი ხასიათი აქვს თხზულებას მე-16-დან 24-ე გვერდის ჩათვლით, სადაც ბასილი ზარზმელს კვლავ სასაუბრო კილოთი აქვს ყველაფერი აღწერილი. 24-დან 27-ე გვერდამდე ლაპარაკი არის ზარზმის პირველი ეკლესიის აგებაზე, თანაც იმდენად დაწვრილებით, რომ ესეც უეჭველია ბასილის დამსწრე და მონაწილე კაცთაგან ექნება გაგონილი, მაგრამ არ ჩანს ვისგან.

6. ცნობები გიორგი ჩორჩანელისა და მისი დიადი მოღვაწეობის შესახებ, რომელმაც ზარზმის მონასტრის აყვავებასა და აგებას შეუწყო ხელი, ბასილისათვის მოუთხრია „გიორგის ეპისკოპოსსა მაწყურელსა“ (გვ.27). აქ ზარზმელი ისტორიკოსი კვლავ პირველ პირში საუბრობს: „იტყოდა ღმერთშემოსილი იგი (გიორგი მაწყურელი) ვითარმედ „ვიყავ რაი უდაბნოსა ოპიზასა... და მიერ აღვედ დიდისა მამისა მიქელისასა და ვიყავ რაი წინაშე მისსა, მაშინ წარავლინა მიქელ ორნი მოწაფენი მისთაგანნი“ (გვ. 27-28). 27-დან 41-ე გვერდამდე გიორგი მაწყურელის ნაამბობია და ბასილს აქვს ეს თვითონ აღნიშნული: „ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანასკნელ ეხილვნეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუველმან, გიორგის ვიტყვი მაწყურელსა“.

ერთი სიტყვით, ბასილი ზარზმელს თავისი თხზულებისათვის სანდო წყაროები შემოუკრებია და მეთოდების მხრივაც მას, როგორც ისტორიკოსს, თავისი მოვალეობა ჩინებულად ჰქონია გათვალისწინებული.

თხზულებაში ასახულია ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის პერიოდი, რომელიც სამამულო ნიადაგზეა წარმომოხილი მიწის გამო. დიდებულმა გიორგი ჩორჩანელმა მთელი თავისი ქონება დაუტოვა თავის დასა და დისშვილებს, რომელთა სახელები იყო სულა, ბეშქენ და ლაკლაკი. მემკვიდრეობის მიღების გამო „შეიქმნა უწყესო ამბოხი“ და ლაკლაკმა მოკლა თავისი დისშვილი.

თხზულებაში დასტურდება ჩვენში რთული ფეოდალური იერარქიის არსებობა. გიორგი ჩორჩანელი და მირიან ბაჰლაუნდის ძე დიდი მთავრები არიან. გიორგი ჩორჩანელზე ავტორი წერს: „იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაითა, რომელთა სივრცე საზღაურთ ვრცელ და მრავალ იყო“. ასევე დიდი მთავარია „მირიან, ძე ბეშქენ ბაჰლაუნდისა“. მათ გარდა სამცხეში სხვა მთავრებიც არიან. ისინი არიან დიდი მთავრის ვასალები, ხოლო ზოგი მათგანი დიდი მთავრის სამსახურში იმყოფება.

ადრეფეოდალური პერიოდის ქართული ეკლესია საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია იყო, განვითარებული იერარქიული სტრუქტურით. ასევე, ჩანს ეკლესია-მონასტრების ტენდენციები მსხვილი მამულების შექმნისა. გიორგი ჩორჩანელი ეუბნება ჭაბუკს, რომელსაც გააყოლებს სამონასტრო ადგილის მამიებელ ბერებს: „გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალ განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე რაიოდენი შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა“.

ამავე თხზულებაში ნაჩვენებია ის ფაქტიც, რომ მიწათმოქმედების გარდა ამ პერიოდში კარგადაა განვითარებული მესაქონლეობაც, რაზეც მიუთითებს გიორგი ჩორჩანელის ანდერძი: „სიმრავლე სახედართა და მროწეულთა“. ასევე მიწათმოქმედების განვითარებაზე მიუთითებს წისქვილთა არსებობა. აქ წყლის წისქვილია, რაც ამ მხარის სამეურნეო დაწინაურების მანიშნებელია. იქ ფულადი მეურნეობის განვითარებაზე მიუთითებს ბიზანტიური დრაჰმანების შეგროვება ერთ-ერთი აქაური გლეხის მიერ.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი არის ავტორის თვალსაზრისი საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. დიდი მთავრის მამულში მოსული ბერები აიძულებენ გიორგი ჩორჩანელს გამოუყოს სამონასტროდ ის ადგილი, რომელიც მათ სურთ. იგი ეკითხება: „ვინაა არს ადგილსა იმას სიხშიოდ კუამლისაა ანუ თუ ვის რად უხმს ცეცხლი? უკეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხვინო ქმნილ არს? დაღათუ სხუად საჭირო რაი ვის უხმს, ჩვენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“, ხოლო როდესაც გაიგებს ჩორჩანელი, თუ ვისთან აქვს საქმე, მაშინ ბერებს სთხოვს, რომ სამონასტროდ მისი მამულიდან რომელიმე სხვა ადგილი აირჩიონ.

ბასილი ზარზმელის ეს მოსაზრება სრულიად ეთანხმება გიორგი მერჩულეს თვალსაზრისს. თხზულების თანახმად, გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა საპატიო და აუცილებელი საქმეა. ავტორი თხზულებას ასე იწყებს: „ფრიად უკუე შუენიერსა და მრავალსაწადელსა და საღმრთოისა ქებისა და ბრწყინვალედ შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრთისანი და აღმასრულებელნი საღმრთოთა მცნებათა მისთანი“. მათ ღმერთი ეუბნება: „სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა“. რადგან ეს ასეა, აუცილებელია მათი ამ ცხოვრებაში აღწერაც. ავტორის აზრით, თავდაპირველად ამქვეყნად იყვნენ ქრისტიანობის მქადაგებელნი, ხოლო ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ „მწყემსნი და მოძღუარნი და მამანი დაეწესნეს“. ივანე ჯავახიშვილის თქმით, ამ თვალსაზრისს ყველა არ ეთანხმებოდა: „ჟამთა ამათ ჩვენთა არღარა ვის ხელეწიფების მსგავსებად პირველთა მამათა, რამეთუ განგებითა რაითმე საღმრთოითა მიფარულ არს პირვანდელი მადლიო“. ავტორი კი აცხადებს: „ჟამთაცა ჩუენთა იხილვნეს ახალნი მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლელნი, ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოანე და შემდგომად პავე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთვიმი, საბა და გერასიმე და რად გვიხმს თვითეულად წარმოთქუმა ყოველნი მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით იწროდ და საჭირველი გზად, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუროთმოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს“.

თხზულება „ცხოვრებად და მოქალაქობად ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისადა სერაპიონისი“ დიდი მნიშვნელობის მქონე ძეგლია. ძალიან ბევრი მკვლევარი იჩენს მის მიმართ დიდ ინტერესს,

რადგან ის ერთნაირად საყურადღებოა ქართული მწერლობის, სამართლის, ხელოვნების ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. ამასთანავე, ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შორის მისი ანალოგი ძნელად მოიძებნება.

თხზულება აღმოაჩინა და პირველად გამოსცა მოსე ჯანაშილი-მა. მან საეკლესიო მუზეუმის N69 ხელნაწერის დათვალიერების დროს შენიშნა ორ სვეტად დაწერილი უცნობი ნაწარმოები, რომელიც გადმოწერა და გამოსცა კიდეც. ეს იყო ბასილი ზარზმელის მიერ აღწერილი მისივე ბიძის – სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება.

როგორც საისტორიო წყარო, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ამ მხრივ ძალიან საინტერესო ძეგლია ქართული აგიოგრაფიისა. მასში ორი ძირითადი თემაა წამოჭრილი, ესენია: 1) ცნობები სოციალური განვითარების საკითხებსა და ისტორიულ პირებზე; 2) ცნობები სამცხის სამონასტრო კოლონიზაციაზე, ისტორიულ გეოგრაფიაზე, ეკონომიკაზე და სხვ. თუმცა მასში დაცული ყველა ცნობის სრულფასოვნად გამოყენება შეიძლება მხოლოდ მათი გარკვეულ ქრონოლოგიურ ფარგლებში მოქცევის შემდეგ. ასე რომ, ამ ძეგლის შესწავლის ძირითადი საკითხი არის მისი დათარიღება, რაზეც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დათარიღების საკითხს იკვლევდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ ჯანაშია, და სხვ. მკვლევართა თვალსაზრისით, მოთხრობის დაწერის დრო მერყეობს VII-X საუკუნეების ფარგლებში.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დათარიღებისთვის

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ფაქტების სიუხვით გამოირჩევა. ამიტომაც გასაკვირია, რომ მასში არ ვხვდებით არანაირ თარიღს, რაც თხზულებაში მოთხრობილ ამბავთა ლოკალიზაციას მეტისმეტად ართულებს. ასევე შემაფერხებელი არის მეორე გარემოებაც – თხზულებამ ჩვენამდე მოაღწია გვიანი ხანის ერთადერთი და ისიც წარყვნილი ხელნაწერით.

მოსე ჯანაშილიმა პირველმა მიაპყრო ყურადღება „ცხოვრების“ იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ სერაპიონი იყო მიქელ პარეხელის მოწაფე, ხოლო მიქელ პარეხელი კი – შიო მღვიმელისა. მკვლევარი

თხზულების დათარიღებისას, ერთი მხრივ, ემყარებოდა მის ზემოაღნიშნულ ადგილს, მეორე მხრივ კი – ზარზმის ფერისცვალების ხატის 886 წლის წარწერას, რომელიც გვამცნობს: „ქ. სახელითა ღმრთისაითა შეიმოსა ხატი ესე მწედ ამ~სა გიორგისა, ოვიფალთა ფარსმან ერისთავისა, ივანესა, ტკი... მირიანისა, ფერისა, სულასა, ერის მათისა მამასახლისობასა პავლესა, ქორონიკონი იყო რ~ვ.“ ვინმე პავლე ხუცესი მოხსენიებული არის ბასილი ზარზმელის თხზულებაშიც, როგორც ზარზმის მონასტრის წინამძღვარი. მოსე ჯანაშვილი ასკვნის: „თუ პავლე მამასახლისი პავლე ხუცესია და იგი თუ ჩანს ამ ხანს, თვით სერაპიონი ზარზმის აშენებას დაახლოებით შეუდგებოდა არჩილის მეფობაში (668-718 წწ.)“.

მ. ჯანაშვილის აზრით, ბასილის თხზულება რომ ამ ხანის ვითარებას ასახავს, ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტორები:

1. „ცხოვრებაში“ გიორგი ჩორჩანელი დიდ მთავრად არის მოხსენიებული;
2. თხზულებაში არსად არის ნახსენები მეფე. როდესაც ვინმე გარდაბანელმა არჩილ მეფე არაბების წინაშე დააბეზლა და მათ მეფე 718 წელს სიკვდილით დასაჯეს, ამის შესახებ მემატიაზე ამბობს, რომ „იქმნეს სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა და იქმნეს მტერ ურთიერთას“. მოსე ჯანაშვილი ფიქრობს, რომ სწორედ ასეთი ვითარებაა ასახული „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“.
3. „ცხოვრებაში“ არის მოხსენიებული საკუთარი სახელები: ლატავრი, მირიან, ბემქენ, რომლებიც ამ ხანის სხვა წყაროებშიც არის დაფიქსირებული. მკვლევარს მოჰყავს ბერძნული კორინდეთის სახარების მინაწერები, სადაც არის მირიანი და ბემქენი ნახსენები, ხოლო ლატავრი ერქვა ამოტ კურაპალატის დას.
4. ზარზმის ფერისცვალების ხატი განუახლებია ვინმე პავლეს, რომელიც მეოთხე თუ მეხუთე მამასახლისი იყო ამ მონასტრისა. ზარზმაში ფერისცვალების ხატი უნდა დაესვენებინათ არაუგვიანეს VII საუკუნისა. თუ ზარზმა სერაპიონმა ამ პერიოდში ააშენა, მაშინ სავსებით მისაღები იქნება ის ფაქტი, თუ რატომ არ არის ნახსენები გრიგოლ ხანძთელი ბასილი ზარზმელის თხზულებაში.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული არის ბერთის პარეხში დამკვიდრებული მიქელი. ვინმე მიქელ პარეხელი არის

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც“ მოხსენიებული, მაგრამ, მკვლევრის აზრით, ისინი სხვადასხვა პირები არიან: ა) იგი ფიქრობს, რომ შიო მღვიმელის მოწაფე მიქელიდან გრიგოლ ხანძთელამდე ორი-სამი თაობა მაინც უნდა ყოფილიყო; ბ) შიო მღვიმელის მოწაფე მიქელი პარეხში ოპიზიდან მივიდა, ხოლო გრიგოლ ხანძთელის მეგობარი მიქელი კი მიძნაძორიდან წავიდა ხანძთაში და ხანძთიდან – პარეხში.

მოსე ჯანაშვილი გვაძლევს ასეთ სქემას „ცხოვრებაში“ დასახელებულ საეკლესიო მოღვაწეთა:

შიო მღვიმელი (მოვიდა 562 წ.)

მიქელ პარეხელი (მისი მოწაფე)

სერაპიონ ზარზმელი (მიქელის მოწაფე)

ბასილი ზარზმელი (სერაპიონის ძმისწული)

გიორგი (მამასახლისი)

პავლე ხუცესი (მამასახლისი)

მეცნიერს სერაპიონ ზარზმელი არჩილ მეფის თანამედროვედ მიაჩნია, ხოლო ბასილი ზარზმელი კი – მერვე საუკუნის მეორე მეოთხედის მოღვაწედ. თხზულების ამგვარმა დათარიღებამ ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა გამოიწვია. ეს უკანასკნელი ბასილის თხზულებას გიორგი მერჩულეს თხზულების მონაცემების გზით ათარიღებდა, კერძოდ, ორივე თხზულებაში ნახსენები გიორგი მაწყვერელისა და მიქელის გაიგივების გზით. მისი აზრით, მცდარია მოსაზრება, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა“ და გიორგი მერჩულეს თხზულების მიქელი სხვადასხვა პირია. იგი ფიქრობდა, რომ თუ ორივე თხზულებაში ნახსენები მიქელი სხვადასხვა პირები არიან, მაშინ გიორგი მაწყვერელიც ორივე თხზულებაში სხვადასხვა პერსონაჟი უნდა იყოს, რაც სრულებით უსაფუძვლო იქნებოდა. ზოგადად, თხზულების ჯანაშვილისეულ გამოცემას ივანე ჯავახიშვილი ნაკლებად აფასებდა. მეცნიერი შენიშნავს: „თუ ოდესმე აღმოჩნდა მიქელ პარეხელის „ცხოვრებაი და მოქალაქობაი“ და სასწაულნი, რომელიც ბასილის სიტყვით „შემდგომად სიკვდილისა მისისა აღწერეს მოწაფეთა მათა“, მაშინ უფრო დაახლოებით შეიძლება განისაზღვროს სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ შედგენის თარიღი, იმიტომ, რომ როცა ავტორი ამ „ცხოვრებას“ წერდა, მიქელ პარეხელის „ცხოვრება“ უკვე დაწერილი ყოფილა“ [ჯავახიშვილი 1977: 133].

მკვლევარი ფიქრობდა იმასაც, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენიებული მიქელი სწორედ ის მიქელია, რომელიც ბასილი ზარზმელს ჰყავს მოხსენიებული თავის თხზულებაში. შესაბამისად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, მიქელ პარეხელი არის გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე და მისი მეგობარი. მიქელის მოწაფე სერაპიონი მის უმცროს თანამედროვედ უნდა ჩაითვალოს [ჯავახიშვილი, 1977 : 140-141].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხზულების დიდი ნაკლი არის უთარილობა. თვით ბასილი ზარზმელს არ აქვს არანაირი თარიღი მოხსენიებული. არც ის არის ცნობილი, თუ როდის დაიბადა ან გარდაიცვალა სერაპიონი, მაგრამ ვიცით, რომ ის იყო მიქელ პარეხელის მოწაფე. შესაბამისად, თვითონ ავტორმაც არ იცის ქრონოლოგიური ცნობები სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების შესახებ და როცა სურს მას დროის განსაზღვრა, მაშინაც მხოლოდ ასეთ ცნობებს გვაწვდის: „შუა წარხდა სიმრავლე წელთა და სიბერიტა კეთილითა განპოხნეს“ ან „ხოლო ვითარცა წარხდეს წელნი მრავალნი და წინამძღუარი გიორგი გარდაიცვალა“.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ არის VII საუკუნის ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი. ესენი არიან ანრი ბოგვერადე და პავლე ინგოროყვა. პავლე ინგოროყვას აზრით, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ არა IX-X, არამედ VI-VII საუკუნეთა ამბებია აღწერილი და თვით თხზულება დაწერილია VII საუკუნეში. იგი ამ მოსაზრებას ორი არგუმენტით ამტკიცებს: 1. „ცხოვრებაში“ ნახსენები მიქელ პარეხელი იყო შიო მღვიმელის მოწაფე. ეს უკანასკნელი კი VI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე იყო. შესაბამისად, მიქელის დამკვიდრება ჯერ ოპიზასა და შემდეგ კლარჯეთში მისი გადასვლა და მოღვაწეობა VI საუკუნის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნებოდეს; 2. მიქელ პარეხელი იყო განთქმული მოძღვარი. სწორედ ამიტომ მის დროს პარეხი განათლების მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. მიქელთან დაახლოებული პირები იყვნენ სერაპიონი, მისი ძმა იოანე და გიორგი მაწყვერელი.

მიქელის გარდაცვალების შემდეგ მისი ცხოვრება აღწერეს მისმა მოწაფეებმა. ამის შესახებ ცნობას ვხვდებით ბასილი ზარზმელის თხზულებაში: „აღეშენა რა წმიდაჲ და დიდი უდაბნოდ ოპიზაი მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით (ოპიზაით მიქელ) და აღაშენა

უწყებითა საღმრთოითა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა მძათა ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდინ. ხოლო ესე სიტყუად მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ *მიქელ* იყო აღმამენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთა, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოისი საკვირველთმოქმედისა, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“ [„ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, საბჭოთა საქართველო: 90].

იგივე მიქელ პარეხელი არის ნახსენები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“: „რაჟამს **ხანძთა** იქმნა სახელოვან... მას ჟამსა **მიძნაძორით ხანძთად** მოვიდა დიდი მეუდაბნოეი *მიქელ* მამად, რომელიცა დაემკვირდა *პარეხთა*, რამეთუ იყო მეგობარ **გრიგოლისა** და ებიებდა მარტოდმოყოფობასა. და პოვა თავისა თვისისა დამკვიდრებელი ბერთისა *პარეხთა*, და განზრახვითა ამის წმიდისაითა დაემკვიდრა მათ შინა...“ [„ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, „საბჭოთა საქართველო“: 167] „ხოლო იყო ნეტარი მამად მიქელ ქუეყანისა **შავშეთისა**, სოფლისა **ნორგიალისა**, და **მიძნაძორის** მონაზონ იქმნა; ხოლო *პარეხთა* შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა, და აღ-რად, ესრულა, მუნვე დაემარხა. და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა **ბასილისი**, რომელიცა **შემდგომად** მისსა პარეხთა მკვიდრ იყო, ერთგან არიან“ [„ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, „საბჭოთა საქართველო“: 168].

ოპიზის მონასტერი დაარსდა ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ე. ი. V საუკუნის მეორე ნახევარში. ბასილი ზარზმელი თხზულებაში ამბობს: „აღეშენა რად წმიდად და დიდი უდაბნოდ ოპიზად-მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა **ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი**“. ეს ის მონაზვნები არიან, რომელთაც V საუკუნის მეორე ნახევარში დააარსეს ოპიზის მონასტერი. ეს არის უძველესი სავანე არა მხოლოდ კლარჯეთში, არამედ მთელ საქართველოში.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დათარიღების საკითხს ეხება აკადემიკოსი ანრი ზოგვერამეც. იგი ეთანხმება პავლე ინგოროყვას აზრს იმის შესახებ, რომ თხზულებაში აღწერილი არის VI-VII საუკუნეების სამცხის საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება. თუმცა ამ შეხედულებას რამდენიმე ფაქტი აყენებს ეჭვქვეშ:

1. **მიქელ პარეხელის პიროვნება ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულეს თხზულებაში.** მიქელ პარეხელი იყო IX საუკუნის

მოღვაწე. ბასილის თხზულების მიხედვით იგი იყო შიო მღვიმელის მოწაფე. მან ააშენა პარეხის მონასტერი. მისი მოწაფეები იყვნენ ბასილი, მარკელაოზი, სერაპიონ ზარზმელი და მისი უმცროსი ძმა იოანე.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით კი მიქელ პარეხელი წარმოშობით იყო შავშეთიდან, სოფელ ნორგიალიდან. იგი მძინაძორში აღიკვეცა და ამის შემდეგ მოვიდა პარეხში, სადაც იცხოვრა გარდაცვალებამდე. იმ ფაქტს, რომ გიორგი მერჩულეს თხზულების მიხედვითაც ჰყავდა მას მოწაფეები, ამტკიცებს ამონარიდები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: „მიქელმა მოწაფედ თვისი მიავლინა მამისა გრიგოლისსა და აუწყა ყოველი“, „ემშაკი იგლოვდა ფრიად, რამეთუ ხედვიდა წმიდათა კაცთა განმრავლებითა ჟამისა თვისისა შემოკლებასა“.

2. ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერა. იმ ფაქტს, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ დაწერილია არა VI-VII, არამედ IX-X საუკუნეებში, ამტკიცებს ისიც, რომ „ცხოვრებაში“ საუბარი არის ფერისცვალების ხატის შესახებ. როგორც ცნობილია, ფერისცვალების დღესასწაული 19 (ძველი სტილით 6) აგვისტოს აღინიშნება. როგორც აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე შენიშნავს, „ეს დღესასწაული აღმოსავლეთში ფეხს იკიდებს მერვე საუკუნიდან, ხოლო კონსტანტინოპოლში იმპერატორ ლეონ ბრძენის (886-912) დროიდან. თან ეს ხატი პავლე მამასახლისის დროს დაუსვენებიათ ეკლესიაში და, როგორც მისი წარწერიდან ვგებულობთ, 886 წელს შეუმკიათ“ [კეკელიძე, 1980:149].

ზარზმის ფერისცვალების ხატი, როგორც ცნობილია, სერაპიონ ზარზმელმა და მისმა უმცროსმა ძმამ იოანემ დაასვენეს ზარზმაში, იმ ტაძარში, რომელიც სამი წლის განმავლობაში შენდებოდა აქ. ამ ხატს ემთხვია სამცხის მთავარი გიორგი ჩორჩანელი და სიკვდილის წინ სერაპიონ ზარზმელი, როგორც ეს „ცხოვრებიდანაც“ ჩანს: „და შეემთხვია წმიდასა ტრაპეზსა და განმაცხოველებელსა ხატსა ქრისტეს კაცებისა“.

ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაში იკითხება ზარზმის ეკლესიის მამასახლისი პავლეს სახელი და ამით ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ ზარზმაში დაცული არის სწორედ ფერისცვალების ის ხატი, რომელიც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშია“ ნახსენები. სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ ზარზმის მონასტრის წინამძღვარი

გახდა **გიორგი**, ხოლო გიორგის შემდეგ – **მიქელი**. მიქელის დროს დაიწყო ახალი ეკლესიის მშენებლობა, თუმცა მისი სიცოცხლის პერიოდში ის აშენდა სახურავამდე და ამის შემდეგ ის გარდაიცვალა. მის შემდეგ წინამძღვარი გახდა „პავლე ვინმე ხუცესი“, რომლის დროსაც დასრულდა ამ ეკლესიის მშენებლობა. ეს პავლე მამასახლისი არის მოხსენიებული ზარზმის ფერისცვალების ხატის 886 წლის წარწერაზე: „სახელითა ღმრთისაიდათა შეიმოსა ხატი ესე მწედა მაწყურელისა გიორგისა, ოვიფალთა: ფარსმან ერისთავისა, ივანესა, პეტრიკისა, მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა მათისა ქრისტეს მიერ მამასახლისობასა პავლესა, ქორონიკონი იყო რ“ (106+780=886). ამ წარწერის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხატის თარიღი არის 886 წელი. ამ დროს სერაპიონი, მიქელი და გიორგი უკვე გარდაცვლილი იყვნენ. მამასახლისი იყო პავლე, რომელმაც დაასრულა მიქელის დროს დაწყებული ეკლესიის მშენებლობა.

ვფიქრობთ, ეს თხზულება ეკლესიაში შეკრებილთათვის დაიწერა: „გარნა ვიტყოდით ზოგს რაიმე შეკრებილთა ცხორებისა მისისათა აღწერით მოთხრობად და საღმრთოთა სმენის-მოყუარისა სიწმიდისა თქუენია მოხსენებად“.

ბასილი ზარზმელის თხზულება უაღრესად მდიდარი ცნობების შეცველი ნაწარმოებია. მასში მოცემულია გარკვეული მოძღვრება საისტორიო ნაწარმოების ფორმისა და დაწერის ხერხის შესახებ. ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს: „ბასილ ზარზმელს გარკვეული თხრობის გეგმა ჰქონდა. მას ამბავი ქრონოლოგიურად კი არ აქვს დალაგებული, არამედ მხოლოდ შინაარსის მიხედვით“. მას არ განუზრახავს სერაპიონის მთელი მოღვაწეობის აღწერა. თხზულება დაწერილია რამდენიმე ნაწილად. ყოველ ნაწილს წინ უძღვის სათაურის მსგავსი შინაარსის მაუწყებელი წინადადება. ავტორი მისდევს და იცავს მის მიერ გაწერილ გეგმასა და თხრობის წესს.

ამრიგად, ბასილი ზარზმელის თხზულებაში არის ადრევეოდალური ხანის საქართველოს ისტორია აღწერილი. იგი გადმოსცემს იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების წესს, ინფორმაციას გვამლევს იმაზე, თუ როგორი იყო იმ დროს მეურნეობა, როგორ ვითარდებოდა ფულადი მეურნეობა და ყველაზე მთავარი – **როგორ აშენდა ზარზმის მონასტერი**. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ადრევეოდა-

ლური ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა, ხოლო მასში დაცული ცნობებითა და თავისი შინაარსით ფეოდალიზმის ეპოქის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლიც.

ლიტერატურა

ბოგვერაძე 1964 – ა. ბოგვერაძე, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ თარიღისათვის, თბილისი.

ინგოროყვა 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი.

კეკელიძე 1980 – კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბილისი.

ლორთქიფანიძე 1966 – მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი.

ჯავახიშვილი 1977 – ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტომი 8, თბილისი.

ჯანაშვილი 1909 – მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, თბილისი.

შემოქმედებითი ნაწილი

აზერბაიჯანულიდან თარგმნა ნამილ გასანოვმა

Ayrı yaşayırlar atamla-anam,
Bir təzad ömr edir bu kainatda,
Onlara həm doğma, həm də ki yadam,
Göz açıb nənəmi gördüm həyatda.

Beşiyim başında layla yananda,
Bayatı hicranın dilində qaldı.
Ürəyim bir ata-ana yanında,
Əllərim, nənəmin əlində qaldı

Böyüdüm, illəri mən çata-çata,
Sevincim bir yana, qəm bir yanadır.
Anamın sahibi bir ögey ata,
Atamın sahibi—ögey anadır.

Söhbət açırsınız xatirələrdən,
Xatirə su deyil, içmək olmayır.
Siz sahil, körpüyəm sahillərə mən.
Araz körpüsüyəm, keçmək olmayır.

Ürəkmiş həsrətdən alışan, yanan,
Nə bilim dünyada, eh.... nələr varmış?!...
Atalar, analar səhv edən zaman,
Yaxşı ki, dünyada nənələr varmış.”

Nüsrət Kəsəmənli (1945-2003)

ცალ-ცალკე ცხოვრობენ დედა და მამა...
ასე გავიდა წუთისოფელი;
მათთვის ვიყავი ნაცნობიც, უცნობიც,
ხოლო შევხედე როცა ცხოვრებას,
ჩემთან აღმოჩნდა ბებიჩემი.

აკვანთან იავნანით — ბებიჩემი...
დედის და მამის ტკივილი...
გული დედ-მამასთან,
და ხელები — ბებიასთან.

გავიდა წლები, გავიზარდე,
ერთ მხარეს დარჩა სიხარული,
და მეორეზე — ტანჯვა.
დედაჩემს პატრონობს მამინაცვალი!
ხოლო მამაჩემს — დედინაცვალი!

საუბარს ვიწყებთ მოგონებებით
და სამახსოვროდ წყალიც არ არის, რათა დალიო...
სანაპირო ხარტ ჩემთვის, დედ-მამავ,
და მე კი — ხიდი სანაპიროსთვის,
არაზის ხიდი — გადასვლას ვერ შეძლებთ!

ეს გული ლოდინით ყოფილა დამწვარი...
რამდენი რამ არ მცოდნია წუთისოფელში,
მამები, დედები უშვებენ შეცდომებს,
კიდევ კარგი, რომ ბებიები არსებობენ.

ნუსრეთ ქესემენლი (1945-2003)

თურქულიდან თარგმნა ნამილ გასანოვმა

ZİFİR KARANLIKLAR TOPRAĞIM OLDU

Hep kederle geçti gençlik yıllarım
Dertlerim bitmeden hayatım soldu
Sevgiyi tatmadan gönlüm kurudu
Gülmeyi unuttum ölse ne olur

Dostum dediklerim aldattı durdu
Gözüme gülenler şeytanca vurdu
Attığım her adım kahırla doldu
Nasıl yaşayayım söyleyin bana

Nasıl geçti ömrüm sormayın bana
Dert kederden başka ne yaşadım ki
İsyankar sanmayın yüce Allah' a (cc)
İsyanım hayata sahte dostlara

Hayaller kurardım kurmaz olsaydım
Hepsi kabus oldu gözlerim doldu
Yaşamaktan bıktım hayatım soldu
Umudum kalmadı tükendim, bittim

İnsanlar değişmiş şeytanlar kaçmış
Duygular satılmış aşklar yalanmış
Dost sandıklarımız bir sahtekarmış
Ah ömrüm ah ömrüm ne çileliymiş

Yanımdayım diyen kefenim oldu
Sevgiden bahseden tabuta koydu
Elimden tutanlar mezara koydu
Zifir karanlıklar toprağım oldu

Hasan İsra Yıldırım

სიბნელე გახდა ჩემი მიწა

მწუხარებაში გავიდა ახალგაზრდობის წლები,
პრობლემის დამთავრებამდე გაქრა ცხოვრების დღენი,
ვიდრე მეწვია მე სიყვარული — დაჰკნა გრძნობები ჩემი,
გადამავიწყდა ლალი ღიმილი, რომ მოვკვდე, არ იქნება
ძნელი.

ვისაც ვუხმობდი მე ჩემს მეგობრად, ყველამ მიმტყუნა,
ემშაკებივით მათ ზურგიდან დამარტყეს დანა,
ყველა ნაბიჯი მწუხარებით შეივსო — დიდით,
როგორ ვიცხოვრო, მითხარით, აბა!

როგორ გავიდა — არ მკითხოთ წლები,
რა ვნახე? — მხოლოდ პრობლემები,
ბოროტი არ არის ღმერთი,
ბოროტია მხოლოდ მეგობრები.

მქონდა ოცნებები, ნეტა — არ მქონოდა,
მქონდა სიზმრები, კომმარად მექცა,
ცრემლით აივსო თვალნი ჩემნი,
მომბეზრდა ცხოვრება — ველარ გავილაღე!
არ მჯერა ცხოვრების — დავილაღე!

როგორც ეშმაკნი, ისე იცვალნენ ადმიანნი,
გრძნობა გაყიდულა, სიყვარულნი კი ტყუილნი
ყოფილან,
და მეგობრებიც თაღლითნი ყოფილან,
ეჰა, ცხოვრებავ, რა ტანჯვა ყოფილხარ!

მე მეგორები სუდარად მექცნენ,
სიყვარულს ღალადებდნენ — კუბოში ჩამდეს,
მიწაში გამიშვეს იმწამს —
სიბნელე გახდა ჩემი მიწა...

ჰასან ისრა ილდირი

თურქულიდან თარგმნა ნამილ გასანოვმა

VATANIM BENİM

Her şeyden azizdir vatanım benim,
Ekmektir, sudur, havadır vatanım benim.
Bir bilsen daha nedir vatanım benim?
Uykumda düşüm, rüyamdır vatanım benim.

Hiçbir şey tutamaz onun yerini,
Gönlümdeki yeri köşktür vatanım benim.
Bir bilsen vatan ne demektir?
O köşk bile az gelir vatanım benim.

Vatan sana canım feda demişiz boşuna mı?
Biz bu toprakta mı geçelim taşından mı?
Bir çakıl taşı veremeyiz size anladın mı?
Cennettir benim için vatanım benim.

ჩემი სამშობლო

ჩემი სამშობლო ყველას სჯობია,
წყალ-პურია და ჰაერი ჩემთვის,
ჩემი სამშობლო რა არის ჩემთვის?
ის არის სიზმარ-ოცნება ჩემთვის.

რა დაიკავებს მის ადგილს გულში?
გულში სამშობლოს აქვს სხვა ადგილი.
ნეტავ, თუ იცი, —

რა არის სამშობლოს სიყვარული?
ის სიყვარულიც კი არაა საკმარისი
სამშობლოს სიყვარულისთვის!

სამშობლოვ, შენთვის გავწირავ სხეულს!
სამშობლოს მიწას როგორ უარვყოფ?
ქვასაც არ მოგცემ ჩემს სამშობლოდან!
სამოთხეა სამშობლო ჩემთვის!

ხალხური

მარიამ დალაქიშვილი

რაც იყო და რაც აღარ იქნება

ვერსად ვპოულობ სიმშვიდეს
და თან როგორი მშვიდი ვარ,
მე ჩემი ქვეყნის მიწაზე
თითქოს ობოლი შვილი ვარ.

ვერსად, ვერსად ვგრძნობ თავს
ისე, როგორც ბავშობის ბილიკზე.
მე ჩემი თავი თითქოსდა
ძლიერად გავაქილიკე.

არ ვიცი, სად გავიხიზნო,
სად არს სულისთვის სიმშვიდე,
მაგრამ ეს ვიცი, რომ დარდი
მე თვითონ შემოვიჩვიე.

ველარ ვგრძნობ ბავშვურ სიმშვიდეს,
ველარც ბავშვურად ვილიმი.
თითქოს ბავშვობა მე მიხმობს,
მე კი სწორედ მას მივტირი.

და მაინც სად გავიხიზნო
სად არს სულისთვის სიმშვიდე?!
თითქოს შორიდან რაღაცა
კვლავ ბავშვობისკენ მიბიძგებს.

ტკივილების აპოგეა

როცა ღრუბლებში ამიტაცებს გრძნობა მაღალი,
როცა ქარებიც ბობოქრობას შეუდგებიან,
ადამიანთა ბოროტებით გრძნობაჩამკვდარი
მე მოვალ შენთან და გეტყვი, რომ ძნელია სევდა.

შენ დაინახავ ჩემს ჭრილობებს ულევს და ძლიერს,
შენ გაიგონებ სულის კვილს ყველაზე მძაფრად.
მე მოვალ შენთან და გპირდები, რომ გაგრძნობინებ
ამ ყველა დარდს და გაზიარებ ცხოვრების ტანჯვას.

შენც რომ მიხვდები, როგორ მტკივა სული ტიალი,
შენც რომ შეიგრძნობ, რა ძნელია ცხოვრება მძაფრად
შენც რომ გაიგებ, როგორ მიჭირს ეს ხეტიალი,
იქნებ მოხვიდე და მითხრა, რომ ეს ტანჯვა კმარა.

ამ იმედებით ნასულდგმულები სული ტიალი
აღარ იღლება და არც კვდება, აქვეა სადღაც.
სადღაცას დამრწის დამაშვრალი და ეძებს ბილიკს,
რომ გავიდეს და გააღწიოს ბოროტთა ძალას.

საშველად გიხმობ უდაბნოში ძლიერ მწყურვალი,
მე წყალს ვითხოვ და დემონები მასმევენ ამ შხამს.
სიმწარით სავსეს მასულდგმულებს ჩემი ფიქრები,
სიკვდილთან მისულს ახლა როგორ ძლიერ
მჭირდები.

სიმწარით სავსეს მეწურება პატარა იმედიც, რადგან
გიხმობ და შენ მოსვლას აღარ მპირდები...

კრული ეპოქა

დავიღალე, მარტოობით კვდება სული,
თითქოს ხიდან მოწყვეტილი ფოთოლი ვარ.
სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილ
ერთიციდა, ერთიციდა პოეტი ვარ.

რა ძნელია ყველაფერს რომ ბრძოლა უნდა,
რა ძნელია მარტომყოფის კრული ბედი.
თუ სუსტი ხარ, შენ მოგელის აქ დალუპვა,
დამიჯერე აქ შენ ვეღარ გადარჩები.

თითქოს ყველა მოყვარეა, შენზე ზრუნავს,
თითქოს ყველას ედარდები, ენაღვლები.
თუ დროებას მხარს აუბამ, გადარჩები,
მაგრამ ამით შენც იმ ყველას ემსგავსები.

გადარჩენა, რა არის ეს გადარჩენა?
მასკით სვლა და სულიერი დაღმარენა.
თუ მომელის მე ეს ფარსი გადარჩენა,
მირჩვენია მარტომყოფის კრული ბედი.

ღამე ბურუსიანი

როცა ძლიერად მტკივდება სული, თითქოს შავდება ზეცა.
ვფიქრობ, რა არის ეს სატკივარი, რა ჰქვია ამ ჩემს სევდას.
სად დამეკარგა სულის სიმშვიდე, საით ვეძებო ნეტავ.
სიშავით მოცულ ღამეს შევჩვი, შენ მოგაქვს ჩემთვის სევდა.

არავინ, ღამევ, არავინ იცის რა არის შავი სენი, რომელიც
ჩემს სულს მუდამ თან დასდევს და გამუდმებით ებრძვის.
ვფიქრობ, კვლავ ვფიქრობ, ფიქრი ფიქრსა სცვლის
გრძნობებიც კვლავ მე მებრძვის.

არ მავიწყდება არცერთი სიტყვა, რომელიც შენგან მესმის.
ჩემთან ფიქრების მოვარდა ქარი, გრძნობების მოდის აქ
ნიაღვარი.

შუაღამეა, შუაღამეა, სად შევაფარო თავი...
საშინელ ტკივილს თან მიაქვს სული, ის დაუნდობლად
მებრძვის
სასოწარკვეთილს, რაღაც ჩამძახის, კვლავ ირიჟრაჟებს
შენთვის.

მარტომყოფის ფიქრები

გზა მიდის, მე კი მას მივყვები. სად მიდის ეს გზა ან დინება?
კვალდაკარგული მგზავრივით მარტო ვარ ფიქრების
იმედად

გაუკვალავი ბილიკი, აზვირთებული ზღვა,
ეს ბობოქარი ტალღები, ჩამოქცეული ცა⁷

სად ჩაესვენა მზის სხივი, დღეს მე დავეძებ მას.
ხვალინდელ მზეზე ფიქრებით, არ ვკარგავ მომავლის
მრწამსს.

დავდივარ, ბილიკს დავეძებ, ვფიქრობ წავიდე სად.
ეს ჩემი მკაცრი ფიქრები ჩამჩიჩინებენ რას ?

შეეჯახები სიძნელეს იყავ ამისთვის მზად.
გაუკვალავი ბილიკი შენ მოლოდინში დგას.
იყავ მამაცი, არასდროს არ დაემონო სხვას.
სადაც სიტყვების თქმა გინდა იქ იმეტყველე მსწრაფლ.

მკაცრი დროება დამდგარა ყველაფერს სჭირდება თქმა.
არვის მიენდო მაგ გულით, იყავ დარტყმისთვის მზად.
გაუტანლობის ეპოქა აქ მდუმარებით დგას.
შენ შენი ფიქრის გჯეროდეს და გადაირჩენ თავს.

ნათია ტყემალაძე

ამინდის პროგნოზი

(მოთხრობა)

ზღვა, ვერანდა, კომპიუტერი, მუსიკა და მე. ჩემი კომფორტის სრული ზონა. მუზათა მწყობრი სისტემის შემოტევისას ვხვდები, რამდენი რამეა საგრძნობი, სასუნთქი, საქმნელი. ზღვასაც ბევრი აქვს ჩვენთვის სათქმელი. როგორ მდუმარედ იერთებს ის ბინძურ მდინარეს და რა საოცარია, რომ არ იბილწება. ალაგ-ალაგ გარდამავალი ფერების ერთობლიობა შრამებად მოსდებია ზედაპირს და როგორ სტკივა მას თუნდაც ტალღების უშრეტი წრიალი.

– გაეთრიე აქედან! – მორბის ოფიციანტი

– რა ხდება?!

– გადი-მეთქი, აქ შენი ადგილი არ არის...

დანარჩენები დუმან, ადამიანები ხომ ძირითადად მაყურებელნი არიან. ოდესმე ვინმეს შემოუხედავს თქვენთვის ზიზღისფერი თვალებით? ეს არის მუქ ქარტეხილში ჩაქსოვილი ალი, რომელიც გიზგიზებს ცქერისას. ნუთუ შეიძლება უმიზეზოდ, შეუცნობლად, გაუაზრებლად გიმძიმდეს გული სხვისი სიძულვილით?

– რატომ?

– კაცურად შეიმოსე, კაცად ხარ ქმნილი! შენნაირ ბუნების შეცდომებს წვავენ,

აფეთქებდნენ, ატყავებდნენ ადრე... ეჰ, რა დრო იყო... ლუპავთ ქვეყანას!

ასე გამომპანლურეს ზღვისკენ გასროლით.

ოდესმე დაკვირვებიახართ ზღვას ზამთარში? დაგიგდიათ ყურის მისთვის ამ დროს? და როგორი ლამაზია ბუნება მასთან ერთად, ნუთუ შესაძლებელია ამ სილამაზეში ასეთი ადამიანური დაუნდობლობა?

ტალღები კიაფობენ...

რისთვის მოვდივართ, საიდან მოვდივართ, ვინ ვართ, სად მოვდივართ?

ტალები აზვირთდა...

და არასდროს მიგვრძნია თავი ასე ახლოს საკუთარ „მესთან“ და თან ასე შორს მისგან.

ალბათ, მიხმობ, მისმენ, მგრძნობ, რა ბედნიერი ხარ, შენს კალთაში მზეც კი ცულლუტებს, ნებივრობს. მას ისე ელოლიავები თითქოს არ გინდა გაუშვა, არ გიყვარს ღამე. შენც კი თრთი ბნელში, როგორი ქნარი ხარ ამ დროს, შენც გებრძვიან, გჩაგრავენ.

ტალღა ნაპირისკენ გამოემართა, თითქოს მიხმობდა, სტუმარ-მასპინძლის როლები შევითავსეთ და მე ეს მომწონდა, მე ეს მეთბილა, მეტკბილა... მოვდივარ, მოვდივარ... საქალღდე ჩაკვეცი, ეკრანს კი „ამშვენებდა“ სიტყვები: გილოცავთ, თქვენ გაიმარჯვეთ!

წყალმა მთლიანად შთანთქა ჩემი სხეული, უკვე ის მმართავდა მე, ირგვლივ შუბერტის „ტყის მეფის“ ჰანგები ისმოდა და ჩვენ მას მივყვებოდით რიტმულად, რითმულად. მივრბოდით ერთხმად, ერთად, ერთ მწკრივად, თუმცა ვგრძნობ, როგორ იღვეა სხეული, ტყის მეფემ აქაც კი მომაგნო, და მაინც რა რთულია ცხოვრების დათმობა, დღეების დავიწყება, წყლის ეკრანზე ირეკლებიან ლანდები... ბოლო მგზავრობის ეპილოგი, უხმო გმინვა.... მელის კაცობრიობის რეჟისორი, დრო მოვა...

ნაპირს თამაშ-თამაშით ბავშვი მიუახლოვდა, კომპიუტერს წააწყდა და გახარებულმა დედასთან მიიბრინა.

– დეე, დეე, ჩემია, ჩემი.

– ეს რა არის, სად იპოვე? – ჰკითხა ლილიმ თავის გოგოს

– იქ ვიპოვე, ზღვასთან.

ლილიმ დაიარა სანაპირო, ვერ იპოვა კომპიუტერის პატრონი და სახლში დაბრუნდა. მოქანცულ ბავშვს მისვლისას ჩაემინა, დედამ კი ლეკტობის შემოწმება გადაწყვიტა, უამრავი საქალღდე ნახა, გაკვირვებულმა ერთ-ერთი გახსნა და...

...მითხრა, მოკვდიო, წადიო, გაქრიო, მეც გავიქეცი. მივრბოდი, მივრბოდი კვლავ ზღვისკენ, ჩემი სული შვებას აქ ჰპოვებს, თითქოს მისი ნაწილი ვარ და კვლავ შუბერტის მუსიკა, კვლავ ჩემი რბოლა, ლტოლვა, შიში, ჭმუნვა. რა მოგიყვით მე, უუფლებო წვერმა საზოგადოებისა, სიტყვას ვერ ვძრავ, მეშინია, მოულოდნელად ვინმე ჩაფარებულმა არ მომკლას. ამბობენ, როცა გგონია, რომ ყველაფერი დაკარგულია, ცხოვრება მაშინ უხვად გასაჩუქრებსო, მე მასაც კი

დავიწყებული ვყავარ, მთელი ცხოვრება დანაშაულმისჯილი კუთხეში მდგომი ბავშვი ვარ და ვიპვი არსებობას, რაც, ვგონებ, მარადიულია... შემომადამდა, ხალხიც მომრავლდა, თუმცა თავს ახლა უფრო მარტოდ ვგრძნობ.

სახლში შესვლისას დედა თუ მამა, არ ვიცი, რომელი დგას ჩემ წინ, მტირალი, აკანკალებული...

– მოხვედი?! შენ მოხვედი, დეე.

– შენ მამა ხარ, – ეუბნება ის, მეორე, დედა თუ მამა, ველარ გავიგე. იქნებ გადაწყვიტოთ, დედა რომელი ხართ და რომელი მამა, იქნებ ორივე მამა ხართ ან ორივე დედა, რატომ ვარ თქვენი შვილი? ამბობენ, ადამიანები თავისუფალნი არიანო, თუმცა რატომ ვერ ირჩევს ადამიანი ოჯახს, ქვეყანას? როგორ არის ეს თავის'უფლება, თუმცა მე... მე ხომ არ ვარ ადამიანი...

– ლი, შემოდი შვილო, მალე გავფრინდებით და ნახავ, როგორ შეიცვლება ყველაფერი.

– მკვდრის გაცოცხლება შეიძლება?

– ნუ გეშინია! წამოდი, შენი საყვარელი ნამცხვარი გავაკეთეთ, ვილაპარაკოთ...

დაგლეჯილი სამოსი, ტალახიანი სანდლები გამხადეს და ასე თითქოს განწმენდილი მივაბიჯებ სამზარეულოსკენ...

– რა მოხდა, კიდევ დაგამცირეს ხომ იმ ნაბიჭვრებმა? სხვამ გაიმარჯვა?

– ალბათ არ ვარგოდა ჩემი რომანი.

– ჰემინგუეი ამბობდა, ადამიანი დამარცხებისთვის არაა შექმნილი, ის შეიძლება გაანადგურო, მაგრამ ვერ დაამარცხებ. შენი რომანი საოცარია...

– საოცარი... რა რის საოცრება, რას ნიშნავს?

– მშვენიერს დე თუ მა, მოდი დღეს დედა ვიქნები, ხვალ შენ შეითავსე ეს როლი, კარგი, საყვარელო?

– კარგი, ძვირფასო, – ეუბნება დღევანდელი როლით მამაჩემი დედაჩემს.

– ჩვენ შენს წიგნს საზღვრებს გარეთ გავიტანთ და ნახავენ, როგორი მწერალი დაკარგეს.

– მე არ ვარ მწერალი, ის არ იკარგება! არ მინდა ნამცხვარი.

გავედი და გულის სიღრმეში მწყინდა, მარადიული დამარცხებულის ტიტული. ძალიან რთულია აწონ-დაწონო ყველაფერი მამინ, როდესაც შეზღუდული ხარ. მწერალი შემოქმედია, მე მომწონს,

რომ ვწერ. მეც ღმერთი ვარ, ვქმნი სამყაროს, სამფლობელოს, მხოლოდ აქ ვგრძნობ თავს ბედნიერად, მხოლოდ აქ ვარ ძლიერი, ვსუნთქავ, თუმცა რაიმე დიადის შესაქმნელად თავისუფლებაა საჭირო, ხვალინდელი დღის არ უნდა მეშინოდეს...

– გაიქეცი...

აცრემლებულმა ლილიმ ვორდის ფაილი ჩაკეცა და გადაწყვიტა, სხვა საქალაქე ენახა.

...სკოლიდან გამოსვლისას მაკვირვებდა სხვების დედ-მამა, მე სხვანაირი მშობლები მყავს, მეგობრებიც კი არ მყავს, არავის ვუყვარვარ. მახსოვს, მასწავლებლები როგორ საუბრობდნენ ჩემზე და ამბობდნენ, რომ პიდარასტების პიდარასტი შვილი ვარ. კარგად ვსწავლობდი და ყველაფერს მიწუნებდნენ, ქულას არ მიწერდნენ, ბავშვები მაფურთხებდნენ, მცემდნენ, დამცინოდნენ, ერთხელ დამმარხეს კიდეც. მე კი ვერ ვხვდებოდი, რას ვაშავებდი. ის აკრძალული ნაყოფი გავხდი, რომელთან მიახლოება დაცემის ტოლფასი იყო...

ლილიმ ვედარ შეძლო ამ საქალაქდის ბოლომდე ჩაკითხვა და გადავიდა სხვაზე.

...მეგონა, ვუყვარდი, მეგონა მოვწონდი, ჩემი სხეული შერყეული, გაროზგილი, გათოშილი და მოქანცულია ყველა ჭრილობით. ილტვის ჩემი სული უსულოებისაგან. მეზიზღებიან ადამიანები, ვედარაფერს ვგრძნობ. აბაზანა წამიერად სისხლისფრად შეიმოსა, თითქოს შხამი გამოიდეგნა... მან მომატყუა, გამომიყენა... ეს ქვეყანა ძლიერებს, მოძალადეებს ეკუთვნით, მგელს კი ვერავინ იწვევს ბრძოლაში, აქ სხვა ხერხია საჭირო, თუმცა ეს ხერხიც სუსტდება მარტოობით.

ადელვებულმა ლილიმ საქალაქდეები წაშალა, ძარღვები როკვით ქმნიდნენ შადრევანს, ადამიანის ემოციურმა შტორმა სიზმრებში გაინავარდა.

დილით პატარა ანგელოზი შევარდა დედასთან ოთახში, მოიტაცა კომპიუტერი და გადაწყვიტა, მეგობრებისათვის ეჩვენებინა. ასე გრძნობადაუტყვევლი უკითხავად გავიდა სახლიდან. ფრთაშესხმული გოგონა კი არ მირბოდა, მიფრინავდა, ამ დროს ბნელი შორეთიდან მანქანა უკონტროლოდ გამოემართა ბავშვისაკენ და... არქივი ანგელოზმა სიცოცხლის ფასად გაანადგურა. დრო ზოგჯერ დაუნდობელი, სიკვდილის ანგარიშებს ასწორებს ჩვენთან და გვართმევს ძვირფასს. თითქოს დედამიწის რბოლა გაცვდა, ბრბო გაქვავდა და ხმა? ისევ შუბერტი... ისევ ტყის მეფე...